ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ნინო ყულოშვილი

ქართულ დიასპორებთან დაკავშირებული პრობლემატიკა ნაციონალურ და დიასპორულ პრესაში (1977-2010 წლები)

ჟურნალისტიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

ნაშრომი შესრულებულია ივ. ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში

სამეცნიერო ხელმძღვანელები: პროფ. **ნოდარ ტაბიძე**
პროფ. **თამაზ ჯოლოგუა**

თბილისი 2013

შ ე ს ა ვ ა ლ ი

გლობალიზაციის ფონზე მიგრაციული დინებები სიახლეს არ წარმოადგენს. უცხოეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეები, თუმცა ადგილსამყოფელ ქვეყნებში ინტეგრირებულნი არიან, საკუთარი თვითმყოფადობის შენარჩუნებას ცდილობენ. მათს საზოგადოებებში ფუნქციობს სათვისტომო ორგანიზაციები, საკვირაო სასწავლებლები (საზაფხულო და საჯარო სკოლები, ენის შემსწავლელი კურსები...), მედიასაშუალებები, ფოლკლორული ანსამბლები, ნაციონალური სამზარეულო; გარდა საქართველოს ისტორიულ ტერიტორიებზე არსებული ქართული ტაძრებისა, საზღვარგარეთ არსებობს ქართველ მართლმადიდებელთა სამრევლოები (იხ. www.patriarchate.ge).

ტერმინი „დიასპორა“ ბერძნული წარმოშობისაა და ნიშნავს „გაბნევას“ (ლექსიკონი 1973: 129), რაც შეიძლება გამოწვეული იყოს იძულებითი გადასახლებით, გენოციდის საფრთხით, ეკონომიკური და გეოგრაფიული ფაქტორების ზემოქმედებით...

თავდაპირველად ტერმინ „დიასპორას“ იყენებდნენ პალესტინის გარეთ მცხოვრები ებრაელების მიმართ. ისინი სამშობლოდან განდევნეს: ჯერ ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორ მეორემ (ძვ. წ. VI ს.), შემდეგ კი – რომაელებმა ახ. წ. I-II სს-ში. მოგვიანებით იგი გავრცელდა სხვა ეთნიკური (მაგ.: სომხები, ირლანდიელები, ჩინელები) და რელიგიური (მაგ.: პირველი ქრისტიანები) ერთობების მიმართაც.

თანამედროვე პოლიტიკურ მეცნიერებაში ცნება „დიასპორა“ აღნიშნავს ეთნიკური უმცირესობის ჯგუფს, რომელიც გადასახლდა, ცხოვრობს და მოღვაწეობს მიმღებ ქვეყანაში, ამასთან, აქვს ემოციური და მატერიალური კავშირები წარმოშობის ქვეყანასთან.

"Национальную диаспору можно определить как устойчивую совокупность людей единого этнического происхождения, живущую в иноэтническом окружении за пределами своей исторической родины (или своего этноса) и имеющую социальные институты для развития и функционирования" (Чаптыкова 1997: 5).

აკადემიურ კვლევებს დიასპორის საკითხზე საფუძველი ჩაეყარა XX საუკუნის მეორე ნახევარში და, ძირითადად, ეხებოდა იმ დროისათვის ცნობილ

ისტორიულ მოვლენებს. მათ რიცხვს მიეკუთვნებოდა **ებრაული დიასპორა:** ისრაელის სახელმწიფოს შექმნის შემდეგ მისი ტერიტორიის გარეთ დარჩენილი ებრაული მოსახლეობა. **აფრიკული დიასპორა**: აფრიკის კონტინენტიდან გაყვანილი მონების შთამომავალნი. **ირლანდიური დიასპორა**: პოლიტიკური შევიწროებისა თუ ეკონომიკური პირობების გამო ირლანდიიდან მილიონობით დევნილი.

XX საუკუნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელი იყო ეთნიკურ დევნილთა მასობრივი ტალღები ომების, ეკონომიკური კრიზისების, შოვინიზმისა და რასიზმის პირობებში. იმავე საუკუნის პირველ ნახევარში ასეთი მოძრაობები იყო ევროპაში, აზიასა და ჩრდილოეთ აფრიკაში. დევნილთა დიდმა ნაწილმა ამერიკის კონტინენტს შეაფარა თავი, რითაც სათავე დაუდო თანამედროვე დიასპორების წარმოქმნას. იმ ხალხებს შორის, რომელთაც ეს პროცესი ყველაზე მეტად შეეხო, აღსანიშნავია:

1. **სომხები** – 1880-1910 წლებში სომხებით დასახლებულ ტერიტორიებზე ოსმალეთის იმპერიის მიერ გატარებული გენოციდის პოლიტიკის გამო;
2. **ებრაელები და ბოშები** – მეორე მსოფლიო ომის წლებში მათ წინააღმდეგ განხორციელებული გენოციდის პოლიტიკის გამო;
3. **რუსეთის იმპერიის ხალხები** – რუსეთის რევოლუციებისა და სტალინის ეპოქის მასობრივი მიგრაციის გამო;
4. **გერმანელები** – მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ყოფილი გერმანიის იმპერიის განაპირა რეგიონებიდან მათი გადასახლების გამო;
5. **პოლონელები** – მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კერზონის ხაზის ფარგლებში პოლონეთის სახელმწიფოს ფორმირების გამო;
6. **სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიელები** – მეორე მსოფლიო ომისა და ვიეტნამის ომის შედეგად ამ რეგიონიდან განდევნილი მოსახლეობა;
7. **პალესტინელები** – 1948 წელს არაბულ-ებრაული ომის შედეგად განდევნილი მოსახლეობა.

ე. წ. ცივი ომის ეპოქაში გრძელდებოდა ხალხთა მასობრივი მიგრაციები კონფლიქტების ზონებიდან, განსაკუთრებით, მესამე სამყაროდან, რომელიც

მოიცავდა აფრიკას, სამხრეთ და ცენტრალურ ამერიკას, ახლო აღმოსავლეთსა და სამხრეთ აზიას.

კომუნისტური სისტემის რღვევამ და სსრკ-ის დაშლამ, რასაც თან მოჰყვა სოციალურ-ეკონომიური პირობების საგრძნობი გაუარესება, გამოიწვია მიგრაციების ახალი ტალღა, რომელთა შორის ქართველებიც არიან.

ისტორიის მიხედვით, საქართველოდან მიგრაციის პროცესები განპირობებული იყო კულტურული, პოლიტიკური, სოციალური და სხვ. მიზეზებით.

ე. წ. კულტურული ემიგრაცია დაკავშირებული იყო ქართველი ხალხის კულტურულ-საგანმანათლებლო და რელიგიურ მოღვაწეობასთან ქვეყნის ფარგლებს გარეთ: პალესტინაში, სირიაში, საბერძნეთში, ბულგარეთში და სხვაგან. ამ ემიგრაციის შედეგად აღმოცენდა ქართული კულტურის უძველესი კერები საზღვარგარეთ.

პოლიტიკური ემიგრაცია დაკავშირებული იყო საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, ტრაგედიასთან და იგი რამდენიმე ტალღას მოიცავს:

პირველი მრავალრიცხოვანი ემიგრაცია, როდესაც საქართველო ინტელექტუალურად თითქმის დაიცალა, იყო ვახტანგ VI-ის დროს, 1724 წელს. ვახტანგ VI 1000-კაციანი ამალით წავიდა სამშობლოდან (მათ შორის იყვნენ: სულხან-საბა ორბელიანი, ვახუშტი ბატონიშვილი და მრავალი სხვ.) და არც ერთი მათგანი უკან არ დაბრუნებულა.

მეორე ემიგრაცია 1801 წელს უკავშირდება, როდესაც ქართლ-კახეთის სამეფო გააუქმა ალექსანდრე პირველმა და გასცა ბრძანება, რომ ბაგრატიონთა სამეფო ოჯახის არც ერთი წევრი არ დარჩენილიყო საქართველოში, რათა მონარქიის აღდგენა შეუძლებელი ყოფილიყო. ამიტომ ალექსანდრე ბატონიშვილი სპარსეთში გადაიხვეწა და იქვე გარდაიცვალა. სპარსეთშივე გადაიხვეწა თეიმურაზ ბაგრატიონიც, მაგრამ შემდეგ იგი იძულებული გახდა, რუსებს ჩაბარებოდა, რის შემდეგაც პეტერბურგში გადაასახლეს. ცნობილია, რომ სოლომონ II 1811 წელს ტრაპიზონში გადაიხვეწა და იქვე გარდაიცვალა და სხვ.

მესამე დიდი პოლიტიკური ემიგრაცია 1921 წლის თებერვალ-მარტში განხორციელდა. დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობა ბათუმში ჩავიდა და იქედან გასულმა გემმა გაიყვანა როგორც პოლიტიკოსები, ასევე მეცნიერები, მწერლები და სხვ. დევნილმა პოლიტიკოსებმა ძირითადად საფრანგეთს (ნაწილობრივ ინგლისს) შეაფარეს თავი, გენერალიტეტმა და სამხედრო პირებმა – პოლონეთს.

მეოთხე პოლიტიკური ემიგრაცია 1991-1992 წლებში განვითარებული მოვლენების შედეგად კანონიერი ხელისუფლების სამხედრო გადატრიალების გზით დამხობამ გამოიწვია. ამგვარად აღმოჩნდნენ საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას, ხელისუფლების წარმომადგენლები სხვადასხვა ქვეყანაში: რუსეთში (მათ შორის, ჩეჩნეთში), უკრაინაში, ფინეთში, გერმანიაში, პოლონეთში, საფრანგეთში, ჰოლანდიაში, აშშ-ში. მათმა მნიშვნელოვანმა ნაწილმა ამ ქვეყნებში პოლიტიკური თავშესაფარი მიიღო.

უკანასკნელ ათწლეულში განხორციელებულ ემიგრაციას უფრო მეტად სოციალური ხასიათი ჰქონდა, რისი მიზეზიც გახდა საქართველოში პოლიტიკური კრიზისი, ეთნოკონფლიქტებთან და გარდამავალ ეტაპთან დაკავშირებული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები. ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, სსრკ-ის დაშლის წინ ქართველთა 97% თავის სამშობლოში ცხოვრობდა და, ამდენად, მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე „კონსოლიდირებულ“ ერად ითვლებოდა. XX საუკუნის 90-იან წლებში ემიგრაციული დინება საქართველოდან ყველაზე ძლიერი იყო. მწერალი და პუბლიცისტი ჯემალ ქარჩხაძე აღნიშნული პროცესის შესახებ წერდა: „ემიგრაცია რომ სულ უფრო მასობრივ ხასიათს იღებს, ეს უპატრონო ქვეყნის ტრაგედიაა და ამ ტრაგედიაში ყველაზე ნაკლებ ის არის დამნაშავე, ვინც ემიგრაციაში მიდის“ (ქარჩხაძე 2005: 159). სხვადასხვა მონაცემით, ამ პერიოდში ქვეყნიდან გავიდა ნახევარი მილიონიდან მილიონამდე ჩვენი თანამემამულე (http://ka.wikipedia.org/) და, უნდა ითქვას, რომ გლობალიზაციის ფონზე ეს პროცესი შეუქცევადია.

საბჭოთა სისტემის ნგრევის შედეგად ე. წ. „ნაციონალური დიასპორა“ თავდაპირველად პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებში გაჩნდა: "Объединенные ранее

единым институтом советского гражданства в настоящее время диаспоры самими реалиями суверенного развития независимых стран поставлены перед необходимостью найти собственную нишу в социокультурной среде принявшего государства, осознать себя меньшинством по сравнению с коренным этносом, пройти нелегкие стадии социальной эмансипации для того, чтобы противостоять ассимиляции и сохранить связи с исторической родиной и приверженность национальной самобытности.

Одновременно национальная диаспора становится естественным мостом в строительстве международных отношений нового уровня, поскольку именно она выступает важнейшим объектом и активно действующим субъектом контактов стран - родителей и их культур" (Чаптыкова 1997: 21).

დღეისათვის მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში არსებობს ქართული დიასპორა. უცხოეთში მცხოვრები ქართველების დიდი ნაწილი აქტიურად არის ჩართული მიმდები ქვეყნის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, ამავე დროს, იღვწის ქართული კულტურის განვითარებისათვის.

აღსანიშნავია ე. წ. **ისტორიული დიასპორები**: აზერბაიჯანის რესპუბლიკაში – ინგილოები; ირანის ისლამურ რესპუბლიკაში – ფერეიდნელები; თურქეთის რესპუბლიკაში – გურჯები, ლაზები, ქართველი მუჰაჯირების შთამომავლები.

აღნიშნული ეთნიკური ჯგუფები ძირითადად საკუთარ ისტორიულ ტერიტორიაზე ცხოვრობენ (გარდა ფერეიდნელებისა), სწორედ ამიტომ ვუწოდებთ მათ ისტორიულ დიასპორას და არა – ემიგრანტს (ანუ პირს, „რომელიც ტოვებს თავისი მოქალაქეობის ან მუდმივი საცხოვრებელი ადგილის ქვეყანას და საცხოვრებლად მიემგზავრება სხვა სახელმწიფოში“ – ლექსიკონი 1973: 178)

გაეროს 1948 წლის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია (27-ე მუხლი) და 1966 წლის საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ (მე-12 მუხლი, მე-2 პუნქტი) აღიარებს „ყოველი ადამიანის უფლებას, დატოვოს ნებისმიერი ქვეყანა, მათ შორის, საკუთარიც“. ეს უფლება კანონის საფუძველზე შეიძლება შეიზღუდოს იმისათვის, რომ დაცულ იქნეს სახელმწიფო საიდუმლოება და უსაფრთხოება, საზოგადოებრივი წესრიგი, მოსახლეობის ჯანმრთელობა და ზნეობა ან სხვა უფლებები და თავისუფლებები.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია შევეხოთ „ტოლერანტობის“ საკითხსაც, რამდენადაც უცხო გარემოში თავად სოციო-კულტურული თვისობრიობის მატარებელი საზღვარგარეთ მყოფი ადამიანი საკმარისი საფუძველია იმისათვის, რომ არსებობდეს „კონფლიქტი“ – (ლათ. tolerantia – მოთმენა, შეწყნარება, ატანა, დაშვება). ხშირ შემთხვევაში აღნიშნული ტერმინის ქართული შესატყვისები ადამიანის ან სოციუმის რომელიმე უარყოფით გამოვლენასა და მხარეს ეხება, რომელსაც ითმენენ აუცილებლობის გამო, იწყალებენ, პატიობენ ან ნებას რთავენ: "Способность живого организма воспринимать, положительно реагируя, какой-либо препарат. И потому нередко в толкованиях феномена эамечается недопустимое сближение его смысла с понятием плюрализма. Между тем плюрализм в сфере политики представляет собой только лишь фундамент толерантного мышления" (Корконосенко 2004: 132-133).

„ტოლერანტობის პრინციპების დეკლარაციით“ (რომელსაც 1995 წლის 16 ნოემბერს პარიზში იუნესკოს წევრი 185 სახელმწიფოს მიერ მოეწერა ხელი) – ტოლერანტობა ნიშნავს: „ჩვენი სამყაროს მდიდარი კულტურული მრავაფეროვნების, თვითგამოხატვის ფორმებისა და ადამიანური ინდივიდუალობის გამოვლენის შესაძლებლობების პატივისცემას, მიღებასა და მართებულ გაგებას. მას ესაჭიროება ცოდნა, ღიაობა, ურთიერთობა, აზრის, სინდისისა და რწმენის თავისუფლება. ტოლერანტობა – ესაა თავისუფლება მრავალფეროვნებაში. იგი არა მხოლოდ მორალური მოვალეობაა, არამედ პოლიტიკური და სამართლებრივი მოთხოვნაც. ტოლერანტობა – შესაძლებელს ხდის მშვიდობას და შეუძლია შეცვალოს ომის კულტურა მშვიდობის კულტურით“. ქართველი ფილოსოფოსი მერაბ მამარდაშვილი თავის ერთ-ერთ გამოსვლაში საუბრობს ვნებათა დონის თაობაზე, რომელიც, მისი თქმით, ისტორიულ სიმბოლოთა დონეა. იგი ამ დონეზე განიხილავს სიტყვა „აფხაზეთს“, რომელიც „საქართველოს“ სინონიმია: „ეს არის სინონიმი, ვიმეორებ, იმ სიმბოლიკის ფარგლებში, რომელშიც ერს ახსოვს თავისი წარმოშობა, ახსოვს პირობები, როცა იქმნებოდა სახელმწიფოებრიობა და როცა, მთელი რიგი ისტორიული მიზეზების გამო, ის, ვინც თავის თავს აფხაზს უწოდებდა, ქართული სახელმწიფოებრიობის შენების ერთ-ერთი მონაწილე იყო. ამასთან,

ქართულენოვანი მონაწილე... ამიტომაც, უთხრა ქართველს, რომ აფხაზეთს შეუძლია გავიდეს საქართველოდან (მე განვმარტავ ვნების სტრუქტურას და არა რეალობას) – ეს დაახლოებით იგივეა, რომ უთხრა: საქართველო გავიდეს თავისი თავიდან. ან ვიტყვი კიდევ უფრო მკვეთრად: ეს იგივეა, რომ ხარს ცხვირწინ უფრიალებდე წითელ ნაჭერს, მერე კი გიკვირდეს, რომ ხარი ასეთი არადემოკრატიულია“ (მამარდაშვილი 2007: 24). მიგვაჩნია, რომ ამ კონტექსტით საუბარი ზოგადად დიასპორის ადგილსამყოფელ ქვეყნებში დომინანტ მოსახლეობასთან ადაპტაციის პროცესის შესახებაც შეიძლება.

უცხო სიტყვათა ლექსიკონში ტერმინი „კონფლიქტი“ განმარტებულია როგორც „მოპირდაპირე ძალთა, საწინააღმდეგო ინტერესთა, შეხედულებათა შეხლა-შემოხლა, სერიოზული უთანხმოება, განხეთქილება. საერთაშორისო ურთიერთობათა გამწვავება, რასაც ზოგჯერ მოსდევს შეიარაღებული შეტაკება“ (ლექსიკონი 1973: 254).

საზოგადოება ერთმანეთთან დაკავშირებული და ერთმანეთზე დამოკიდებული ნაწილებისაგან შედგება. ის, რაც ფუნქციურია სისტემის ერთი ნაწილისათვის, დისფუნქციურია მეორისათვის და პირიქით. ზოგადად, ეთნიკური ჯგუფის უცხო გარემოში სრული ინტეგრაცია, – ან თუნდაც ასიმილაცია, – მარცხით სრულდება, რადგან ინდივიდუალიზმისა და თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის აუცილებელი პირობა არის წინააღმდეგობა, შესაბამისად, „კონფლიქტს“ მხოლოდ უარყოფითი დატვირთვა არ აქვს, არამედ ჯგუფის შემკვრელის ფუნქციაც აკისრია.

„დიასპორა“ თავისდათავად უცხოეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულის ფსიქოლოგიურ ტიპს გულისხმობს. უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეებისაგან სამშობლოს დაკარგვა/სამშობლოდან შორს ყოფნა მეობისა და ადამიანობის დაკარგვად აღიქმება; ე. წ. ჰიბრიდული იდენტობები, ტრანსნაციონალიზმი, ლიმინარული (სასაზღვრო) კულტურა სოციოლოგიურ ფაქტორად უკვე იქცა (ასოციაცია 2009: 22). დიასპორა, მასთან დაკავშირებული მარკერების გათვალისწინებით, ძირითადად ადამიანთა კულტურულ იდენტობას აღწევს.

„იდენტობა“ ლათინური წარმოშობის ტერმინია და ნიშნავს იგივეობას (ლექსიკონი 1973: 187). ქართველ ფილოსოფოსს, მერაბ მამარდაშვილს, მიაჩნდა, რომ „ადამიანი იწყება ღირსებიდან და მას მხოლოდ საკუთარი ღირსების გავლით შეუძლია ჭეშმარიტად გააცნობიეროს თავი ამა თუ იმ ერის შვილად! ქართველობა არ არის ბიოლოგიური მოცემულობა – ეს არის ნება, იყო ქართველი, ნება კი რაინდული ღირსების ფენომენია და მე თუ არა მაქვს ის, რამდენიც არ უნდა ინებოს ერმა თუ ბერმა, მე ვერც კაცი ვიქნები და ვერც ქართველი!“ (მამარდაშვილი 1998:).

სამშობლო, იმავდროულად, დღეისათვის იდენტობის ჩამოყალიბებაში გარკვეულწილად წარმოადგენს პოლიტიკურ-სამართლებრივ ფაქტორსაც. სამშობლო არის სივრცე, რომლის ფარგლებშიც მოქმედებს არსებული სახელმწიფოს სუვერენიტეტი: კონსტიტუცია და სხვადასხვა ტიპის საკანონმდებლო აქტები, რომლებიც საერთო და სავალდებულოა ყველა იმ ადამიანისთვის, რომელიც საქართველოს მოქალაქეა. შესაბამისად, მათ უჩნდებათ გარკვეული განსაკუთრებული გრძნობა და ვალდებულება, რომლებიც მხოლოდ კონკრეტულ სივრცეში არის გავრცელებული. ამ კუთხით საინტერესოა საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკა, რომელიც სამართლებრივად აერთიანებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრებ საკუთარ მოქალაქეებს და მათ სახელმწიფოსთან იდენტიფიკაციის საშუალებას აძლევს (ორმაგი მოქალაქეობისა და უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეებისათვის სტატუსის განსაზღვრის საკითხი), ენობრივი თვალსაზრისით გაერთიანება (საკვირაო სკოლების ფუნქციონირებისა და ერთიანი ეროვნული სასწავლო პროგრამის თემა), რელიგიური ფაქტორი (სამრევლოები), ეკონომიკური თვალსაზრისით (საზღვარგარეთ მოღვაწე თანამემამულე ბიზნესმენები ადგილსამყოფელ ქვეყნებში საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის საპატიო წარმომადგენლები არიან) და სხვ.

ენტონი დუგლას სმითი 2007 წელს გამოცემულ ნაშრომში „ნაციონალური იდენტობა“ განიხილავს, თუ რას წარმოადგენს მთლიანობაში ეს საკითხი და ასახელებს შემდეგ კომპონენტებს: ისტორიული ტერიტორია ანუ სამშობლო; საერთო მითები და ისტორიული მეხსიერება; საერთო საზოგადოებრივი

მასკულტურა; ყველა წევრისათვის საერთო სამართლებრივი უფლებამოვალეობანი; საერთო ეკონომიკა მის წევრთათვის ტერიტორიული მობილურობის უზრუნველყოფით. უკანასკნელი ორი ელემენტი მნიშვნელოვანია ნაციონალური იდენტობის, უფრო ზუსტად, სამოქალაქო/დასავლური იდენტობის ჩამოყალიბებაში. სმითი ერთმანეთისაგან განასხვავებს დასავლურ და აღმოსავლურ ნაციონალურ იდენტობებს; დასავლურ და აღმოსავლურ ნაციონალზმს გამოჰყოფს, როგორც სამოქალაქოსა და ეთნიკურს (სმითი 2007: 15). აღნიშნული კვლევის მიხედვით, ქართული ნაციონალური იდენტობა აღმოსავლური ნაციონალიზმის მახასიათლებს შეიცავს, თუმცა, სახელმწიფოს მხრიდან შეინიშნება დასავლური/სამოქალაქო ტენდენციების გაღვივების მცდელობა.

დიასპორა საკუთარ თავში გულისხმობს პატრიოტიზმს, თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საზოგადოების შეხედულება დიასპორის წარმომადგენელთა „მტკიცე პატრიოტიზმის“ თაობაზე არაერთგვაროვანია. ერთნი მიიჩნევენ, რომ ზოგადად დიასპორის წარმომადგენელი საზოგადოების გაორებული, არამყარი, არასანდო, არასაიმედო ნაწილია სახელმწიფოებრივი პოზიციისათვის (იგულისხმება როგორც წარმოშობის, ისე მიმღები ქვეყანა). ილია ჭავჭავაძის შეხედულებით, „თუ ადამიანს თავისი ვინაობა არარად მიაჩნია, მაშინ იმ ადამიანში ადამიანური რაღაა? დრო გამოიცვლება, დრო მოვა, როცა თავისის ვინაობიდან გადამდგარი კაცი ყველასაგან შერისხული იქნება, როგორც უღირსი, თითონ იმათგანაც კი, ვინც ახლა სიხარულით ამისთანა კაცს შეიკედლებს ხოლმე და ულოლოებს. დრო მოვა, როცა ყველასათვის ცხადი იქნება, როგორც ორჯერ-ორი, რომ თუ კაცი თავისას გაუდგა, სხვისას ვერ უერთგულებს. ეს ჭეშმარიტება დღეს ცოტამ იცის და ხვალე ბევრს ეცოდინება, და მაშინ ვაი თავის ვინაობაზედ გულაცრუებულს, გულგრილს და ხელაღებულს!“ (ჭავჭავაძე 1991: ამონარიდი 1882 წლის მარტის „შინაური მიმოხილვიდან“).

საზოგადოების დინამიკური განვითარება პასუხისმგებლობასაც გულისხმობს. ხშირ შემთხვევაში, პიროვნების ღირებულებები ზეწოლას ვერ უძლებს და ადამიანი მარგინალიზაციის საფრთხის წინაშე დგას. სწორედ ამ

დროს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ეთნიკური იდენტიფიკაცია როგორც ინდივიდუალიზმის შენარჩუნების საშუალება. უცხო გარემოში მყოფი ადამიანისათვის თვითმყოფადობის შენარჩუნების საქმეში „მაშველი რგოლის“ ფუნქციას ე. წ. ეთნო-საიდენტიფიკაციო ატრიბუტები – სათვისტომო, რელიგია, ფოლკლორული ჯგუფები, საკვირაო სკოლები, მედიასაშუალებები, ნაციონალური სამზარეულო – ასრულებს. ასეთის არარსებობის პირობებში გვხვდება მონათესავე ეთნოსაიდენტიფიკაციო ატრიბუტებით სარგებლობის შემთხვევებიც (რეგიონალური ასოცირება; მაგ., ქართველი – კავკასია).

უცხო გარემოში მყოფ მიგრანტს საკუთარ ეთნიკურ ჯგუფში თავის დამკვიდრების შემდეგ სხვა ეროვნულ უმცირესობებთან ურთიერთობის სურვილი უჩნდება. შემდგომ ეტაპზე ადამიანის ნაციონალური იმუნიტეტი გაძლიერებულია და დომინანტ ეთნოსთან კავშირსაც არ უფრთხის. ზოგ შემთხვევაში ადგილსამყოფელი სახელმწიფო ეთნიკურ უმცირესობებთან ერთად ინტეგრაციის პროცესშია (მაგ., ესტონეთი პოსტსაბჭოთა ქვეყანა იყო, ხოლო ამჟამად ევროკავშირის წევრია – ევროინტეგრაციის პროცესი). საკუთარი იდენტობის დადგენისას ზოგიერთი ადამიანი ინდივიდუალური თავისუფლების იდეით გამოირჩევა და შერეული ოჯახის საკითხსაც დადებითად აფასებს. თანამედროვე საზოგადოებაში ადამიანის ნაციონალური თვითაღიარება საფუძველია თავისი ეთნიკური წარმომავლობის შესახებ მსჯელობისა ე. წ. Free Choice. ადამიანის ცნობიერება ნაციონალური მიკუთვნილობისათვის განმსაზღვრელი ხდება.

დემოკრატიული ქვეყნები ადამიანის ნაციონალური თვითგამორკვევის უფლებას აღიარებენ და ეთნიკურ უმცირესობებს სოციალურ უფლებებს ანიჭებენ, რაც სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების საწინდარია. აქ ეთნიკური თვითიდენტიფიკაციის საკითხების რეგულაციას ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით განსაზღვრული წესებით აღწევენ. (თვითრეგულაციის შემთხვევები ევროპის ქვეყნებშიც გვხვდება: მაგ., ესტონეთის რესპუბლიკის მოსახლეობის 28% ეროვნებით რუსია. აღნიშნული ეროვნული უმცირესობა სახელმწიფოში ნაციონალურ აქტივობებს ავლენს და ერთგვარ

საფრთხეს ქმნის, შესაბამისად, ესტონეთში კანონით მხოლოდ ფინელებისა და შვედების კულტურულ ავტონომიას აღიარებენ).

სამოქალაქო ინტეგრაციის პოლიტიკა გულისხმობს ისეთი გარემოს შექმნას, რომელშიც ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლები აქტიურად და თავისუფლად მონაწილეობენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, სახელმწიფოს მართვაში, მატერიალური და კულტურული ფასეულობების შექმნაში; რომელშიც ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელი არის საზოგადოების სრულფასოვანი წევრი, დაცულია მისი ეროვნული იდენტობის, თვითგამორკვევის უფლება. აღნიშნულის საწინააღმდეგო ქმედება იწვევს ნაციონალისტური, ქსენოფობიური, შოვინისტური გარემოს შექმნას და აფერხებს საზოგადოების განვითარებას.

მონოეთნიკური ქვეყნების დამოკიდებულება ნაციონალური ჯგუფების მიმართ ასიმილაციურ ხასიათს ატარებს, რაც ხშირად ისტორიის მიზანმიმართულ გაყალბებასაც გულისხმობს. მაგ., ზოგიერთი აზერბაიჯანელი მეცნიერი ცდილობს, საკუთარ ტერიტორიაზე მცხოვრებ ეთნიკურ ქართველებსა და იქ არსებულ ქართულ ხუროთმოძღვრულ ძეგლებს ალბანური წარმომავლობა მოუძებნოს; ირანისა და თურქეთის შემთხვევა, როდესაც სახელმწიფო პოლიტიკა ზღუდავს ეთნიკური იდენტობის კვლევას და აღიარებს მხოლოდ რელიგიურ იდენტიფიკაციას.

დემოკრატიულ და არადემოკრატიულ ქვეყნებში განსხვავებულია ნაციონალური იდენტობის საკითხისადმი მიდგომა:

დემოკრატიული ქვეყნები აღიარებენ ადამიანის ნაციონალური თვითგამორკვევის უფლებას, ცდილობენ ეთნიკური იდენტიფიკაციის ე. წ. „ატრიბუტების“ (სათვისტომო, ეკლესია, ფოლკლორული ჯგუფები, საკვირაო სკოლები, მედიასაშუალებები, ნაციონალური სამზარეულო) გამოყენებით, საკუთარ ქვეყანაში მცხოვრებ დიასპორებს შეუნარჩუნონ თვითმყოფადობა და საზოგადოებაში მათი ინტეგრაცია მოახდინონ. სახელმწიფო ზრუნავს, ეთნიკურ უმცირესობებს მიანიჭოს სოციალური უფლებები, რაც, უპირველესად, სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას უკავშირდება. ადამიანი საზოგადოების სრულფასოვან წევრად რომ ჩამოყალიბდეს, დაცული უნდა იყოს მისი ეროვნული იდენტობის, თვითგამორკვევის უფლება,

წინააღმდეგ შემთხვევაში, ვიმეორებთ, ყალიბდება ნაციონალისტური, ქსენოფობიური, შოვინისტური გარემო, რომელიც საზოგადოების განვითარებას აფერხებს.

სამწუხაროდ, მონოეთნიკური მიმართულების მქონე, არადემოკრატიული ქვეყნები აქცენტს კვლავაც ასიმილაციაზე აკეთებენ.

ეთნიკური იდენტობის შესახებ საუბრისას მხედველობაში უნდა ვიქონიოთ „მარგინალური“ ადამიანი, რომლის ფასეულობები და ქცევის წესები არ თავსდება რომელიმე სივრცეში და სხვადასხვა კულტურას შორის გარდამავალ საფეხურს წარმოადგენს.

ისტორიული დიასპორის ისტორიულ და ოფიციალურ სამშობლოსთან გაუცხოება რთულ, ხელოვნური თვითიდენტიფიკაციის ფორმებს იძენს. მაგ., 1989 წლის მოსახლეობის საერთო-საკავშირო აღწერისას აზერბაიჯანში, ბელაქანსა და ზაქათალას რაიონებში მცხოვრები ქართველების 95% ეთნიკურ ჯგუფ „ინგილოდ“ ჩაეწერა. თურქეთში ლაზები თავს ინდივიდუალურ ეთნიკურ ჯგუფად მიიჩნევენ...

აზერბაიჯანსა და თურქეთის რესპუბლიკაში ჩვენი თანამემამულეები, ძირითადად, სასაზღვრო ზოლში კომპაქტურად მოსახლეობენ ანუ წარმომავლობის ქვეყნის, თანამემამულე ეთნოსის უშუალო მეზობლები არიან. საკუთარ ისტორიულ ტერიტორიაზე ცხოვრობენ, მიკრორეგიონის ავტოხტონურ მოსახლეობას წარმოადგენენ და აქ დომინირებულნი არიან. ისინი სახელმწიფოს საერთო მოსახლეობის არცთუ უმნიშვნელო ნაწილს წარმოადგენენ, შენარჩუნებული აქვთ ტრადიციები, კულტურა, ენა, თვითშეგნება, თვითწოდება (ქართველი) და სხვათაწოდება (ინგილო). ზოგ შემთხვევაში რეგიონის მმართველობა ეთნიკურობით განისაზღვრება. სწორედ ამ ნიშნებით ჩვენი თანამემამულეები ირედენტისტულ/ინოეთნიკურ საზოგადოებას წარმოადგენენ, რაც საკუთარ თავში ირედენტისტული ხასიათის კონფლიქტს გულისხმობს (ირედენტისტული კონფლიქტი – ეთნიკურად მონათესავე მოსახლეობისა და სასაზღვრო ტერიტორიის გაერთიანების სურვილი. მაგ., სამაჩაბლოს კონფლიქტი). ამგვარი კონფლიქტის გაღვივების ნებისმიერ გამოვლინებას სახელმწიფოები განსაკუთრებული სიფრთხილით ეკიდებიან. ადგილსამყოფელი

სახელმწიფოები, ხშირ შემთხვევაში, ისტორიული დიასპორის ხელოვნურ მიგრაციულ პროცესებს – ქვეყნის შიგნით თუ ისტორიულ სამშობლოში – ხელს უწყობენ. ბუნებრივია, მუსლიმურ ქვეყნებში რელიგიურ ფაქტორს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

სახელმწიფო უსაფრთხოების თვალსაზრისით, როგორც ისტორიულ, ისე ოფიციალურ სამშობლოში ისტორიული დიასპორის წარმომადგენლები გაორებულ, გაუცხოებულ, არასანდო ელემენტებად მიიჩნევიან.

ფერეიდნელი ქართველები ირანის ისლამურ რესპუბლიკაში ეთნო-კულტურულ ჯგუფს წარმოადგენენ. მათი კავშირი საქართველოსთან ისტორიულ მახსოვრობასა და მშობლიურ ენაზეა დაფუძნებული.

სამშობლოსთან მიმართებაში ისტორიული დიასპორის წარმომადგენელთა ფსიქიკური სტრუქტურა მსგავსია, რაც განსაკუთრებული დამოკიდებულებით, მძაფრი ნოსტალგიით, ადგილსამყოფელ ქვეყნებში დომინანტ ეთნოსთან ფსიქოლოგიური წინააღმდეგობით, იზოლაციით (მაგ., ეთნიკურ ჯგუფში შიდა ქორწინება) ხასიათდება.

აღნიშნული დიასპორები ეთნოსშორისი ურთიერთობის ჩამოყალიბების ისტორიის ნაწილად რჩება. მათი აქტივობა ეროვნულ-კულტურულ მოძრაობებს არ სცილდება. ეს ნაციონალური ჯგუფები მეზობელ ქვეყნებს შორის დამბალანსებელ, სახალხო დიპლომატიის წყაროს წარმოადგენენ.

დღეს მიგრაციული პროცესების დინამიკურობა ბი-კულტურის მატარებელ ინდივიდს უკვე აღარ გულისხმობს; ესაა სამ, ოთხ კულტურას ნაზიარევი ადამიანი მულტიკულტურული ცნობიერებით. ევროპასა და აშშ-ში მიგრაციაში მყოფი ადამიანისათვის ინდივიდუალური თავისუფლების იდეა არახალია. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ საუკუნის შუახანებში დიდ ევროპულ ქვეყნებში წარმოშობით უცხოური მოსახლეობა იქნება მთელი მოსახლეობის 20-32%. განსაკუთრებით საგანგაშოდ აღიქმება შერეული ოჯახების საკითხი. „2050 წლისთვის ჰოლანდიელთა 29%-ის, სულ მცირე, ერთი მშობელი უცხოეთში იქნება დაბადებული. ზოგი მათგანი ევროპული ქვეყნებიდან იქნება მოსული, მაგრამ უმრავლესობა, დაახლოებით 2,8 მილიონი ანუ ჰოლანდიის მოსახლეობის 17%, წარმოშობით არადასავლელი იქნება“, – წერს ფრანგი

მკვლევარი, ბერნარდ ლიუისი. შერეული ოჯახების საკითხი განსაკუთრებით მცირე ერების დემოგრაფიული მდგომარეობისთვისაა სახიფათო.

საქართველოდან ევროპასა და აშშ-ში მიგრაციის ახალი ტალღა გასული საუკუნის 90-იან წლებს უკავშირდება. საბჭოთა სისტემის ნგრევამ და, შესაბამისად, საქართველოში შექმნილმა ეკონომიკურმა, პოლიტიკურმა კრიზისმა მოსახლეობის უმრავლესობა შრომით მიგრანტად აქცია; საქართველოდან გავიდა ე. წ. ინტელექტუალური რესურსი. ბუნებრივია, მიგრაციის პროცესი რთული იყო...

მკვლევრები ინდივიდის უცხო გარემოში დამკვიდრების რთულ პროცესს „იდენტიფიკაციის კრიზისად“ მოიხსენიებენ. ესაა ფსიქოლოგიური მდგომარეობა – შიში საკუთარი თავის შემეცნების შესაძლებლობის დაკარგვის, ახალ გარემოებასთან შეგუების, ახალი მოთხოვნებისათვის ფეხის აწყობის, ძველი შეხედულებების ცვლილების გამო. ადამიანის შემეცნებაში მსოფლიოს სურათი მაქსიმალურად ტრანსფორმირდება. თანდათან შეუძლებელი ხდება, იცხოვროს საზოგადოებაში და იყოს საზოგადოებისაგან თავისუფალი. სულიერად გადარჩენისთვის მთავარია, ადამიანმა შეძლოს ადაპტაცია და შემდეგ ინტეგრაცია. ინტეგრირებულ ადამიანს ფსიქოლოგები ხშირად Homo Perfectus-ადაც მოიხსენიებენ. ადაპტაცია ინდივიდუალიზმის შენარჩუნებასაც გულისხმობს. ამ დროს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სულიერი კავშირების გაღრმავება წარმოშობის ქვეყანასთან, რასაც ზემოხსენებული ეთნო-საიდენტიფიკაციო ატრიბუტები ახორციელებს.

მიგრაციული პროცესების კვლევისას იკვეთება რამდენიმე ტიპის ფსიქოლოგიური პრობლემა, რომელსაც ადამიანი უცხოობაში განიცდის:

• მიგრაცია, როგორც ნეგატიური ცხოვრებისეული გამოცდილება.

ემიგრაციის პროცესის განმაპირობებელი მიზეზები, სამშობლოს დატოვების პროცესი, ხშირ შემთხვევაში, ნეგატიურ გამოცდილებად ყალიბდება.

• შეხვედრა ახალ კულტურასთან.

განსხვავებული კულტურა მიგრანტს აიძულებს, ცხოვრების ახალი წესით იცხოვროს, მიიღოს სხვა სოციალური ნორმები, წესები და ქცევის რეგულაციები. ამ პროცესს სოციო-კულტურულ ადაპტაციას უწოდებენ. იცვლება

ყველაფერი: ბუნება, კლიმატი, ტანსაცმელი, საკვები, სოციალური, ეკონომიკური, ფსიქოლოგიური ურთიერთობები, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ენის, წესების, ტრადიციების, რიტუალების, ნორმებისა და ღირებულებების ცვლილება.

• ჰიპოთეზა კულტურული შოკის შესახებ.

ამერიკელი ანთროპოლოგი კ. ობერგი ემიგრანტების უცხო ქვეყანაში ახალი კულტურის გაცნობის პროცესს „კულტურულ შოკს“ უწოდებს, რადგან ნებისმიერი ადამიანისთვის ახალი კულტურის ნაწილად ყოფნა პიროვნების დეზორგანიზაციის მიზეზს წარმოადგენს.

• „აკულტურაციის“ სტრესი.

კლინიკური თვალსაზრისით, ღირებულებებისა და ნორმების დაკარგვა დეპრესიის ფორმად განიხილება, რომელსაც დეპრესიული, პარანოიდული და სხვა საგანგაშო მოვლენა სდევს თან.

• მიგრაცია, როგორც იზოლაციის განცდა.

ამ შემთხვევაში მიგრანტის განწყობები და მდგომარეობა მეტწილად დამოკიდებულია იმ ქვეყნის ხალხზე, მიგრაციულ პოლიტიკაზე, რომელშიც ადამიანი არის ემიგრირებული.

გარკვეული დროის შემდეგ უცხო გარემოში მყოფი ადამიანის ე. წ. სამშობლოსთან მიჯაჭვულობის სისტემის რღვევა იწყება და ყალიბდება ე. წ. ტრავმული მიჯაჭვულობა სოციალური სინამდვილის სუბიექტთან. წარმოშობის ქვეყანასთან, თანამემამულეებთან გაუცხოებული ადამიანი საკუთარ თავს ხშირად კოსმოპოლიტს – „მსოფლიოს მოქალაქეს“ – უწოდებს.

როდესაც დიასპორული ცნობიერების ფსიქოლოგიურ ასპექტებზე ვსაუბრობთ, მხედველობაში უნდა გვქონდეს საკითხის ინდივიდუალური განცდა, პიროვნების ჩამოყალიბების სხვა ფაქტორები, განათლება, სოციო-კულტურული წარმომავლობა, რაც საფუძვლად ედება ემიგრანტული ცხოვრების აღქმას, სამშობლოსთან შორს მყოფობის განცდას (განსაკუთრებული განხილვის საგანია იძულებითი მიგრაცია, პოლიტიკური დევნილობა, მიგრაცია საომარი მოქმედებების მხარე ქვეყანაში; ასევე, სამშობლოში დაბრუნების შემდგომი

დეზორგანიზება – საკუთარი ნიშის დაკარგვის პრობლემა, უცხოობაში დაბადებული ბავშვების ფსიქოლოგია და სხვ.).

დღეს დიასპორის თემა საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკის განუყოფელი ნაწილია. 2007 წელს 27 მაისი ქართული დიასპორის დღედ გამოცხადდა. დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი 2008 წლის 8 თებერვალს შეიქმნა. უნდა ითქვას, რომ მანამდე აღნიშნულ მიმართულებას ითავსებდა ლტოლვილთა და განსახლების, უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეთა სამინისტრო. აღმასრულებელი ხელისუფლების გვერდით საქართველოს მეშვიდე მოწვევის პარლამენტში შეიქმნა უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან ურთიერთობის კომიტეტი (ამჟამად – დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტი), რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს ქართული სახელმწიფოს პრიორიტეტთა შორის დიასპორებთან ურთიერთობის მოწესრიგებისა და გაძლიერების სტრატეგიას.

საერთაშორისო ურთიერთობაში პოლიტიკოსები დიასპორის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ითვალისწინებენ. ისინი დიასპორას განიხილავენ როგორც დიპლომატიური ბალანსის საშუალებას. აღსანიშნავია, რომ შესწავლილ ქვეყნებთან თანამშრომლობაში ქართული დიასპორა მნიშვნელოვან როლს თამაშობს.

სადოქტორო ნაშრომში აზერბაიჯანის, თურქეთის, ირანისა და ესტონეთის ქართველების პრობლემები შესწავლილია მათ მიერ 1977-2010 წლებში გამოცემული პერიოდიკისა და ნაციონალური მედიის საფუძველზე.

ნაშრომის გეოგრაფიული არეალი აზერბაიჯანს, თურქეთს, ირანსა და ესტონეთს მოიცავს, პარალელისთვის კი, ინგლისისა და გერმანიის ქართველების პერიოდული გამოცემებიც შევისწავლეთ. განსახილველი პერიოდისთვის ათვლის წერტილად ისტორიული დიასპორის – თურქეთის ქართველების პირველი ჟურნალის, „ჩვენებურის“, გამოსვლის თარიღი 1977 წელი შევარჩიეთ და 2010 წლამდე დიასპორის მედიააქტივობები, მათ შესახებ მომზადებული პუბლიკაციები განვიხილეთ. კვლევა აღნიშნულ გეოგრაფიულ არეალსა და პერიოდში თანამემამულეების აქტივობების, პრობლემების სისტემური სახით შესწავლის პირველ ცდას წარმოადგენს.

აღსანიშნავია, რომ სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობისას ენობრივი ბარიერი გამოიკვეთა. კონკრეტულად, თურქეთის ქართველების მიერ გამოცემული პერიოდული ორგანოები ან თურქულენოვანია, ან ორენოვანი – თურქულ-ქართული. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია აღმოსავლეთის ქვეყნების სპეციფიკა, რომელიც თავისთავად ართულებს იქ ზოგადად უცხოენოვანი, მით უმეტეს, ეთნიკური ინტერესების გამღვივებელი გამოცემების არსებობას.

ნაშრომში თანამემამულეების მიერ გამოცემული პერიოდული ორგანოების პარალელურად განხილულია ქართულ ბეჭდვით მედიაში გამოქვეყნებული პუბლიკაციები, რომლებიც ზემოაღნიშნულ ქვეყნებში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეების ყოფა-ცხოვრებას ეხება.

სადისერტაციო ნაშრომში საკვლევი ქვეყნები შესწავლილია გეოპოლიტიკურ ჭრილში, წარმოდგენილია თანამემამულეების პრობლემები და, შესაძლებლობის ფარგლებში, ამ პრობლემების მოგვარების გზებიც ისახება.

შესწავლილია შემდეგი პერიოდული გამოცემები:

აზერბაიჯანი: გაზეთი „მოამბე“, ადგილობრივი ორენოვანი გაზეთი „შელალე“, „გზაჯვარედინი“, „კახი“, „სარკმელი“; პარალელისათვის შესწავლილია გაზეთები: „საქართველოს რესპუბლიკა“, „ახალი ეპოქა“, „ჩვენი მწერლობა“, „Кавказский Акцент“, „ახალი ჰერეთი“ და ჟურნალი „ომეგა“ (2002-2003); გაზეთი „იავნანა“, „ახალი ჰერეთი“ და რადიო „ჰერეთი“; ელექტრონული მედიასაშუალებები: http://saingilo.ucoz.com/; http://www.infohereti.ge/ .

თურქეთი: ჟურნალები: „ჩვენებური“, „ფიროსმანი“, „მამული“, „ოგნი/ სქანი ნენა“ (ლაზური); გავეცანით ელექტრონულ მედია საშუალებებს; პარალელისა-თვის: გაზეთი „კვირის პალიტრა“, გაზეთი „ხიდი“ და ჟურნალი „ახალი ხიდი“.

ირანი: „ირანის ქართველების პირველი საზოგადოებრივ-კულტურული ჟურნალი“, ქართული რადიო ირანის ისლამურ რესპუბლიკაში; პარალელისთვის: საქართველო-ირანის სამეცნიერო კულტურულ ურთიერთობათა თანამშრომ-ლობის საზოგადოების მიერ გამოცემული გაზეთი „მეგობრობის მაცნე“, „კვირის პალიტრა“; ინფორმაციის სახით: საქართველოს შესახებ ან ფერეიდნელი

ქართველების მიერ ირანის ისლამურ რესპუბლიკაში გამოქვეყნებული ლიტერატურა; გავეცანით ელექტრონულ მედიასაშუალებებს - www.fereidani.ge;

ესტონეთი – ჟურნალი „მამული“, www.etnoweb.ee და www.lyra.ee.

ინგლისი – ჟურნალი „თანამემამულე“.

გერმანია – გაზეთი „ახალი ივერია“.

ყურადღება მივაქციეთ რადიომაუწყებლობასა და ინტერნეტ-გვერდებსაც.

კვლევის მეთოდებზე საუბრისას უნდა აღვნიშნოთ, რომ ნაშრომს საფუძვლად უდევს საკვლევ ქვეყნებში მცხოვრებ ქართულ დიასპორებთან მრავალწლიანი მუშაობა; თანამემამულეების პრობლემებზე ვმუშაობდი როგორც პრაქტიკოსი ჟურნალისტი, სახელმწიფო მოხელე, მკვლევარი.

რა მიზნებს ემსახურება სადისერტაციო ნაშრომი?

- დააინტერესოს სახელმწიფო სტრუქტურები საერთაშორისო თანამშრომლობის დონეზე კვლევის შედეგად ქართულ დიასპორებში გამოვლენილი პრობლემატიკის მოგვარებით;
- ნაშრომში შესწავლილი თანამემამულეების პრობლემების წარმოდგენა ერთგვარი პრევენციაა საერთაშორისო ურთიერთობებში ეთნიკური უთანხმოებების თავიდან ასარიდებლად (განსაკუთრებით მეზობელ სახელმწიფოებთან ურთიერთობისას);
- გააააქტიუროს საქართველოს სახელმწიფოს დამოკიდებულება ქართული დიასპორული მედიის, როგორც „მეოთხე ხელისუფლების“ ნაწილის, განვითარების მიმართ;
- მოუპოვოს თანამემამულეთა მედიააქტივობებს სახელმწიფოსგან მხარდაჭერა;
- აქციოს ერთ-ერთ მნიშნელოვან საკითხად ქართული ნაციონალური მედიისათვის თანამემამულეების, როგორც ერთიანი ეროვნული სივრცის ნაწილის, თემა;
- ხელი შეუწყოს უმაღლეს სასწავლებლებში ქართული დიასპორული ჟურნალისტიკის, როგორც ქართული ჟურნალისტიკის ნაწილის, სასწავლო საგნად შეტანას.

ჟურნალისტიკის ისტორიის მკვლევრებისათვის უცხო არ არის დიასპორის პერიოდული გამოცემების შესწავლის ტრადიცია.

რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მოქცეული საქართველოს გამოხსნისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის კიდევ უფრო გაძლიერებისათვის საზღვარგარეთ, კერძოდ, დასავლეთ ევროპაში (პარიზი, ჟენევა, ბერლინი) ქართული ჟურნალ-გაზეთები გამოიცემოდა. ასე შეიქმნა და ჩამოყალიბდა ე. წ. „რევოლუციამდელი“ (1873-1918) ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკა (გაზეთი „დროშა“, რედაქტორი – ნ. ნიკოლაძე, პარიზი (1873-1874); გაზეთი „საქართველო“, რედაქტორები: ა. ჯორჯაძე, გ. ლასხიშვილი, თ. სახოკია. გამომცემელი – გ. დეკანოზიშვილი; (1903-1905; გამოდიოდა ფრანგულადაც „La Georgia“); ჟურნალი „თავისუფალი საქართველო“ (1913-1914) ჟენევა; „ქართული გაზეთი“ (1916-1918), რედაქტორები:ლ. კერესელიძე, გ. კერესელიძე. ბერლინი).

1921 წლის თებერვალ-მარტში ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შედეგად დამოუკიდებელი საქართველოს ეროვნული მთავრობა და ქართული პოლიტიკური პარტიები (სოციალ-დემოკრატები, სოციალისტ-ფედერალისტები, ეროვნულ-დემოკრატები) იძულებულნი გახდნენ, ემიგრაციაში წასულიყვნენ, სადაც გააგრძელეს აქტიური პოლიტიკური მოღვაწეობა დაკარგული დამოუკიდებლობის აღსადგენად. შესაბამისად, არსებობა არ შეუწყვეტია ქართულ ემიგრანტულ ჟურნალისტიკასაც, რომელიც საქართველოში გამეფებული სამოცდაათწლიანი კომუნისტური დიქტატურის გამო სრულიად უცნობი იყო ქართველი საზოგადოებისათვის (შარაძე 2001: 103). აღნიშნული მიმართულების სახელმძღვანელო გამოცემად შეიძლება ჩაითვალოს გურამ შარაძის „ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია“ (მრავალტომეული) და სხვ.; თუმცა ისტორიული დიასპორის მიერ მომზადებული პერიოდული გამოცემები შესწავლილი დღემდე არ ყოფილა. ჩვენი შრომა წარმოადგენს ამ სფეროში არსებული სიცარიელის შევსების ცდას. აქვე აღვნიშნავთ, რომ ისტორიული დიასპორის წარმომადგენლები აქტიურად თანამშრომლობდნენ საქართველოში გამომავალ გაზეთებთან, ასევე ხშირად იბეჭდებოდა პუბლიკაციები, რომლებიც ეხებოდა თანამემამულეების ყოფა-ცხოვრებას („ივერია“, „დროება“ და სხვ.).

საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველებში, ეთნიკური იდენტიფიკაციის თვალსაზრისით, მედიააქტივობებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. დიასპორული მედიააქტივობები დინამიკურობით ხასიათდება – ბოლო წლებში პერიოდული გამოცემების ნაწილი საქართველოს სახელმწიფოსაგან მხარდაჭერის მოლოდინში დაიხურა (მაგ.: 2008 წელი – გაზეთი „ახალი ივერია“, გერმანია, რედაქტორი ჯიმშერ ბედიანაშვილი; 2010 წლამდე იარსება ჟურნალმა „თანამემამულემ“, ინგლისი, რედაქტორი ზაზა მესხი; 2010 წელი - ჟურნალი „ფიროსმანი“, თურქეთი, რედაქტორი ფაჰრეთინ ჩილოღლუ (ფარნა-ბექა ჩილაშვილი). რასაკვირველია, ქართული დიასპორის ძალისხმევით ამჟამად მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში არსებობს პერიოდული გამოცემები: გაზეთი „ელადა“, საბერძნეთი, რედაქტორი ანა ყურშავიშვილი; გაზეთი „ივერია“, სომხეთი, რედაქტორი ნაირა ჭოველიძე; გაზეთი „მამული“, აშშ, რედაქტორ-გამომცემელი მანუჩარ კაჭახიძე; ჟურნალი „ქართული“, გერმანია, მთავარი რედაქტორი ნინო ხაბელაშვილი; ჟურნალი „საქართველო“, უკრაინა, ბესო შამუგია; „ქართული გაზეთი“, საბერძნეთი, ნინო ლურსმანაშვილი, ელექტრონული გაზეთი „ბრიტანეთი“, ნოდარ დუგლაძე და სხვ.; ამასთანავე, შეინიშნება დიასპორის აქტივობა ელექტრონულ მედიაში.

როგორია საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკა დიასპორული მედიის მიმართ და გულისხმობს თუ არა დიასპორაში მასობრივი კომუნიკაციის საშუალებების ხელშეწყობას?

2008-2009 წლებში დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატმა ჟურნალების – „თანამემამულე“ (ინგლისი), „Ein blick Georgian“ (გერმანია) და სხვ. – რამდენიმე ნომერი დააფინანსა. აღნიშნულ პერიოდს ემთხვევა აპარატის ვებ-გვერდის – www.diaspora.gov.ge – სრულყოფისათვის მიმართული მუშაობა. აპარატის ინიციატივით მომზადდა ელექტრონული ჟურნალი „დიასპორის მაცნე“ (სულ ოთხი ნომერი).

2010 წელს დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატმა ინტერნეტ ტექნოლოგიებზე შეაჩერა ყურადღება, კერძოდ, აპარატმა ინტერნეტტელევიზიასთან www.itv.ge თანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა. აპარატის ინიციატივით შეიქმნა თანამემამულეებისთვის სოციალური ქსელი

www.iamgeorgian.com. შეიცვალა აპარატის ოფიციალური ვებ-გვერდის სტრუქტურა.

2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგად ხელისუფლებაში ოპოზიცია მოვიდა. ჯერჯერობით რთულია ვისაუბროთ დიასპორისა და, კერძოდ, დიასპორული მედიის მიმართ ახალი ხელისუფლების დამოკიდებულების შესახებ.

ქართული დიასპორული მედიის განვითარების კონცეფცია

ქართული დიასპორული მედია, როგორც ერთიანი ეროვნული სივრცის შემადგენელი, როგორც ეთნო-საიდენტიფიკაციო ატრიბუტი, როგორც „მეოთხე ხელისუფლების“ საზღვარგარეთული ნაწილი, როგორც საზღვარგარეთ მიმობნეული თანამემამულეების შემკვრელი და იდეოლოგიური მიმართულების მიმცემი, აუცილებლად უნდა იყოს მხარდაჭერილი საქართველოს სახელმწიფოსგან.

აღნიშნული კუთხით მნიშვნელოვნად მიგვაჩნია:

- ქართული დიასპორული მედია განვითარდეს ერთიანი ეროვნული მედიის ფარგლებში, მოექცეს ეროვნულ საინფორმაციო ქსელში, დიასპორის შესახებ მომზადებული გადაცემებისათვის საინფორმაციო ბადეში გამოიყოს დრო. მკს-ს დაემატოს სპეციალური დიასპორული ჩანართები, მოხდეს თანამშრომლობის სისტემატიზაცია და ოპტიმიზაცია.

- საქართველოში შეიქმნას დიასპორული მედიის კვლევის ცენტრი, ქართული დიასპორული გამოცემების რუკა. მნიშვნელოვანია თანამშრომლობა მიგრაციის კვლევით ადგილობრივ და საერთაშორისო ჯგუფებთან, პერსონალიებთან, აკადემიური წრეების წარმომადგენლებთან.

- გავიზიაროთ ესტონეთის გამოცდილება და ქართული დიასპორისათვის მომზადდეს (მაგ., www.etnoweb.ee-ს მსგავსი) ერთიანი ელექტრონული გვერდი, სადაც თანამემამულეები თავად გააშუქებენ სათვისტომოების ღონისძიებებს. მედიააქტივობებით დაინტერესებულ თანამემამულეებს შევთავაზოთ ჟურნალისტიკის სამოქალაქო (ოპტიმალური) კურსი.

შენიშვნა: ისტორიულ დიასპორაში, ასევე იმ ქვეყნებში, სადაც შრომითი მიგრანტები გვყავს, სახელმწიფომ ბეჭდვით გამოცემებს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს, რადგან სოციალური განვითარების დონე ასეთ საზოგადოებებში ძირითადად დაბალია და ჩვენი თანამემამულეები

გლობალიზაციის მიღწევებს (ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარება) ფეხს ვერ უწყობენ ან ხშირ შემთხვევაში ელექტრონული საშუალებები დაბლოკილია (ირანის ისლამური რესპუბლიკა). სასურველია, მუსლიმურ გარემოცვაში მყოფი ქართველების ეთნიკური იდენტიფიკაცია კულტურის, განათლებისა და საზოგადოებრივ სფეროებში მაინც მოხდეს. სამწუხაროა, რომ ამჟამად არც ირანში, არც აზერბაიჯანსა და თურქეთში ქართველების პერიოდული გამოცემები რეალურად არ ფუნქციობს.

უცხოეთში მცხოვრები ქართველების პერიოდული გამოცემების კონტექსტში საუბარი ძირითადად ეთნიკური ნარატივის შესახებ შეიძლება.

რას ნიშნავს ეთნიკური ნარატივი?

ის, რაც პიროვნებისათვის (ავტო)ბიოგრაფიაა, ფაქტობრივად, იგივეა ეთნიკური ჯგუფისთვის ეთნიკური ნარატივი, რომელსაც პრესის საშუალებით აყალიბებენ ამავე საზოგადოების წარმომადგენლები. ე. წ. „კონცეპტუალური მარკერი“ დიასპორულ გამოცემებში გულისხმობს: ეთნიკური იდენტობისათვის ბრძოლას, კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნებაზე ზრუნვას, ადგილსამყოფელ ქვეყნებში საკუთარი კულტურის წარდგენასა და უფლებების დაცვას. ბუნებრივია, ისტორიული დიასპორის ადგილსამყოფელ ქვეყნებში ეს ყოველივე რთულად მიიღწევა, თუმცა მიიჩნევა, რომ მოქმედება, პროცესის მიმდინარეობა მნიშვნელოვანია.

ყველა თაობა საკუთარ ჟურნალისტიკას ქმნის, შესაბამისად, გამოცემების ორგანიზატორთა აქტივობის ხარისხი ცვლადია, დიასპორების განწყობილებები ცვალებადია ერთი და იმავე საკითხების მიმართ, იცვლება პერიოდულ ორგანოთა თემატური თუ ფორმობრივი სახეც. აღსანიშნავია, რომ ჩვენ მიერ განხილული ორგანოები, ძირითადად, ქრონოლოგიური თანმიმდევრობითაა გამოცემული და პარალელის გავლება რთულდება, მაგრამ ცხადი ხდება, რომ პრობლემური საკითხების მიმართ დამოკიდებულება, გამოცდილებიდან გამომდინარე, სუსტდება ან სულაც ქრება. აზერბაიჯანში მცხოვრები ქართველების გამოცემებში, რომელთა უმრავლესობა საქართველოში იბეჭდებოდა, გასათვალისწინებელია პოლიტიკური არეალიც – პოსტსაბჭოთა სივრცე, იკვეთება პრეტენზიები ადგილობრივი ხელისუფლების მიმართ, რაც არ

გვხვდება ირანის ისლამურ რესპუბლიკასა და თურქეთის ქართველების გამოცემებში. აღნიშნულ ქვეყნებში ქართველობა ძირითადად კულტურულ იდენტიფიკაციას ახდენს, პუბლიკაციები თუ გამოცემებიც შესაბამისია.

ქართული სახელმწიფო უნდა ითვალისწინებდეს, რომ საერთაშორისო ურთიერთობებში ისტორიული დიასპორა (ზოგადად დიასპორა) დამბალანსებელ ძალად რჩება და მნიშვნელოვანია მისი კულტურული განვითარებისათვის ზრუნვა. ნაციონალური დიასპორა განსაკუთრებული ემოციური მუხტის მატარებელია და მისდამი მიდგომა პოლიტიკური კორექტულობის მაღალი ხარისხით უნდა ხდებოდეს.

გლობალიზაციის ეპოქაში დიასპორა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს; დიასპორა – ხიდი მსოფლიოსთან – კულტურათა დაახლოების შესაძლებლობას იძლევა. ქართული სახელმწიფოს მხარდაჭერით დიასპორა ქვეყნის მიზნების განხორციელებას გააიოლებს.

ნაწილი I

ჰერეთი

ისტორიული ექსკურსი

ყოფილი საბჭოთა კავშირის ხელისუფლების პოლიტიკამ კავკასიაში ერთა შორის ურთიერთობა გაამწვავა და დასაბამი მისცა კონფლიქტური კერების წარმოშობას. ასეთი სიტუაციები ძირითადად შეინიშნება სახელმწიფოს სასაზღვრო ზოლში. იქ, სადაც კომპაქტურად ცხოვრობენ არადომინანტი ეთნოსის წარმომადგენლები – ეროვნული უმცირესობა, რომელიც ეროვნული შემადგენლობით ენათესავება ამ ტერიტორიის მოსაზღვრე სახელმწიფოს მოსახლეობას.

ეთნიკურ-ტერიტორიულმა წინააღმდეგობებმა და კონფლიქტებმა, რომლებიც ამიერკავკასიაში არსებობდა მეოცე საუკუნის პირველ მეოთხედში და რომელთაგან ზოგიერთი ბოლშევიკებმა „დააკონსერვეს“, ზოგიერთი კი, პირიქით, კიდევ უფრო გაამწვავეს, რთული ფორმით წამოყვეს თავი საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ. საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე მის ტერიტორიაზე რამდენიმე ცხელი წერტილი წარმოიშვა. ორი მათგანი (სამაჩაბლო და აფხაზეთი) მალე შეიარაღებულ კონფლიქტში გადაიზარდა; 2008 წელს კი ეს ყველაფერი უშუალოდ რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომით „დაგვირგვინდა“. რუსეთი ინტერესდება კავკასიის ზოგიერთი პროვინციით, რაც აძლევს მოდიფიცირებული იმპერიის შექმნის შესაძლებლობას. ამავე დროს, „სუსტ“ ეთნოუმცირესობებს (როგორსაც ე. წ. „ინგილოები“ წარმოადგენენ) არ ეყრდნობა.

საქართველოს ისტორიული კუთხე – ჰერეთი – საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიულ შემადგენლობაში აღმოჩნდა. 1921 წელს ქართველი მოღვაწეები პავლე ინგოროყვა (ინგოროყვა 1990; ჯავახიშვილი... 1989; პაპუაშვილი 2008) და ჰერეთის მცხოვრები გიორგი გამხარაშვილი შეხვდნენ მაშინდელი რევკომის თავმჯდომარეს – სერგო ორჯონიკიძეს.

მოთხოვნა იყო ჰერეთის ისტორიულ საზღვრებში დაბრუნება.

ორჯონიკიძის პასუხი: საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის დამყარებით დამკვიდრდება საერთო საზღვრები, ენა და ეროვნება...

რაც შეეხება იურიდიულ საფუძველს, 1921 წლის 5 ივლისს ქ. თბილისში ჩატარდა საქართველოსა და აზერბაიჯანის სსრ წარმომადგენელთა კონფერენცია, რომელზეც გარდა სასაზღვრო ხაზის, ყარაიაზისა და ელდარის ველისა, ზაქათალის ოლქის საკითხიც განიხილეს. დადგენილების მიხედვით, საქართველოს სსრ უარს ამბობდა პრეტენზიაზე ზაქათალას ოლქში. შესაბამის დეკლარაციას ხელს აწერდნენ საქართველოსა და აზერბაიჯანის რევკომთა თავმჯდომარეები ფილიპე მახარაძე და ნარიმან ნარიმანოვი.

აღნიშნული საკითხი თბილისში კვლავ განიხილეს 1921 წლის 8 ნოემბერსა და 5 ივლისის გადაწყვეტილება ძალაში დატოვეს.

აზერბაიჯანის სახელმწიფო სტატისტიკის კომიტეტის მონაცემებით 1999 წლისათვის ბაქოში, ბელაქანის, ზაქათალისა და კახის რაიონებში ცხოვრობდა 14 877 ქართველი. ამჟამად ეს რიცხვი მნიშვნელოვნად შემცირებულია. შემცირების ტენდენცია გამოიწვია ეთნიკური ქართველების სოციალურმა მდგომარეობამ, რომელიც განსაზღვრავს მათ შრომით მიგრაციას საზღვარგარეთის ქვეყნებში, უპირველესად კი – საქართველოში. მეორე მხრივ, აზერბაიჯანის სტატისტიკის კომიტეტის ყველა მონაცემი ამ საკითხთან მიმართებაში ეჭვს ბადებს, რადგან არ შეიცავს საინგილოს გამაჰმადიანებული ჰერების რაოდენობრივ მაჩვენებელს (დაახლოებით 30 000 ადამიანი), შესაბამისად, ქართველების საერთო რაოდენობა ქვეყნის მოსახლეობის 0,2%-ს წარმოადგენს, რითაც ჯგუფი ეთნიკური უმცირესობის აღმნიშვნელ ზღვარს ვერ ლახავს... ანუ აზერბაიჯანს ეთნიკური უმცირესობა – ქართველი – არ ჰყავს და მათი უფლებების დაცვას ქვეყნის ხელისუფალთ ვერავინ დაავალდებულებს.

დღევანდელი საინგილო საქართველო-აზერბაიჯანის სასაზღვრო სამ რაიონს – ბელაქანი, ზაქათალა, კახი – მოიცავს. ისტორიული ჰერეთი შექის (იგივე ნუხა) და ელისეს მაღალმთიან რეგიონსაც სწვდებოდა.

ჰერები ისეთივე ქართველები არიან, როგორც კახელი, ქართლელი, მეგრელი და ა.შ. ისტორიულ პროცესებში ჰერებს „ინგილო“ შეარქვეს.

ქართველი მოღვაწე, ჰერეთის წარმომადგენელი მოსე ჯანაშვილი არ ეთანხმება გავრცელებულ მოსაზრებას, რომ „ინგილო“ ხელახლა მოქცეულს ნიშნავს და იგი მიაჩნია ინგირად ე. ი. ეგრისელად. ისტორიკოს მ. დუმბაძის ვერსიით კი, „ინგილო“ ეწოდა ლეკთა მიერ დამორჩილებულ-დაბეგრილ ქართველ გლეხს, ამიტომ ის უფრო სოციალური შინაარსის ტერმინია, ვიდრე ეთნიკური (დუმბაძე 1953) .

ასიმილაციის ტენდენციები დღესაც აშკარად ვლიდება... კერძოდ, ბელაქანი-ზაქათალას ქართველებმა, რომელთაც 1959 წელს ჩამოართვეს პასპორტები და ხუთი თვის შემდეგ დაუბრუნეს აზერბაიჯანული გვარებით, გამოთქვეს სურვილი, აღედგინათ მამაპაპისეული გვარები.

2002 წელს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე აღნიშნულ საკითხზე ესაუბრა გეიდარ ალიევს, რომელმაც პირად კონტროლზე აიყვანა პრობლემა, გასცა განკარგულებები, თუმცა ადგილობრივთა მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა. ოფიციალურ უწყებებში აბორიგენ ქართველებს განუმარტეს, რომ პრეზიდენტის გადაწყვეტილებას მალევე მოჰყვა „ცირკულარული წერილი“, რომელმაც საქმე საწყის მდგომარეობას დაუბრუნა. ამასთან, პრობლემას ქვეყნების სოციალური მდგომარეობაც განსაზღვრავს, რის გამოც არქივებში წინაპართა გვარ-სახელის მოძიება იოლი არ არის. ყოველივეს ისიც ერთვის, რომ რეალური ქმედებისათვის ამ საქმის ინიციატორთა, გვარ-სახელის დაბრუნების მომხრეთა მტკიცე გადაწყვეტილებაა საჭირო.

რელიგიურ დაპირისპირებას ვხვდებით არა მარტო აზერბაიჯანელებთან მიმართებაში, არამედ თვით ქართველებშიც. ბელაქანი-ზაქათალას რაიონებში მაჰმადიანი ქართველები ცხოვრობენ, ხოლო კახის რაიონში – ქრისტიანი (მართლმადიდებელი) ქართველები.

ინგილოურს განსაკუთრებული ადგილი უკავია ქართული ენის დიალექტთა შორის. ინგილოური ორ კილოკავად იყოფა: კაკურად და

ალიაბადურად. კახის რაიონის ქართველობა კაკურ კილოკავზე საუბრობს, ხოლო ბელაქანი-ზაქათალის მცხოვრებნი – ალიაბადურად.

ზემოთ ჩამოთვლილ განსხვავებათა გამო კაკელი ვერ ჰგუობს „ინგილოს“ და თავს ჰერად მიიჩნევს.

1989 წლის საერთო-საკავშირო მოსახლეობის აღწერისას ბელაქანისა და ზაქათალის გამაჰმადიანებულ ქართველთა 95% ეთნიკურ ჯგუფ „ინგილოდ“ ჩაეწერა (ქართველებადაც ჩაეწერნენ, მაგრამ არა მასობრივად). აღნიშნულ წამოწყებას დღესაც ჰყავს მომხრენი, ორ უკიდურესობას შორის საუკეთესო გამოსავლად ადგილობრივი ქართველის „ინგილოდ“ ჩაწერა რომ მიაჩნია. რადგან „ინგილო“ სოციალურ ტერმინადაა მიჩნეული მკვლევრებისაგან, ის არ შეიძლება ეროვნების აღმნიშვნელი იყოს. ხელოვნური „თვითიდენტიფიკაცია“ კი მხოლოდ ახალ პრობლემებს დაუდებს სათავეს.

ქვეყნის დომინანტ მოსახლეობასთან რელიგიური ნიშნით დაპირისპირება ვლინდება ქურმუხის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის დღეობაზე – ქურმუხობას, ყოველ გიორგობას, როცა ალბანური ფესვების მაძიებელი აზერბაიჯანელები მოქალაქეობრივი ვალის მოსახდელად ქრისტიანებთან ერთად მოდიან ტაძარში. აღსანიშნავია, რომ ძეგლის აღდგენა-რესტავრაცია 2005 წელს დასრულდა. სხვათა შორის, აზერბაიჯანის ძეგლთა დაცვის კომიტეტი, ადგილობრივთა დაჟინებული მოთხოვნით, საქართველოს საპატრიარქოს მიერ დამტკიცებული პროექტით ხელმძღვანელობდა.

რამდენიმე ათეული წელია, ზოგიერთი აზერბაიჯანელი მეცნიერი ქვეყნის დასავლეთით მცხოვრებ ეთნიკურ ქართველებს ისტორიული ალბანების შთამომავლებად აცხადებს... ქართველთა ხელით ნაგებ მართლმადიდებლურ ძეგლებს კი ალბანების ქრისტიანობას უკავშირებს. მართალია, პოსტსაბჭოურ კავკასიაში საკუთრების განსაზღვრის საკითხი გადაუდებელ საქმედ იქცა და საბჭოთა იმპერიის დამგეგმავთა პოლიტიკა რეგიონის კონფლიქტებით დასუსტებას ითვალისწინებდა, მაგრამ დავების ეთნიკურ აქცენტზე გათვლილ სტრატეგიას კულტურის, აღმსარებლობის გაყალბების ტაქტიკა თუ მოჰყვებოდა, ეს ვერავის წარმოედგინა.

ჰერეთის ქართული მართლმადიდებლური ძეგლების შესწავლა რამდენიმე ქართველი მეცნიერის: მოსე ჯანაშვილის, ილია ადამიას, გიორგი მარჯანიშვილის (მარჯანიშვილი 2005) სახელს უკავშირდება. მიუხედავად იმისა, რომ კუთხეში მიმობნეული უამრავი რელიგიური ძეგლი ან ნასაყდრალი საქართველოს საპატრიარქოს არ ექვემდებარება (გარდა ერთისა – კახის წმ. გიორგის სახელობის მამათა მოქმედი მონასტრისა), განუსაზღვრელია ამ უწყების როლი ჰერებს შორის მართლმადიდებლობის შენარჩუნებაში. ჰერეთის ქართული ხუროთმოძღვრების ნიმუშების თანამედროვე ფიქსაცია არ მომხდარა, რაც არსებულ ფონზე, ვფიქრობთ, განგაშის საფუძველი უნდა გახდეს. სახელმწიფოთა აღმასრულებელ უწყებებში ეს საკითხი დღის წესრიგში არ დგას და, როგორც ჩანს, არც არანაირი პერსპექტივა უჩანს. აზერბაიჯანის მიერ წარმოებულ პოლიტიკას ათვალსაჩინოებს ბოლო პერიოდში ქართული კულტურის ძეგლებზე გაჩენილი აბრები. თითქმის ყველა ძეგლს ადგილობრივი მეცნიერების ნაწილი I-V საუკუნეებით ათარიღებს. ცხადია, ერთი მიზნით, V საუკუნის II ნახევარში ვახტანგ გორგასალმა საბოლოოდ შეიერთა დასავლეთ ალბანეთის იბერიასთან მომიჯნავე სადავო ტერიტორია, ისტორიული ჰერეთი. ქართველი მეცნიერები კოლეგების მხრივ თარიღთა მთელი ხუთი საუკუნით „დაძველებას“ არაპროფესიონალურს უწოდებენ. აზერბაიჯანელ მკვლევრებს ერთი მნიშვნელოვანი დეტალი გამორჩენიათ, კავკასიაში ქრისტიანობის დამკვიდრება IV საუკუნიდან იწყება და მანამდე ქრისტიანული ძეგლის არსებობა წარმოუდგენელია, მით უმეტეს, იმ ტიპისა, რაც ჰერეთის ტერიტორიაზე გვხვდება და, ამდენად, მათი „კომპეტენცია“ ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს.

აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებობს 12 სკოლა, რომლებშიც ქართულ ენაზე მიმდინარეობს სწავლება: ბელაქანი – 1 (შერეული), ზაქათალა – 4 (ოთხივე შერეული), კახის რაიონი – 7 (ერთი შერეული და ერთი ცხრაკლასიანი).

საინგილოს ქართულ სკოლებში საქართველოს ისტორიის, გეოგრაფიისა და ბუნების სწავლება 2001 წლის ოქტომბრიდან ფაკულტატური საათების

ხარჯზეც კი აიკრძალა, რადგან ამიერკავკასიის ქვეყნების ისტორია შეიცავს ურთიერთსაწინააღმდეგო მონაცემებს და მშობლიური ისტორიის სწავლება თითოეულისათვის არამიზანშეწონილადაა მიჩნეული.

ორივე ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებით დაკომპლექტებული შერეული კომისია დიდი ხანია არსებობს; სწორედ მას ევალება განათლების საკითხის მოგვარება, ახალი სახელმძღვანელოს შემუშავება, სადაც მშობლიური და „მამობილი“ ქვეყნების ინტერესები არ იკვეთება. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში მისაღებად საინგილოს ქართული და ქვემო ქართლის აზერბაიჯანული სკოლებისათვის, ისტორიის სახელმძღვანელოს ამგვარი ფორმატი მიაჩნდათ: გვერდიგვერდ ერთი ეპოქის ორივე ქვეყნის ისტორია დაიბეჭდოს. კავკასიაში „კავკასიის ისტორიის“ სახელმძღვანელოს შემუშავებაზეც ფიქრობენ, რომელიც ძირითადად ეთნიკური პრობლემების მქონე რეგიონების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ჯერ გამოიცდება, შემდეგ, როგორც ორგანიზატორები ვარაუდობენ, დაინერგება. ჩვენი აზრით, „კავკასიის ისტორია“, მიუხედავად კეთილი მიზნისა – ეთნოკონფლიქტების განეიტრალება – ვერ ასცდება გაყალბების გზას... საკითხის მოგვარებამდე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ორგანიზებული ღონისძიება, რომელიც 2004 წლის ივლისის თვეში განხორციელდა, ზემოთ მითითებული „საჭოჭმანო“ სახელმძღვანელოების გარეშე ჩატარდა.

აღნიშნული პრობლემების გამო რთულდება უმაღლესი განათლების მიღების საკითხი საინგილოს კონტიგენტისათვის. გარკვეული შეღავათების მიუხედავად, ჰერი სტუდენტები უმაღლესი სასწავლებლების დამთავრების შემდეგ რეგიონში ვერ საქმდებიან. შესაბამისად, როგორც ვთქვით, იძულებით შრომით მიგრაციაში იმყოფებიან საზღვარგარეთის ქვეყნებში, მათ შორის, მშობლიურ საქართველოში. არსებობდა ინიციატივა აზერბაიჯანის უმაღლესი სასწავლებლის ფილიალის ზაქათალას რაიონში გახსნისა, თუმცა ადგილობრივებმა ეს წამოწყება არარეალურად მიიჩნიეს და მასში საფრთხეც კი დაინახეს.

საქართველოს განათლების სამინისტრო საინგილოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ძირეულ რეფორმებს გეგმავდა. ეს კი კვალიფიცირებული კადრების მივლინების წახალისებას გულისხმობდა, რაც ხელს შეუწყობდა განათლების დონის ამაღლებას; უკანასკნელი, თავის მხრივ, შედავათებს, რომლებიც „დათვურ სამსახურად“ კარგა ხანია მოინათლა, უფუნქციოს გახდიდა. მაგალითად, 2004 წელს სამინისტროდან ორგზის გაიგზავნენ მასწავლებლები (ტრენერები): ლალი შაიშმელაშვილი, ნინო ბალანჩივაძე, ლანა სალაყაია, ლალი მწარიაშვილი, ქეთი ბოტკოველი, რომელთაც პედაგოგიურ პრაქტიკაში დანერგილი სიახლეებისა და გაკვეთილის წაყვანის ზოგადი მეთოდების შესახებ ცოდნა უნდა გადაეცათ. სხვათა შორის, როგორც მოსალოდნელი იყო, მათ ზაქათალის რაიონში პრობლემები შეხვდათ; ქართულმა მხარემ საინგილოს სკოლების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა საკუთარ თავზე აიღო; ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე აზერბაიჯანელებმა საკუთარი სასწავლო პროგრამების მიხედვით ქართულ ენაზე სახელმძღვანელოები მოამზადეს, სახელმძღვანელოები – „გარესამყარო და მათემატიკა“ (I კლასი) ქართული გამომცემლობა „ინტელექტის“ დახმარებით დაიბეჭდა და სხვ.

2005 წლიდან აბიტურიენტები საინგილოდან ერთიან ეროვნულ გამოცდებში იღებენ მონაწილეობას. შესაბამისად, კონტიგენტისათვის გათვალისწინებულმა ადრინდელმა შეღავათებმა სახე იცვალა. გაირკვა, რომ სახელმწიფო გრანტის მოპოვებისათვის არასაკმარისი ქულების მიღების შემთხვევაში შვიდი კატეგორიის აბიტურიენტისათვის, მათ შორის, აზერბაიჯანის (საინგილოს) ქართველობისათვის (გათვალისწინებულია აგრეთვე: კოდორის ხეობის, ცხინვალის რეგიონის (კონფლიქტის ზონა), ირანის (ფერეიდანი), თურქეთისა და რუსეთის ქართველები), არსებობს შეღავათი, სამინისტროს წარმომადგენლები პროპორციული წესით ადგენენ კვოტას და გასცემენ სახელმწიფო გრანტს.

ერთადერთი, რაც ადგილობრივ ქართველებს რჩებათ, კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნებაა.

საინგილოში ოფიციალურად არსებობს კახის რაიონის კულტურის ცენტრი, რომელიც უფუნქციოა (2010 წელს შენობა დაიწვა). ქართული თეატრი, აღიარების მიუხედავად, მისი სულისჩამდგმელის, ანზორ დოლენჯაშვილის, „დათხოვნის“ შემდეგ ყოფნა-არყოფნის ზღვარზე აღმოჩნდა.

2005 წელს იანვრის თვეში აზერბაიჯანის (საინგილოს) კახის რაიონის სოფელ ალიბეგლოს ი. ჭავჭავაძის სახელობის ქართულ სახალხო თეატრს სახელმწიფო სტატუსი საქართველოში თბილისის აზერბაიჯანული სახელმწიფო დრამატული თეატრის დაარსების პარალელურად მიენიჭა. საკითხით დაინტერესებული ქართული საზოგადოების აზრი თეატრის აღიარებასთან დაკავშირებით ერთგვაროვანია – მოყვარული მსახიობებით შემდგარ საინგილოს ქართულ სახალხო თეატრს, სწორედ პროფესიონალთა დეფიციტის გამო, არ შეიძლება სახელმწიფო სტატუსი მიენიჭოს და სხვა ქვეყანაში ქართული კულტურის წარმოჩენა დაევალოს. თუმცა კვლავ დღის წესრიგში დგას თეატრის ასამოქმედებლად თბილისიდან კვალიფიციური კადრის გაგზავნისა და რამდენიმეკაციანი სპეციალისტთა ჯგუფის მომზადების საკითხი. სწორედ ამიტომ 2010 წელს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტმა დაახლოებით ათი აბიტურიენტი მიიღო საინგილოდან.

კუთხის ქართული ხალხური სიმღერისა და საეკლესიო გალობის ანსამბლ „ლაზარეს“ არსებობას ოფიციალურად არც ერთი სახელმწიფო არ აღიარებდა, შესაბამისად, ანსამბლი უამრავ პრობლემას აწყდებოდა: „ლაზარეს“ სარეპერტუარო პაკეტის სიმწირე, რაც, თუნდაც, ერთი ქართველი ლოტბარის საინგილოში გარკვეული დროით მივლინებით მოგვარდებოდა; ადგილობრივი ფოლკლორის ნიმუშების მოძიება-შესწავლის საკითხი; სამომავლოდ ანსამბლის შესავსებად ადგილობრივი კადრების მოძიება, პროფესიონალური აღზრდა; ქართული ხალხური საკრავების საჭიროება; ფინანსური პრობლემების აღმოსაფხვრელად გარკვეული ტირაჟით „ლაზარეს“ აუდიოკასეტის გამოშვება ურიგო არ იქნებოდა; კუთხეში (კახის, აგრეთვე, ბელაქანი-ზაქათალას რაიონების ქართულ სოფლებში) გასვლითი ღონისძიებების ორგანიზება დამოკიდებული იყო ადგილობრივი

ადმინისტრაციული ორგანოების ნებართვაზე, ტრანსპორტირებისა და სხვა ტექნიკური პრობლემების მოგვარებაზე; სახელმწიფოებრივი შეთანხმების საფუძველზე „ლაზარეს“ ორივე ქვეყნის ფოლკლორულ ფესტივალებში ჩართვა, მასთან დაკავშირებული საორგანიზაციო – იურიდიულ-ფინანსური პრობლემები; მისასალმებელი იქნებოდა, „ლაზარემ“, როგორც საინგილოს ქართული ხალხური სიმღერისა და საეკლესიო გალობის ანსამბლს იურიდიული სტატუსით ჰქონოდა; ამ პრობლემების მოგვარება მხოლოდ სასიკეთოდ წაადგება ორი მეგობარი ქვეყნის – აზერბაიჯანისა და საქართველოს – მომავალს.

„ლაზარე“ კახის წმ. გიორგის სახელობის მოქმედი ეკლესიის მგალობელთა გუნდს და საინგილოს „ქართულ ფოლკლორულ ჯგუფსაც“ წარმოადგენდა. უკანასკნელის მისია ფართო იყო: ქართული სიმღერებისა და საგალობლების მოსახლეობისათვის გაცნობა, კუთხის საეკლესიო, საისტორიო მატიანის შექმნა, არქეოლოგიური ექსპონატებისა თუ წერილობითი წყაროების მოძიება-შესწავლა, ეთნოგრაფიული კუთხის მოწყობა, რეგიონში ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნების აღორძინება და სხვ. სამწუხაროდ, ხშირად საკუთარ თავზე დაკისრებულ ამ ეროვნულ მისიას სახელმწიფო მხარდაჭერის გარეშე განხორციელება არ ეწერა.

ქართველი ქველმოქმედები ფოლკლორული ფესტივალების ორგანიზატორებს ხშირად ახსენებენ „ლაზარეს“ და მისი ღონისძიებებში ჩართვა მხოლოდ ამის შემდეგ ხერხდება. სამწუხაროდ, ამჟამად აღნიშნული ანსამბლი აღარ არსებობს, თუმცა არსებობს რამდენიმე თვითშემოქმედებითი ქორეოგრაფიული ჯგუფი.

საინგილოში არსებობს პრობლემები, რომელთა ინდივიდუალურ დონეზე მოგვარებაც შეუძლებელია. აზერბაიჯანში მცხოვრები ქართველობა კი, ქვეყნის ხელისუფალთაგან, როგორც ეროვნული უმცირესობა, უგულებელყოფილია.

საინგილოს აბორიგენი ქართველობა და ქვემო ქართლში ჩასახლებული აზერბაიჯანელები კავკასიის ორი მეგობარი სახელმწიფოსათვის

დამბალანსებელ ძალად რჩება, თითოეულის მდგომარეობა კი ორივე ქვეყნაში არსებული დემოკრატიის ხარისხით განისაზღვრება (ყულოშვილი 2004: 20).

საინგილოს ქართველების პრობლემები

საინგილოს ქართველების თვითიდენტიფიკაციისათვის გადაუდებელი აუცილებლობაა ქართული კულტურის განვითარება ბელაქანის, ზაქათალასა და კახის რაიონებში. ამისათვის საჭიროა იქ არსებული შემოქმედებითი ჯგუფებისათვის ლოტბარისა და ქორეოგრაფის საქართველოდან მივლინება. საჭიროა საინგილოში არსებული ანსამბლების რეპერტუარის დახვეწა და გამრავალფეროვნება. ბელაქანის, ზაქათალისა და კახის რაიონებში, აგრეთვე, აზერბაიჯანის სხვა რაიონებსა თუ დედაქალაქში და საქართველოში გასტროლების ორგანიზება.

ნაწილობრივ მოგვარებულია ანსამბლების ქართული ტრადიციული ტანსაცმლითა და საჭირო ინვენტარით უზრუნველყოფის საკითხი, მაგრამ ამ კუთხით არსებული ხარვეზები შესავსებია.

საჭიროა, საქართველოდან მივლენილმა ლოტბარმა და ქორეოგრაფმა ყურადღება მიაქციოს საინგილოში შემორჩენილ ფოლკლორულ ნიმუშებს, აღადგინოს და პოპულარიზაცია გაუწიოს მათ.

აუცილებელია, კახში არსებული ქართული კულტურის ცენტრის (შენობა 2010 წელს დაიწვა და აღდგენას საჭიროებს) ამოქმედება.

საინგილოს ქართველების თვითიდენტიფიკაციისათვის გადაუდებელი აუცილებლობაა კახის რაიონის სოფ. ალიბეგლოში არსებული აზერბაიჯანის ქართული სახელმწიფო თეატრის რეალურად ამოქმედება, საინგილოს თეატრის მსახიობთა კვალიფიკაციის ამაღლება; ცნობილ მსახიობებთან შეხვედრა და მათი მასტერ-კლასების ორგანიზება. საჭიროა, საინგილოს ქართული თეატრის დამაარსებლის, ანზორ დოლენჯაშვილის, მიერ წლების განმავლობაში მომზადებული რეპერტუარის აღდგენა; რეპერტუარში აზერბაიჯანული სპექტაკლის შეტანა. აღსანიშნავია, რომ რამდენიმე წლის წინ აზერბაიჯანულ ენაზე დაიდგა სპექტაკლი „ღამის სტუმარი“; აუცილებელია, აზერბაიჯანის ქართული სახელმწიფო და საქართველოს აზერბაიჯანული სახელმწიფო თეატრების დაახლოება-დამეგობრება; ა. დოლენჯაშვილის მიერ სოფელ ალიბეგლოში დაწესებული „ილიაობის“ აღდგენა; ა. დოლენჯაშვილის პიროვნების რეაბილიტაცია და სხვ.

საინგილოს ქართველების სოციალური მდგომარეობა მძიმეა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სახელმწიფოს მხარდაჭერით საინგილოს კონტიგენტი უმაღლეს განათლებას ღებულობს, ისინი აზერბაიჯანში სპეციალობების მიხედვით დაუსაქმებელნი არიან. მძიმე სოციალური მდგომარეობის გამო ჰერების უმრავლესობა ტოვებს მშობლიურ კუთხეს, ყიდის მამაპაპისეულ მიწებს. აზერბაიჯანის ხელისუფლება ჰერების ამ პრობლემით სარგებლობს და საინგილოს ტერიტორიას ტურისტულ ცენტრად აცხადებს. ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებაში საინგილოს ქართველები, საკითხის უცოდინარობის გამო, ვერ ერთვებიან. აზერბაიჯანელები ქართველების მამაპაპისეულ მიწებს მაღალ ფასად ყიდულობენ, იცვლება რეგიონის ეთნიკურ-დემოგრაფიული სახე... მიგრაციის შეფერხება ურთულესი საკითხია, თუმცა ამ რთულ ვითარებაში არსებობს ერთი გამოსავალი: საქართველოს მხარემ, განსაკუთრებით ქართული ეკლესიების მიმდებარე ტერიტორიაზე, გასაყიდი მიწები შეიძინოს. მაგ., კახის წმ. გიორგი ეკლესიის გვერდით არსებული სახლი საქართველოს მამა იოანე (აბასაშვილმა) საქართველოს საპატრიარქოსთან შეთანხმებით შეიძინა.

საჭიროა საინგილოს ქართველებისათვის ისეთი გაზეთის გამოცემა, რომელიც გააერთიანებს სამივე რაიონის ქართველობას. გაზეთი ინგილოთა პრობლემებს უნდა აშუქებდეს და მათი მოგვარების გზებსაც სახავდეს, რა თქმა უნდა, აზერბაიჯანის კანონმდებლობის გათვალისწინებით.

აუცილებელია საინგილოს ქართველების განათლების დონის ამაღლება, აღკვეთა ისეთი პრეცენდენტებისა, როგორსაც ადგილი აქვს განსაკუთრებით ბელაქანისა და ზაქათალას რაიონებში; ქართული სექტორების დაწყებითი კლასების დაკომპლექტება ადგილობრივი რესურსების გამოყენებით პრობლემური საკითხია.

ამასთანავე, აზერბაიჯანის რესპუბლიკაში ქართველების ინტეგრაციისათვის აუცილებელია აზერბაიჯანის უმაღლეს სასწავლებლებში ინგილოთათვის გათვალისწინებული შეღავათებით სარგებლობა.

აუცილებელია საინგილოს კონტინგენტთან მუშაობა, რომ ისინი დავაინტერესოთ არა მხოლოდ უმაღლეს სასწავლებლებში პრესტიჟული ფაკულტეტებით, არამედ პროფესიული განათლებით.

საინგილოს ქართველების აღმსარებლობის უფლება აზერბაიჯანის მხრიდან დაცული არ არის, პირიქით, ადგილობრივ არსებული ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლები ზოგიერთი აზერბაიჯანელი მეცნიერის მხრიდან ალბანურ ძეგლად არის აღიარებული. საკითხი ორივე სახელმწიფოს მხრიდან სათანადოდ შესწავლას მოითხოვს, რადგან ხშირად ქართველი სპეციალისტების მხრიდან ობიექტების შესწავლამდე ქართული წარმომავლობის დამადასტურებელი ექსპონატები გატანილია... ხშირად აზერბაიჯანელთა მხრიდან მათზე დაქვემდებარებული ქართული ძეგლების „აღდგენა-რესტავრაციას“ ჩვენთვის სავალალო შედეგები მოაქვს... აუცილებელია, საკითხი ორივე სახელმწიფოს მეცნიერებმა შეისწავლონ, საჭიროების შემთხვევაში გათხრებიც ერთობლივად აწარმოონ.

ქურმუხის საყდრის (შემდგომში – კახის რაიონის სოფლებში არსებული ქართული ეკლესიების) ამოქმედება ადგილობრივი მრევლის თხოვნაა. ვფიქრობთ, საკითხის შესწავლა ორივე მხრიდან აუცილებელია, რადგან აზერბაიჯანის რესპუბლიკა დემოკრატიის პრინციპებს აღიარებს და, გვჯერა, აღმსარებლობის უფლებას საინგილოში დაიცავს.

საინგილოს ქართველებს პრობლემას უქმნის ის პირობები, რომლებიც აზერბაიჯანის ხელისუფლებამ ახლახან შემოიღო – საქართველოს მოქალაქეებისათვის აზერბაიჯანის რესპუბლიკაში ყოფნის განსაზღვრული ვადა. საინგილოს ქართველების უმრავლესობა ორმაგი მოქალაქეა ან საქართველოშია მიგრირებული. საკითხი დროულად მოგვარებას მოითხოვს.

გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან ბელაქანსა და ზაქათალას რაიონებში მცხოვრები ქართველები ქართული, მამაპაპისეული გვარ-სახელის ტარების უფლებას არიან მოკლებულნი. არადა, აღნიშნულ რაიონებში მცხოვრებ ქართველებს სურვილი აქვთ აღიდგინონ წინაპრის გვარ-სახელი. საკითხი დროულად მოგვარებას მოითხოვს.

საინგილოს ქართველების მიერ გამოცემული ჟურნალ-გაზეთები

„მოსე ჯანაშვილის საზოგადოების“ გაზეთი „მოამბე“

აზერბაიჯანში მცხოვრები ქართველების – ჰერების – ნაციონალური გააქტიურება იწყება 1990-იან წლებში, რაც უკავშირდება საბჭოთა კავშირის დაშლასა და მათდამი საქართველოს ეროვნული მოძრაობის მკვეთრად გამოხატულ მხარდაჭერას.

1990 წელს კუთხის პირველი თავისუფალი გაზეთი, „მოსე ჯანაშვილის საზოგადოების“ პერიოდული გამოცემა „მოამბე“, გამოვიდა.[1]

---

[1] **მოსე ჯანაშვილი** – ქართველი ისტორიკოსი, ენათმეცნიერი, ეთნოგრაფი, პუბლიცისტი, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე 1855 წ. 19 მარტს კახში დაიბადა. 1865 წლიდან სწავლობდა კახის სამრევლო სკოლაში, 1868-1872 – ზაქათალას სამაზრო სასწავლებელში, შემდეგ – თბილისის სასულიერო სემინარიაში. 1875-1920 წწ. პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა ქუთაისსა და თბილისში (ასწავლიდა ქართულ ენასა და საქართველოს ისტორიას). 1888 წლიდან იყო საეკლესიო მუზეუმის თანამშრომელი, 1897-1926 წწ. – მისი გამგე. 1920-დან მოღვაწეობდა უმაღლეს სასწავლებელში. იყო დამსახურებული პროფესორი, „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისა“ და „ქართული საენათმეცნიერებო საზოგადოების“ საპატიო წევრი (1930). ერთ-ერთმა პირველმა ჩაუყარა საფუძველი სამეცნიერო მუშაობას საქართველოში. 1884 წელს გამოვიდა მისი „საქართველოს მოკლე ისტორია“, რომელშიც „ქართლის ცხოვრების“ სქემის მიხედვით არის მოთხრობილი საქართველოს ისტორია. ეს იყო საქართველოს ისტორიის პირველი სახელმძღვანელო. შემდეგ გამოცემებში („საქართველოს ისტორია“ 1894, 1906) ავტორი ეყრდნობოდა ფართო წყაროთმცოდნეობით ბაზას და მეტ ყურადღებას უთმობდა საქართველოს შინა ცხოვრებას, ისტორიული ფაქტების ახსნას. იკვლევდა ქართული ეკლესიის ისტორიას. მანვე აღმოაჩინა „ქართლის ცხოვრების“ ე.წ. ჯანაშვილისეული ნუსხა. ამ ნუსხის „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელება გამოსცა „ახალი ქართლის ცხოვრების“ სახელწოდებით (ჯანაშვილი 1907). მიაკვლია და 1909 წ. გამოსცა ბასილი ზარზმელის „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“. ავტორია მრავალი წყაროთმცოდნეობითი ნაშრომისა და წერილებისა საქართველოს ისტორიის საკითხებზე.

მოსე ჯანაშვილმა დიდი წვლილი შეიტანა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნთსაცავის, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებების კოლექციების, საეკლესიო მუზეუმის შექმნაში, ეწეოდა არქეოგრაფიულ მოღვაწეობას...

მოსე ჯანაშვილი ქართული ეთნოგრაფიის ერთ-ერთი ფუძემდებელია. აქვს ნარკვევები აფხაზეთზე, საინგილოსა და მესხეთზე.

1990 წლის 3 ივნისს კახში შედგა „საზოგადოების“ დამფუძნებელი ყრილობა. მასში აზერბაიჯანის სახალხო ფრონტის რეგიონული ორგანიზაციის წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ. ყრილობის ორგანიზატორებმა განიხილეს საზოგადოების საპროგრამო დოკუმენტები; აირჩიეს საზოგადოების გამგეობა; გაზეთის რედაქტორი.

გაზეთი „მოამბე“ „მოსე ჯანაშვილის საზოგადოების“ წევრთა ერთგვარ ტრიბუნად იქცა, ამიტომ მის დეკლარაციაში გამოთქმულ მოსაზრებებს საზოგადოებრივი თუ პოლიტიკური სფეროს წარმართვის თაობაზე გამოცემისათვის დასახულ პროგრამადაც განვიხილავთ.

„მოსე ჯანაშვილის საზოგადოება“, როგორც არაპოლიტიკური გაერთიანება, მხარს უჭერდა ერთა ურთიერთპატივისცემის, კეთილმეზობლობისა და მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპებს; მიესალმებოდა კავკასიის ერთა სამართლიან ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის, რომელთა მიზანი იყო გარეშე ძალისაგან თავისუფალი საერთო კავკასიური სახლის აშენება. ცხადია, ეს ინიციატივა თანამედროვეობის გამოძახილი იყო და საქართველოს ეროვნული მთავრობის მხარდაჭერით ხორციელდებოდა საინგილოშიც. ქართველ და აზერბაიჯანელ ხალხებს შორის უნდობლობისა და შუღლის გამღვივებლად მმართველი სისტემა მიიჩნეოდა. რეგიონის მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე, საზოგადოება მიზნად ისახავდა

მოსე ჯანაშვილი ავტორია მრავალი საენათმეცნიერო ნაშრომისა, რომლებშიც გაშუქებულია ქართული გრამატიკის, დიალექტოლოგიის, ლექსიკოლოგიის, ქართული ენის შედარებითი შესწავლის საკითხები (1906 წელს გამოსცა „ქართული გრამატიკა“). ცნობილია მისი ეტიმოლოგიური ძიებანი, ლექსიკონები (განმარტებითი ლექსიკონი, ვეფხისტყაოსნის ლექსიკონი, პეტრიწის და სხვ. ლექსიკონები), რომელთა ერთი ნაწილი გამოუქვეყნებელია. საყურადღებოა მისი ნაშრომები ქართული ლიტერატურის ისტორიაში. მ. ჯანაშვილის გეოგრაფიული ნაშრომებიდან აღსანიშნავია თბილისის, გორის, მცხეთისა და მისი მიდამოების, არაგვის ხეობის აღწერილობა. მხარეთმცოდნეობით ნაშრომებში მოცემულია საინგილოსა და მესხეთის ზოგადგეოგრაფიული აღწერა. იგი ავტორია წერილებისა სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგში.

მოსე ჯანაშვილი გარდაიცვალა 1934 წლის 19 აპრილს; დაკრძალულია ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მთაწმინდის პანთეონში.

არსებული სოციალური, კულტურულ-საგანმანათლებლო, ყოფითი პრობლემების მოსახლეობასა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის საფუძველზე გადაჭრას.

საზოგადოების პროგრამა ეხმიანება საინფორმაციო და სამეცნიერო აზრის მონოპოლიზაციის საკითხსაც, რომლის უარყოფითი შედეგები თავადაც იწვნიეს... ფსევდომეცნიერული წრეების მიერ აბორიგენ ქართველთა ისტორია „სადავოდ“ იქნა მიჩნეული, ამიტომაც დასახული ამოცანებიდან, ასევე, კონსტიტუციური და საერთაშორისო აქტებიდან გამომდინარე, საზოგადოებამ მოღვაწეობა წარმართა კულტურის, რელიგიის, განათლებისა და სხვ. სფეროებში წამოჭრილი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

„მოამბეს“ გამოცემას სიხარულით შეხვდნენ ადგილობრივი ქართველები – ალიბეგლოელები: „რა შეიძლება იყოს იმაზე უკეთესი, ვიდრე ზრუნვა ისტორიულ ძეგლებზე, ხალხის სულიერ და კულტურულ აყვავებაზე, ორ ერს შორის არსებული ურთიერთობის შემდგომ გაუმჯობესებაზე, საქველმოქმედო ღონისძიებათა ჩატარებაზე, ზუსტი და უტყუარი ინფორმაციის მიწოდებაზე, რომელიც დღეს ჰაერივით ესაჭიროება როგორც საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელ, ასევე, აზერბაიჯანში მცხოვრებ ქართველ მოსახლეობას. დაბოლოს, იმ დიდ საქმეში მცირეოდენი წვლილის შეტანაზე, რომელსაც საერთო კავკასიური სახლი ეწოდება; ასევე, აზერბაიჯანის სახალხო ფრონტის რეგიონული ორგანიზაციის წარმომადგენლებიც: „Народный фронт готов ко всестороннему сотрудничеству с вами, всячески поддерживать вас во всех начинаниях и мероприятиях, лишь бы деятельность вновь созданной общественной организации была направлена и служила делу укрепления дружбы между нашими народами.“

„მოამბეს“ დევიზია – „თავისუფლების შოვნაი, სჯობს საშოვნელსა ყველასა!“

გაზეთი იბეჭდებოდა თბილისში, თუმცა თანამშრომლობისათვის რედაქციის ხელმძღვანელობა საკუთარი ბინის მისამართებს უთითებდა. როგორც ჩანს, არც „მოსე ჯანაშვილის საზოგადოების“ გამგეობას არ

გააჩნდა მუდმივი ადგილსამყოფელი. შეკრებებიც, ასევე, საზოგადოების წევრთა ბინებში იმართებოდა.

გაზეთის სულ ოთხი ნომერი გამოვიდა; გამოსაცემად მზად იყო მეხუთეც, თუმცა არ დაბეჭდილა. თავდაპირველად განისაზღვრა, რომ გამოცემა ყოველთვიური იქნებოდა, თუმცა პერიოდულობა დარღვეულია; გაზეთის პირველი სამი ნომერი 1990 წელს დაიბეჭდა: ივლისში – №1; აგვისტოში – №2; სექტემბერში – №3; 1991 წლის თებერვალში გამოიცა – №1 (4). „მოამბის“ რედაქცია გაზეთის დაგვიანების მიზეზად ფინანსურ პრობლემებს ასახელებს, რაც გაზეთის გამოცემის შეჩერების შესახებაც შეიძლება ითქვას.

იგეგმებოდა „ლიტერატურული გვერდის“ ცალკე, ოთხ თვეში ერთხელ, გამოცემა, მანამდე კი ეს რუბრიკა თავად გაზეთში ჩნდება (1991, №1).

გაზეთის რედაქტორი – ემზარ სუყაშვილი. იგი ქართული ხალხური სიმღერისა და საეკლესიო გალობის ანსამბლ „ლაზარეს“ ფოლკლორულ ჯგუფსაც ხელმძღვანელობდა.

სარედაქციო კოლეგიის წევრები: მალხაზ ნუროშვილი, ზურაბ პაპიაშვილი. ტექნიკური რედაქტორი – ოთარ ჯანაშვილი.

უნდა ითქვას, რომ რედაქციამ შეძლო ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელის შექმნა. „მოამბის“ ავტორები არიან: ემზარ სუყაშვილი, მალხაზ ნუროშვილი, ზურაბ პაპიაშვილი, კახის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი – მამა ილარიონი, ბორის ათამაშვილი, იგორ აბულაშვილი, ცისმარი ქიტიაშვილი, მარია თოფალაშვილი, გულო და მარია კურკუნაევები, იოსებ გამხარაშვილი, მუსტაფა დაუდოვი (დათუნაშვილი), ფერვანე სამედოვა, მარია, თემურ და კოტე ბარიხაშვილები, ჰამლეტ ყიყიშვილი, ნიკო თამაზაშვილი, ნერონ თოფალაშვილი, რიზვანულ სამედოვი, ბესიკ გოჯიაშვილი და სხვ.; ფოტოები ეკუთვნის თემურ პაპიაშვილს. გაზეთში იბეჭდება წერილები კახის რაიონის სოფლებიდან: ალიბეგლო (ქათმისხევი), ალათემური (დიდ ბინა), ქოთოქლო; ზაქათალას რ-ნის სოფ. ალიაბადიდან, მოსულიდან; ბელაქანის რ-ნის სოფ. ითითალიდან და ა.შ.

გაზეთის ფურცლებზე მკითხველი გაეცნობა კუთხის მოღვაწეთა შესახებ საინტერესო ინფორმაციებს; ციტირებულია ჰერეთის შესახებ გამოცემული თითქმის ყველა ყურადსაღები წიგნი: ზაქარია ედილის „საინგილო“, მოსე ჯანაშვილის „საინგილო“, „ივან-ბაბა ბულუდაშვილისათვის ძეგლის აღმართვის გამო“; პერიოდული გამოცემები: „ივერია“, „დროება“, „ხალხური სიბრძნე“, „ბათუმის გაზეთი“ და ა.შ.

გაზეთი რვაგვერდიანია, A3 ფორმატის; ილუსტრირებულია, თუმცა, ხარისხობრივი თვალსაზრისით ვერ დაიკვეხნის. ღირებულება – 1 მანეთი.

„მოამბე“ ეთნიკური საზოგადოების ცნობიერების წარმართვაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. რედაქცია ყველა ღირსეული, მამულიშვილური საქმის სათავეში მოექცა; იყო ორგანიზატორი კუთხისათვის საჭირბოროტო საკითხების გადაჭრისა თუ ადგილობრივი მოღვაწეების საიუბილეო, ასევე, რელიგიური დღესასწაულების აღნიშვნისა.

ადგილობრივებისათვის წინაპართა ღვაწლის გაცნობის გზით რედაქცია ცდილობს დანერგოს პატივისცემა წარსულისადმი. ბიოგრაფიული მონაცემების გარდა, მკითხველი მისთვის უცნობ დეტალებს შეიტყობს ქართველი მოღვაწის, მოსე ჯანაშვილის, ცხოვრებიდან. საინტერესოა მოსე ჯანაშვილისა და სერგეი მესხის ურთიერთობის შესახებ მკითხველისათვის მიწოდებული ჩანაწერები: „სოფლიდან ტფილისში რომ ჩამოვედი, პირველი კაცი, რომელიც მე აქ გავიცანი იყო „დროების“ რედაქტორი სერგეი მესხი. თვით პირველი ღამე ამ პატიოსან და მოჭირნახულე მოღვაწის ოჯახში გავათიე. სერგეი მესხი დიმიტრის (დიმიტრი ჯანაშვილი – პუბლიცისტი) დიდი მეგობარი იყო. პატარა ინგილო რომ მნახა, სიხარულით აღარ იცოდა რა ექნა; როგორ მეალერსებოდა, მაცივდებოდა ერთი თქვენს კილოზე დამელაპარაკეო. ჩემს კითხვებზე თქვენებურად მიპასუხეო და დაიწყო:

– ეხლა, სად ხარ?

– თიფლიზში – ვუპასუხე.

– საიდგან მოხვედით?

– კაკით.

– რათ?

– სალოცელა (სასწავლოდ).

– რა გინდა გამოხვიდე?

– ღდელ.

– რათ გინდა ღვდლობა?

– ჩონ ხალხს ვასწავლი.

– არ გინდა მწერალი იყო?

– რაზე არ მინდ?

– ეცადე, კარგი კაცი გამოხვიდე. თქვენი ქვეყნის არსებობა ჩვენ არც კი ვიცოდით და ამ ჩემმა მეგობარმა დიმიტრიმ შეგვატყობინა, საინგილოში ბევრი ქართველობა არისო. დღეიდან შენც ჩემი მეგობარი იქნები, იარე ჩვენსა და ისარგებლე წიგნებითა და გაზეთებით“.

ენობრივ პრობლემებზე 1895 წლის გაზეთ „ივერიაში“ (№200) დაბეჭდილი მოსე ჯანაშვილის სტატია „მოამბის“ რედაქციამ აქტუალურად მიიჩნია („მოამბე“ 1990); ავტორის აზრით, „კუთხეებში დაშთენილ სიტყვა-ფრაზებს გამომზევება სჭირდება“. ამ მიზნით „საჭიროა ეს აუარებელი მასალა შემოვკრიბოთ, შევისწავლოთ, ავნუსხოთ და ეს შრომა რომ შესრულდება მაშინ ჩვენი, ისეც მდიდარი, ლექსიკონი ერთი-ორად გადიდდება, ხოლო ენა-მზეობაც ჩვენის ენისა იმატებს, და უფრო გაბრწყინდება და შარავანოსანი შეიქმნება“. მოღვაწის თხუთმეტი წლის წინანდელ ინიციატივას ხელი მოჰკიდა „საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებამ“, სწორედ ამ ფაქტს ეხება სტატია. მოსე ჯანაშვილი, თავის მხრივ, მკვლევრებს ჰპირდება დახმარებას, რომ გააცნობს „ინგილოთა კილო-კავს ანუ, ინგილოურადვე რომ ვთქვათ, ლოღათს და ლექსიკონის იმ სიტყვებს, რომელნიც ადგილობრივ იხმარებიან და საზოგადო ენაში კი აღარა“.

ცისმარი ქიტიაშვილის მასალაში (ქიტიაშვილი 1990:) მოთხრობილია, თუ როგორ გაიცნო მოსე ჯანაშვილმა აკაკი წერეთელი.

სამაზრო სასწავლებელში სწავლისას ქართულის მასწავლებელს გრიგოლიევს ბავშვებისათვის სასწავლად მიუცია აკაკის ლექსი „სიმღერა მკის დროს“. მოსეს ლექსის ავტორი – აკაკი, სამების საყდართან მდგარ „ჰაკაკის ხეში“ არევია. მასწავლებელს უთქვამს: „აქ რომ კარგად ისწავლით,

მერე ტფილისში წახვალთ და აკაკის ნახვასაც მოესწრებითო“... მოგვიანებით, „დროების“ რედაქციაში მისულს, შემთხვევით აკაკი შეხვედრია, რომელსაც ის შეუპატიჟებია, გაზეთი მიუცია და დაურიგებია. ძველ მეგობარს იმ დღესვე მისწერა მოსემ: „ვნახე, ვინც გვენატრებოდა, ვნახე სწორეთ ჩვენი მწერალი აკაკი წერეთელი“.

1990 წლის 21 ოქტომბერს „მოსე ჯანაშვილის საზოგადოების“ ინიციატივითა და კახის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვრის, მამა ილარიონის, კურთხევით საინგილოს ქართველობამ ქრისტიანობის აღდგენის 140 წლისთავი იდღესასწაულა. 1850 წელს ივანე-ბაბა ბულუღაშვილის თაოსნობით საინგილოში ღვთისმსახურება აღდგა. „მოამბის“ მე-3 ნომერი ძირითადად ამ ფაქტს ეძღვნება. მკითხველი გაეცნობა „ინგილოთა სიმღერას“ მ. ჯანაშვილის ბროშურიდან – „ივან-ბაბა ბულუღაშვილისათვის ძეგლის აღმართვის გამო“. ივან-ბაბას ღვაწლია შეფასებული მ. ნუროშვილის კვლევაში „გული ვერ მოკლა მტრის ხელმა“ (ნუროშვილი 1990; ჭანუყვაძე 1996: 139).[2]

---

[2] **ივანე ბაბა ბულუღაშვილი** 1801 წელს დაიბადა ინგილო გლეხის ოჯახში. ჰერეთის ქართველ მოღვაწეთა შორის გამორჩეული მოღვაწე ეროვნული თუ რელიგიური დევნის წინააღმდეგ ქრისტიანობის გაძიერებაზე ზრუნავდა, რადგან ქართველობა და ქრისტიანობა (მართლმადიდებლობა) განუყოფლად მიაჩნდა. შესაბამისად, ის ეროვნული მოძრაობის სულისჩამდგმელი იყო.

1850 წლის 5 ოქტომბერს ივანე ბულუღაშვილი, გიორგი ჯანაშვილი, კოტე ჭირღიტაშვილი, ალექსანდრე მურადაშვილი, გაბრიელ ასანაშვილი, ბედირ მურადაშვილი, დურსი ალმასაშვილი, სიმონ ხალილაშვილი თბილისში ჩამოვიდნენ და მთავარმართებელ მიხეილ ვორონცოვს განუცხადეს: „ჩვენ ქრისტიანები ვართ, გამოგვიგზავნეთ ქართველი მღვდლები, რომ მოვინათლოთ!“ თვითონ კი სიონის ტაძარში მოინათლნენ. გიორგი ჯანაშვილი მონათლა მეფისნაცვალმა მ. ვორონცოვმა, მისმა მეუღლე ელისაბედმა კი – ივანე ბულუღაშვილი. ჰერების ამ ჯგუფმა მომდევნო წლის 7 აპრილს 72 კაცი (სხვა ვერსიით – 37 კაცი) ჩამოიყვანეს მოსანათლად. ამ ფაქტს თვალ-ყურს ადევნებდნენ საქართველოს მოღვაწენიც. აი, რას წერდა გრიგოლ ორბელიანი სვიმონ შალიკაშვილს: „ჩვენი ინგილოების ახალი ქრისტიანობის ამბავი მომწერე. ემატებიან ნათლისცემითა? ანუ შიში ხომ არ აქვთ? ეკლესიები როგორ

გარდა საორგანიზაციო საკითხების მოგვარებისა, „საზოგადოების“ წევრებს პასუხი ჰქონდათ გასაცემი ადგილობრივთა მხრიდან სიტყვა „აღდგენასთან“ დაკავშირებით შექმნილ გაუგებრობაზე. მე-4 ნომერში დაიბეჭდა სარედაქციო სტატია „საიდან მოდის გაუგებრობა?“ (სარედაქციო 1990). როგორც წერილიდან ჩანს, მისი დაწერა განაპირობა იმ ფაქტმა, რომ „მოსახლეობის გარკვეულ ნაწილში გავრცელდა აზრი, თითქოს „ქრისტიანობის აღდგენა“ ნიშნავდეს საერთოდ გაქრისტიანებას“ (სარედაქციო 1990). რედაქციას მიაჩნია, რომ ამგვარი შეხედულება გაუგებრობისა და უვიცობის ან გამიზნული დეზინფორმაციის შედეგია. ავტორები ოპონენტებს „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ ჩახედვას ურჩევენ და უთითებენ, რომ სწორედ ამ ლიტერატურით სარგებლობდნენ, როდესაც სინონიმებს შორის ტერმინი „აღდგენა“ ამჯობინეს „აღორძინებას“. „თუ ჩვენი არჩევანი „აღდგენაზე“ შეჩერდა, მხოლოდ იმიტომ, რომ ეს სიტყვა სრულად გამოხატავს 1850 წლის აქტის მნიშვნელობას. ივან-ბაბა ისტორიაში ცნობილია, როგორც ქრისტიანობის აღმდგენელი. ბოლოს და ბოლოს, მისი საფლავის ძეგლის წარწერაც ამას გვიდასტურებს. ჩვენი გაზეთის მკითხველმა იცის, რომ ჩვენ არსად გვითქვამს, თითქოს საინგილოში ქრისტიანობას 140 წლის ისტორია აქვს, პირიქით, ისტორიული მასალების მოშველიებით ვამტკიცებდით, რომ საინგილოში ქრისტიანობა არასდროს არ გამქრალა, რომ ჩვენი წინაპრების მთელმა თაობამ თავი გასწირა ქრისტიანობის შესანარჩუნებლად, მაგრამ საეკლესიო ცხოვრება იძულებით იყო შეწყვეტილი და მის ამოქმედებას სწორედ ივან-ბაბამ დაუდო სათავე“

შესრულდნენ ხატებითა ან წირვა-ლოცვა ხომ არის ყოველთვის? მომიკითხე კიდეც ჩვენი ინგილოები და უთხარ, რომ ნუ ეშინიათ, არავის დავაჩაგვრინებთ!“ ჰერეთში ამ პერიოდიდან იწყება ტაძრების აღდგენა-რესტავრაცია, საყდრების ამოქმედება, ადგილობრივთა საზოგადო მოღვაწეობა. კუთხეში ივან-ბაბა ბულუღაშვილის სახელს ქრისტიანობის აღდგენას უკავშირებენ, მას სიყვარულით „ბაბა“ შეარქვეს.

1872 წელს ივანე ბულუღაშვილი გარდაიცვალა. დაკრძალულია წმ. გიორგის სახელობის მოქმედი ეკლესიის ეზოში მდებარე საინგილოს მოღვაწეთა პანთეონში.

(სარედაქციო 1990). რედაქციის წარმომადგენლები გაზეთის ფურცლებს უთმობენ საწინააღმდეგო აზრის მქონეთ, რომელთაც საკუთარი პოზიციის დასაბუთება შეუძლიათ და მიზანი – „საზოგადოებისათვის“ სახელის გატეხვა – არ ამოძრავებთ. ავტორები გმობენ კუთხის წარსულისა და აწმყოს ხელოვნური შელამაზების მცდელობას: „მარტო ის რად ღირს, რომ ივან-ბაბა ივან-პაპად გადააქციეს, აქაო და, ბაბა თათრული სახელიაო. ჩვენი კუთხის წარსულს არავითარი შელამაზება არ სჭირდება, სასახელო და საამაყო ჩვენს წინაპრებს ისედაც ბევრი საქმე უკეთებიათ“ (სარედაქციო 1990); საერთო ინტერესების დასაცავად ერთსულოვნების მომხრენი არიან და ურჩევენ, ურთიერთდაპირისპირების უღირს მეთოდებს თავი დაანებონ.

ქრისტიანობის აღდგენის 140 წლისთავისადმი მიძღვნილ დღესასწაულში საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან მოწვეულმა სტუმრებმაც მიიღეს მონაწილეობა: თელავის საშენ მასალათა სამეურნეობათშორისო საწარმოს წარმომადგენლებმა კახის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიას შესწირეს ზარი, ხოლო კახის საბავშვო ბაგა-ბაღის აღსაზრდელებს სპორტული ტანსაცმელი და ინვენტარი გადასცეს საჩუქრად; „საზოგადოება“ მადლობას უხდის ყველას, ვინც დახმარების ხელი გაუწოდა: საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებას, ანჩისხატის მგალობელთა გუნდს, საქართველოს ტელევიზიის მუშაკებს, ქართველ პოლიგრაფისტებს, კახის ღვინის ქარხნის ხელმძღვანელობას, ქართული კოლმეურნეობების თავმჯდომარეებს და სხვ.

გაზეთში თელავის საშენ მასალათა სამეურნეობათშორისო საწარმოს კოლექტივის წერილი დაიბეჭდა – „ღია წერილი ბატონ ვაზგენ ოქროჯანაშვილს“ (სარედაქციო 1991); გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ („დღესასწაული“, 6.01.91) ამ უკანასკნელის ავტორობით დაბეჭდილ პუბლიკაციაში, რომელიც ქრისტიანობის აღდგენის 140 წლისთავს ეძღვნებოდა, იყო ნახსენები ზარი და არ იყო ნათქვამი, თუ რომელმა ორგანიზაციამ შესწირა ის ეკლესიას. ამგვარმა უმადურობამ, თურმე, თელაველთა გულისტკივილი გამოიწვია. ამ გამოხმაურების შემდეგ ადგილობრივი აზერბაიჯანულენოვანი გაზეთის „შელალეს“ ქართულენოვან გვერდზე (1991, №19) რედაქტორმა, ვ. ოქროჯანაშვილმა შეცდომის

გამოსწორება სცადა, თუმცა „მოამბის“ რედაქციისაგან შენიშვნა დაიმსახურა მათი მხრიდან ქართული ენის უპატივცემულობის გამო.

მიუხედავად ამგვარი წინააღმდეგობებისა, მაინც ჩნდება სურვილი, რომ აღინიშნოს ჰერეთის საზოგადო მოღვაწეთა (მიხეილ ყულოშვილი, სოფიო ყულოშვილი და სხვათა) ღვაწლი.

კუთხეში კულტურის აღორძინებას სათავე თეატრმა დაუდო. მისი ათი წლის იუბილეს ეხმიანება საინგილოს ქართველობა. სარედაქციო სტატიაში „ჩვენი თეატრი ათი წლისაა!“ (სარედაქციო 1991) გამოკვეთილია ამ კერის მნიშვნელობა ჰერების კულტურული თვითმყოფადობისათვის: „ამ ათ წელიწადში იგი გახდა ქართული კულტურის ცენტრი, ჩვენს კუთხეში მცხოვრები ყოველი ქართველისათვის ძვირფასი ეროვნული კერა. მისმა დაარსებამ ერთგვარად გამოაფხიზლა ხალხი. გაახლებული ლტოლვა გაჩნდა ქართული კულტურისაკენ, ქართული ხელოვნებისაკენ, ეროვნული თვითშეგნების ამაღლებისაკენ“. თეატრის სულისჩამდგმელ ანზორ დოლენჯაშვილს ემადლიერებიან და აღნიშნავენ, რომ „მრავალი კეთილისმსურველის გვერდზე არანაკლებ არიან ხელის შემშლელნი და ბოროტად განწყობილნიც“. ავტორები თეატრის წარმატებებს ა. დოლენჯაშვილის სახელს უკავშირებენ და განსაკუთრებულად აღნიშნავენ, რომ დასის გასტროლები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მნიშვნელოვანია, თუმცა კიდევ უფრო უმნიშვნელოვანია ის, რომ თეატრს „ჩვენი კუთხის არც ერთი ქართული სოფელი არ ჰყავს უყურადღებოდ დატოვებული“ (სარედაქციო 1991). ავტორები მიიჩნევენ, რომ ბელაქანის, ზაქათალისა და კახის რაიონების სოფლებში თეატრის დასის გასვლები ურთიერთობის ხელშემწყობად და განმამტკიცებლად იქცევა. იმ პერიოდში მსახიობებმა კუთხის ქართველობას წარუდგინეს ოტია იოსელიანის „სანამ ურემი გადაბრუნდება“ და დავით აწყურელის „ბერბიჭები“ ინგილოურ დიალექტზე. „თეატრმა სპექტაკლები აჩვენა ზაქათალის რაიონის სოფლებში: ალიაბადსა და მოსულში, ბელაქანის რაიონის სოფელ ითითალასა და კახის რაიონის ქართულ სოფლებში“ (ბარიხაშვილი 1990). ამ რაიონებს შორის გათიშულობის ტაქტიკას მიზანმიმართულად მიმართავდა ადგილობრივი

ხელისუფლება, თუმცა თეატრმა იტვირთა გამაერთიანებლის მისია: „თუ რაოდენ მნიშვნელოვანია მსგავსი კონტაქტები, თვალნათლივ გვიჩვენა ითითალაში ალიბეგლოს თეატრის რამოდენიმეჯერ ჩამოსვლამ. გამოღვიძებასა და საზოგადოების გააქტიურებაში მნიშვნელოვანი როლი თეატრმაც ითამაშა“ (სარედაქციო 1991). თეატრი გასტროლებით იმყოფებოდა დასავლეთ საქართველოში, კერძოდ: ზესტაფონში, ჭიათურაში, ქუთაისში, ფოთში, ბათუმში, სენაკში, ხობში და ა. შ. მაყურებელს წარუდგინეს ახალი სპექტაკლი – „დიალოგი“ (ყიყიშვილი 1990).

თეატრის იუბილეს, – პირველ რიგში, მის ხელმძღვანელსა და კუთხის ქართველობას, – ულოცავენ საზოგადოების წევრები, სტუდენტები, კახ-ინგილოს ქართული სკოლის პედკოლექტივი, სოფ. მოსულის საშუალო სკოლა, მილოცვებს ღებულობენ ალიაბადიდანაც... სტუდენტთა ჯგუფის წერილიდან: „გაჭირვებასა და წვალებაში თეატრმა ათი წელიწადი განვლო და თითქმის არაფრიდან აღმოცენდა კულტურის ახალი კერა ჩვენს კუთხეში, რომელიც ფხიზლად დარაჯობს ქართულ ენას, აღადგენს მწარე ისტორიულ წარსულს და გვამცნობს ახალს“ (სარედაქციო 1991).

წლების განმავლობაში საინგილოს ქართული თეატრის სცენაზე დაიდგა არაერთი სპექტაკლი: გ. ერისთავის „უჩინმაჩინის ქუდი“, ა. გეწაძის „შუაზე გაყოფილი ცრემლი“, ა. ჩხაიძის „თავისუფალი თემა“, ა. გეწაძის „წმინდანები ჯოჯოხეთში“ და სხვ.; თეატრის აღიარების საქმეში დიდი წვლილი შეიტანა სპექტაკლმა „ალაზანს გაღმა“.

აქვე ჩნდება ინფორმაცია ქართული თეატრისა და მისი რეჟისორის ა. დოლენჯაშვილის წინააღმდეგ გალაშქრების შესახებ. არაკეთილმოსურნეებს მოსვენებას უკარგავს კუთხისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე თეატრის არსებობა: „ალბათ გახსოვთ თუ როგორ ცდილობდა რაიონის ხელმძღვანელობის ზოგიერთი წარმომადგენელი აზერბაიჯანული მოსახლეობის თეატრისათვის დაპირისპირებას, რაც მათ თეატრის დახურვის საშუალებას მისცემდა. ჩვენ არ გვსურს პირდაპირ პარალელების გავლება ამ ფაქტებს შორის, მაგრამ ბოლო ხანს შეინიშნება თეატრსა და მის

რეჟისორზე ფსიქოლოგიური დაწოლის ტენდენცია. თეატრის ირგვლივ იქმნება არაჯანსაღი ატმოსფერო“ (სარედაქციო 1991).

უფრო კონკრეტულად აღნიშნული ფაქტის შესახებ, სამწუხაროდ, არაფერია მითითებული. ავტორები სამართლიანად აღნიშნავენ: „არც ერთ ჩვენთაგანს ჯერ კიდევ არ გაუკეთებია იმ მნიშვნელობის და შედეგების მქონე საქმეები, როგორც ანზორ დოლენჯაშვილმა ამ ათი წლის მანძილზე გააკეთა. და ამიტომ ვინც მიზნად ისახავს თეატრის რეჟისორისათვის სახელის გატეხვას, მუშაობისათვის აუტანელი პირობების შექმნას და თეატრიდან მის წასვლას, ნებსით თუ უნებლიედ ბრმა იარაღად გვევლინება „გარკვეული“ ორგანოების ხელში“ (სარედაქციო 1991). ავტორები იმასაც აღნიშნავენ, რომ ამგვარი გამოხტომის განმეორების შემთხვევაში „საზოგადოება ამხელს და სააშკარაოზე გამოიტანს თეატრის წინააღმდეგ მიმართული კამპანიის ყველა დეტალს. ყველას და ყველაფერს დავარქმევთ თავის სახელს“ (სარედაქციო 1991). წერილის ავტორები თითქოს წინასწარ გრძნობენ თეატრის მომავალს... არ მალავენ, რომ „სცენაზე არ ჩანს ის, თუ რამდენი ბრძოლა, რამდენი პრობლემა და წინააღმდეგობა ხვდებათ“ (სარედაქციო 1991). მუქარიდან ისიც ნათლად ჩანს, რომ საზოგადოების სიტყვას კუთხეში დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ... საზოგადოების წევრები კარგად აცნობიერებდნენ, რომ ეთნიკური ქართველებისათვის აზერბაიჯანის რესპუბლიკაში გადამრჩენის ფუნქცია ეკისრებოდა ე.წ. კულტურულ ავტონომიას, ქართველთა თვითმყოფადობის შენარჩუნებას.

რედაქციას სააშკარაოზე გამოაქვს თეატრის შენობის პრობლემაც და მიუთითებს, რომ „ხუთი-ექვსი წლის წინათ სოფელ ალიბეგლოში საფუძველი „ჩაეყარა“ ახალი კულტურის სახლის მშენებლობას, მაგრამ დღემდე არაფერი გაკეთებულა და არც არავინ აპირებს სამშენებლო სამუშაოების დაწყებას“.

ა. დოლენჯაშვილის სახელს უკავშირდება საინგილოში „ილიაობის“ დაწესებაც (1987 წლიდან). „ილიაობა“ არა მარტო ჩვენი საამაყო წინაპრის, ილია ჭავჭავაძის, ხსოვნისადმი მიძღვნილი დღესასწაული იყო, არამედ საინგილოს სამივე რაიონის – ბელაქანის, ზაქათალისა და კახის მკვიდრ ქართველთა ერთიანობისა და ქართული სულის ზეიმიც“ (სარედაქციო 1990).

ადგილობრივების შეფასება მრავლისმთქმელია: „იმ დღიდან ერთი ისეთი დღეც მოგვემატა წელიწადში, როცა ქურმუხობისა თუ აღდგომის მსგავსად თითქმის ყველა ქართველი იყრის თავს“ (სარედაქციო 1991).

კუთხის არსებობისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე იყო, ასევე, შემოქმედებითი ანსამბლების არსებობა. „მოამბე“ ეხმიანება ზაქათალას რაიონში სოფელ ალიაბადში 1983 წლიდან ქართული ხალხური სიმღერის გუნდის, „მერცხალის“, არსებობას; ანსამბლისა, რომელიც ხალხური საკრავებისა და ეროვნული ტანსაცმელის ნაკლებობას უჩივის.

კახის რაიონის კულტურის სახლთან არსებული ვაჟთა თვითმოქმედი ანსამბლი „შვიდკაცა“ და სოფელ ალათემურის ქართული სკოლის მოსწავლეთა გუნდი „ოცნება“ იმ დროისათვის მიწვეული იყო თელავში გამართულ ქართული ხალხური სიმღერის საერთაშორისო ფესტივალზე; გაზეთი ანსამბლ „შვიდკაცას“ წარმატებული გამოსვლის შესახებ იუწყება (პაპიაშვილი 1990).

იმ ვითარებაში, როდესაც „ჩვენივე თავის მოტყუებითა და უმოქმედობით აღმოვჩნდით მატერიალური ცხოვრების ორომტრიალში, სადაც ჩვენ დაგვეუფლა სიხარბის, პატივმოყვარეობის, შიშის გრძნობა, სადაც ჩვენ ერთმანეთს აღარ ვენდობით და ერთმანეთის იმედი არა გვაქვს... საბოლოო ხსნად საქართველოში დასახლებად მივიჩნიეთ და უკეთესი ცხოვრების მიზნით დავაცარიელეთ ქართული სოფლები... ცოდნის შეძენა არ გვაინტერესებს, არამედ უმაღლესი სასწავლებლის დიპლომი... ცხოვრების გამოცდილებას მივყავართ საშინელ სამსჯავროზე, სადაც ყველას ერთად დაღუპვა გველის...“ (სუყაშვილი 1990).

ამ მანკიერების საფუძვლად ავტორს ეროვნული თავისუფლების დაკარგვა მიაჩნია, რომლის მოპოვება მხოლოდ განათლების, ქართული ხალხური შემოქმედების, ქართული სოფლებისა და ქრისტიანული რწმენის აღორძინებითაა შესაძლებელი. ეთნიკური ჯგუფის კულტურული ავტონომიის საკითხი, როგორც ჩანს, ამ დროიდან დღის წესრიგშია.

„მოსე ჯანაშვილის საზოგადოების“ ინიციატივით კახში მიმდინარეობდა ქალთა პირველი სასწავლებლის აღდგენა. რედაქცია მადლიერებით იხსენიებს

ადამიანებს, რომლებმაც დახმარება გაუწიეს; მაგალითად, ფირუზ დუკაშვილს „საზოგადოების“ სახელზე 300 მანეთი გადაურიცხავს (სარედაქციო 1990).

„საზოგადოება“ ზრუნავს განათლების კერების ამოქმედებისა თუ შესაბამის მდგომარეობაში მოსაყვანად. წერენ სოფელ ალიაბადში ქართული საბავშვო ბაღის გახსნის შესახებ (ქრონიკა 1990); იმაზეც, რომ მოსულში ინტერნაციონალური სკოლა 1932 წელს აშენებულ შენობაშია განთავსებული; მიუხედავად იმისა, რომ 1988 წელს 504 მოსწავლისათვის გათვალისწინებული სკოლა უნდა აშენებულიყო, 1989-1990 სასწავლო წლისათვის რაიონის ხელმძღვანელობა საქმის გაჭიანურებას ცდილობს (სარედაქციო 1990).

კახის რაიონის სოფელ ალათემურში ქართული სკოლის 60 წლის იუბილე, მიუხედავად ადგილობრივი განათლების განყოფილების წარმომადგენელთა წინააღმდეგობისა, აღინიშნა. ზეიმში მონაწილეობდნენ ანსამბლები: „შვიდკაცა“, „ოცნება“, „მერცხალი“...

მკითხველები გაზეთში ეცნობიან ინფორმაციას საინტერესო ფაქტის შესახებაც: სოფელ ითითალას სკოლაში სასწავლო წლის დაწყებასთან ერთად დაიწყო გაფიცვებიც... მოსახლეობა ითხოვდა სკოლის დირექტორ მუსტაფაევის გადაყენებასა და ადგილობრივი კადრის დანიშვნას. მათი მოთხოვნა გაპირობებული იყო, პირველ რიგში, იმ ფაქტორით, რომ აღნიშნული პიროვნება შოვინისტური საქმიანობითაც გამოირჩეოდა; „სოფლის მოსახლეობის ასეთი გადაწყვეტილების სისწორესა და აუცილებლობაზე ერთი მომხდარი ფაქტიც მეტყველებს. ამა წლის [1990] ზაფხულში დაგეგმილი იყო ითითალელი მოსწავლეების ექსკურსია სურამში, რომელიც რუსთავიდან ჩამოსულ მეგობრებთან ერთად უნდა ჩატარებულიყო. ამ ღონისძიებას მ. მუსტაფაევი შეხვდა „დევიზით“ – არც ერთი ითითალელი ბავშვი არ უნდა ჩავიდეს საქართველოში, რათა არ გაქართველდესო! უკვე თბილისისკენ გამგზავრებული ავტობუსი გზაში მილიციამ და რაიკომის მუშაკებმა გააჩერეს. მუსტაფაევისაგან ინფორმირებულნი, ისინიც კატეგორიულად მოითხოვდნენ ბავშვების უკან დაბრუნებას“ (სარედაქციო 1991). ადგილობრივები აპროტესტებდნენ მუსტაფაევისაგან სკოლის ქართულ

სექტორზე ბავშვების მიღების შეზღუდვას, ქართული კულტურის აკრძალვასა თუ მრავალ სხვა ქმედებას. აღმოჩნდა, რომ არც რაიონის ხელმძღვანელობა ყოფილა დაზღვეული ამგვარი ქმედებებისაგან, რასაც ადასტურებს შემდეგი ფაქტი: დირექტორად თ. თამაზაშვილის (წარმოშობით კახის რაიონიდან) კანდიდატურა მათთვის სრულიად მიუღებელი აღმოჩნდა... „ქართველია და სკოლას გააქართველებსო!“ დირექტორად აირჩიეს ადგილობრივი ზ. ისკანდეროვი. ავტორები აღნიშნავენ, რომ ამით ადგილობრივმა აზერბაიჯანელმა ჩინოვნიკებმა მაჰმადიანი და ქრისტიანი ქართველების დაპირისპირება სცადეს. რა თქმა უნდა, ახალი დირექტორის არჩევით სოფელმა გაიმარჯვა, მაგრამ ბელაქანი-ზაქათალიას რაიონების გაუცხოებას მკვეთრი ხაზი გაესვა. რესპონდენტები სამართლიანად აღნიშნავენ: თ. თამაზაშვილი – „გული დამწყვიტა მოვლენათა ზედაპირულმა შეფასებამ და ჩვენი ქართველობის დაუნახაობამ, რელიგია და ეროვნება ხომ ერთი და იგივე არ არის?! ჩვენ ნაკლებად ვიცნობთ ერთმანეთს“ (სარედაქციო 1991). ზ. ისკანდეროვი პედაგოგიური კადრების ნაკლებობას უჩივის, ქართული ხალხური სიმღერების გუნდისათვის ითხოვს ლოტბარს; მომხრეა სამივე რაიონში კონტაქტების გაღრმავებისა, რადგან მსგავსი პრეცენდეტები – „თბილისში ჩვენს სტუდენტებს შორის კონფლიქტური სიტუაციები იქმნებოდა“ – აღკვეთილიყო. „მე არ ვადანაშაულებ მათ, ვინც მხოლოდ პასპორტში ჩანაწერის გამო უდიერად ეპყრობოდნენ ჩვენი სოფლის ახალგაზრდებს, რადგან ისინი შეგნებულად არ სჩადიოდნენ ამას, არამედ არ იცნობდნენ ჩვენს სოფელს, მის პრობლემებს და ჩვენს საერთო ისტორიას“ – ამბობს ის.

„მოამბე“ დიდ ადგილს უთმობს კუთხის ქართველობის გაერთიანების საკითხებს; არაერთი სტატია მიეძღვნა მაჰმადიანი ქართველების ეროვნული თვითიდენტიფიკაციის სფეროში შექმნილ პრობლემებს.

მკითხველი გაეცნობა გულისტკივილით აღსავსე წერილებს – მუსტაფა დაუდოვი (დათუნაშვილი), სოფ. ალიაბადიდან: „სამდურავი მინდა გამოვთქვა იმ ინგილოების მიმართ, რომლებიც შუღლს თესავენ ინგილო მოსახლეობაში (ასეთები, ჩვენდა სამწუხაროდ, საინგილოს ყველა სოფელში არიან),

რომლებიც ცდილობენ მუსლიმი და ქრისტიანი ქართველების ურთიერთობის გაუარესებას და არ იციან, რომ ასეთი მოქმედებით მტრის წისქვილზე ასხამენ წყალს... არც თუ ისე შორეულ წარსულში საინგილოს სოფლებს შორის მჭიდრო, ძმური კავშირი ყოფილა და ეს ფრიად სასიამოვნოც იყო. ჩვენი წინამორბედნი გადმოგვცემენ, რომ ერთმანეთის გარეშე პურის ჭამაც კი გვეზარებოდაო. მრავალი საერთო საქმე კეთდებოდა. კაკელის გაჭირვება ალიაბადელის გაჭირვება იყო და პირიქით. რა გასაკვირია! ჩვენ ხომ ერთი სისხლისანი ვართ, ჩვენ ხომ ქართველები ვართ. დღეს კი ალიაბადელი ყოველთვის თავს არიდებს კახის ავტობუსით თბილისში მგზავრობას. რატომ? იმიტომ, რომ თბილისამდე ოთხსაათიანი კამათი იმართება ალიაბადელებსა და კაკელებს შორის. ავტობუსში კი მოგეხსენებათ, ქართველების გარდა ლეკებიც არიან, აზერბაიჯანელებიც და სხვა ერის ხალხებიც. ჩვენ ყველანი მათი დასაცინი ვხდებით. ის, ვინც ცდილობს ურთიერთობის გამწვავებას საინგილოს ამ ორ ნაწილს შორის, პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ჩვენთვის აუცილებელი ერთობის მტერია“ (დაუდოვი 1990).

იკვეთება, რომ პრობლემა მარტო შიდა ხასიათისა არაა. მაჰმადიანი ქართველები სამშობლოსაც გაუუცხოვდნენ. ფერვანე სამედოვა, სოფ. მოსულიდან: „საქართველო ჩვენი პირველი სახლია. მართალია, დღეს საქართველომ ფართოდ გაგვიღო კარები და მოგვცა განათლების საშუალება, მაგრამ ვერც საქართველოში ვგრძნობთ თავს თავისუფლად, რადგან თათრებს გვეძახიან... მაჰმადიანური სამყაროს გავლენით, მართალია, ბევრი რამ შეიცვალა, მაგრამ წინაპართა თავდადებამ შემოგვინახა უძვირფასესი საუნჯე – ქართული ენა“ (სამედოვა 1990).

„მოსე ჯანაშვილის საზოგადოება“ გულისხმიერად ეკიდება საინგილოს ქართველობის გაუცხოების საკითხს, ამ პრობლემის აღმოფხვრას სხვადასხვა ღონისძიებებზე ჰერების თავშეყრით ცდილობს. ეხმიანება და იზიდავს ადგილობრივ ავტორებს.

საბჭოთა კავშირის დაშლის პერიოდში რედაქცია საინგილოს ქართველობის ვითარებაში გარკვევას ცდილობს, რადგან, მათი აზრით, ეს ეთნიკური ჯგუფი პოლიტიკური ცვლილებებისათვის მოუმზადებელად

გამოიყურება: „გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ საინგილოს ქართველობა მთელს კავკასიაში ყველაზე ნაკლებად მომზადებული შევხვდით მიმდინარე რთულ პროცესებს და თუ გავითვალისწინებთ, რომ არც უფროსი თაობის ინტელიგენციას და არც ახალგაზრდობას მთლიანად არა გვაქვს გათვითცნობიერებული იმ უამრავი პრობლემის სიმწვავე, რომლებიც თავს გვახვევია, და მოსალოდნელი საფრთხე, მდგომარეობა საგანგაშოა. ამ მრავალ პრობლემათა შორის ერთ-ერთი უმთავრესი და ძირითადია საინგილოს ქართულ სოფლებს შორის ურთიერთობის საკითხი, რომელიც სასიცოცხლო მნიშვნელობისაა და რომლის გადაწყვეტა-არგადაწყვეტაზე იქნება დამოკიდებული ჩვენი მომავალი. ქართულ სოფლებს შორის თითქმის არ არსებობს საერთო ქართული ინტერესებიდან გამომდინარე, გააზრებული და საერთო აზრზე დაფუძნებული ურთიერთობა. სამაგიეროდ, ერთმანეთის მიმართ უამრავი პრეტენზიები გაგვაჩნია. ამ მომენტს ხელისუფლების გარკვეული ორგანოები მშვენივრად იყენებენ და კიდევ უფრო აღრმავებენ სოფლებს შორის ურთიერთდაპირისპირებას“ (ნუროშვილი 1991). შექმნილ ვითარებაში პრობლემად ერთმანეთის გასაჭირის არცოდნა სახელდება: „დღემდე თითქმის არ ყოფილა მცდელობაც კი, გავრკვეულვიყავით ერთმანეთის პრობლემებში. შეიძლება ითქვას, აბსოლუტურად არ ვიცნობთ ერთმანეთს და თუკი რაიმე ურთიერთობა არსებობს, უმეტეს შემთხვევაში, არსებობს უგუნურებამდე დასული დამოკიდებულება ზაქათალა-ბელაქანის ქართველებისადმი, რაც იმათი მხრიდან კაკელების მიმართ სრულ უნდობლობას იწვევს. საერთოდ კი, ორივე მხარე ბუნდოვნად ვერკვევით ჩვენს საერთო ისტორიაში“ (ნუროშვილი 1991). ამავე პუბლიკაციიდან ირკვევა, რომ არა მარტო ბელაქანი-ზაქათალისა და კახის რაიონის სოფლებია გათიშული, არამედ კახის რაიონის ქართულ სოფლებს შორისაც შეიმჩნევა ამგვარი ტენდენცია. გულისტკივილითაა აღნიშნული ის ფაქტიც, რომ საქართველოს ურთიერთობა საინგილოსთან მხოლოდ კახითა და ალიბეგლოთი შემოიფარგლება. სოფლები ერთმანეთს კოლმეურნეობებით გამოეყვნენ, რაც აშფოთებთ ერთიანობის მოსურნეთ: „თავისუფლად შესაძლებელია გამოყოფამ ჩვენი საერთო ეროვნული ინტერესები შელახოს“ (ნუროშვილი 1991).

არსებობდა ეჭვი, რომ ქართულ სოფლებს აზერბაიჯანულს შეუერთებდნენ, შედეგად კი, „ეს იქნება კახ-ინგილოსა და საერთოდ ყველა ქართული სოფლის განადგურებისა და გადაგვარების დაწყება“ (ნუროშვილი 1991). ეს წამოწყება, მათი აზრით, სხვა ინტერესების მატარებელი ადამიანებისაგან მომდინარეობს. ზოგიერთ რესპონდენტს საკითხი სოციალურ პრობლემებამდე დაყავს და მხოლოდ ქართული სოფლების გაერთიანების მომხრეა. ამ საკითხების მოგვარება ავტორს აუცილებლად ესახება, თუმცა მიაჩნია, რომ „ურთიერთგათიშვის გამართლება ამ ე.წ. „სოციალური პრობლემების“ მოგვარებაზე ზრუნვის საბაბით ძალზე სახიფათო და სარისკოა ჩვენი კუთხის ქართველობისათვის. გარკვეული ძალები ცდილობენ ჩვენი ყურადღება ეროვნული პრობლემებიდან სოციალურზე გადაიტანონ და ამით ჩამოგვაცილონ ქართული ენის, კულტურის, ეკლესია-მონასტრების და სხვა სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხებს“ (ნუროშვილი 1991).

საინგილოს რაიონებს შორის ხიდჩატეხილობას ადგილობრივები მტკივნეულად განიცდიან, სამწუხაროდ, ამას ერთვის ქართველების დაქსაქსულობა, გათითოკაცება, რაც სასიკეთო შედეგს ვერ მოუტანს კუთხეს. ავტორი თითოეულ ქართველს მოუწოდებს ერთიანობისაკენ, რადგან „ჩვენ სხვა გზა არა გვაქვს, გარდა ერთიანობისა!“ (ნუროშვილი 1991).

„ან მიწამე, ან მომეშვი“ – ეს სიმწრის სიტყვები ინგილო კაცის ბედუკუღმართი ცხოვრების ანასხლეტია. ვინა ვართ ჩვენ? რატომ დაგვჭირდა ამ კითხვის დასმა?“ (თოფალაშვილი 1990). სტატიის ავტორი გულისტკივილით აღნიშნავს, რომ მისაღებ გამოცდებზე უპირატესობის უფლებით გამოძახებულ სპორტსმენებთან ერთად „ინგილოს“ გაგონებაზე ხალხს ეს ტერმინი აკვირვებს, სპორტის სახეობა ჰგონიაო. სამართლიანია ავტორის დაჩივლება: აქ ქართველებს გვეძახიან, საქართველოში კი – თათარსო, ამიტომ ჩნდება პოზიცია: „როცა უცოდინარი ქართველი კაცი თათარს დაგიძახებს, რიგითი აზერბაიჯანელი მოქალაქე – გურჯს ძალაუნებურად გაგიჩნდება აზრი: ვიცხოვრებ ყველგან და ყველა პირობებში, ოღონდ გურჯად დავრჩე“ (თოფალაშვილი 1990).

„მოამბემ“ არაერთხელ გააშუქა ეს საკითხი, ეროვნებისა და რელიგიის გაიგივება არა მარტო საინგილოს ქართველობის პრობლემაა, არამედ ზოგადად საქართველოსი, თუმცა საინგილოს ქართველობისათვის ეს საკითხი უფრო მტკივნეულად აღსაქმელია.

„ენა, მამული, სარწმუნოება“ – საინგილოს ქართველობის მშობელ ხალხთან გამაერთიანებელი, ამასთან, სხვა სახელმწიფოში ეთნიკური უმცირესობის შემკვრელ ძალად იქცა. თავადაც აღნიშნავენ, რომ „ჩვენს კუთხეში მცხოვრები ხალხის ნაწილს ერთიანი გვაქვს როგორც ენა, ისე მამული, სარწმუნოება (თუმცა ჩვენს წინაპრებთან შედარებით ბევრად სუსტად), მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ დავიწყებული გვაქვს ჩვენს გვერდზე მყოფი ძმები, რომლებთანაც, სარწმუნოებისდა მიუხედავად, გადაჯაჭვული ვართ საერთო ენითა და მამულით. მეტიც, დავიწყებული კი არა, მათთან დაპირისპირებულნიც კი ვართ“ (სარედაქციო 1990).

თვითგამორკვევის საკითხები გაზეთში ხშირად გვხვდება. ავტორებს მიაჩნიათ, რომ ქართველი მაჰმადიანების „თათრად“ მოხსენიება ცუდი ჩვეულებაა, რომელიც აუცილებლად უნდა შეიცვალოს, წინააღმდეგ შემთხვევაში. ის ბევრ ქართველს დააკარგვინებს საქართველოს. მნიშვნელოვანი ანალოგებია მოძიებული აჭარის ქართველობის მაგალითებზეც. ისტორიის ქარტეხილში საინგილოს ქართველობამ მალულად ქრისტიანობის, ეროვნული თვითშეგნების შენარჩუნება შეძლო და ვინმესგან, თუნდაც საკუთარი სისხლი და ხორცისაგან, დასაყვედრი არაფერი აქვს.

„მოამბე“ ეხმიანება ბელაქან-ზაქათალას ქართველობის მცდელობას, აღიდგინონ მამაპაპისეული გვარ-სახელი. ამ თემაზე დაიბეჭდა მალხაზ ნუროშვილის ინტერვიუ სოფელ ალიაბადის ინტერნაციონალური სკოლის დირექტორის მოადგილესთან, მურად მურადასილოვთან. ადგილობრივებმა თხოვნით მიმართეს რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილებას, აღმასკომს, რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს, საბჭოთა კავშირის უმაღლეს საბჭოს (ეროვნებათა პალატა), რა თქმა უნდა, ამ ინიციატივას მოწინააღმდეგენი გამოუჩნდნენ. ამ დროისათვის თვითგამორკვევის მცდელობა 150 ადამიანს ჰქონდა, თუმცა მეორე უკიდურესობის მომხრენიც გაჩნდნენ – 1989 წელს

ჩატარებული მოსახლეობის აღწერისას ბევრი „ინგილოდ“ ჩაეწერა. სამწუხაროდ, ეს ფაქტი უცოდინრობის, რელიგიასა და ეროვნებას შორის განსხვავების არცოდნის შედეგია. სხვათა შორის, ამ წამოწყებას დღესაც ჰყავს მომხრენი, ორ ცუდს შორის საუკეთესო გამოსავლად ადგილობრივი ქართველის „ინგილოდ“ ჩაწერა რომ მიაჩნია.

რედაქცია ყურადღებას ქრისტიანული ძეგლების მდგომარეობაზეც ამახვილებს. გაზეთში ჩნდება ისტორიული ძეგლების ამსახველი ფოტომასალა. მინაწერებიდან კარგად ჩანს ავტორების დამოკიდებულება ხუროთმოძღვრული ძეგლების არასახარბიელო მდგომარეობის მიმართ: ქურმუხის წმ. გიორგის საყდარს გუმბათი ჩამოენგრა, დაამახინჯეს ლექართის წმ. ნინოს სახელობის ეკლესია (გაზეთში ეს ტაძარი, რატომღაც ღვთისმშობლის სახელობის ძეგლად არის მოხსენიებული), ამოშლილია ფრესკები, დაიტაცეს ხატები, რელიგიური ნივთები და ა.შ. ვხვდებით ინფორმაციული ხასიათის მასალებს კახის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის აღდგენის თაობაზე, მადლიერებით არის მოხსენიებული საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II. სწორედ მისი გულმოდგინებით ეს ეკლესია ამ ისტორიულ კუთხეში ერთადერთი მოქმედი ტაძარია; ეკლესიის წინამძღვარი მამა ილარიონი ადგილობრივ ქართველებს ქრისტიანულად ცხოვრებას უქადაგებს (მიმართვა 1990); მოხსენიებულია მამა დიმიტრის (სუხიტაშვილის) ღვაწლი (სარედაქციო 1990); ადგილობრივი ძეგლთა დაცვის სამსახური ქურმუხის რესტავრაციით დაინტერესდა, რედაქციის პოზიცია იკვეთება, „რესტავრატორები თბილისიდან უნდა იქნენ მოწვეულნი“ (სარედაქციო 1990); სოფელ მეშაბაშის (ტყის თავი) ეკლესიის მთავარანგელოზის სახელობის აღდგენით კოლმეურნეობა დაინტერესდა (სარედაქციო 1990). ალათემურის (დიდ ბინა) სამების ეკლესიის აღდგენით თავად ამ სოფლის მკვიდრნი დაინტერესდნენ და ფულის შეგროვებაც დაუწყიათ (სარედაქციო 1990); სოფელ ყარამეშასთან აღმოჩენილი პატარა ეკლესია დაზიანებულია და შესწავლა-აღდგენას საჭიროებს (სარედაქციო 1990).

საზოგადოება მიესალმება სოფელ ქოთოქლოში ადგილობრივების წამოწყებას, საკუთარი სახსრებით ტაძარი და ღვთისმსახურება აღადგინონ. სკოლა სამების ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე აუშენებიათ, რადგან სხვა საგნებთან ერთად საღვთო სწავლებასაც გადიოდნენ. ნაგებობა არასათანადო მდგომარეობაში იყო, რაც ფუნქციას უკარგავდა საყდარს, ამიტომ ტაძრის აღდგენა სოფლისათვის მნიშვნელოვანი იყო. ავტორი საინტერესო დეტალებს გამოკვეთს, სამების ეკლესიის ადგილას უცნობის საფლავი ყოფილა, როგორც ირკვევა, ეკლესიის მიწის მფლობელის პატრონის შვილის; აღმოჩენილია ტაძრის დიაკვანის მეუღლის ნეშტი; დიაკვანი წარმოშობით თელაველი ყოფილა და მეუღლის გარდაცვალების შემდეგ თელავში დაბრუნებულა. მიმდებარე ტერიტორიაზე სხვა საფლავებიც არსებობს, გადმოცემით, აქ მხოლოდ ეკლესიის მსახურებს ასაფლავებდნენ (აბულაშვილი 1990). იბეჭდება წერილი სოფელ ქოთოქლოს მკვიდრი ვასილ მიხეილის ძე ბაბაჯანაშვილის იერუსალიმში (1908 წ.) ფეხით მოგზაურობის შესახებ. ის ერთადერთი იყო კუთხიდან, ვინც მოილოცა წმინდა იერუსალიმი. მისი მოგზაურობის მთავარი მიზეზი უშვილობა ყოფილა. დაბრუნების წლისთავზე გარდაცვლილა, დაკრძალულია სოფლის ძველ სასაფლაოზე. მისი საფლავის ქვაზე ამოკვეთილია: „ქოთუქლოს ეკლესიის მნათე. გარდაიცვალა 1909 წელსა მაისის 22-სა; დასაფლავდა 24-ში, შობიდგან 52 წლისა. მკითხველნო შენდობა მაღირსეთ“ (ბაბაჯანაშვილი 1990).

აღმსარებლობის თავისუფლების შელახვის ფაქტებად უნდა ჩაითვალოს შემდეგი: ძაგემის ტაძარს შეცვლილი სახელწოდებით, „ფერიბიჩ-ყალად“ მოიხსენიებენ. იოსებ გამხარაშვილი სოფელ ალიაბადიდან იწერება: გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან ადგილობრივ ქართველების ეროვნული გამოღვიძების პარალელურად, 1971 წელს ზაქათალას რაიონში ხელისუფლებამ და რამდენიმე მოღალატემ ძაგემის ტაძარის გუმბათი ააფეთქა (გამხარაშვილი 1990). მიუხედავად ამისა, საქართველოსა და აზერბაიჯანის ხელისუფლებები შეთანხმდნენ, რომ ორივე რესპუბლიკას საშუალება მიეცემა ქვეყნის გარეთ მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კონტაქტების დამყარება-გაღრმავებისა, რელიგიური ძეგლების

აღდგენისა, სხვა საჭირბოროტო საკითხების გადაწყვეტისა. რედაქცია ამ შეთანხმებისაგან შედეგებს ელის (სარედაქციო 1991).

მკითხველებისათვის რელიგიური საკითხების მიწოდება საინტერესო ტრადიციად მკვიდრდება: „წმ. მთავარმოწამე და ძლევამოსილი გიორგი“, „სარწმუნოების არსი ქრისტიანული მსოფლმხედველობით“ და ა.შ.

გაზეთის გვერდები ეთმობა კუთხეში გავრცელებულ ლეგენდებსაც. მაგ., დაიბეჭდა „მზეთუნახავი და ოქროს მამალი.“

გამოქვეყნებულია მასალა ენობრივ საკითხებზე (ღამბაშიძე 1988; აბაშვილი 2009). იბეჭდება მარია ბარიხაშვილის კვლევა „ერთი თანდებულის გამო“, რომელშიც საუბარია ინგილოურ დიალექტში შემოჭრილი არაქართული თანდებულის შესახებ (ინჟახ/ინჯახ//მდე). თუ როგორ არის შენარჩუნებული ქართული თანდებული შეცვლილი ფორმით (თვს/თუნ//თვის), ასევე, გამოიყენება (ბე//თვის); ეს თანდებული უცხოა ქართულისათვის და შემოჭრილი უნდა იყოს ჰერეთის ტერიტორიაზე მცხოვრები სხვა ეროვნების ხალხისაგან – აზერბაიჯანული, ლეკური, უდური, სომხური. ავტორს ბე თანდებული უდურის მიხედვით სიტყვა ბედის ანალოგად მიაჩნია (ბარიხაშვილი 1990).

„მოამბე“ მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დაარსების ინიციტივით გამოდის. მოსახლეობაში სასოფლო სამუშაოებისას აღმოჩენილი ეთნოგრაფიული ექსპონატები (კერამიკული ქოთნები, ჯამ-ჭურჭელი, საბრძოლო იარაღის ნატეხები, სამკაულის დეტალები და ა.შ.) გროვდება. საერთო გადაწყვეტილებით, მუზეუმისათვის გამოინახა ბინა, ქუთაისლების დახმარებით შეიძინეს ვიტრაჟები და სტელაჟები, გამოიფინა ექსპონატები. თუმცა ამ საქმის ინიციატორი ბორის ათამაშვილი შენობის შეუსაბამო მდგომარეობაზე საუბრობს, მოსახლეობისაგან აღმოჩენილი ნივთების, რომლის ნაწილი ხმარებაშია, შეგროვებასა და მისი აღრიცხვისათვის კომისიის შექმნას ითხოვს. რედაქცია მიესალმება ამ წამოწყებას, მაგრამ მუზეუმში საეკლესიო ნივთების გამოფენას ეწინააღმდეგებიან, რადგან სოფლის წმ. ნინოს სახ. ეკლესიის აღდგენასა და ამოქმედებას უახლოეს მომავალში ელიან (ათამაშვილი 1990).

ისტორიულ სამშობლოსთან და აზერბაიჯანთან მიმართებაში რედაქცია პოლიტკორექტულია. საკუთარი პოზიცია ადგილობრივ ქართველებს არჩევნებთან დაკავშირებითაც აქვთ. საზოგადოების ინიციატივით სახალხო ფრონტის კანდიდატი ქართულ მოსახლეობას შეხვდა, საზოგადოების წევრებს მიაჩნიათ, რომ მათთან ურთიერთობა დასახული გეგმების განხორციელებაში დაეხმარებათ (ნუროშვილი 1990).

„მოამბე“ ძირითადად ეხმიანება საკითხებს, რომლებიც იმდროინდელ საინგილოში აქტუალური და კუთხის მომავალის განმსაზღვრელი იყო. აღსანიშნავია, რომ გაზეთში წამოჭრილმა უკლებლივ ყველა პრობლემამ მალევე იჩინა თავი. სამწუხაროდ, საზოგადოებრივი აზრის შექმნა შეუძლებელია, რადგან საზოგადოებაში არ შეინიშნება საამისო მზაობა. ამ მხრივ, არსებულ ვითარებაში რედაქციის მცდელობა ფასდაუდებელია (ჯანაშვილი 2007).

გაზეთი „შელალე“ („ჩანჩქერი“)

1931 წლიდან აზერბაიჯანის კახის რაიონში გაზეთი „შელალე“ გამოდის. აზერბაიჯანულენოვანი გამოცემას ახლავს ქართულენოვანი ჩანართი გვერდიც, თუმცა „გვერდი“ გადაჭარბებული ნათქვამია, რადგან ოთხგვერდიან პერიოდულ ორგანოში ქართველებს ეთმობათ მხოლოდ ე. წ. „სხვენი“ ან „სარდაფი“ (მონაცვლეობით).

2000-2001 წწ. გაზეთ „შელალეს“ ქართულენოვან გვერდს საფრთხე მხოლოდ იმიტომ დაემუქრა, რომ აზერბაიჯანულ მხარეს კომპიუტერში ქართული შრიფტები არ ჰქონდა. პრობლემა მხოლოდ 2003 წლისთვის დაიძლია. გაზეთის ქართულ გვერდს წლების განმავლობაში ადგილობრივი ვაზგენ ოქროჯანაშვილი რედაქტორობდა (აღსანიშნავია, რომ 1921 წლიდან საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელებისათვის გამოდის ოთხგვერდიანი აზერბაიჯანული გაზეთი „გურჯისტანი“, უფრო ადრე „სოვეტ გურჯისტანის“ სახელით ცნობილი პერიოდული გამოცემა, რომელიც მშობლიურ ენაზე აცნობს აზერბაიჯანულ დიასპორას საქართველოსა და აზერბაიჯანის პრობლემებს. ღედაქტორი სულეიმან სულეიმანოვი იყო).

გაზეთი „კახი“

1994 წელს „ყოველთა ქართველთა კონგრესთან“ ახალგაზრდული კავშირი „ჰერეთი“ შეიქმნა, ხოლო 2002 წ. დეკემბერსა და 2003 წ. მარტში თბილისში კავშირ „ჰერეთის“ პერიოდული ორგანო, საზოგადოებრივ-საგანმანათლებლო და პოლიტიკური გაზეთი „კახი“ გამოვიდა.

მკითხველ საზოგადოებას ჰქონდა მოლოდინი, რომ გაზეთის ფურცლებზე განიხილებოდა აქტუალური თემები, საინგილოს ქართველების განვითარების საკითხები, თუმცა „კახი“ აუდიტორიის მოლოდინს სათანადოდ ვერ პასუხობს. იგი მკითხველს აცნობს მოსე ჯანაშვილის ღვაწლს, ინფორმაციას სოფიო კონჭოშვილ-ყულოშვილის შესახებ, ალექსანდრა ჩხენკელის მოთხრობას, ინგილოურ ფოლკლორს, რა უნდა ჩავიცვათ ახალი წლის ღამეს, თოვლის პაპის რჩევებს და ა.შ. (უმეტესად, რეკრეაციულ მასალას). გაზეთი კახის რაიონის ქართული კულტურის სახლის აღდგენის ინიციატივით გამოდის, რედაქტორი მეორე ნომრის მეთაურ წერილში მსჯელობს ურთიერთგაუტანლობისა და გათითოკაცების წინააღმდეგ.

ვფიქრობთ, რედაქციის პრობლემა არაკვალიფიციური კადრები იყო. რედაქციამ ვერ შემოიკრიბა ადგილობრივი კორესპონდენტები, ვერც მკითხველები. გაზეთ „კახის“ გამოცემას, „მოამბისგან“ განსხვავებით, ფინანსური პრობლემები არ შეჰქმნია, თუმცა იგი საზოგადოებისათვის მიუღებელი აღმოჩნდა. გაზეთი საინგილოს ქართველებში ვრცელდებოდა.

გაზეთი „სარკმელი“

2001 წლის დეკემბრიდან წარმოშობით ჰერი ჟურნალისტის, ლუიზა ლაწუნაშვილის, ინიციატივით თბილისში გაზეთი „სარკმელი“ გამოვიდა. იგი ფინანსდებოდა ადგილობრივი და საქართველოში მოღვაწე ბიზნესმენების მიერ. მიუხედავად ამისა, გაზეთის პერიოდულობა დარღვეულია. სულ გამოვიდა ხუთი ნომერი (2001-2003 წწ.). ლ. ლაწუნაშვილის თქმით, გაზეთში საინგილოს ქართველებისათვის აქტუალური საკითხები მხოლოდ იმის გამო ვერ მოხვდა, რომ „საზღვარზე პრესის გადატანა არ შეფერხებულიყო“. ბოლო ნომრებში გაზეთი მსოფლიოში მიმობნეული ქართველების პრობლემებს აშუქებდა.

გაზეთი „გზაჯვარედინი“

2004 წელს დაფუძნდა ახალი არასამთავრებო ორგანიზაცია „ჰერეთი“. მასში ძირითადად გაერთიანებულნი იყვნენ სტუდენტები, რომლებიც „ყოველთა ქართველთა კონგრესთან“ არსებულ ახალგაზრდულ კავშირ „ჰერეთს“ გამოეყვნენ.

2004 წლის მაისში გაზეთ „გზაჯვარედინის“ პირველი და უკანასკნელი ნომერი გამოვიდა. მასში საინგილოს ქართველების პრობლემებს (განათლება, კულტურა...) სამიოდე გვერდი ეთმობა, დანარჩენი მასალა რეკრეაციული ხასიათისაა. „გზაჯვარედინი“ საინგილოს ქართველებში ვრცელდებოდა. გაზეთი გამომცემლობა „არტანუჯის“ მხარდაჭერით დაიბეჭდა.

გაზეთი „იავნანა“

2004 წლიდან გაზეთ „რაეოს“ რედაქციის მიერ ქვეყნის ყველა კუთხის პერიოდული ორგანოს გვერდით საინგილოს გაზეთი „იავნანაც“ გამოიცა. გაზეთის პერიოდულობა თავდაპირველად თვეში ერთი ნომრით განისაზღვრა. გამოცემა ხელისმომწერთა იმედზე არსებობდა. „იავნანა“ გაზეთ „რაეოს“ რედაქციის დახურვის გამო 2005 წელს შეწყდა. გაზეთში სხვადასხვა პერიოდული გამოცემებიდან ძველი პუბლიკაციებია გამოქვეყნებულია, არის ამ პერიოდის თანამედროვე მოვლენების ამსახველი მასალაც (მაგ.: „ჰერული სიზმრების კვალდაკვალ“), ასევე ფოლკლორი და ქართველ მოღვაწეთა შრომები.

ბოლო პერიოდში საინგილოს ქართველებისათვის ინტერნეტიც გახდა ხელმისაწვდომი. შეინიშნება საინგილოს ქართველთა გააქტიურება ელექტრონულ მედიაში, სოციალურ ქსელებში.

საინგილოს ქართველი მოსახლეობა ადგილობრივი მასმედიიდან ქართულად რამდენიმეწუთიან რადიოგადაცემებსაც ისმენს.

კახის რაიონის ქართველობა ამ უკანასკნელ წლებში საზოგადოებრივ მაუწყებელს, ტელეკომპანია „იმედსა“ და „რუსთავი 2“-ს უყურებს. ადგილობრივთა თქმით, ქართული მასმედიის წყალობით მომავალი თაობები ქართული სულისკვეთებით იზრდებიან.

პარალელისთვის: გაზეთი „ახალი ჰერეთი“ და რადიო „ჰერეთი“

უკვე წარსულ დროში უწევს საუბარი გაზეთ „ახალი ჰერეთის“ რედაქტორ ალეკო ალიმბარაშვილს: „დიდი სურვილი გვქონდა, რომ ყოველ ნომერში წარმოგვეჩინა საინგილოს პრობლემატიკა, მაგრამ ბარიერებს ვაწყდებოდით. საზღვარზე გაზეთების გადატანა მალულად გვიხდებოდა, ხალხს შიშით ვერ ვესაუბრებოდით, ინფორმაცია რომ დაგვეწერა ისე, როგორც იყო, შეუძლებელი აღმოჩნდა. ამის მიუხედავად, ისტორიის შესახებ გვქონდა მასალები, მოკლე ინფორმაციული შენიშვნებიც, პირველ რიგში, ადგილობრივების ინტერესებს ვითვალისწინებდით, ჟურნალისტი მოდის, ისინი კი იქ რჩებიან...“

„ახალი ჰერეთის“ გამომცემელი რამაზ სამხარაძე იხსენებს გაზეთთან იმ ინგილო სტუდენტების თანამშომლობას, რომლებიც ლაგოდეხის დავით აღმაშენებლის სახელობის აგროსამრეწველო სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში ღებულობდნენ განათლებას. სწორედ მათი საშუალებით იგზავნებოდა საინგილოში გაზეთები.

როგორც აღვნიშნეთ, ეს ახალგაზრდები გაზეთ „კახეთის ხმის“ ლაგოდეხის რაიონის საინფორმაციო ბიუროს კურირებენ. აგრეთვე, რეგიონულ რადიომაუწყებლობას, ასევე „ჰერეთს“ (FM 102, 8).

რამაზ სამხარაძე: „გაზეთის და, ახლა უკვე, რადიოს სახელწოდება „ჰერეთი“ იმის მიხედვით შეირჩა, რომ ჰერეთის ტერიტორიაზე ვართ, ვვრცელდებით (რადიო „ჰერეთი“) დასავლეთ აზერბაიჯანში, დღეს საინგილო რომ ჰქვია და ისტორიული ჰერეთი რომ იყო.

რადიო „ჰერეთი“ 1998 წლიდან არსებობს. თავიდან FM 101 დიაპაზონზე ვიყავით, საიდანაც 102,8-ზე გადავედით, აზერბაიჯანული არხები („სპეისი“, „ლიდერი“) ყოველმხრივ ცდილობენ ჩვენს ჩახშობას. 102,8 თუ ვართ, ისინი 103-ზე არიან, რაც ყოვლად დაუშვებლია, უნდა იყოს 4 ერთეულით დაშორება, რათა სიხშირეებმა ერთმანეთი არ გადაფაროს. ეს საკითხი სახელმწიფომ უნდა დაარეგულიროს. არსებული შეთანხმება მეორე მხარის მიერ ირღვევა. ამ საკითხზე ჩვენი კავშირგაბმულობის რადიომაუწყებლობის მარეგულირებელ ორგანოს მივმართეთ, თუმცა აქედანაც არაფერი გამოვიდა.

მარტო ჩვენს რეგიონული რადიომაუწყებლობას კი არა შეუშალეს ხელი, იქ ჩვენი ნაციონალური რადიომაუწყებლობაც გადაფარეს. საინგილოს თემაზე სასაუბროდ სტუმრები ხშირად სტუდიაში მოგვყავს. იქაურ პრობლემებზე ჩვენთან რეჟისორი ანზორ დოლენჯაშვილიც საუბრობდა“.

საინგილოს საკითხები 2002-2003 წლების პრესაში

(გაზეთები „საქართველოს რესპუბლიკა“, „ახალი ეპოქა“, ჩვენი მწერლობა“, „Кавказский Акцент“, „ახალი ჰერეთი“, ჟურნალი „ომეგა“)

1997-2000 წლებში პოლონელი პოლიტიკოსი პეტრე ბორავსკი საქართველოში პოლონეთის დესპანი იყო, მან შეისწავლა XX საუკუნის მიწურულის რუსეთის პოლიტიკა ამიერკავკასიის მიმართ, აგრეთვე, საქართველოსა და ამიერკავკასიაში ისლამის აღორძინების ასპექტები. ეს კვლევა („საქართველო და კავკასიაში ისლამის აღორძინების პოლიტიკური ასპექტი“) ავტორმა გამოაქვეყნა პოლონურ ჟურნალში „სპრავი პოლიტიჩნე“. ჟურნალ „ომეგას“ 2002 წლის ოქტომბრისა და 2003 წლის მარტის ნომრებში დაიბეჭდა პ. ბორავსკის პუბლიკაციის თარგმანი (მთარგმნელი – ა. გრიშიკაშვილი), რომელშიც ვკითხულობთ:

„ეროვნული მოძრაობის განვითარებამ და ეთნიკური თვითშეგნების ამაღლებამ XX საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში კავკასიის მაჰმადიანურ ხალხებში ხელი შეუწყო ისლამის პოზიციების გაძლიერებას. ამ დროდან მაჰმადიანური რელიგია უკვე საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს არსებითი ნაწილი ხდება როგორც შიიტურ აზერბაიჯანში, ისე ჩრდილოკავკასიის სუნიტურ რესპუბლიკებში. თანადროულად ისლამი პოზიციებს იმაგრებს ქრისტიანულ საქართველოში... თავისი ქვეყნის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში გართულ ქართველებს კავკასიაში ისლამის აღორძინების პროცესები ყურადღების მიღმა დარჩათ... ზვიად გამსახურდიას პოლიტიკური ელიტა მოუმზადებელი აღმოჩნდა ისეთ რთულ გეოპოლიტიკურ ვითარებაში მყოფი სახელმწიფოს გაძღოლისათვის, როგორსაც საქართველო წარმოადგენს.

ეს პატარა ქვეყანა, რომელიც მდებარეობს რეგიონში, სადაც საუკუნეთა განმავლობაში ერთმანეთს ეჯახებოდა არა მხოლოდ რუსეთის, ირანისა და

თურქეთის ინტერესები, არამედ ხდებოდა განუწყვეტელი კონფრონტაცია ისლამურ ცივილიზაციასა და აღმოსავლეთის ქრისტიანობას შორის, უფრო მგრძნობიარე უნდა ყოფილიყო მის მაჰმადიანურ მეზობელ ქვეყნებში მიმდინარე ამბების მიმართ... მოსკოვისგან დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის ბრძოლაში დაკავებული ქართველები ნაკლებად იყვნენ დაინტერესებული იმ პრობლემებით, რომლებიც ძალზე აღელვებდათ ჩრდილოეთკავკასიის მაჰმადიანურ ხალხებს. გრძნობდნენ რა თავს ქრისტიანული სამყაროს განუყოფელ ნაწილად, ქართველები თითქმის უგულვებელყოფდნენ თავიანთი საზღვრების ჩრდილოეთითა და აღმოსავ-ლეთით მოძლიერებულ ისლამს, როგორც მრავალმა ეთნიკურტერიტორიულმა კონფლიქტმა საქართველოს ჩრდილოეთ საზღვრებთან, ისე დაძაბულმა ურთიერთობებმა რუსეთთან აიძულა პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლება შეემუშავებინა გონივრული სტრატეგია კავკასიის მაჰმადიანური ხალხების მიმართ“ (ყულოშვილი 2004: 25-50).

ჩვენთვის მნიშვნელოვანია, საერთაშორისო საზოგადოებას რა ინფორმაცია აქვს საინგილოს შესახებ. პ. ბორავსკის მიმოხილვის მიხედვით, „აზერბაიჯანში ინგილოებს, ანუ რწმენისაკენ ბოლო ხანს შემობრუნებულებს უწოდებენ გამაჰმადიანებულ ქართველებს, მცხოვრებთ ადრინდელ ზაქათალის ოლქში, რომელიც ადრე თბილისის გუბერნიაში შედიოდა. ეს მიწები ძველი ქართული კუთხის – ჰერეთის შემადგენელი ნაწილი გახლდათ. ამჟამად ეს კუთხე, რომელიც აზერბაიჯანს ეკუთვნის, წარმოდგენილია სამი – ბელაქანის, ზაქათალისა და კახის რაიონებით, ამრიგად, ქართველი აზერბაიჯანელები წარმოადგენენ ქართული კუთხე ჰერეთის ავტოხტონურ მოსახლეობას, რომელნიც XVIII საუკუნეში მოექცნენ დაღესტნელ ფეოდალთა ბატონობის ქვეშ; შემდეგ კი, უკვე საბჭოთა პერიოდში, განიცადეს გააზერბაიჯანელება.

1918 წლიდან XX საუკუნის 90-იან წლებამდე ამ ტერიტორიაზე ანტიქართული პოლიტიკა ტარდებოდა, რომელიც დამყარებული იყო ადგილობრივი ქართველი მოსახლეობის უხეში მეთოდებით გააზერბაიჯა-ნელებაზე, გეოგრაფიულ ადგილებისათვის სახელთა შეცვლაზე, ისტორიულ

ძეგლთა განადგურებაზე, იქაურ ქართველთა კულტურულსა და ეკონომიკურ დისკრედიტაციაზე ამ კუთხის ქართველი მაჰმადიანები ბოლო ხანებამდე ყველა აღრიცხვის სიებში ჩაწერილები იყვნენ აზერბაიჯანელებად. მათ გვარებს აზერბაიჯანულ ყაიდაზე უცვლიდნენ“ (ყულოშვილი 2004: 25-50).

ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს: „აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ დაკარგვის შემდეგ საქართველოს ხელისუფლება ერიდება აზერბაიჯანში მცხოვრებ თანამემამულეთა ყოფაზე საუბარს. მიუხედავად ქართული საზოგადოების პრეტენზიებისა აზერბაიჯანული ხელისუფლებისადმი – არ აღკვეთს ადგილობრივი ხელისუფლების დისკრიმინაციულ პოლიტიკას ქართველთა მიმართ, აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის ოფიციალური მეგობრობა მტკიცდება, ამ ორ სახელმწიფოს აქვს მსგავსი ეთნიკურ-ტერიტორიული პრობლემები, რის გამოც იძულებული არიან ითანამშრომლონ პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ სფეროებში“ (ყულოშვილი 2004: 25-50).

ავტორი მდგომარეობის გაუმჯობესების ტენდენციებსაც ამჩნევს, როცა აცხადებს: „1998-99 წლებში ქართულ-აზერბაიჯანული ურთიერთობების გაუმჯობესების კვალობაზე გაუმჯობესდა აზერბაიჯანში მცხოვრებ ქართველთა მდგომარეობაც, მათ მიმართ ასიმილაციური ტენდენციების შესუსტების საპასუხოდ შეიმჩნევა გამაჰმადიანებულ ქართველთა შემობრუნება მართლმადიდებლური ეკლესიისაკენ“ (ყულოშვილი 2004: 25-50). ეს, ალბათ, ნაკლებად შეესაბამება სიმართლეს, განსაკუთრებით, ზაქათალისა და ბელაქანის რაიონებში, სადაც მაჰმადიანი ქართველები ცხოვრობენ და მაჰმადიანობას არ თმობენ. კახის რაიონში კი ქრისტიანი ქართველები მოსახლეობენ. მიუხედავად ამისა, პ. ბორავსკის მიაჩნია, რომ „პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლების პერიოდში ყველაზე დიდ წარმატებას საგარეო პოლიტიკის სფეროში უნდა მიეწეროს ურთიერთობების გაუმჯობესება მეზობელ მაჰმადიან ხალხებთან; განსხვავებით მისი წინამორბედი ზვიად გამსახურდიასაგან, შევარდნაძეს არ ეშინია ისლამის სამყაროში“ (ყულოშვილი 2004: 25-50).

როგორც ვხედავთ, ავტორის კატეგორიული შეფასებით საინგილოს მდგომარეობას განაპირობებს საქართველო-აზერბაიჯანის მტკიცე მეგობ-

რული, ეკონომიკური, პოლიტიკური ასპექტები. საქართველოს წინააღმდეგ რუსეთმა ვერ შეძლო აემოქმედებინა მაჰმადიანური ფაქტორი, რომელსაც შეეძლო აფხაზეთის, „სამხრეთ ოსეთის“ ღია კონფლიქტების გვერდით ეს (სხვაც – პანკისი, „თურქი მესხები“), „გაყინული კონფლიქტები“ „ღია კონფლიქტში“ გადაეზარდა. საქართველომ, რომელიც თითქმის ყოველი მხრიდან შემოსაზღვრულია მაჰმადიანი ხალხებით, როგორც ტოლერანტულმა, მაჰმადიანებისადმი კეთილმეზობლურად განწყობილმა ქვეყანამ, შეძლო შეენარჩუნებინა მათი პატივისცემა.

იგივე ავტორი უფრო ადრე საუბრობდა ამიერკავკასიის მიმართ რუსეთის პოლიტიკაზე XX საუკუნის მიწურულში: „ამიერკავკასია პოლიტიკური და სამხედრო თვალსაზრისით უკვე ორი საუკუნეა, რაც რუსეთის ინტერესთა უმნიშვნელოვანეს სფეროდაა მიჩნეული... რუსეთმა გადაწყვიტა ამ ქვეყნებში პოლიტიკურ-ეკონომიკური ცხოვრების დესტაბილიზაციის გამოწვევა, ამ გზით სურდა ეჩვენებინა, რომ მხოლოდ ძლიერ, ცენტრალიზებულ სახელმწიფოს შეუძლია სსრკ-ის დაშლის შემდეგ აქ წარმოშობილი ქაოსის დათრგუნვა... ეთნიკურ-ტერიტორიულმა წინააღმდეგობებმა და კონფლიქტებმა, რომლებიც ამიერკავკასიაში არსებობდა მეოცე საუკუნის პირველ მეოთხედში და რომელთაგან ზოგიერთი ბოლშევიკებმა „დააკონსერვეს“, ზოგიერთი კი პირიქით, კიდევ უფრო გაამწვავეს, რთული ფორმით წამოყვეს თავი საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ... საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ მის ტერიტორიაზე რამდენიმე ცხელი წერტილი წარმოიშვა. სამწუხაროდ, ორი მათგანი (ქართულ-ოსური და აფხაზეთი) მალე შეიარაღებულ კონფლიქტში გადაიზარდა – პოლიტიკურ მიმოხილვაში ცხადდება, რომ საბჭოთა რუსეთისათვის ქართული ეთნოსი თავისი დინამიზმით, სოცოცხლისუნარიანობით, მაღალი ინტელექტუალური პოტენციალის წყალობითა და, ამასთან, დამოუკიდებლობის გამძაფრებული მოთხოვნილებით მეტად საშიშ ძალას წარმოადგენდა. ამის გამო ცენტრალური ხელისუფლება ქართველთა მიმართ ატარებდა პოლიტიკას, რომელიც მიმართული იყო ამ ქვეყანაში მცხოვრები სხვა ერების გასაძლირებლად ქართველთა ხარჯზე. უძველეს ქართულ მიწაზე

ფართოვდებოდა სომეხთა, ოსთა, რუსთა და აზერბაიჯანელთა დასახლებებიც კი, ათასგვარი საბაბით ასახლებდნენ ქვეყნის გარეთ ქართველ მაჰმადიანებს ანდა ცდილობდნენ მათ გააზერბაიჯანელებას“ (ყულოშვილი 2004: 25-50; იგულისხმება ინგილოთა ბედი). რუსეთი ინტერესდება კავკასიის ზოგიერთი პროვინციით, რაც აძლევს შესაძლებლობას რუსეთის მოდიფიცირებული იმპერიის შესაქმნელად. სინამდვილეში რუსეთი ვერ დაეყრდნობა „სუსტ“ ეთნოუმცირესობას, როგორსაც ე. წ. „ინგილოები“ წარმოადგენენ. ავტორი რუს პუბლიცისტებს იშველიებს და აცხადებს: „რუსეთის დამოკიდებულება ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებსა თუ ეროვნული მოძრაობებისადმი სრულიად გასხვავებულია. ეს, უპირველეს ყოვლისა, იქიდან გამომდინარეობს, თუ რა კონკრეტული სარგებლობა აქვს რუსეთს თითოეული ამ რესპუბლიკის ან მოძრაობისაგან და რამდენად ემორჩილება თითოეული მათგანი მოსკოვის ხელისუფლებას“ (ყულოშვილი 2004: 25-50). რუს პოლიტოლოგთა კონცეფციის მიხედვით, რუსეთის ინტერესებში შედის კავკასიის ეთნიკურად დახლეჩა, რის შემდეგადაც შესაძლებელი გახდება კავკასიის შესვლა რუსეთის სახელმწიფოს პროტექტორატის ქვეშ.

სამწუხაროდ, ეთნიკური დახლეჩით არ შემოიფარგლება აზერბაიჯანის ხელისუფლება და აშკარად ავლენს ასიმილაციის ტენდენციებს: „1959 წელს საინგილოში მცხოვრებ ოცი ათას ქართველს ჩამოართვეს პასპორტები და ხუთი თვის შემდეგ კვლავ დაუბრუნეს, ოღონდ აზერბაიჯანული გვარებით. ამის შემდეგ აზერბაიჯანის კომუნისტური ხელისუფლება იქაურ ქართველებს ინგილოებად ანუ „ახალმოქცეულებად“ (ქართულენოვან თურქმენულ ტომად) მოიხსენიებდა“ (ყულოშვილი 2004: 25-50). ისტორიული სამართლიანობის აღდგენის მცდელობაში მონაწილე საქართველოს პარლამენტის დეპუტატი, მწერალი რევაზ მიშველაძე აცხადებს, რომ ხუთიოდე წლის წინ, როცა საქართველოში ჩამოსვლას აპირებდა ჰეიდარ ალიევი, შოთა ნიშნიანიძეს, რეზო ჩხეიძეს, ლევან სანიკიძესა და მას გვარ-სახელის აღდგენის საკითხის პრეზიდენტების დონეზე გადაწყვიტა მოუთხოვიათ, თუმცა მაშინ მეგობარი ქვეყნის პრეზიდენტს არ აწყენინეს. ახლა ბაქოში საქართველოს პარლამენტის დელეგაციით, რომელსაც ნინო ბურჯანაძე ხელმძღვანელობდა,

რეზო მიშველაძე სწორედ ამ პრობლემაზე სასაუბროდ ჩადის, „იმიტომ გადავწყვიტე ამ დელეგაციის წევრობა, რომ ალიევთან შეხვედრისას ეს მტკივნული საკითხი წამომეჭრა“ (ყულოშვილი 2004: 25-50). შეხვედრისას ჰეიდარ ალიევს უღიარებია, რომ ორმოცი წლის წინათ საბჭოთა აზერბაიჯანში დიდი უსამართლობა მოხდა: „ასეთი რამ პირველად მესმის და მიკვირს, ჩემამდე ეს საკითხი რატომ არ აღწევდაო“ (ყულოშვილი 2004: 25-50). გაიცა შესაბამისი განკარგულებები, თუმცა ზაქათალა-ბელაქანის რაიონების მკვიდრი, ამჟამად თსუ-ს სტუდენტები, რომელთაც სურვილი გამოთქვეს გვარის აღდგენისა, უარით გამოისტუმრეს. რ. მიშველაძის თქმით: „მიუხედავად ჰეიდარ ალიევის მცდელობისა, ალბათ, ზოგიერთ ნაციონალისტ ჩინოვნიკს სხვა მიზნები აქვს და ინგილოებისთვის ქართული გვარების დაბრუნების წინააღმდეგია“ (ყულოშვილი 2004: 25-50). მწერალს საჭიროდ მიაჩნდა, რომ საქართველოს პარლამენტის წევრებთან, მასმედიის წარმომადგენლებთან, საზოგადო მოღვაწეებთან ერთად ჩასულიყო საინგილოში, შეხვედროდა საპასპორტო სამსახურის თანამშრომლებს; მათთვის გაეცნო ალიევთან შეხვედრის ვიდეოჩანაწერი, აგრეთვე, სახელმწიფოთაშორისი კომისიის გადაწყვეტილება და ეთხოვა, რომ პროცესისითვის ხელი არ შეეშალათ.

მწერალი ნუგზარ შატაიძე ჰერეთის ისტორიის მიმოხილვის შემდეგ იხსენებს თურქეთში მცხოვრები ვინმე მამედ-ემინ ქაიას (ყოფილი მაკარიძის) ნათქვამს: „გაუმარჯოს ქრისტიან საქართველოსო“ დევინახე დაწერილი, ჩუენ რას გვებნევით, თურქიეში მილიონ ქართუელსა, საქართველო ჩუენი არენა იყო?! ეს არ გამოდის კარგა! ჩუენი რა ბრალია, რომე მუსლიმი გავმხდარვართ, მაშინ დროს მოუტანია მუსლიმობა ჩუენი ძუელებისათვის, ჩუენ რა ვქნათ ახლა?“ (ყულოშვილი 2004: 25-50).

პოლიტიკურ ფაქტორს რელიგიური დაპირისპირება ამძაფრებს. როგორც ითქვა, ზაქათალასა და ბელაქანში მაჰმადიანი ქართველები ცხოვრობენ, ხოლო კახის რაიონში – ქრისტიანი-მართლმადიდებლები. რელიგიურ ფონზე შიდა ეთნიკური დაპირისპირება მძაფრდება, ამას ერთვის ისიც, რომ მაჰმადიანი ქართველები აზერბაიჯანულ გვარ-სახელს ატარებენ (მათი

ნაწილის დაუღალავი მცდელობის მიუხედავად, მამა-პაპისეული გვარის აღდგენას ვერ ახერხებენ). „კაკი კიდევ ძველად თავისუფალი ყოფილა, ყოველივე ხარჯისა და გადასახადისაგან განთავისუფლებული, რადგან მისი მცხოვრებნი ყარაულის – დარაჯის როლს ასრულებდნენ. სოფელი ქურმუხის ვიწრო ხეობაშია შეჭრილი, საიდანაც გზა დაღესტანში გადადის, ამიტომ კაკელნი დარაჯად იდგნენ, რომ არ შემოეშვათ, გზა არ მიეცათ საქართველოს ასაკლებად წამოსულ ლეკთა ურდოებისათვის. საქართველოს მეფენი დიდ პატივს სცემედნენ მათ, ანებივრებდნენ და ასაჩუქრებდნენ, რათა კარგად და მუყაითად აესრულებინათ თავიანთი მოვალეობა. ამ განებივრებისაგან წარმოსდგა მათი სიამაყე, თავისუფლებისმოყვარეობა და შეუპოვრობა. სრულიად წინააღმდეგს წარმოადგენენ ელისენის (ალიაბადის) ინგილოები; ყველაფერში ეტყობათ, რომ წინათ ლეკთა ბატონობას მათზე დიდი დაღი დაუსვამს“ (ყულოშვილი 2004: 25-50). აღსანიშნავია ისიც, რომ „ინგილოურს სრულიად განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქართული ენის მრავალრიცხოვან დიალექტთა შორის. ინგილოური ორ კილოკავად იყოფა: კაკურად და ალიაბადურად. კაკური ინგილოელთა უმრავლესობის სალაპარაკო კოლოკავია, მასზე მეტყველებს ინგილოებით დასახლებული 10 სოფელი კახის რაიონში. ალიაბადური კი მაჰმადიანური ინგილოების მეტყველებაა. ესენი ძირითადად ძველი ჭარისა ანუ ამჟამინდელი ზაქათალის რაიონში შემავალი სოფლის – ალიაბადის მკვიდრნი არიან“ (ყულოშვილი 2004: 25-50).

მემატიანეთა თქმით, საინგილოს ტერიტორია მოფენილია მართლმადიდებლური ეკლესიის ნანგრევებით (ადამია 1979). „მკვლევარნი ამტკიცებენ, რომ ეკლესია-საყდრების ნანგრევთა ნაშთები და მათი კვალი საქართველოს არც ერთ მხარეში ისე უხვად არ იძებნება, როგორც საინგილოს ტერიტორიაზე“ (ყულოშვილი 2004: 25-50).

შიდა დაპირისპირების გარდა, ეროვნული უმცირესობა რელიგიური პრობლემებითაც უპირისპირდება აზერბაიჯანის დომინანტ მოსახლეობას. ამ ფაქტს წარმოაჩენს გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“: „საინგილოში გიორგობის დღესასწაულზე ქურმუხის საყდარში მისვლით ადგილობრივმა

მოლამ „მარხვა გატეხა“, თუმცა მოქალაქეობრივი ვალი მოიხადა და „პოლიტიკური ნაღმი“ კიდევ ერთი მუჭა მიწით დაასამარა. სწორედ „ორუჯ ბაირამი“ აღმოჩნდა მიზეზი იმისა, რომ წლეულს წინა ათწლეულებთან შედარებით ქურმუხის მომლოცველთა შორის ალბანური ფესვების მაძიებელ აზერბაიჯანელთა სიმცირე შეინიშნებოდა“. ავტორი ავტორიტეტებს იშველიებს – მარიამ ლორთქიფანიძე, აკადემიკოსი: „ისტორიული ჰერეთის, დღევანდელი საინგილოს ტერიტორიის მცირე ნაწილი გარკვეულწილად ალბანეთის შემადგენლობაში შედიოდა. აქ ჯერ არაბები მოვიდნენ, შემდეგ თურქ-სელჩუკები დასახლდნენ, შემდეგ გარდატეხის ხანაა... ალბანეთი თანდათან მაჰმადიანურ ქვეყნად იქცა. ალბანეთი – ეს კავკასიური წარმოშობის, ქრისტიანი, საკუთარი დამწერლობის მქონე ერი გამაჰმადიანდა... მოხდა ასიმილაცია. საინგილოში მცხოვრები აზერბაიჯანელები ისტორიული ალბანეთის უშუალო ჩამომავლები არიან თუ იმ თურქ-სელჩუკების, რომლე-ბიც მოვიდნენ და დასახლდნენ, ვერავინ იტყვის. მაჰმადიანები რომ მოდიან ქრისტიანულ ტაძარში, ეს შეიძლება იმით აიხსნას, რომ საქართველოს ისტორიაში ხშირია შემთხვევა, როცა ქართველი მეფეები მართლმადიდებლურ ძეგლებს ძველი წარმართული სალოცავების ადგილას აშენებდნენ. დგას ქრისტიანული ეკლესია, ვერავინ იდავებს იმაზე, რომ ქურმუხის საყდარი მართლმადიდებლური არ არის!“

ზურაბ ეკალაძე, თბილისის სასულიერო აკადემიის პედაგოგი: „XV საუკუნიდან რუსეთთან შეერთებამდე, ერთიანი სახელმწიფოს დაშლის შემდეგ, კახეთის სამეფოს დროს ოთხი ეპარქია არსებობდა: რუსთავის, ბოდბის, ალავერდისა და ნეკრისის, უკანასკნელი ალაზანს გაღმა მხარეს მოიცავდა“.

რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ ქვეყნის ავტოკეფალიაც გაუქმდა. 1917-18 წლებში დამოუკიდებლობასთან ერთად ავტოკეფალიაც აღდგა. 1921 წელს, გასაბჭოების შემდეგ, საინგილო საქართველოს ჩამოაცილეს. მიუხედავად ამისა, უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის, ძალისხმევით იქაური ეკლესიები საპატრიაქოს დაქვემდებარებაშია“ (ყულოშვილი 2004: 25-50).

ზემოხსენებული პუბლიკაციის ავტორი გულისტკივილით აღნიშნავს, რომ ადგილობრივი მედია ცდილობს ქურმუხის ქრისტიანული ტაძარი, ქართველებისა და ქრისტიანობის სიმბოლო საინგილოში, აქ კომპაქტურად ჩასახლებული აზერბაიჯანელებისა და აბორიგენი ქართველობის საერთო სალოცავად გამოაცხადოს. პუბლიკაციაში ციტირებულია გაზეთ „შელალეს“ ქართულენოვანი რედაქციის ანონიმური სტატია – „ლოცვის დღე კახში“ (1998 წ.), რომელშიც აღნიშნული ტენდენცია ნათლად ვლინდება. ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, ავტორი მკითხველთა ყურადღებას ამახვილებს იმ საშიშროებაზე, რომ ადგილობრივი ხელისუფლების ჩაგონებით ქრისტიანული დღესასწაული (გიორგობა) მალე შეიძლება სახალხო ზეიმად იქცეს. დაფიქსირებულია ადგილობრივთა შეშფოთებაც: „ერთ დროს აქ უბრალო ხალხი ამოდიოდა, ახლა კი ადგილობრივი ხელისუფლება თავად არის დაინტერესებული, რომ მღვდლის გვერდით მოლაც ამოვიდეს. საგალობლებს კი ნაღრა-ზურნის ხმა აღშობდეს“ (ყულოშვილი 2004: 25-50). კონფლიქტი ყოფითი სიტუაციებიდანაც შეიძლება წარმოსდგეს, ერთ-ერთი რესპონდენტი ეჭვობს, აზერბაიჯანელთა დაინტერესება მართლმადიდებლური ძეგლით ძველი ქრისტიანობის ანარეკლი იყოს...“ ავტორი, იქიდან გამომდინარე, რომ ეს ხუროთმოძღვრული ძეგლი საპატრიარქოს გარდა აზერბაიჯანის ძეგლთა დაცვის კომიტეტსაც ექვემდებარება ორივე უწყებას ამ ეკლესიის ამოქმედებისაკენ მოუწოდებს, ამისათვის საქმეში საქართველოს ძეგლთა დაცვის კომიტეტის ჩართვასაც მოითხოვს და პრობლემის მოგვარებაც ასე ესახება.

საინგილოს ქართველებს ამ 6-7 წლის წინათ უკრძალავდნენ კიდეც ქურმუხის საყდარში მისვლას, ახლა ეს ნებადართულია, თუმცა „Сейчас они уже могут посещать ее, хотя из всего количества посетителей грузины составляют примерно 10%. Этот факт здесь комментируют по разному. Некоторые считают, что азербаиджанцев в церковь специально привозят на автобусах, чтобы они численно превосходили грузин, а иные говорят – пусть мусульмане, если они верят в чудодейственную силу этой церкви, молятся с христианами“ (ყულოშვილი 2004: 25-50).

„კავკასიურ სახლში“ ინგილოთა ხვედრზე მოგვიანებით საუბრობდნენ. შეხვედრის ამსახველ პუბლიკაციაში რესპონდენტის ამ საკითხთან დაკავშირებული გულისწყრომა ამოვიკითხეთ: „Жители Эрети для сохранения родного языка и веры предпочитают оставить свои родные места и переселиться в Грузию. Мы хотели поддерживать дружеские отношения с Азербайджаном однако дружба не должна быть односторонней. Нельзя попирать чужие права, в том числе и право на свободу вероисповедания“ (ყულოშვილი 2004: 25-50).

ერთ-ერთი ავტორი საინგილოში ქრისტიანობის მალულად შენარჩუნების ტრადიციებზე საუბრობს და თანამედროვე ანალოგს საქართველოს ისტორიის სწავლებაშიც ამჩნევს: „თანამგზავრი იმასაც შემოგჩივლებს, რომ ქართველ ბავშვებს მშობლიური ერის ისტორიას აღარ აცნობენ, იმ ფაკულტატური საათების ხარჯზეც კი, რომელიც იმის შიშით გააუქმეს გასულ წელს, რომ პედაგოგები გაკვეთილზე ისტორიის გამყალბებლად არ ექცეთ?!... ინგილოებიც ძველს ხერხს მიმართავენ, ისინი საქართველოს ისტორიას მალულად ეცნობიან!... აი, თურმე საიდან იცის მოსაუბრემ თავისი კუთხისა და ერის შესახებ... მაგრამ მეგზურობას ვერ გაგიწევს ის, ვინც ისტორიის ქარტეხილში საკუთარი სახელი და გვარი დაივიწყა... თურმე, ისტორიის სახელმძღვანელოების გატანა სასტიკად აკრძალულია. ბუნებრივია, არ სურთ ეროვნული მარცვალი გააღვივონ აზერბაიჯანში დარჩენილ ქართველთა შორის“ (ყულოშვილი 2004: 25-50).

განათლების საკითხებზე საუბარს ბევრგან წავაწყდით. საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის ეროვნებათშორისი ურთიერთობის განყოფილების რეფერენტ ლადო ასლამაზაშვილის განცხადებით, „Грузия в 2002 году выделила 30 тыс. лари для приобретения учебников для соплеменников за рубежом, из них – 20 тыс. для школьников Саингило. Для грузинского населения Саингило ежегодно выделяется лимит – 70 мест в ВУЗ-ах Грузии“ (ყულოშვილი 2004: 25-50). აბორიგენ ქართველებს საინგილოში ცხოვრების სანაცვლოდ გააზერბაიჯანელებას სთხოვენ: „И сегодня нам говорят, что если мы хотим жить в этом районе то должны стать азербайджанцами. Во многих деревнях грузинский язык знают лишь те, кому за пятьдесят. Впрочем, в грузинских деревнях

пока еще существуют грузинские школы, но и они на грани закрытия... В годы советской власти, когда в Грузии было 164 азербайджанских школ, никогда не ставился вопрос о закрытии грузинских школ в Азербайждане к сожалению, политика направлена на то, чтобы мусульмане-грузины забыли и свой родной язык“ (ყულოშვილი 2004: 25-50).

აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებობს 12 სკოლა, რომლებშიც ქართულ ენაზე მიმდინარეობს სწავლება: ზაქათალის რაიონი – 4 (ოთხივე შერეული); ბელაქანის რაიონი – 1 (შერეული) და კახის რაიონი – 7 (ერთი შერეული და ერთი ცხრაკლასიანი). „კავკასიურ სახლში“ საინგილოს წარმომადგენელთა შეხვედრისას გაირკვა, რომ „В грузинских школах Кахского района с октября прошлого года а в Закатала и Белаканы – уже многие годы не преподаются история и география Грузии даже на факультативном порядке“ (ყულოშვილი 2004: 25-50). ამის მიზეზად სახელდება ის, რომ ამიერ-კავკასიის უმცირესობებს (საქართველოში არსებულ უკრაინულ სკოლაშიც კი) არ ასწავლიან მშობლიურ ისტორიას, ეს იწვევს ადგილობრივთა გულისწყრომას: „Педагог Кахской первой средней школы Эмзар Сукашвили с горечью отметил, что грузины в Саингило стали неким балансирующим механизмом азербайжданцев, компактно проживающих в Грузии, в Квемо Картли, в действительности, представители обеих наций оказываются в проигрыше“ (ყულოშვილი 2004: 25-50). ამ ფაქტს ეხმიანება მწერალ ნაირა გელაშვილის მოგონება: „Выражение – Кавказ наш общий дом - принадлежит прекрасному азербайджанскому учено-тюркологу, литератору Айдину Мамедову. В 1990 году Айдин Мамедов руководивший центром переводчиков Азербайджана, встретился в Тбилиси с делегацией Армении. Естественно, вопрос коснулся Карабахской проблемы. Тогда прозвучало соображение, что к несчастью, у народов кавказа нет общей идей, без которой нацилнальное движение окажется ложным и гибельным. Кавказ стал полигоном военных маневров и для его спасения народы, населяющие его, должны объявить мораторий на всякий территориальные притязания друг к другу, хотя бы на 10-15 лет! За это время страны Кавказа окрепнут экономически и может быть, не захотят уже воевать“ (ყულოშვილი 2004: 25-50). საქართველოში მოსახლე აზერბაიჯანელთა პრობლემებზე მსჯელობისას 1989 წელს აიდინ მამედოვი

აცხადებდა: „Если азербайджанцы совершают что-либо такое, что будет против Грузии, то... я, в свою очередь, позабочусь о жителях Саингило...“ აიდინ მამედოვს პარლამენტარობისას პრეზიდენტობის კანდიდატადაც განიხილავდნენ, თუმცა ამგვარი ლიბერალური გამოსვლები არ აწყობდა აზერბაიჯანის ხელისუფ-ლებას და ამის შემდეგ აიდინ მამედოვი გაურკვეველ ვითარებაში დაიღუპა...

ორივე ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებით დაკომპლექტებული შერეული კომისია დიდი ხანია არსებობს, სწორედ მას ევალება განათლების, კერძოდ, მშობლიური ისტორიისა და გეოგრაფიის სწავლების საკითხის მოგვარება: „Специальная комиссия, созданная из ученых обеих стран с целью избавить учебники истории от фальсификсции, бездействует из-за отсутствия финансирования“ (ყულოშვილი 2004: 25-50). აღსანიშნავია ისიც, რომ, სახელმძ-ღვანელოს გადატანისას ორი სახელმწიფოს საზღვარზე პრობლემა ჩნდება: „Четыре года назад на Азербайджанской таможне возникли проблемы в связи с перевозкой 10 тысяч учебников грузинского языка. Были отобраны учебники истории и атлас Грузии. Перевезти позволили лишь небольшую часть груза“ (ყულოშვილი 2004: 25-50). სამწუხაროდ, მისი მიზნმიმართულად განაწილება ხელოვნურად ფერხდება: „Проблемой является и то, что финансируемое из бюджета Грузии снабжение школьников Саингило учебниками из Грузии не достигает цели, так как учебники, доставленные на места «распределяются» представителями местных властей по их усмотрению“ (ყულოშვილი 2004: 25-50). არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელმა ზაურ ხალილოვმა, ავტორის თქმით, რაციონალური წინა-დადება შესთავაზა მესაზღვრეთა თვითნებობით გულმოსულ საინგილოს წარმომადგენელს: „Если на границе даже и у официальных представителей возникают проблемы, почему вы не ставите эту проблему более масштабно, тем более, что Азербайджан стал членом совета Европы и, соответственно, обязан защищать права человека“ (ყულოშვილი 2004: 25-50).

საინგილოში ჩასულებს ქართული სკოლის მონახულებისათვის სჭირ-დებათ ადგილობრივი განათლების განყოფილებიდან ნებართვა. ავტორები ხშირად გამოთქვამენ გულისტკივილს, რომ „დირექტორის სახეზე სიხარულის ნაცვლად შეშფოთებას ვკითხულობთ. მოგვანებით ამის მიზეზსაც ვიგებთ. თუ

სკოლის შენობაში რომელიმე ქართველი ცეკვას ანდა სიმღერას გაბედავს, იგი სამსახურს დაემშვიდობება. ქალბატონი ნათელა (სკოლის დირექტორი) მადლობასაც კი აგრესიულად გვეუბნება და ძრწოლით უყურებს ჩვენს თანმხლებ მასპინძლებს. მიუხედავად ყველაფრისა, ქართულ სკოლაში ქართული ჰანგები მაინც გაისმა. ინგილო ვაჟკაცებმა ცდუნებას ვერ გაუძლეს, ნაჩუქარ საკრავებზე ჩამოჰკრეს და ქართულად შემოსძახეს, მრავალჟამიერმა აზერბაიჯანელ ჩინოვნიკთა სახეზე ნერვიც კი არ აატოკა. ქართული სკოლის დირქტორს კი ერთი სული ჰქონდა, იქაურობას გავცლოდით“ (ყულოშვილი 2004: 25-50).

ამგვარ პრობლემას წააწყდა ია მერკვილაძეც: „Оказалось, что местные власти не в восторге от того, что наша делегация в 30 человек посетит грузинскую школу“ (ყულოშვილი 2004: 25-50). ადგილობრივი განათლების განყოფილების ხელმძღვანელის თანხმობის შემდეგ ისინი შეხვდნენ სკოლის მოსწავლეებს, რომელთა თხოვნა გულის სიღრმეს სწვდება: „Пожалуйста, привозите грузинские книги, игрушек нам не нужно, мы уже большие“.

საინგილოს მკვიდრი თემურ ალიევი, – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მეხუთეკურსელი, – „საქწიგნის“ მიერ გამართულ წიგნების ბაზრობაზე ყოველდღე ცხადდება: „ჯერ წიგნს გადაუსვამს ხელს, თითქოს ეფერებაო, შემდეგ ყიდულობს, ჩაიხუტებს და მიდის“ (ყულოშვილი 2004: 25-50). ასეთი დამოკიდებულება იმან განაპირობა, რომ საინგილო ქართული წიგნებით არასდროს ყოფილა განებივრებული. ამიტომ არც ის არის გასაკვირი, ინგილო სტუდენტი ხშირად რომ სტუმრობს ჩამოფასებული წიგნების ბაზრობას. გაზეთის საიუბილეო ნომერში აღნიშნული მასალა იმიტომაც მოხვდა, რომ საინგილოს პრობლემებს არაერთხელ გამოხმაურებია და იქაურების სიყვარულიც დაუმსახურებია – „კარგი იქნებოდა, თქვენი გაზეთი საინგილოშიც ვრცელდებოდესო“... (ყულოშვილი 2004: 25-50).

ჩვენ უკვე ვისაუბრეთ ტერმინ „ინგილოს“ შესახებ, თუმცა განხილულ მასალებში ხშირად საუბრობენ ამ საკითხზე და გვერდს ვერც ჩვენ ავუვლით: „Ингило“ – означает принявший другую веру“, ამ პუბლიკაციაში რესპონდენტის გულისწყრომა ამოვიკითხეთ: „Сами грузины называют нас ингилойцами, как будто

все хотят забыть, что там живут грузины, число которых в трёх районах Эрети (Кахском, Закатальском и Белаканском) составляет более 32 тыс. человек“... სხვაგან – „Ингило“, по-арабски «Хенгилоус», означает обращенных в веру – но мы не обращены! Мы грузины – Эретцы. Начиная с Шаха Аббаса, нас вынуждали поменять веру, пытали, но мы выстояли. Сейчас нас никто не беспокоит, но... лет 10 назад наше село называлось – «Кахкартвели» – «Кахгрузинское», но власти поменяли ему название. Сейчас оно называется «Кахингило»“ (ყულოშვილი 2004: 25-50).

ეთნოგრაფიული სახელების შეცვლა რა მოსატანია იმასთან, რაც ქართველთა გამუსლიმებას ერთვის – გააზერბაიჯანელება. „მეგზურობას ვერ გაგიწევს ის, ვინც ისტორიის ქარტეხილში საკუთარი სახელი და გვარი დაივიწყა... დილაობით, როცა მინარეთელი სოფლის ბოლოს ლოცვას აღავლენს, სოფლის თავს „მრავალჟამიერი“ ავსებს... უნებურად უფსკრულების სიღრმის საზომად ნასროლი კენჭი გაგონდება, აქ რომ ჯიშ-ჯილაგის, სისხლის ყივილის მრავალჟამიერად ახმიანდა და ზოგიერთ რაიონში (ზაქათალა, ბელაქანი) ექოსაც აღარ იძლევა ერების გათქვეფა-შესისხლხორცების გამო...“ (ყულოშვილი 2004: 25-50). ქართული გვარის აღდგენის საკითხი მეტად აქტუალური საკითხია, თუმცა ამ თემაზე პრესა რატომღაც დუმს. ეს საკითხი ჩვენს ხელთ არსებულ პუბლიკაციებს შორის მხოლოდ ერთგან ამოვიკითხეთ: „Грузины, проживающие в Закатала-Белаканы массово носящие азербайджанские фамилии, говорили о предоставлении им возможности востановить грузинские фамилии. Несмотря на вмешательство законодательных органов Грузии, этот вопрос еще не может решиться положительно.

Местные власти в этом районе пытаются держать местное грузинское население в полной изоляции от грузинских делегаций, приезжающих в регион, а также от населения Кахского района, в большей степени сохранившего свою этническую идентичность. Художественный ргрузинского народного театра в связи с этим заявил: «Раньше эта проблема не существовала... она принесена временем и ее решение мы должны искать в самих себе“ (ყულოშვილი 2004: 25-50).

მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებაც, რომ ადგილობრივ ქართველებს მკაფიოდ გამოხატული ეროვნული ინტერესები გააჩნიათ და ნებისმიერ

გადაკრულ სიტყვასაც გამოხმაურებით პასუხობენ. ამის თვალსაჩინო მაგალითია „მუხის ფოთოლი“, რომელშიც ავტორი მხატვრული ელემენტების მოშველიებით ეხმიანება ნუგზარ შატაიძის პუბლიკაციას. „მხოლოდ ამ სიტყვების გამოც... მაგრამ საინგილო და ვენახი?! საინგილოში თურმე დღესაც წურავენ ყურძენს და „დედას პურებსაც“ აცხობენ, იქაურ ჰაერში ისევ ქართული სურნელი ტრიალებს“ – ავტორი ეჭვს გამოჰყავს მდგომარეობიდან და ეპიგრაფად იშველიებს რეზა ხუციშვილის, ფერეიდნელი ქართველის, სიტყვებს: – „მიჯობს ირანში გურჯი მიწოდონ, ვიდრე საქართველოში თათარი“ – ყველაზე კარგად გამოხატავს მდგომარეობას სიტყვები: – „ვენახებ ბინაზეც გოქონდა აჩეხეს ქართულთან სიახლოვის გამო... თამბაქოს პლანტაციები გააშენეს... ქართულთან შეუგუებლობის გამო... ახლა მათ ადგილას სიმინდის ჭალებია.. ახალმოხნულზე მიწიდან ვაზის ჯიღა თუ ამოვარდეს არავის უკვირს, რადგან ყველამ იცის, ჩვენებურმაც, არაჩვენებურმაც, საკუთარ გულში ყველას უთქვამს: „ქართული ფესვების სიძლიერეს დროც ვერ გასტეხს...“ (ყულოშვილი 2004: 25-50).

საინგილოში დღის წესრიში დგას კულტურული ავტონომიის საკითხი. ორივე სახელმწიფოს მცდელობა ამ სფეროს აღორძინებისა ქვედადინებების გამო ვერ ხორციელდება: „სტუმრად მყოფმა მინისტრებმა შარშან კახში კულტურის ცენტრი და ინგილო მოღვაწის მოსე ჯანაშვილის მემორიალური დაფაც გახსნეს... სიმბოლურად. სამომავლოდ გადაიდო მოსე ჯანაშვილის სახლ-მუზეუმის გახსნა, ახალი ქართული გაზეთის გამოცემა... ახალი ქართული გაზეთი კი არა, აზერბაიჯანულ ენაზე გამომავალი გაზეთის „შელალეს“ ერთი ქართულენოვანი გვერდიც მოისპო. კახის კულტურის ცენტრს ერთი დღეც არ უმუშავია“ (ყულოშვილი 2004: 25-50). მოგვიანებით საქართველოს კულტურის სამინისტროს ინიციატივით მხატვრული ლიტერატურა, საინგილოში არსებული ანსამბლებისთვის მუსიკალური საკრავები, კახის რაიონის კულტურის ცენტრისათვის რამდენიმე ფერწერული ტილო ჩაიტანეს ამ უწყების წარმომადგენლებმა. კულტურის ცენტრის უფუნქ-ციობის რამდენიმე მიზეზი არსებობს. „სასურველია, აზერბაიჯანის კულტურის სამინისტრომ მას სამი შტატი მაინც გამოუყოს“ – გია

ცქიტიშვილი, კულტურის მინიტრის მოადგილე ადგილობრივ აზერბაიჯანელ ჩინოვნიკებს ახსენებს, რომ 1996 წელს დაარსებული აზერბაიჯანის კულტურის ცენტრი საქართველოში წარმატებით ფუნქციობს. ხაიმ მამედოვმა მშვიდად მოისმინა გია ცქიტიშვილის სიტყვები და სათქმელი რამდენიმე წინადადებით გამოხატა – ვერ დაგეთანხმებით, თითქოს კახის რაიონის ქართული კულტურის ცენტრი უსაქმოდ იყოს, თუმცა, არც იმას უარვყოფთ, რომ ჩვენს დახმარებას საჭიროებენ. უფრო მთავარი, ალბათ, ის არის, რომ ხელს არ ვუშლით. უწინარესად, ყველაფერზე ორი ქვეყნის კულტურის მინისტრები უნდა შეთანხმდნენ და შემდეგ კოორდინირებას თავად გავუწევთ“ (ყულოშვილი 2004: 25-50).

კულტურის ცენტრს მიღმა რჩება ქართული ხალხური სიმღერისა და საეკლესიო გალობის ანსამბლი „ლაზარე“, რომელსაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტმა უმასპინძლა. აღნიშნულ მოვლენას სამი პუბლიკაცია ეხმიანება. „კონცერტს, რომელიც ჟურნალისტიკის ფაკულტეტისა და ინგილოთა ანსამბლის „ლაზარეს“ ერთობლივი ძალებით გაიმართა, მაყურებელი ნამდვილად არ მოჰკლებია; კონცერტმა ყველა დამსწრეს ესთეტიკური სიამოვნების გარდა, სამშობლოს „გასაკვირველი განცდაც“ დაუბრუნა და ამითაც აღმოჩნდა ეს დღე მნიშვნელოვანი, როგორც სტუმრებისათვის, ასევე მასპინძლებისათვის, თუმცა ამ შემთხვევაში ამ სტუმარ-მასპინძლობამ ქართველებისათვის რაღაცით ჩვეულს გადააჭარბა, თუნდაც იმიტომ, რომ ინგილოებს მხოლოდ სტუმრებს ვერ დავარქმევთ, ისინი ისტორიულ სამშობლოში – საქართველოში მართავდნენ თავიანთ პირველ კონცერტს, პირველს, რადგან ანსამბლს „ლაზარეს“ და პატარა მოცეკვავეებსაც თსუ-ს ჟუნალისტიკის ფაკულტეტის თაოსნობითა და ხელშეწყობით ეღირსათ დიდი კონცერტის გამართვა საქართველოში... ანსამბლის წევრები მადლიერებას ვერ ფარავდნენ იმ ადამიანთა მიმართ, რომელთაც „ჰერეთობის“ ასე კარგად ორგანიზებაში თავიანთი წვლილი შეიტანეს და ამ მადლიერებასთან ერთად – შეძლებულმა პიროვნებებმა იქნებ ერთხელ დააფინანსონ ჩვენი ანსამბლიო – ესეც ითხოვეს ინგილოებმა“ ავტორს მიაჩნია, რომ ამგვარი ქველმოქმდებით არა მხოლოდ მატერი-

ალურ პრობლემას მოუგვარებენ ინგილოთა ერთ-ერთ ანსამბლს, არამედ საშვილიშვილო ტრადიციასაც დაუდებენ სათავეს.

ამ ფაქტს „Кавказский Акцент“-შიც ეხმიანებიან პუბლიკაციით „Воскрещение Лазаря!“, რომელშიც ნათქვამია: „В ансамбле «Лазаре» непрофессионалов больше, чем профессионалов. Его значение для сохранения грузинского этноса в негрузинском окружении трудно переоценить, так как грузинская народная песня, известная во всем мире, как уникальное явление, отражающее дух народа, является незаменимой для выполнения этой задачи“ (ყულოშვილი 2004: 25-50).

ანსამბლის შექმნის ისტორიას გვამცნობს და დედაქალაქში მათი მორიგი სტუმრობის შესახებ გვიყვება თათია ბალიაშვილი: „მრავალი ათეული წლის განმავლობაში საინგილოს ქართული ხალხური სიმღერის მადლი აკლდა. საქართველოდან მხოლოდ იშვიათად სტუმრად ჩასული ანსამბლები თუ უმღერებდნენ ქართულ სიმღერას დანატრებულებს. თავადაც მღეროდნენ აქაიქ ყურმოკრულს, ზოგჯერ კარგად, ხშირად კი დამახინჯებულად... 1987 წელს კახის რაიონის სოფელ კაკში (ოფიციალურად „კახინგილო“) ორი ახალგაზრდა, გია კალანდაძე და დავით შუღლიაშვილი, ჩავიდა, იქ ადგილობრივ მკვიდრთაგან ხალხური სიმღერის გუნდი „შვიდკაცა“ ჩამოაყალიბა, ასწავლა რამდენიმე სიმღერა და ერთ წელიწადში დატოვა საინგილო. ცოტა ხანს კიდევ იარსება უხელმძღვანელოდ დარჩენილმა „შვიდკაცამ“ და ბოლოს დაიშალა... 2001 წლის 23 ნოემბერს კაკის მკვიდრმა, სერგო ზაქარიაძის სახელობის კულტსაგანმანათლებლო სასწავლებლის კურსდამთავრებულმა, ზურა ტარტარაშვილმა შეკრიბა ყოფილი „შვიდკაცას“ რამდენიმე წევრი და ხალხური სიმღერების ანსამბლი „ლაზარე“ შექმნა“ (ყულოშვილი 2004: 25-50).

ანსამბლის მორიგი მასპინძლობა თავისთავზე აიღო თბილისის მერიის კულტურის სამსახურმა და ფირმამ „ჰერმესი პლუსი“. ალ. გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო რუსული დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა ავთო ვარსიმაშვილმა გუნდს კონცერტის გასამართავად უსასყიდლოდ დაუთმო თეატრის დარბაზი. ჟურნალისტი საყვედურს

გამოთქვამს – დარბაზი სანახევროდაც არ შეივსო იმის გამო, რომ ორგანიზატორებმა რეკლამაზე არ იზრუნეს.

ავტორი საუბრობს იმ პრობლემაზეც, რომელიც „ლაზარეს“ განვითარებას აფერხებს: „მას სარეპეტიციო შენობაც კი არ გააჩნია. საქართველოსა და აზერბაიჯანის კულტურის სამინისტროების მიერ ორი წლის წინათ კაკში „გახსნილი“ კულტურის ცენტრის ცარიელ შენობაშიც, რომელსაც დღემდე კლიტე ადევს, რატომღაც ვერ გამოინახა ამ გუნდისათვის ერთი ოთახი. ამიტომ ანსამბლის წევრები ერთმანეთის ოჯახებში, ხშირად კი, ღია ცის ქვეშ ატარებენ რეპეტიციას. გუნდს საერთო სენი, „უფულობაც“ აწუხებს, მომღერლებს ჩოხა-ახალუხებიც არა აქვთ (თუმცა, ამ კონცერტის დღეს „ჰერმესი პლუსის“ პრეზიდენტმა გია ნუცუბიძემ სცენაზე განაცხადა, სექტემბრისათვის ანსამბლის ყველა წევრს ეროვნული სამოსი ექნებაო!)“ (ყულოშვილი 2004: 25-50).

ავტორს იმედს უნერგავს ის, რომ „ლაზარეს“ წევრები ჰერეთში, თუნდაც ღია ცის ქვეშ, ქართულ სიმღერას მღერიან.

ანსამბლის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა, ემზარ სუყაშვილმა, მოგვიანებით „კავკასიურ სახლში“ გამართულ სემინარზე მიუთითა: „В отличие от театра, имеющего возможность знакомить со своим творчеством лишь незначительную часть населения, их ансамбль знакомит с грузинской полифонической музыкой и местным фольклорным материалом 99% населения. Единственным путем спасения этнической самобытности населения он считает культурно-просветительскую деятельность“ (ყულოშვილი 2004: 25-50).

ამავე შეხვედრაზე საინგილოს ქართული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა, დიტო ბარიხაშვილმა, განაცხადა: „Хотя театр лишен элементарных условий для творческой работы, мы востановим старый репертуар, создадим новые спектакли“ (ყულოშვილი 2004: 25-50). სოსო ბაკურაძე, თეატრ-სტუდია „ჰერეთის“ ხელმძღვანელი, ადგილობრივ ნიჭიერ ახალგაზრდებს ეძებს დასის შესავსებად: „Он помогает местным авторам в создании пьес, отражающих местную проблематику. Он собирается также показать скетчи, поставленные в театре на азербайджанском языке, и в других районах Азербайджана,

что по его мнению, будет способствовать интеграции местных грузин в общество страны“ (ყულოშვილი 2004: 25-50).

თეატრის შესახებ უფრო დაწვრილებით ცნობებს გვაწვდის ჟურნალი „ომეგა“. პუბლიკაციაში თეატრის ისტორიაა მოთხრობილი: „საინგილოს ქართული თეატრი, რომელიც რეჟისორმა ანზორ დოლენჯაშვილმა ოცი წლის წინათ დააარსა, ამას წინათ დახურვის პირადაც კი აღმოჩნდა, იმ უბრალო მიზეზით, რომ ორი სახელწოდების მქონე ერთ შემოქმედებით კოლექტივს ორხელისუფლებიანობის პირობებში უწევდა მუშაობა. თავდაპირ-ველად ანზორ დოლენჯაშვილი დრამატულ დასს ხელმძღვანელობდა, რომელსაც 1985 წლიდან აზერბაიჯანის კულტურის სამინისტრომ სახალხო თეატრის სტატუსი მიანიჭა, გამოყო რეჟისორისა და სამხატვრო ხელმძღვანელის შტატი და წლების განმავლობაში აფინანსებდა კიდეც. ოთხი წლის შემდეგ კი, სახალხო თეატრის ბაზაზე საქართველომ, მატერიალური მხარდაჭერის მიზნით, თეატრ-სტუდია „ჰერეთი“ შექმნა, ორსახელიან დასს თეატრის სულისჩამდგმელი – ანზორ დოლენჯაშვილი ხელმძღვანელობდა, სანამ ფულის გაფლანგვის ბრალდებით არ ჩამოაშორებდნენ. „თეატრმა უნდა იარსებოს! ჩვენ დაღუპვის უფლება არა გვაქვს!“ – ერთსულოვანი იყო დასი, რომლის წევრებსაც შეგნებულ-გათვითცნობიერებული ჰქონდათ მისი ეროვნული მნიშვნელობა საინგილოში. დაპირისპირებას იწვევდა ორი ხელმძღვანელი: საქართველოს კულტურის სამინისტროსაგან მივლინებული ლეონტი შიოშვილი და ადგილობრივი ხელისუფლების მიერ დანიშნული ნაილი თოფლაშვილი. ამ საკითხზე მათ თეატრის ოცი წლის იუბილესთან დაკავშირებით საინგილოში ჩასულ საქართველოსა და აზერბაიჯანის კულტურის მინისტრებს, სესილი გოგიბერიძესა და ფოლად ბულბულოღლის მიმართეს, თბილისშიც ჩამოვიდნენ და საკითხის სახელმწიფოებრივ დონეზე გადაწყვეტის ნაცვლად ორი თვის საგულდაგულო შერჩევისა და დასის სურვილის გათვალისწინებით თეატრ-სტუდია „ჰერეთის“ სამხატვრო ხელმძღვანელად დომენტი ბარიხაშვილი დანიშნეს, თუმცა ორხელისუფლე-ბიანობა ამით ვერ აღმოიფხვრა ანუ პრობლემა პრობლემად დარჩა“ (ყულოშვილი 2004: 25-50).

ამის მიუხედავად, რეჟისორმა დიტო ბარიხაშვილმა პრემიერა წარუდგინა მაყურებელს – ედგარ პოს „დოქტორ პაპაჩატის ვალსი“. პრემიერამ წამატებით ჩაიარა. კულტურის მინისტრის მოადგილემ, გ. ცქიტიშვილმა, სამინისტროს დრამატული თეატრების სამმართველოს უფროსმა ზ. ოიკაშვილმა და თეატრის ახალმა დირექტორმა ს. ბაკურაძემ მსახიობებს ვ. მალუმაშვილს, გ. შიოშვილს, ბ. ჭაჭაშვილსა და შ. ემრაშვილს ღირსების ორდენები გადასცეს, რაც შემოქმედებითი სტიმულია ადგილობრივებისათვის. ამასთან, ავტორი თეატრის (კულტურის სახლის) დაბზარულ კედლებზე, ნახევრადამორტიზებულ იატაკზე საუბრობს და საქართველოში ქველმოქმედ ადამიანებს დახმარებისათვის მიმართავს. სხვათა შორის, ავტორი ის გულიკო მამულაშვილია, რომელიც საინგილოში ქართული დრამატული დასის დაარსების დღიდან მისი გულშემატკივარი და თანამდომია.

უფრო ადრე კი, თეატრის ოცი წლის იუბილისადმი მიძღვნილ პუბლიკაციაში ავტორი ნინო კიკილაშვილი-მაჩაბელი ა. დოლენჯიშვილის ავტორიტეტის რეაბილიტაციაზე საუბრობს...

ა. ხორავას სახელობის მსახიობის სახლმა საინგილოს თეატრს უმასპინძლა, წარმოდგენილი იყო ედგარ პოს „დოქტორ პაპაჩატის ვალსი“ და ვლ. მალიაგინის „მამა არსენი“. „საინგილოს ქართული თეატრის ჩამოსვლის მიზანი არის ის, რომ ქართველმა მაყურებელმა კიდევ ერთხელ გაიხსენოს ალიბეგლოს თეატრის არსებობა“ (ყულოშვილი 2004: 25-50) – განაცხადა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა დ. ბარიხაშვილმა.

მოგვიანებით ალიბეგლოს ილია ჭავჭავაძის სახელობის თეატრში დაიდგა ქართველი მწერლის, პროფესიონალი დიპლომატის, აზერბაიჯანში საქართველოს საელჩოს მრჩევლის, გელა დუმბაძის პიესა „ღამის სტუმარი“. რეჟისორმა დ. ბარიხაშვილმა დასთან ერთად პიესის მაღალპროფესიულ დონეზე დადგმა შეძლო. ამაზე მეტყველებდა თბილისიდან ჩასული სტუმრების, რაიონული ადმინისტრაციის ხელმძღვანელობისა და ადგილობრივი მოსახლეობის გულწრფელი მოწონება. დადგმა გამოირჩეოდა მუსიკალური და მხატვრული გაფორმებით.

გელა დუმბაძის პიესა ნარიმან ალიევმა თარგმნა და აზერბაიჯანელ მკითხველს გაზეთ „ენი აზერბაიჯანის“ („მთელი აზერბაიჯანი“) ფურცლებიდან გააცნო, იგეგმება პიესის დადგმა ბაქოს ერთ-ერთ თეატრში. გაზეთ „ჩვენი მწერლობის“ ინფორმაციით, ზურაბ გუმბერიძემ, აზერბაიჯანში საქართველოს ელჩმა, მისასალმებელი სიტყვის შემდეგ დასს საელჩოს სახელით ვიდეომაგნიტოფონი უსახსოვრა (ყულოშვილი 2004: 25-50).

თეატრში ამჟამად არსებულ მდგომარეობაზე და ა. დოლენჯაშვილის გაუარესებულ ჯანმრთელობაზე პრესა დუმს, თუმცა ჟურნალ „ომეგას“ რედაქცია ცდილობს რეჟისორის მორალურ რეაბილიტაციას. როგორც ავტორი აღნიშნავს, ჯანმრთელობაშერყეული რეჟისორი ავადმყოფობის შემდეგ პირველად საუბრობს საინგილოს ქართულ თეატრზე: „ხან იღიმის, ხან სიბრაზე უკრთის თვალებში... თითოეული ბგერას სინანული ახლავს, მაგრამ სათქმელს მაინც ამბობს“ (ყულოშვილი 2004: 25-50). ინტერვიუ-ჩანახატით ავტორს სურს, მკითხველს გააცნოს ა. დოლენჯაშვილის ღვაწლი... ინტერვიუდან ისიც ირკვევა, რომ ა. დოლენჯაშვილი, სანამ საინგილოში თეატრს დააარსებდა, უკვე იცნობდა ამ ისტორიულ კუთხეს: „ჩემი თვალით მინახავს იმდროინდელი საინგილო, რომელიც ძალიან განსხვავდება დღევანდელისაგან. უპირველეს ყოვლისა ადამიანები შეიცვალნენ. ბუნება ხომ შეიცვალა და შეიცვალა, გაჩანაგდა, განადგურდა... თითქოს იქაური ადამიანიც უფრო დაკნინდა, სამწუხაროდ... თითქოს დაბეჩავდა, შიშის გრძნობა გაუჩნდა... რაღაცას შეეგუა იქაური ქართველი... მაშინ ასე იყო... ცოტა სხვანაირი სითამამე და სიამაყე ჰქონდათ. ალბათ, დრომ მოიტანა...“ (ყულოშვილი 2004: 25-50). თეატრის სულისჩამდგმელს დიპლომანტების – მზია მჭედლიშვილისა და მანანა კვირკველიას მიერ საინგილოში გამართული სპექტაკლების შემდეგ გაყინული წერტილიდან დაძრული საქმის შეჩერება დაუშვებლად მიაჩნდა, გაცნობიერებული ჰქონდა, თუკი ქართული თეატრი სჭირდებოდა ვინმეს, უპირველეს ყოვლისა, იქ, საინგილოში, სჭირდებოდათ, სადაც უკვე არსებობდა გარკვეული საფუძველი, პედაგოგები, ადგილობრივი სცენისმოყვარენი კომუნისტების დროს კონცერტებს აწყობდნენ, რაზეც დამყარდა თეატრი. რეჟისორი იხსნებს, რომ აქცენტი მეტყველების დახვეწასა

და ლიტერატურული ქართულით საუბარზე კეთდებოდა. თავიდან დასის წევრობის მსურველი ბევრი აღმოჩნდა, რასაც ა. დოლენჯაშვილი ასე იხსნებს: „შერჩევა გვიხდებოდა. რამდენიმე წლის შემდეგ, ჩემთვის გამოვითვალე, დაახლოებით 150-200 კაცს ჰქონდა მიღებული მონაწილეობა ჩემს სპექტაკლებში ამ პატარა სოფელში. რა დამავიწყებს, რეპეტიციებს რომ ვატარებდი, სოფლის ბირჟები ცარიელდებოდა და მთელი პარტერი, რომელიც დაახლოებით 250 კაცს იტევს, ივსებოდა...“ (ყულოშვილი 2004: 25-50).

ადგილობრივი ხელისუფლებისაგან დაშინებული მოსახლეობა შიშობდა, თეატრის გამო აგვყრიან მამა-პაპის მიწიდანო და ისევ თეატრის მესაძირკვლეს ურჩევდნენ წასვლას. მან კი გაათკეცებულად განაგრძო მუშაობა. „ჩვენს თეატრს პოლიტიკურ თეატრად იხსენიებდნენ, არის სიმართლის მარცვალი ამ ნათქვამში, თეატრი, თავისთავად უკვე პოლიტიკაა! მთელი აქცენტი გადავიტანე მოქალაქეობრივი პოზიციის გამოკვეთაზე და ჩამოყალიბებაზე... ცალკე გვიწევდა მუშაობა, რომ ხალხამდე მისულიყო თეატრი. ერთბაშად არ უღიარებიათ ადგილობრივებს, შიშით, სიფრთხილით ეკიდებოდნენ ყოველ ნაბიჯს, ამიტომ თითოეული მსახიობის მიყვანა თეატრში და მასთან მუშაობა გარკვეულ წინააღმდეგობებთან იყო დაკავშირებული. ზოგი არასერიოზულად უყურებდა საერთოდ ამ საქმეს, მერე და მერე ღმერთის წყალობით ამაღლდნენ თეატრამდე. ხელისუფლების აღიარებას საზოგადოების აღიარებაც მოჰყვა“ (ყულოშვილი 2004: 25-50). ანზორ დოლენჯაშვილის თქმით, ქართველიც და აზერბაიჯანელიც ჩასაფრებულები იყვნენ, ამიტომ უხდებოდათ თამაში... „ეს იყო თამაში, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, თამაში დიდი გახელებით!“ (ყულოშვილი 2004: 25-50).

ჟურნალისტი იხსენებს, რომ მაყურებელმა ა. დოლენჯაშვილი გაიცნო არა მარტო როგორც რეჟისორი, არამედ პიესის ავტორი და მსახიობიც კი... მაგალითად მოჰყავს სპექტაკლები „ალაზანს აქეთ“, „იყიდება საქართველო ანუ ნუ გათათრდები!“ და სვამს კითხვას: „სპეციფიკური“ თეატრალური გამოცდილებით ხომ არ დაიშტამპეთ?! რაზეც რეჟისორი პასუხობს: „პათოსი იყო მთავარი, პატრიოტული პათოსი, თორემ ეს სულ არ მიშლიდა ხელს, რომ რეპერტუარი მრავალფეროვანი ყოფილიყო“ (ყულოშვილი 2004: 25-50).

ა. დოლენჯაშვილმა თეატრის განვითარების საქმეში ადგილობრივი მაყურებლის როლიც გამოკვეთა და გაიხსენა სცენა სპექტაკლიდან „ალაზანს აქეთ“, რომელშიც სტალინის პორტრეტი თოფის გასროლაზე ვარდება. ამას მოსდევს დაჩოქილი ხალხის ფეხზე წამოდგომა, „წამიყვანეს, მაჩვენეს სტალინის ძეგლი, კულტურის სახლის ეზოში რომ დგას: „აი, აზერბაიჯანელები რომ გამოივლიან, ქუდს უხდიან და „სალამ იოლდაშ სტალინ!“ ასე ესალმებიან. ჩვენი სიამაყე და ღირსებაო“ (ყულოშვილი 2004: 25-50). ჟურნალისტი რესპონდენტთან ერთად იხსენებს აღნიშნულ სპექტაკლს, სადაც სიმართლე მძაფრად იყო ნათქვამი, რის გამოც აიკრძალა კიდეც.

სამწუხაროდ, თეატრის უკვე ყოფილ ხელმძღვანელს თხუთმეტკაციანი დასის გახლეჩის ამბები მისდის. გამოსავლად ესახება ის, რომ თეატრს აზერბაიჯანის ხელისუფლებამ სახელმწიფო სტატუსი მიანიჭოს. ამისათვის კი აქ აზერბაიჯანული სახელმწიფო თეატრი უნდა გაიხსნას. იყო კიდეც ამის მცდელობა, რომელსაც სათავეში თავად ანზორი ედგა. „ჩემს დროსაც იყო... ყოველთვის უნდოდათ, რომ დასი გახლეჩილიყო, მე ამას მაქსიმალურად ვაკონტროლებდი. საქმე იქამდე მისულა, რომ ხელჩართული ჩხუბიც მოგვსვლია... კბილებით ვიცავდი თეატრს!“ (ყულოშვილი 2004: 25-50).

ადგილობრივთა უმადურობა გულისტკივილით აღნიშნა რეჟისორმა და თეატრიდან თავისი წამოსვლა ეროვნული საქმის არაეროვნულთან ჭიდილში დამარცხებით ახსნა. საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის ჩინოვნიკების მიერ „დათხოვილ“ რეჟისორს შემცვლელის მიყვანაც არ აცალეს, თუმცა მისი სულიერი გატეხა მაინც ვერ შეძლეს: „ყველაფერი დროებითია! ჩემი ავადმყოფობაც... გაივლის, რაც მე მჭირს... უფრო მნიშვნელოვანი მაქვს გასაკეთებელი... იქაურობა ღვთის ანაბარად არ უნდა დარჩეს!... ახლანდელი რეჟისორი – დომენტი ბარიხაშვილი – ყველაფერს იღონებს... მე მის გვერდით ვარ, სხვათა შორის, დღემდე თეატრის კონსულტანტად ვითვლები“ (ყულოშვილი 2004: 25-50). რეჟისორი პუბლიკაციაში მადლობას უხდის ყველას, ვინც პატრიოტულ საქმეში ეხმარებოდა და იქვე აღნიშნავს: „რაა სამადლობელი? თუ შეგიძლია ქვეყნისთვის უნდა გააკეთო კიდეც!“ (ყულოშვილი 2004: 25-50). თეატრის ბედს ყველას აბარებს, ადგილობრივებს,

ყველას, უმაღლესი ეშელონებიდან, დასის წევრებს ახსენებს რა შემართებით, ენთუზიაზმით, სიყვარულით, ერთიანობით იყო დასი „ალაზნის აქეთ“-ში როგორ თამაშობდნენ. რა ფიცს სდებდნენ, რა ტექსტები ჰქონდათ და ურჩევს დღევანდელ თეატრს ამ კუთხით შეხედონ... გასაწირი თუ ვინმე იყო, ეს მე ვიყავი.... ეს მოხდა... ასეთი შეცდომა აღარ უნდა განმეორდეს... ყველამ კარგად ვიწვნიეთ, ეს შეცდომა ვიმყოფინოთ!“ ინტერვიუში ჟურნალისტი საინგილოში ანზორ დოლენჯაშვილის მიერ დაწესებულ „ილიაობის“ აკრძალვაზეც საუბრობს (ყულოშვილი 2004: 25-50).

ჟურნალი „ომეგა“ მკითხველს საინგილოს ქართველების ტრადიციების შესახებ აწვდის ინფორმაციას – „ქორწინება საინგილოში“: „დასანიშნ ვაჟს და გასათხოვარ ქალს დანიშვნის შესახებ დედ-მამა არას ჰკითხავდა. მშობლები შვილს საბედოს თვითონ ურჩევდნენ. ქალ-ვაჟნი, რამდენიმე ხნის განმავლობაში ვერც კი იტყოდნენ თავისი დანიშვნის შესახებ. როგორც მთელ საქართველოში, ისე საინგილოშიც ქორწილი იმართებოდა შემოდ-გომაზე, ეს უკავშირდებოდა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების დამთავრებას. ნათესავებს ქორწინება ერთმანეთში ეკრძალებოდათ (რაც არ შეიმჩნევა საინგილოს ტერიტორიაზე მცხოვრებ სხვა ეროვნებებში). იკრძალებოდა ქორწინება სხვა ეროვნების წარმომადგენლებთან, რამაც ხელი შეუწყო, რომ ინგილოებმა სუფთად შეინარჩუნეს ქართული ენა 300 წლის განმავლობაში“ (ყულოშვილი 2004: 25-50). ქორწინების შესახებ მასალები ჟურნალიტს სოფელ ალიაბადის მცხოვრებლებმა – შანსი მუსაევმა, ფატიმა ჰუსეინოვმა, ჩიჩაქა ყუბანოვმა მიაწოდეს, ხოლო ბავშვის დაბადებისა და აღზრდის წესების შესახებ მასალა მან თავად მოიძია მეცნიერული კვლევებში. დეტალური ინფორმაცია საინგილოს ქართველების ტრადიციების შესახებ კიდევ უფრო დააინტერესებს ქართველ საზოგადოებას ამ ისტორიული კუთხით.

საინტერესო პარალელი იქნა გავლებული ნინო ქურმუხელის ჩანახატში „საინგილოდან ტაო-კლარჯეთამდე და... შემდეგ“, რომელშიც მოთხრობილია ტაო-კლარჯეთში მოგზაურობისა და იმ განცდების შესახებ, რომლებიც მოგზაურობას ახლდა. ავტორი აღნიშნავს: „დღევანდელი საქართველო გვევიწროვა და ძველი, დავითისდროინდელი მოვიკითხეთ. საქართველოს

შემოვლა, სამშობლოში მხრების გაშლა ისტორიული ჰერეთით დავიწყეთ, გზა ბაგრატოვანთა სამშობლოში – ტაო-კლარჯეთში – განვაგრძეთ... ახლა აფხაზეთი მიგველის... ახლა სამაჩაბლო გვადარდებს... ერთი ცხადია, ქვანი ღაღადებენ!“ (ყულოშვილი 2004: 25-50).

ზემოთ განხილულ პრობლემებს ეხმიანება „კავკასიური სახლის“ ხელმძღვანელი ნ. გელაშვილი: „Проблемы, подобные существующии в Саингило, существуют и по всей Грузии, для их разрешения необходимо самому населению прилагать больше усилий, а также развивать связи между жителями Саингило и Грузии на уровне народной дипломатии“ (ყულოშვილი 2004: 25-50). „კავკასიური სახლის“ ხელმძღვანელის მოადგილე, მიხეილ ბეროშვილი კი აცხადებს: „Большинство проблем, существующих в Саингило, должни разрешать местные жители, это, однако, не исключает того, что они должны обсуждаться и дальнейшем. Все должно служить делу создания мирного Кавказа“ (ყულოშვილი 2004: 25-50).

ასეთია 2002-2003 წწ. ჩვენ მიერ შერჩეულ პრესიაში გაშუქებული საინგილოს პრობლემატიკა. ვფიქრობთ, მედია საკმაო ინფორმაციას აწვდის ქართველ საზოგადოებას საინგილოს შესახებ, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ბევრი სათქმელი გარკვეული ფაქტორების გამო მიჩუმათებულია.

ამრიგად, ჩვენ მიერ განხილული პერიოდული გამოცემები („საქართველოს რესპუბლიკა“, „ახალი ეპოქა“ და მისი ლიტერატურული დანართი „ჩვენი მწერლობა“, „Кавказский Акцент“, „ახალი ჰერეთი“, ჟურნალი „ომეგა“) აშუქებს საინგილოს ქართველობის პრობლემებს, თუმცა მცდელობა იმისა, რომ „არც მწვადი დაწვან და არც შამფური“, მაინც შესამჩნევია.

ორი ქვეყნის მეგობრობასა თუ ეკონომიკურ ინტერესებში პოლიტიკოსებს ერთგვარ დამაბალანსებელ ძალად რჩებათ საინგილოს აბორიგენი ქართველები თუ ქვემო ქართლში მცხოვრები აზერბაიჯანელები. მათი მდგომარეობა კი ორივე ქვეყანაში არსებული დემოკრატიის ხარისხით განისაზღვრება.

პრესაში საკმაოდ ნათლად იკვეთება სფეროები, სადაც ჰერებს პრობლემები გააჩნიათ, თუმცა არ ჩანს ჟურნალისტთა მიერ დასახული გზები მათი მოგვარებისათვის. ეს არ ძალუძთ ადგილობრივ ჟურნალისტებსაც,

რომლებიც საგაზეთო საქმიანობაში არიან ჩართულნი, რაც კუთხის მომავალს რთულად წარმოაჩენს.

ნაწილი II

თურქეთის საქართველო
ისტორიული ექსკურსი

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ თურქეთი ერთ-ერთი პირველი ქვეყანა იყო, რომელმაც ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტი აღიარა. საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკებს შორის სრულმასშტაბიან ხელშეკრულებას 1992 წელს მოეწერა ხელი, რომლის საფუძველზეც მეგობარ ქვეყნებს შორის ურთიერთობა გაღრმავდა კულტურის, განათლებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროებში.

რამდენიმე ფაქტი ისტორიიდან:

„სიტყვა „მუჰაჯირი“ არაბულია და ქართულად ნიშნავს ემიგრანტს, გადახვეწილს, სამშობლოდან წასულს. გამოთქმა „მუჰაჯირი ქართველი“ ჩვენს ენაში მკვიდრდება მე-19 საუკუნის ბოლო მეოთხედში საქართველოდან თურქეთში საცხოვრებლად გადასახლებული ქართველების აღსანიშნავად. თვით მუჰაჯირი ქართველები კი თავისიანებს „ჩვენებურს“ ეძახიან.

მუჰაჯირობას საკმაოდ რთული ისტორია აქვს. პირველად იგი დაიწყო მესხეთში 1828-29 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დამთავრების შემდეგ, როცა მესხეთი დაუბრუნდა საქართველოს. მუჰაჯირობამ ფართო ხასიათი მიიღო 1877-78 წლების რუსეთ-თურქეთის ომის მომდევნო წლებში. როგორც ცნობილია, ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილებით ადრე ოსმალეთის იმპერიის ქვეშევრდომობაში მყოფ გამუსლიმებულ მოსახლეობას მიეცა არჩევანის უფლება – შეეძლო მიეღო რუსეთის ქვეშევრდომობა ან ოსმალეთში გადასახლებულიყო. რუსეთსა და ოსმალეთს შორის 1879 წლის 27 იანვარს სტამბოლში დადებული ტრაქტატის თანახმად, მუჰაჯირობის ოფიციალური ვადაც კი იქნა დაწესებული – 1879 წლის 3 თებერვლიდან 1882 წლის 3 თებერვლამდე, თუმცა გადასახლების დრო შემდეგ 1884 წლამდე იქნა გაგრძელებული. ეს პროცესი მომდევნო წლებშიც არ შეწყვეტილა. ფაქტობრივად, იგი სპონტანურად 1921 წლამდე ხდებოდა.

მუჰაჯირობა ქართველი ხალხის ისტორიაში იყო ერთ-ერთი უმძიმესი ტრაგედია. არც ერთ შემოსევას, არც ერთ დამპყრობელს არ მიუყენებია

ასეთი ზარალი ისტორიული ზემო ქართლის (სამცხე-საათაბაგოს) კუთხეებისათვის, რაც მუჰაჯირობამ მოუტანა. ძირძველი ქართული მიწა დაიცალა მოსახლეობისაგან. თითქმის დაცარიელდა კოლა, არტაანი, შავშეთი, კლარჯეთი, ლივანა, მურღული, მაჭახელი, ტაო, აჭარა, ქობულეთი. დაცარიელებულ სოფლებში გაჩანაგდა მეურნეობა, ბევრი სოფლის სახსენებელი სამუდამოდ წაიშალა. საარქივო ცნობების მიხედვით, 1879 წლის გასახლების შემდეგ ქობულეთში ორი ათასი მცხოვრებიდან ხუთასამდე დარჩა, ხოლო მახლობელი სოფლები სრულიად გავერანდა და გაპარტახდა. იყო სოფლები, სადაც არც ერთი სული აღარ დარჩენილა. მაგ., კვირიკე – ქობულეთში, არსენაული – ქედაში, ერეგუნა – მურღულიში... (ფუტკარაძე 1993: 24); „მუჰაჯირობის შედეგად გადასახლებულთა რაოდენობის შესახებ ზუსტი ცნობები არ არის შემონახული. 1891-1893 წლებში ამ დაზარალებულ მხარეებში მოგზაურობის დროს სამშობლოდან გადახვეწილთა რაოდენობის შესახებ ცნობებს აგროვებდა ცნობილი საზოგადო მოღვაწე ზაქარია ჭიჭინაძე. ამ ცნობების მიხედვით, არ არის სოფელი, საიდანაც წასული არ იყოს 5-10 კომლი მაინც, მოზრდილი სოფლებიდან კი 40-50-100 კომლი, მაგ., ალამბრიდან წასულა ასი კომლი, ხუცუბნიდან და წყავროკიდან – ორმოცდაათ-ორმოცდაათი კომლი, დაბა ჩაქვიდან – ორმოცი კომლი. საერთოდ, ქობულეთიდან გადასახლებულა შვიდიათას კომლზე მეტი. მერისის თემში შვიდასი კომლი ყოფილა, აქედან ექვსასი კომლი გადასახლებულა და მხოლოდ ასი კომლი დარჩენილა. ზედა და ქვედა აჭარას ამ წლებში დაუკარგავს ოთხი ათას კომლზე მეტი. ზაქარია ჭიჭინაძეს გადასხლებულთა რაოდენობის შესახებ ცნობები მიუღია აგრეთვე ბათუმის მუფთის ჰასან ეფენდი გვერდაძისაგან, რომლის მიხედვით, ოსმალეთში წასულთა საერთო რაოდენობა მილიონამდე ყოფილა“ (ფუტკარაძე 1993 : 26).

„მუჰაჯირობა (არაბ. „მუჰაჯერეთ“ – გადასახლება), კავკასიის მკვიდრი მოსახლეობის ძირითადად იძულებითი გადასახლება თურქეთის იმპერიაში XIX საუკუნეში, დაკავშირებული იყო კავკასიის ომებთან (სამხედრო მოქმედებათა წყება, რომელიც მეფის რუსეთმა კავკასიის დასამორჩილებლად XVIII-XIX საუკუნეებში ჩაატარა). რუსეთის ხელისუფლებას სურდა

დაუმორჩილებელ კავკასიელ მთიელთა თურქეთში გადასახლებით მიეღწია პოლიტიკური სიმშვიდისათვის ამ მხარეში, გათავისუფლებული მიწები ფართო კოლონიზაციისათვის გამოეყენებინა, ესარგებლა მხარის ხელსაყრელი სტრატეგიული მდებარეობით“ (ხორავა 2004: 24).

„1918 წელს საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა, ამით ისარგებლა თურქეთმა და ქვეყნის ტერიტორიების ოკუპაცია მოახდინა. ჩამოყალიბების პროცესში მყოფმა საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ დასაწყისში გარკვეულწილად სცნო თურქთა პრეტენზიები. პირველ მსოფლიო ომში გერმანიისა და მისი მოკავშირის ოსმალეთის დამარცხებამ საქართველოს მთავრობას შესაძლებლობა მისცა დაკარგული ტერიტორიები შემოეერთებინა. 1919 წელს საქართველომ შეიერთა ჯერ ჩრდილოეთ არტაანი, შემდეგ ამ პროვინციის სამხრეთ ნაწილიც. მიმდინარეობდა დიპლომატიური მუშაობა ართვინისა და ტაოს ოლქების შემოერთებისათვის. ამ ტერიტორიაზე ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ფორმირება წარმოებდა. სამწუხაროდ, საქართველოს რესპუბლიკა საბჭოთა რუსეთმა დაიპყრო და უარი განაცხადა სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიებზე. 1921 წლის 13 ოქტომბრის მოსკოვისა და ყარსის შეთანხმების მიხედვით, საქართველოს სახელმწიფო ტერიტორიის მიღმა დარჩა ყოფილი ბათუმის ოლქის სამხრეთი ნაწილი – მაჭახელა, ბორჩხა და მაკრიალი (936 კვ. კმ), ართვინის ოლქი (3339 კვ. კმ), არტაანის (არდაგანის) ოლქი (ფოცხოვის უბანთან ერთად 5725 კვ. კმ), ტაოს ანუ ოლთისის ოლქი (3051 კვ. კმ). ამ ჩამონათვალში არ შედის ლაზეთი, ეს ტერიტორია, მართალია, ქართველებით იყო დასახლებული, მაგრამ იგი დიდი ხნის განმავლობაში საქართველოს შემადგენლობაში აღარ შედიოდა.

XX საუკუნის 20-იან წლებში მსოფლიოში არსებული პოლიტიკური სიტუაცია საბჭოთა რუსეთს აიძულებდა ასეთ დათმობებზე წასულიყო, მაგრამ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ახალი წესრიგი დამყარდა, რომელშიც საბჭოთა კავშირი დომინირებულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. იოსებ სტალინმა დაივიწყა 1921 წლის ხელშეკრულებები და თურქეთ-საქართველოსა და თურქეთ-სომხეთის საზღვრის გამიჯვნის უსამართლობაზე ალაპარაკდა. 1945

წელს საბჭოთა კავშირის მთავრობისაგან საერთაშორისო მოლაპარაკებებზე პირველად „თურქეთის საქართველოს“ შემოერთების საკითხი პოტსდამის კონფერენციაზე დაისვა. მსოფლიო დიპლომატია აქტიურად ამოქმედდა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. იოსებ სტალინი იძულებული გახდა თურქეთისადმი საბჭოთა კავშირის ტერიტორიულ პრეტენზიაზე უარი ეთქვა. 1953 წლის 30 მაისს საბჭოთა კავშირის ხელისუფლებამ ოფიციალურად მიმართა თურქეთის რესპუბლიკის მთავრობას, სადაც აღნიშნული იყო, რომ კეთილმეზობლური ურთიერთობის შენარჩუნებისა და მშვიდობის განმტკიცების მიზნით უარს ამბობს თურქეთისადმი თავის ტერიტორიულ პრეტენზიებზე (სამუშია 2003: 15);

1992 წლის 30 ივლისს ანკარაში საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის, ედუარდ შევარდნაძისა და თურქეთის პრეზიდენტის, სულეიმან დემირელის მიერ ხელმოწერილ მეგობრობის, თანამშრომლობისა და კეთილმეზობლური ურთიერთობის შესახებ ხელშეკრულებაში საზღვრის დემარკაციის საკითხი ყარსის 1921 წლის ხელშეკრულებით განისაზღვრა. ამასთანავე, მხარეებმა აღიარეს საზღვრის ხელშეუხებლობის პრინციპი. მხარეები შეთანხმდნენ, რომ არ დაუშვებენ თავიანთ ტერიტორიებზე მეორე მხარისადმი მტრულად განწყობილი ძალების, პოლიტიკური ჯგუფების საქმიანობას.

თურქეთის რესპუბლიკაში ქართული წარმომავლობის მოქალაქეთა რაოდენობის შესახებ ზუსტი მონაცემები არ მოიპოვება. საქმე ისაა, რომ ქვეყნის არცერთი ეროვნების მოქალაქე ეთნიკური მიკუთვნილობით არ ფიქსირდება და მხოლოდ „თურქად“ მოიხსენიება. XX საუკუნის II ნახევარში ქვეყნის შიდა მიგრაციის მიზეზით, საფუძვლიანად შეიცვალა ისტორიული პროვინციების დემოგრაფიული სურათიც. მკვლევრების თქმით, თურქეთში მცხოვრები ქართველების რაოდენობრივი მაჩვენებელი ლამის საქართველოს მოსახლეობას უტოლდება.

მკვლევრები თურქეთის ქართველებს გურჯებად და ლაზებად მოიხსენიებენ. აქვე აღვნიშნავთ, რომ 2002 წელს, მას შემდეგ, რაც საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდმა რამდენიმე ათეული წლის წინ გაუქმებული ლაზეთის, ტაო-კლარჯეთისა და ახალციხის საეპისკოპოსოები

აღადგინა, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ თურქეთის ხელისუფლების მიწვევით კაპადოკიასა და ლაზეთში იმოგზაურა. საპატრიარქოში აღნიშნავდნენ, რომ ეს იყო ოფიციალური ჟესტი ოფიციალური თურქეთის მხრიდან – ნიშანი იმისა, რომ საქართველოს ჰყავს დემოკრატიული პრინციპების დამცველი მეზობელი, რომელიც პატივს სცემს მოსაზღვრე სახელმწიფოს ისტორიას. საქართველოს უძველეს, თუმცა, ამჟამად მისგან მოწყვეტილ მხარეში კათოლიკოს-პატრიარქის მოგზაურობის შემდეგ საპატრიარქოში დაარსდა კოლხური კულტურის საერთაშორისო ცენტრი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრასთან არსებობს ანატოლიისა და სამხრეთ კავკასიის შემსწავლელი ცენტრი.

თურქეთსა და საქართველოს შორის სტრატეგიული პარტნიორობისა და კეთილმეზობლური ურთიერთობების განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ თურქეთის ქართული წარმოშობის მოქალაქეებს.

თურქეთის ქართველობა ძირითადად თავმოყრილია ქ. სტამბოლსა და მარმარას რეგიონში მდებარე ბურსას, ადაფაზარის, ქოჯაელის, ბოლუს, ამასიის, თოკათისა და ბალიკესირის ოლქებში. დედაქალაქ ანკარაში ბევრი ქართველი არ ცხოვრობს. ქართველობის ნაწილი შემორჩენილია ართვინის, არტაანისა და რიზეს ოლქებში. მნიშვნელოვანი ქართული დასახლებებია თურქეთის შავიზღვისპირეთშიც: სამსუნში, სინოპში, გირესუნში, ორდუში, უნიესა და ფაცაში.

მესხეთ-ჯავახეთიდან და აჭარა-ქობულეთიდან გადასახლებული მუსლიმი ქართველები დასახლდნენ სამსუნის, ფაცას, უნიეს, ორდუს, ადაფაზარის, ბურსას, ინეგოლის, ბოლუს, ორჰანგაზის, იზნიკის, გოლჯუკის, გებზეს, იზმითის, დუზჯეს, ამასიის, თოკათისა და ბალიკესირის მიდამოებში. მუსლიმი ქართველი მოსახლეობა შემორჩა ართვინისა და რიზეს ოლქებში. ჩამოთვლილ ადგილებში ათეულობით სოფელია, რომელიც ქართულ ეთნოკულტურულ ხასიათს ინარჩუნებს, სამეურნეო ნაგებობები, ყოფა-ცხოვრების წესი, ტრადიციები ქართულია. ქართული ენა სოფლებში კვლავ გაისმის და, მეტიც, ახალგაზრდა თაობა საქართველოთი სულ უფრო

ინტერესდება, უყურებენ ქართულ ტელეარხებს, ყურადღებით თვალს ადევნებენ და ეხმაურებიან საქართველოში მიმდინარე მოვლენებს.

ქართული წარმოშობის თურქეთის მოქალაქეებს ჩამოყალიბებული აქვთ სათვისტომო-საზოგადოებები, კულტურულ-საგანმანათლებლო ფონდები და შემოქმედებითი კავშირები. ისინი ინტერესდებიან ქართული კულტურით.

ძნელია ქართული ენის შენარჩუნება ქალაქებში, თუმცა, აქ უფრო მეტად არის მისწრაფება ორგანიზაციული გაერთიანებისაკენ და ყალიბდება ქართული საზოგადოებები, ფონდები, კულტურულ-ფოლკლორული ჯგუფები.

ოფიციალური მონაცემებით (www.diaspora.gov.ge) თურქეთში არსებობს ქართველების კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები: სტამბოლი, თურქეთ-საქართველოს განათლებისა და კულტურის ფონდი, რომლის მმართველი საბჭოს შემადგენლობაში შედიან თურქეთის ცნობილი ბიზნესმენები და საზოგადო მოღვაწეები: ისმეთ აჯარი, სამი სეჩკინი, ერგუნ ათაბაი, ისმეთ დინდარი, ალი იჰსან აჰისქალიოღლუ, სიმონ ზაზაძე, პოლ ზაზაძე, ალი გუნდუზი, ალი ნიჰათ გოქიითი. ფონდის გენერალური დირექტორია მევლუდ ართვინლი; მაჭახელას განათლების, კულტურისა და თანადგომის ფონდი, რომლის მმართველი საბჭოს თავმჯდომარე – სალიჰ ილდიზი, ხოლო მოადგილე ბაჰათინ სარია. მაჭახელას ფონდი 1995 წელს დაარსდა. ფონდი სტამბოლში მცხოვრებ მაჭახელელ (ართვინის ოლქი) ქართველთა შეკრების ადგილად იქცა. იგი გამოსცემს ჟურნალს „მაჭახელი“; საქართველოსთან მეგობრობის საზოგადოება, რომლის თავმჯდომარეა ალი რიზა ალთუნელი. საზოგადოება დაარსდა 2005 წელს ქ. სტამბოლში, ფატიჰის რაიონში. საზოგადოებასთან მოქმედებს ქართული ენის შემსწავლელი კურსები; სტამბოლის ხალხური სიმღერის ანსამბლი „ქაფდაღი“, რომლის დამაარსებელი და ხელმძღვანელია იბერია ოზქანი (მელაშვილი). ანსამბლის რეპერტუარში, ადგილობრივ სიმღერებთან ერთად, წარმოდგენილია საქართველოს სხვადასხვა კუთხის პოლიფონიური სიმღერები. თურქეთში გამოცემულია „ქაფდაღის“ სამი ალბომი; ქართული კულტურის საზოგადოება 2008 წელს დაარსდა. მასთან ფუნქციობს ქართული ენის შემსწავლელი კურსები. საზოგადოება გეგმავს ქართული კულტურის კვირეულების

მოწყობას, ქართველი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების მოწვევასა და სალექციო კურსების ორგანიზებას.

საქარიას ოლქში არსებობს ჰენდექის ბათუმელთა კულტურის საზოგადოება, რომლის მმართველი საბჭოს თავმჯდომარე ბურჰან ფეჰლივანია, მოადგილე – რეჯეფ თირიაქი. საზოგადოება 1996 წელს ქ. ჰენდექში დაარსდა. ჰენდექში, განსაკუთრებით, ახალგაზრდებს შორის, დიდია ქართული ენისა და ფოლკლორის საფუძვლიანად შესწავლის მსურველთა რაოდენობა; დუზჯეს ბათუმელთა ქართული კულტურის საზოგადოება, რომელსაც ხელმძღვანელობენ ვეისელ ჩაქარი და რეფიქ იუქსელი. საზოგადოება 1998 წელს დაარსდა. მისი წევრები დუზჯეს ქართული მოსახლეობის თვითმყოფადი კულტურის შენარჩუნებისათვის იღვწიან.

ქოჯაელის ოლქში გოლჯუქის კავკასიური კულტურისა და თანადგომის საზოგადოება 2001 წლიდან ფუნქციობს. საზოგადოებას ხელმძღვანელობს მურათ სევიმი (მგელაძე). საზოგადოებასთან არსებობს ქართული ქორეოგრაფიული ანსამბლი, რომელიც სისტემატურად მონაწილეობს ქართული დიასპორის მიერ თურქეთის სხვადასხვა ქალაქში მოწყობილ ღონისძიებებსა და ფესტივალებში.

ბურსის ოლქში არსებობს ბათუმელთა კულტურისა და ურთიერთდახმარების საზოგადოება, რომელსაც ხელმძღვანელობს მუსა აიდინი. ბურსის საზოგადოება 1986 წელს დაარსდა. იგი კოორდინირებას უწევს ბურსის ოლქის სხვადასხვა რაიონში (ინეგოლი, იზნიქი, ორჰანგაზი, გემლიქი) დაარსებული ქართული საზოგადოებების ერთობლივ საქმიანობასა და თანამშრომლობას; ინეგოლის კავკასიური ფოლკლორისა და კულტურის საზოგადოება, რომელსაც ხელმძღვანელობს მეჰმეთ ნური ტაიარი (მამია დუმბაძე). საზოგადოებასთან არსებობს ქორეოგრაფიული ანსამბლი, რომელიც სისტემატურად მონაწილეობს ინეგოლში ტრადიციად ქცეულ საერთაშორისო ფესტივალში. აღსანიშნავია, რომ ამ ფესტივალში მონაწილეობას იღებენ ანსამბლები და შემსრულებლები საქართველოდან და სხვა ქვეყნებიდან. ორჰანგაზის კავკასიური კულტურისა და თანადგომის საზოგადოება 1995 წელს დაარსდა. საზოგადოებასთან ჩამოყალიბებულია

ქორეოგრაფიულ-ფოლკლორული ანსამბლი, რომელიც სისტემატურად მონაწილეობს თურქეთში გამართულ ფესტივალებსა და სხვა ღონისძიებებში.

იზნიქის ბათუმელთა კავკასიური კულტურისა და თანადგომის საზოგადოება 1991 წელს დაარსდა. მმართველი საბჭოს თავმჯდომარეა იბრაჰიმ შენერი. იზნიქის საზოგადოებასთან არსებობს თურქეთში ერთ-ერთი საუკეთესო საბავშვო ქორეოგრაფიული ანსამბლი. (www.diaspora.gov.ge)

თურქეთის ქართველობის საინფორმაციო რესურსები

თურქეთის ქართველობის კულტურულ ცხოვრებაში მნიშვნელოვან მოვლენად იქცა ჟურნალი „ფიროსმანი“. იგი გამოირჩევა მაღალი ხარისხით როგორც ფორმით, ისე შინაარსითაც. რედაქტორია ფაჰრეთთინ ჩილოღლუ. გამომცემელი – შენოლ ტაბანი. ჟურნალის რედკოლეგიაში შედიან: ერდალ ქუჩუკი, ქევსერ რუჰი, მუსტაფა იაკუტი, ჰასან ჩელიკი, იასინ ონჯუ და სხვ.

თურქეთის ქართველობის პირველი ბეჭდური ორგანოს, ჟურნალ „ჩვენებურის“, გამოცემა დაიწყო 1977 წელს შვედეთში, ქ. სტოკჰოლმში, ქართული წარმოშობის თურქეთის მოქალაქე აჰმედ ოზქანის (მელაშვილი) ძალისხმევით. ჟურნალის გამოცემა დროებით შეწყდა აჰმედ ოზქანის დაღუპვის შემდეგ. 1993 წელს ქ. ბურსაში განახლდა მისი გამოცემა. მას ჯერ ფარნა ჭილაშვილი (ჩილოღლუ) ხელმძღვანელობდა, შემდეგ - ოსმან ნური მერჯანი (იმედაშვილი). 2006 წლიდან ჟურნალმა არსებობა შეწყვიტა. (იხ., გვ., 116; 123).

თურქეთის ქართველობის ინტერნეტ-საიტ „ჩვენებურების“ (რედაქტორი ერდალ ქუჩუკი) მეშვეობით ქართულ, თურქულ და ინგლისურ ენებზე ვრცელდება თურქეთ-საქართველოს თანამშრომლობისა და კულტურული მოვლენების ამსახველი მასალები (http://chveneburi.net). აღსანიშნავია აგრეთვე ინტერნეტ-საიტი www.genatsvale.net (რედაქტორი – მურატ შაჰინი).

მაუწყებლობა დაიწყო ინტერნეტ რადიომ – „რადიო ჩვენებური“ (დიდ ადგილს უთმობს ქართულ სიმღერებს).

თურქეთში ცნობილი მომღერლის, მირჯან კაიას, რეპერტუარში მნიშვნელოვანია ქართულ ხალხური სიმღერების წილი.

საქართველოში დიდი სიყვარულით სარგებლობს მომღერალი ბაიარ შაჰინი, რომლის შემოქმედების საინტერესო მხარეა „ჩვენებურების“ მდიდარი ფოლკლორის კვლევა და მსმენელისათვის ახალი ფორმით მიწოდება (www.diaspora.gov.ge).

ლაზები

თანამედროვე ლაზების (ჭანების) წარმოშობა მჭიდროდ უკავშირდება კოლხეთის სამეფოს. ისტორიულ კოლხეთის სამეფოში ძირითად მოსახლეობა იყო ქართველური მოდგმის ორი ურთიერთმონათესავე ტომი – ლაზ-ჭანები და მარგალ-მაკრონები (მეგრელები).

ლაზები განეკუთვნებიან იბერიულ-კავკასიური მოდგმის ქართველურ (იბერიულ) ჯგუფს. ენობრივად თანამედროვე კავკასიელებიდან ლაზებისთვის ყველაზე ახლო მონათესავენი არიან ქართველები. ლაზური მეტყველებაც წარმოიშვა საერთოქართველური ფუძე-ენისაგან.

მიუხედავად იმისა, რომ ეს ორი სიტყვა დღეს ერთმანეთის ტოლფასია, ეთნონიმები „ლაზი“ და „ჭანი“ საუკუნეების განმავლობაში ურთიერთმონაცვლეობდა. ისტორიულად ტერმინ „ჭანს“ უფრო ვიწრო მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა – თავდაპირველად „ჭანი“ მიემართებოდა მთაში მცხოვრებ ლაზს.

ქრისტეს შემდგომ IV საუკუნეში ლაზების ჰეგემონობით შეიქმნა სამეფო, რომელსაც ლაზეთი ეწოდა (ბერძნულად „ლაზიკე“, ხოლო საკუთრივ ლაზურად – „ლაზონა“). მას ეჭირა შავი ზღვის სანაპირო ზოლის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელსაც სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. აქ გადიოდა საერთაშორისო საქარავნო გზა, რის გამოც ლაზეთი ხშირად იყო მსოფლიო პოლიტიკური ურთიერთობების გამწვავების მიზეზი. ლაზეთის ტერიტორიის საერთო ფართობი მოიცავს 7 000 კვ. კილომეტრზე მეტს. მისი საზღვრებია: ჩრდილოეთით შავი ზღვა, ჩრდილო-დასავლეთით და აღმოსავლეთით - მდინარე ჭოროხი, სამხრეთით და სამხრეთ-დასავლეთით – მდინარე სამანსუ. მთავარი ქალაქებია: რიზე, ხოფა, სამსუნი, ტრაპიზონი.

თურქეთში ლაზურენოვანი მოსახლეობის ზუსტი რაოდენობა ძნელი დასადგენია. მე-19 საუკუნის ინგლისელი კონსულის, ჯიფორდ პალ გრევის,

მიხედვით, ლაზისტანში 1872 წლის ოფიციალური მონაცემებით მოსახლეობის რაოდენობა 850 000 აღწევდა.

ლაზური სახელმწიფოს პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ცხოვრების სათავეში იდგა მეფე (ლაზურად – მაფა), რომელსაც მემკვიდრეობით ირჩევდნენ. ადრეულ შუა საუკუნეებში ლაზიკის მეფეს ამტკიცებდა ბიზანტიის კეისარი, მაგრამ ლაზიკა ბიზანტიას არც ხარკს უხდიდა და არც ჯარს უგზავნიდა. ლაზეთის მეფე ვალდებული იყო მხოლოდ ჩრდილოეთის საზღვრები გაემაგრებინა და მტრებისგან დაეცვა ბიზანტიის სამფლობელო.

გვიან შუასაუკუნეებამდე ლაზეთს უხდებოდა თავგანწირული ბრძოლა ძირითადად ბიზანტიისა და ირანის წინააღმდეგ, რომელთაც აინტერესებდათ პოლიტიკური გავლენის სფეროში მოექციათ ლაზიკა. პოლიტიკურ ბრძოლას თან სდევდა რელიგიური დაპირისპირება. პირველსავე საუკუნეში აქ დამკვიდრებულ ქრისტიანობას რომი ებრძოდა თავისი წარმართული რწმენით. იმავდროულად მაზდეანობის (ცეცხლთაყვანისმცემლობის) დამკვიდრებას სპარსეთი უშედეგოდ ცდილობდა. თამარ მეფის გაერთიანებულ საქართველოში ლაზეთი ტრაპიზონის იმპერიის სახით ერთიანი ქართული სახელმწიფოს შემადგენელ ნაწილად მოიაზრებოდა. ცხადია, ტრაპიზონის სამეფოს მოსახლეობის უძირითადეს ნაწილს ლაზები შეადგენდნენ.

ასე გრძელდებოდა 1461 წლამდე, ამ წელს კი ოსმალებმა ტრაპიზონის სამეფო დაიკავეს, იქ მეფის ინსტიტუტი გააუქმეს და ლაზეთში თავიანთი ბატონობის განმტკიცებას შეუდგნენ.

წინააღმდეგობის ფრონტი ლაზეთში 1820-იან წლებამდე გაგრძელდა, მაგრამ ამ დროისთვის ოსმალეთის მთავრობამ ლაზი მთავრების მედგარი წინააღმდეგობა გატეხა და იავარჰყო მათი თავისუფლება. მოგვიანებით ენთუზიაზმით იბრძოდნენ ლაზეთის პატრიოტები რუსების წინააღმდეგაც.

1878 წლის ბერლინის ხელშეკრულებით რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მოექცა ლაზეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი, 16 სოფელი დღევანდელი გონიოდან ქ. ხოფამდე. ცარიზმმა აქ მშობლიური ქართულის ნაცვლად რუსული ენის დაკანონება სცადა, იმავდროულად, ლაზეთის მედრესეებში სწავლება, ჩვეულებრივ, თურქულად მიმდინარეობდა.

1910 წელს ამის საპასუხოდ ლაზებმა აბდულაჰ აშიქ ჰასანოღლუს ხელმძღვანელობითა და ინიციატივით შეადგინეს წერილი სწავლა-განათლების ქართულ ენაზე შემოღების მოთხოვნით, რასაც ქართული საზოგადოება დიდი მხარდაჭერით შეხვდა, მასწავლებლებიც მზად იყვნენ ლაზეთში სამუშაოდ, მაგრამ ამ წამოწყებას 1914 წელს დაწყებულმა პირველმა მსოფლიო ომმა შეუშალა ხელი. ბრესტის ზავის შედეგად ლაზეთი თანამედროვე თურქეთის რესპუბლიკის შემადგენლობაში აღმოჩნდა.

ქრისტიანობა ლაზეთში პირველსავე საუკუნეებში გავრცელდა. აქ იქადაგეს ანდრია პირველწოდებულმა და სვიმონ კანანელმა. კიდევ ერთი მოციქული – მატათა – ლაზეთშია დასაფლავებული. გადაჭარბებული ჩანს თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ ლაზებში ქრისტიანობა მხოლოდ ბერძნულ ენაზე ვრცელდებოდა. ამის საპირისპიროდ მეტყველებს ლაზური საღვთისმსახურებო ტერმინოლოგია: თანაფა-„აღდგომა“, მარაშინა-„მარიამობა“, ხაჭი-„ჯვარი“, ქისა-„ქრისტე“, სუმალა//სუმელა-„სამება“...

ლაზეთში დღემდე შემორჩა ძველი ეკლესიები (ძირითადად, დაზიანებული სახით): სარფის ტყეში თლილი ქვით ნაგები ტაძარი დგას; მაკრიალში დიდგუმბათიანი ეკლესიაა წარწერებითა და მხატვრობით; ლაზური სამონასტრო კომპლექსი სუმ(ა)ლა-„სამება“ გრანდიოზულობით დღესაც განაცვიფრებს მნახველს. აქ უკანასკნელ ხანებამდე მოღვაწეობდნენ ქრისტიანი ბერები.

აბუ-ისლაჰში, მაღალ მთაზე, დგას ეკლესია, რომელშიც გვალვის დროს ლაზები იკრიბებიან და ღმერთს წვიმას შესთხოვენ; გუმბათმორღვეული ეკლესიაა პერონითში. მისი ეშინიათ ადგილობრივებს და ახლოს მისვლასაც ვერავინ ბედავს. ზოგიერთ ლაზურ ეკლესიაში მოთავსებული იყო ქვის საწნახელები და მიწაში ჩაფლული დიდი ქვევრები. იქვე იყო საფლავებიც. ლაზებს ქრისტიანული ეკლესია-მონასტრები უცხოეთშიც ჰქონდათ, სახელდობრ, იერუსალიმის უდაბნოში.

ზოგიერთი ლაზი დღესაც ქრისტიანია და სტამბოლში ბერძენ პატრიარქს ექვემდებარება. ისინი ბერძნულად მეტყველებენ და საკუთარ თავს ბერძნებად

მიიჩნევენ, მაგრამ ახსოვთ ლაზური წარმომავლობა. მეტყველებისას გამოირჩევიან ლაზური აქცენტით, რასაც თვითონაც გრძნობენ.

დღეს თურქეთში მცხოვრები ყველა ლაზი სუნიტი მაჰმადიანია. მეოთხე საუკუნის ბერძენი მწერალი თემისტი ამტკიცებდა, რომ ლაზები თურმე მონაწილეობას იღებდნენ ელინთა დღესასწაულებსა და შეჯიბრებებში, სადაც არაერთ მათგანს თავი უსახელებია მჭევრმეტყველებითა და რიტორიკით. მისივე თქმით, ლაზიკაში არსებულა რიტორიკული განათლების ცენტრი, სადაც ბიზანტიიდან მივლინებული ახალგაზრდებიც სწავლობდნენ და პირადად მასაც იქ მიუღია რიტორიკული განათლება.

ძველი ბერძენი ისტორიკოსები იმასაც წერენ, რომ ლაზებს ჰქონდათ განსაკუთრებული სახეობის დამწერლობა, რასაც კირბებს უწოდებდნენ.

ლაზური კოშკების, ციხეების და საკულტო ნაგებობების ნანგრევებით მოფენილია შავიზღვისპირეთი. მშენებლობა უმთავრესი საქმიანობა იყო ლაზებისათვის. ლაზთა ეკონომიკურ კეთილდღეობას უხსოვარი დროიდან ნაოსნობა და გემთმშენებლობა უწყობდა ხელს. შემთხვევითი არ არის, რომ მე-19 საუკუნის ოსმალეთის ფლოტის თითქმის ნახევარს ლაზი მეზღვაურები შეადგენდნენ. ეს საქმიანობა – მეთევზეობა – ასახულია ლაზურ ცეკვებში, კერძოდ, საცეკვაო ილეთებში. ლაზი ქალები დახელოვნებულნი არიან ფეიქრობაში. ისინი გემოვნებით ქსოვენ ნაზსა და ლამაზად შეხამებულ ქსოვილებს. ლაზები ოდითგანვე მისდევენ: მებაღეობას, ზეთისხილისა და ლეღვის ჩირის დამზადებას, ფუტკრის მოვლა-მოშენებას. ლაზეთი ძველთაგანვე თაფლის ქვეყანა იყო. წმინდა სანთელსაც ამზადებდნენ და გაჰქონდათ საბერძნეთში, საქართველოში, რუსეთში. აქაური ღვინო ბიზანტიაში გაჰქონდათ, მაგრამ გამაჰმადიანების შემდეგ ოსმალებმა ლაზებს აუკრძალეს მეღვინეობა.

1931 წლიდან თურქეთის ხელისუფლებამ, როგორც სხვა ხალხებს, ასევე ლაზებსაც ლაზური გვარების ტარება აუკრძალა. თუმცა ბევრ ლაზს საკუთარი გვარი დღემდე ახსოვს. იგივე ბედი ეწია ლაზურ ტოპონიმებსაც. ძველი მაკრიალი, იგივე ნოღედი თურქული კემაპლასჰა გახდა, სუმჯუმა

ზუსტად ითარგმნა როგორც üchkardesh „სამი ძმა“, ჟურხინჯი თურქულად chifteköpru „წყვილი ხიდი“ გახდა და სხვ.

მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე თურქეთის რესპუბლიკა გამოირჩევა დემოკრატიზაციის შეუქცევადი პროცესებით და ისწრაფვის ევროკავშირისკენ, ქვეყანაში არ გამოდის არც ერთი პერიოდული ლაზური გაზეთი, არ არის ლაზური სკოლა, რაც აჩქარებს ლაზური მოსახლეობის ასიმილაციას – გათურქებას. ის ფაქტი, რომ თურქეთის რესპუბლიკაში საშუალო განათლების მიღება მხოლოდ თურქულ ენაზეა შესაძლებელი, ლაზურს უპირატესად შინაური მოხმარების ენად აქცევს. ასეთ პირობებში ყოვლად აუხსნელია სტამბოლსა და ანკარაში სომხური და ბერძნული სკოლების გვერდით ლაზური სკოლების არარსებობა. ახალგაზრდობა სომხურად და ბერძნულად მეზობელ ქვეყნებშიც ადვილად მიიღებენ განათლებას, რასაც ვერ ვიტყვით ლაზებზე. ლაზები დღეს თავიანთ ტერიტორიაზე, საკუთარ ქალაქებსა და სოფლებში ვერ იღებენ მშობლიურ ენაზე განათლებას. ამასთან დაკავშირებით გერმანიაში მოღვაწე (1997 წლიდან) ლაზების კავშირმა მეტად საყურადღებო პოლიტიკური განცხადება გააკეთა, სადაც ისინი ითხოვდნენ თურქეთის ხელისუფლების მიერ ხელმოწერილი ლოზანის ხელშეკრულების 39-ე მუხლის რეალურად ფუნქციონირებას, რომლის შესაბამისად არა მარტო მუსლიმებს, არამედ ყველა მსურველს აქვს უფლება საკუთარ, მშობლიურ ენაზე მიიღოს დაწყებითი და უმაღლესი განათლება. (www.diaspora.gov.ge) საქართველოში ენათმეცნიერთა უმრავლესობა ლაზურს ქართული ენის დიალექტად მიიჩნევს – „ქართველური ენები საერთოქართველური ფუძეენის ენობრივი ერთიანობის დაშლის შედეგად ჩამოყალიბდა. ვარაუდობენ, რომ ფუძეენას გამოეყო სვანური და ქართულ-კოლხური (კოლხური (ზანური) ანუ მეგრულ-ლაზური), მოგვიანებით კი, გაიყო ქართული და მეგრულ-ლაზურიც (ხშირად ლაზურის ნაცვლად სამეცნიერო ლიტერატურაში გამოყენებულია ტერმინი ჭანური, კოლხურის პარალელურად – ზანური).

ლაზური და მეგრული ენათმეცნიერთა ერთი ნაწილის მიერ მიჩნეულია ქართველური ენის, კოლხურის (ზანურის), დიალექტებად; მეორე

ტრადიციული შეხედულებით, მეგრული და ლაზური უკვე ქართველური ენებია; სხვა მოსაზრებით, სვანური და მეგრულ-ლაზური დღესაც ქართულის დიალექტებია.

თამაზ გამყრელიძე და გივი მაჭავარიანი ლექსიკურ-სტატისტიკური ანალიზის საფუძველზე ქართველურ ენათა დიფერენციაციას შემდეგნაირად ათარიღებენ: ფუძეენიდან სვანურის გამოყოფა დაიწყო ჩვენს წელთაღრიცხვამდე X საუკუნეში, ხოლო ქართულ-კოლხური ერთიანობა დაიშალა ჩვენი წელთააღრიცხვის მიჯნაზე (ივარაუდება ჩვენს წელთაღრიცხვამდე III ათასწლეულის დასაწყისი).

ქართველური ენებიდან სალიტერატურო ენა ქართულია, რომლის ჩამოყალიბებაში თავისი წვლილი შეჰქონდა ყველა ქართველურ ტომს, მათ შორის, ლაზებს. ალექსანდრე ცაგარელი წერდა, რომ თუკი გვინდა სწორად წარმოვიდგინოთ ქართული ენის ზრდა და განვითარება, ყურადღება უნდა მივაქციოთ არასამწერლობო ქართველურ ენებს. ლაზურის ნათესაობა ქართულთან შენიშნეს გეორგ როზენმა და იულიუს კლაპროთმა (XIX ს.). მას შემდეგ ლაზურის გრამატიკას სხვადასხვა დროს იკვლევდნენ: ნიკო მარი, იოსებ ყიფშიძე, არნოლდ ჩიქობავა, სერგი ჟღენტი, სერგი ჯიქია, გურამ კარტოზია, ირინე ასათიანი, ნათელა ქუთელია და სხვ.

დღეს ლაზური გავრცელებულია შავ ზღვასა და პონტოს ქედს შორის ვიწრო ზოლში სოფ. სარფიდან (ლაზური სოფელი საქართველოს სამხრეთ საზღვარზე) სოფ. მელიათამდე (რიზეს მხარე). ლაზურში მკვეთრად განსხვავებულ სამ კილოს გამოყოფენ: ხოფურ-ჩხალურს, ვიწურ-არქაბულსა და ათინურ-ართაშენულს.

ლაზურის მკვლევარი გურამ კარტოზია 1961 წლიდან იწერდა ლაზურ ტექსტებს სოფ. სარფში მკვიდრი ლაზებისა და აგრეთვე, აჭარის, აფხაზეთის, სამეგრელოსა და გურიის ქალაქებსა და სოფლებში ლაზეთიდან სხვადასხვა დროს ჩამოსახლებული ლაზებისგან. მკვლევრის შესწავლის გეოგრაფული მასშტაბები ხუთ ლაზურ პროვინციას – ორმოცდაათამდე სოფელს მოიცავდა. „ლაზური ტექსტები“ 1972 წელს გამოსცა გ. კარტოზიამ, ხოლო წიგნის მეორე ნაწილი გამოიცა 1993 წელს“ (კალანდია 2005: 5).

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან ლაზებში უფრო გაღვივდა საკუთარი წარმოშობისა და თვითიდენტიფიკაციისადმი ინტერესი. სარფელი ლაზებისაგან განსხვავებით, თურქეთში მცხოვრები ლაზების უმრავლესობა დღეს თავს გურჯებად არ მიიჩნევს. ისტორიულად ლაზებმა განიცადეს ისლამიზაციის მძლავრი ზეგავლენა. თვით ჩვენი სამშობლოს ოქროს ხანად წოდებულ საუკუნეებშიც ლაზეთი უშუალოდ არ შემოდიოდა ქართული სახელმწიფოს საზღვრებში. რამაც, ცხადია, უარყოფითი დაღი დაასვა და ხელი შეუწყო ლაზებში საერთო-ქართული ცნობიერების შესუსტება-მოშლას. ლაზების ერთი ჯგუფი ამტკიცებს ლაზების არათურქულ წარმოშობას და მხარს უჭერს საკუთრივ ლაზურ იდენტურობას. ისინი ლაზური ჟურნალის – „ოგნი“ („გახსოვდეს“) – გამომცემელთა გარშემო არიან შემოკრებილნი.

1991 წელს გამომცემლობა „Kaukasus Vergas“-ის მიერ დაიბეჭდა ოსმან ტამტრულის (ოსმან ტრაპიზონელი) ლაზურის სახელმძღვანელო „ნანა-ნენა“ („დედაენა“).

1992 წელს გერმანიაში მყოფმა ლაზებმა დააფუძნეს ლაზური ჟურნალი „ლაზური ამბერეფე“ („ლაზური ამბები“).

1993 წლის ნოემბრიდან თურქეთში გამოსვლას იწყებს თურქულენოვანი ჟურნალი, რომელსაც ლაზები გამოსცემდნენ ლაზური შეგონებით: „ოგნი/ სკანი ნენა“ („გახსოვდეს შენი ენა“). მოესწრო ექვსი ნომრის გამოცემა, მოგვიანებით, სამწუხაროდ, ჟურნალის გამოცემა შეწყდა.

1994 წელს ასევე თურქეთში ლაზურმა როკ-ჯგუფმა – „ზუღაში ბერეფე“ („ზღვის შვილები“) ჩაწერა და გამოსცა თავისი პირველი ალბომი „ვა მიჩქუნან“ („არ ვიცით“) (ვოკალისტი – მეჰმეთ ალი ბეშლი).

1995 წლიდან ფუნქციობდა ლაზური პროგრამა „თანურა“ („მთენებელი“), რომელიც ყოველ პარასკევს გადიოდა ეთერში - Çevre Radyo FM 105.7.

ამავე პერიოდში ლაზური სიმღერების რამდენიმე აუდიოკასეტა და კომპაქტდისკი შეადგინა ბიროლ თოფალოღლუმ. ეს მელოდიები ხშირად ისმის სტამბოლის კერძო რადიოსადგურში Mert FM 100.8.

გერმანიის ქ. დორტმუნდის კულტურული ცენტრი 1998 წლიდან გამოსცემს ლაზურ ჟურნალს – „ლაზებურა“ („ლაზებრივი=ჩვენებური“).

ჟურნალის სულისჩამდგმელია ლაზი პოეტი ქალი სელმა კოჩივა, რომელმაც საქართველოშიც იმოგზაურა. 1999 წელს სელმა კოჩივამ წიგნიც გამოსცა – „ლაზონა“/„ლაზეთი“. მოგვიანებით წიგნი რატომღაც აიკრძალა. სელმა კოჩივას შემოქმედების გაცნობა შესაძლებელია გამომცემლობა „ინტელექტის“ მიერ გამოცემულ ლექსების კრებულში – „100 ლაზური ლექსი“.

თურქეთში გამომცემლობა „Giviyazilar“-ი 1997 წლიდან გამოსცემს სამეცნიერო-პოპულარულ ჟურნალს – „kafkazya Yazilari“ („კავკასიური ჩანაწერები“). ამ ჟურნალში კავკასიის ამბებთან ერათად ხშირად ქვეყნდება საინტერესო მიმოხილვები ლაზური კულტურის, ისტორიისა და ფილოლოგიის შესახებ. აღსანიშნავია ლაზების მიერ მომზადებული ვებ-გვერდები: www.geocities.com/dobadonachkini, www.lazika.virtualare.net, www.lazuri.com, www.lazebura.org, www.lazuri.net, www.lazgiresun.cjb.net, www.karalahana.com, www.mexeniti.com, www.hopam.com, www.arhavim.com, www.xalikana.com, www.secere.net, www.geocities.com, www.kapistona.com.tr.tc, www.geocities.com/kremuli, www.ardesen.8m.com.

ლაზები როგორც ოსმალეთის იმპერიაში, ასევე თურქეთის რესპუბლიკის საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში იმთავითვე დაწინაურდნენ.

რესპუბლიკური თურქეთის პოლიტიკურ ასპარეზზე მრავალმა ლაზმა მიაღწია წარმატებას. როგორც ამბობენ, თურქეთის მეხუთე პრეზიდენტი ჯევდეთ სუნაი (Cevdet Sunay - 1899-1982) ტრაპიზონელი იყო, რომელსაც სამოციანი წლების დასაწყისიდან ჯერ შეიარაღებული ძალების გენშტაბის მეთაურის თანამდებობა ეკავა, ხოლო 1966-73 წწ. ქვეყნის პირველი პირი იყო.

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში გამოჩნდა პირველად რესპუბლიკის ისტორიაში რელიგიური პარტია „სათნოების პარტია“, რომლის აკრძალვის შემდეგაც მან საქმიანობა „სამართლიანობისა და აღორძინების პარტიის“ სახით გააგრძელა. პარტიის ლიდერს მამით გურჯ, დედით ლაზ რეჯეფ თაიფ ერდოღანს დღეს პრემიერ-მინისტრის თანამდებობა უკავია. უფრო ადრე მას სტამბოლის მერის თანამდებობაც ეკავა. ერდოღანი არ მალავს თავის ქართველობას. აღნიშნულ პარტიას აშშ-ში „ზომიერი ისლამის“ ფრთას მიაკუთვნებენ. იმავე პარტიის

ერთ-ერთი ლიდერია დიპლომატი იაშარ იაქიში, რომელმაც დიპლომატიური კარიერის დამთავრების შემდეგ ერდოღანს დაუკავშირა პოლიტიკური მოღვაწეობა. სამოც წელს გადაცილებული იაშარ იაქიში ამჟამადაც არის მთავრობის მეთაურის მრჩეველი, რამდენიმე წლის წინ კი საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობაზე მუშაობდა. ლაზურის გარდა, იცის ქართულიც. დაინტერესებულია ლაზების ისტორიის საკითხების კვლევითაც.

მემარჯვენე პოლიტიკურ მოღვაწეთა შორის აღსანიშნავია ასევე 1947 წ. სტამბოლში დაბადებული რიზელი მესუთ ილმაზი, რომელიც თ. ოზალის მიერ დაარსებული „დედასამშობლოს“ პარტიის ლიდერი იყო წლების განმავლობაში. 90-იან წლებში საგარეო საქმეთა მინისტრის, ხოლო შემდეგ პრემიერ-მინისტრის თანამდებობა ეკავა. თურქეთის მემარცხენე პოლიტიკური პარტიებშიც არაერთი ლაზური წარმოშობის მოღვაწემ მიაღწია წარმატებას. უფროსი თაობის პოლიტიკურ მოღვაწეებს შორის აღსანიშნავია მუმთაზ სოისალი, თურქეთის სოციალური პარტიის თვალსაჩინო ლიდერი, საერთაშორისო სამართლის სპეციალისტი. ამავე პარტიის ლიდერი მოგვიანებით გახდა რიზელი ლაზი მურად კარაიალჩინი, რომელსაც 90-იანი წლების დასაწყისში ქ. ანკარის მერის თანამდებობა ეკავა.

თურქეთის დედაქალაქ ანკარის ერთ-ერთი რაიონის გამგებელია ლაზი ქალი, გვარად ხალვაში. თურქეთის ეკონომიკის წინსვლასა და განვითარება-ში მეტად მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ლაზი ბიზნესმენები. სამართლის სფეროში მნიშვნელოვანი ფიგურაა სტამბოლის უნივერსიტეტის პროფესორი თოხთამიშ ათეში (Ateş).

საზოგადოებრივი ცხოვრების ბევრ სფეროში მამაკაცებთან ერთად წარმატებით მოღვაწეობენ ქალებიც. ქ. ანკარაში ცნობილია კოლეჯი, რომლის დირექტორიც ლაზი ქალია – ფათოშ აბლა. ასევე ცნობილია თურქულენოვანი ლაზი პოეტი ქალი სელმა კოჩივა. ლაზი პოეტი სინან ბადიში (არბაირაკოღლუ) ამჟამად ცხოვრობს და მოღვაწეობს სტამბოლში. ცნობილია ლაზი პოეტი და მხატვარი, ხასან ჰელიმიში. მეცნიერების სფეროში, როგორც თურქეთში, ასევე საზღვარგარეთ ნაყოფიერად მოღვაწეობენ ლაზი მკვლევრები. მათი ნაწილი უცხოეთის წამყვან

სამეცნიერო ცენტრებში არის მიწვეული. ბოლო ხანს ლაზ მეცნიერთა შორის გაიზარდა მშობლიური მხარის ისტორიის, კულტურისადმი ინტერესი. ალი იჰსან აქსამაზი (Ali Ihsan Aksamaz) ლაზების ისტორიის საკითხებს სწავლობს. ლექსიკოგრაფიის საკითხებში აღსანიშნავია ისმაილ ავჯი ბუჯაქლიშის (Jsmail Avci Bucaklişi) და ვიწელი ჰასან უზუნჰასანოღლუს (Hasan Uzunhasanoğlu) ლექსიკონები. ბუჯაქლიშის საქმიანობა „ზუღაში ბერეფეს“ ჯგუფს და ჟურნალ „ოგნის“ გამოცემასაც უკავშირდება.

ლაზების ისტორიის ძირითადი საკითხების შესწავლით არის ცნობილი ლაზი განმანათლებელი მ. რეჯაი ოზგუნი, მისი წიგნი „ლაზლარ“ (Lazlar = ლაზები) პოპულარულია ლაზებში. ოზგუნი ითხოვს ავტოხტონ ენებზე შეზღუდვების გაუქმებას, ლაზურისათვის დედაენის სტატუსის მინიჭებას და, რაც მეტად მნიშვნელოვანია, ხელოვნურად გადარქმეული ტოპონიმებისათვის ლაზური სახელების აღდგენა-შენარჩუნებას.

მომღერალი, მუსიკოსი ქაზიმ ქოიუნჯუ (Kazim Koyuncu), რომელიც ლაზურ მუსიკალურ ფოლკლორსაც იკვლევდა. ცნობილია ტრაპიზონელი მომღერალი ფუად საკა, ასევე, თურქეთის ესტარდის ცნობილი წამომადგენელი, თარქანი რიზელია. თურქეთის თეატრმცოდნეთა შორის აღსანიშნავია არქაბედი ჰაუათი ასილაზიჯი (Hayati asilyazici), რომელიც ქ. სტამბოლში განათლების სფეროშიც მოღვაწეობს. იგი 1987 წელს იმყოფებოდა საქართველოში და დღესაც თურქეთის საზოგადოებას ქართული კულტურის მიღწევებს აცნობს.

სპორტის სფეროში განსაკუთრებით აღსანიშნავია თურქეთში სპორტის ნომერ პირველ სახეობაში – ფეხბურთში შავიზღვისპირელთა წარმატებები. (www.diaspora.gov.ge)

ქართველები სტამბოლში და მათი საგამომცემლო მოღვაწეობა

„ისტორიულად ქართველებს მჭიდრო კავშირი ჰქონიათ ბიზანტიასთან, მის დედადქალაქ კონსტანტინოპოლთან. ქართველებს აქ თავიანთი ახალშენიც დაუარსებიათ, ქალაქის ერთ-ერთ უბანს გურჯი-კაფუ (ქართველთა კარი) ეწოდებოდა.

ქართველებს კონსტანტინოპოლში ეკლესიებიც ჰქონდათ. მკვლევართა ცნობით, კონსტანტინოპოლში მათ ორი სავანე ეკუთვნოდათ: ანასტაზიასი – ქალაქში და სოსთენისა – ქალაქის განაპირას. ფიქრობენ, რომ სოსთენის ეკლესიის ადგილას ფიალი ფაშას მეჩეთია აგებული, ხოლო ანასთაზიას ეკლესიის ადგილმდებარეობის დადგენა ვერ ხერხდება. ისტორიული წყაროები არაფერს ამბობს სხვა ქართული ეკლესიის შესახებ. ერთ-ერთი ცნობის მიხედვით, 1195 წელს კონსტანტინოპოლში გაძარცვეს ქართველი ბერები, რომლებსაც წაართვეს თამარ მეფისაგან ბოძებული საჩუქრები. გამოთქმულია მოსაზრება, რომ სწორედ ეს გახდა მიზეზი იმისა, რომ 1204 წელს თამარ მეფემ ომი გამოუცხადა ბიზანტიის იმპერატორს, რის შედეგადაც შეიქმნა ტრაპიზონის სამეფო.

1453 წელს ოსმალებმა დაიპყრეს კონსტანტინოპოლი, საბოლოოდ მოსპეს ბიზანტიის სახელმწიფო და შავ ზღვაზეც გაბატონდნენ. ამ მიზეზით საქართველოს ეკონომიკური ურთიერთობა მეზობელ სახელმწიფოსთან შეფერხდა, იქ მცხოვრებ ქართველთა რიცხვი თანდათანობით შემცირდა. ძველი ქართული დასახლებიდან ქართველები გალათაში კომპაქტურად დასახლდნენ, შემდეგ კი – ძველი სტამბოლის იმ ნაწილში, რომელსაც ვეზირ-ხანს უწოდებენ.

სტამბოლის ქართული ახალშენის მოსახლეობის ძირითადი ნაწილი მესხეთიდან იყვნენ. დასახლებები განსაკუთრებით გაიზარდა 1828-1829 წწ. რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ. ქართველების უმეტესობა კათოლიკეები იყვნენ. ისინიც გალათას მიდამოებში სახლდებოდნენ. კათოლიკეებს მფარველობდნენ რომის პაპი და ევროპის სახელმწიფოები. სტამბოლში, სანამ ფერიქოიში ქართველ კათოლიკეთა სავანე დაარსდებოდა, ისინი ღვთისმსახურებას წმინდა პეტრეს ეკლესიაში ასრულებდნენ, რომელიც იტალიელ მღვდლებს ეკუთვნოდა. ეკლესიის სასაფლაოზე ქართველებიც იყვნენ დაკრძალულნი. დროთა განმავლობაში ძველი სასაფლაო ამ ადგილიდან უფრო შორს გადაიტანეს. ფერიქოის ქართველ კათოლიკეთა ეკლესიის არქივში დაცულია სასაფლაოს ქართული წარწერების არასრული სია, რომლიდანაც ირკვევა, რომ უძველესი წარწერა 1702 წელს განეკუთვნება.

ქართველ კათოლიკეთა რაოდენობრივი ზრდისა და მათი ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების შედეგად საჭირო გახდა სტამბოლში ქართველ კათოლიკეთა საზოგადოების დაარსება. 1859 წ. 7 მაისს რომის პაპმა პეტრე ხარისჭირაშვილს სტამბოლში ქართული სასულიერო საზოგადოების შექმნისა და მონასტრის დაარსების ნება დართო. 1861 წ. სტამბოლის გარეუბანში, ფერიქოიში (ფერიების სოფელი), დაფუძნდა ქართული კათოლიკური მონასტერი. მალე დაარსდა სკოლაც, სადაც საღვთისმეტყველო საგნების გარდა ასწავლიდნენ ქართულ ენასა და ლიტერატურას, საქართველოს ისტორიას, მათემატიკას, ფიზიკასა და ასტრონომიას. ისწავლებოდა ლათინური, ბერძნული და ფრანგული ენები. პ. ხარისჭირაშვილი თურქული ენის მასწავლებლებად მაჰმადიან ქართველებს იწვევდა.

1870 წელს დაარსდა ქართული სტამბა. ქართულ კათოლიკურ ეკლესიაში წირვა-ლოცვა ტარდებოდა ქართულად, რაც ხელს უწყობდა კათოლიკე და მართლმადიდებელი ქართველების გაერთიანებას სტამბოლში. სტამბაში იბეჭდებოდა სასწავლო და სხვა შინაარსის წიგნები: „მოკლე რიტორიკა“, „მოკლე ფრანციცული გრამატიკა“, „კარი ლათინური გრამატიკისა“, „ყვავილების კონა“, „საქრისტიანო მოძღვრება“, „მოკლე ფილოსოფია“, „პატარა საქრისტიანო მოძღვრება“, „წალკოტი ლოცვით“, „ყოვლად წმინდა ღვთისმშობლის ცისკრის ლოცვანი“, „დოღმატური ღვთისმეტყველება“ და სხვ.; სტამბამ გააააქტიურა მუშაობა დამოუკიდებელი საქართველოს (1918-1921) პერიოდში. დაიბეჭდა პ. სურგულაძის „საქართველო თავისუფლებისაკენ“ (1918), პავლე ინგოროყვას „საქართველოს ტერიტორიის საზღვრების შესახებ“ (1918), პ. სურგულაძის „დამოუკიდებელი საქართველოს საერთაშორისო მნიშვნელობა“ და სხვ. სტამბოლის ქართულ სტამბას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული წიგნის ბეჭდვის თვალსაზრისითაც. ამ წამოწყებების სულისჩამდგმელი იყო პეტრე (ლუკა) ხარისჭირაშვილი (1818-1890).

1908 წ. სტამბოლში მცხოვრები ვლ. წერეთლის თაოსნობით დაარსდა საქველმოქმედო საზოგადოება „ქართველთა ერთობა“, რომლის მიზანი იყო გაეერთიანებინა იქ მცხოვრები ქართველები განურჩევლად რელიგიური მრწამსისა, ხელმოკლეთათვის კი, მატერიალური დახმარება გაეწია. ეს საზოგადო-

ება მხოლოდ რევოლუციის შემდეგ შეუდგა ლეგალურად მუშაობას. 1908-1909 წწ. ახალგაზრდა თურქთა რევოლუციისა და კონსტიტუციის აღდგენის შემდეგ ქვეყანაში პოლიტიკური ცხოვრება გამოცოცხლდა. იქმნებოდა პოლიტიკური პარტიები და ორგანიზაციები. ქართველ მაჰმადიანთაგან ოთხი დეპუტატი აირჩიეს პარლამენტში. ქართველი მუსლიმები ხვდებოდნენ კათოლიკე ქართველებს. ფერიქოის ქართველთა სავანე ქართველთა თავშეყრის ადგილად იქცა. ქართველთა შეკავშირების საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული კლუბის დაარსებამ. იმართებოდა კრებები, რომლებსაც ესწრებოდნენ ქართველები: ფაშები, გენერლები, ოფიცრები, ვექილები, ექიმები და სხვ. შეიმუშავეს წესდება, რომელიც ოსმალეთის მთავრობამ დაამტკიცა. რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ანექსიისა და საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ საქართველოს ურთიერთობა თურქეთთან შეწყდა. ფერიქოის სკოლა მოწაფეთა სიმცირის გამო დაიხურა, მუშაობა შეწყვიტა ქართულმა სტამბამ, მრევლის სიმცირის გამო დაიხურა კათოლიკური ეკლესიაც.

1992 წელს საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკებს შორის დაიდო ხელშეკრულება მეგობრობის, თანამშრომლობისა და კეთილმეზობლური ურთიერთობის შესახებ“ (სვანიძე 1993).

თურქეთის ქართველების პრობლემები

ქართული წარმოშობის თურქეთის მოქალაქეები ინტეგრირებულნი არიან თურქეთის საზოგადოებაში. მათთვის ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნების საშუალებაა ფოლკლორული ანსამბლებისა და ქართული ენის შემსწავლელი კურსების ორგანიზაცია. აღნიშნული წამოწყება, რა თქმა უნდა, საქართველოს სახელმწიფოსგან მხარდაჭერილია. თურქეთის ქართული დიასპორა საკუთარი შესაძლებლობებით წვდება კულტურული კერების ორგანიზაციის საკითხებს, თუმცა, არსებობს პრობლემები:

- ქართული ენის შესწავლის მსურველთა ნაკლებობა

2010 წ. დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინიციატივითა და უშუალო მონაწილეობით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და საქართველოს წამყვან უნივერსიტეტებთან თანამშრომლობით დაიწყო მუშაობა ერთობლივი პროგრამის – „ისწავლე საქართველოში“ განხორციელებაზე. პროგრამა შემუშავებულია თურქეთში მცხოვრები მოსწავლე-ახალგაზრდობისთვის და ითვალისწინებს მათ უგამოცდოდ ჩარიცხვას საქართველოს მთავარ უმაღლეს სასწავლებლებში. აღნიშნული პროგრამით ჩარიცხული ყველა სტუდენტის სწავლა სრულად ფინანსდება სახელმწიფო სასწავლო გრანტით. სწავლის პერიოდში სტუდენტებს სტიპენდია ენიშნებათ. პროგრამა სასწავლო პროცესის პირველ წელს ქართული ენის შესწავლას ითვალისწინებს, შესაბამისად, მონაწილეობის მიღების მსურველები, სასურველია, ქართულ ენას ფლობდნენ (სალაპარაკო დონე). პირველ ეტაპზე თურქეთის რესპუბლიკიდან დაახლოებით ოცდაათმა ახალგაზრდამ გამოთქვა სურვილი მონაწილეობა მიიღოს აღნიშნულ პროგრამაში. პროექტის განხორციელება ორი მეზობელი ქვეყნის - საქართველოსა და თურქეთის მეგობრობას კიდევ უფრო გააღრმავებს.

ჩვენი კვლევის მიხედვით, თურქეთში ქართულენოვანი პერიოდული გამოცემების საკითხი ასევე უკავშირდება ქართული ენის შესწავლის მსურველთა, მცოდნეთა ნაკლებობის პრობლემას. თურქეთში ჩვენ ვხვდებით თურქულ ან თურქულ-ქართულ გამოცემებს.

• თურქეთის ტერიტორიაზე არსებული ქართული ძეგლების საკითხი.

თურქეთის ტერიტორიაზე არსებული ქართული ძეგლების საკითხი ყოველთვის იყო ქართველი და თურქი მეცნიერების შესწავლის საგანი. თურქეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული მართლმადიდებლური ძეგლების შესახებ პირველი მოკლე ცნობები კარლ კოხმა, დიმიტრი ბაქრაძემ, გიორგი ყაზბეგმა და პრასკოვია უვაროვამ მოგვაწოდეს. ამ კუთხით საინტერესოა ნიკო მარის „შავშეთ-კლარჯეთში მოგზაურობის დღიური". ამ საკითხზე მუშაობდენენ გიორგი ჩუბინაშვილი, პარმენ ზაქარაია. ერთ-ერთ ფუნდამენტურ შრომად ითვლება ვახტანგ ჯობაძის წიგნი „ადრეული შუა საუკუნეების ქართული მონასტრები ისტორიულ ტაოში, კლარჯეთსა და შავშეთში", აგრეთვე აღნიშვნის ღირსია ევროპელი და ამერიკელი ავტორების (ნიკოლ და ჟან-მიშელ ტიერი, დევიდ უინფილდი, რობერტ ედვარსი, ბრუნო ბაუმგარტნერი და სხვ.) ნაშრომები. ამ მკვლევართა ღვაწლი მით უფრო დასაფასებელია, რომ 1950-იანი წწ. ბოლოდან მოყოლებული მთელი სამი ათეული წლის განმავლობაში, „თურქეთის საქართველო" მიუწვდომელი იყო ჩვენთვის. 1980-იანი წლებიდან ქართული კულტურის შესწავლის საქმეში აქტიურად ჩაებნენ თურქი მეცნიერებიც, მათ შორის აღსანიშნავია მინე ქადიროღლუ, თურგაი იაზარი, ჯაფერ ქარაჯა და სხვ. (ხოშტარია 2005; ჯობაძე 2006; ჭიჭინაძე 2004).

ქართული კულტურის ძეგლები ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების თვალსაზრისითაც საინტერესოა, თუმცა ძეგლების მდგომარეობა სავალალოა, რომ არაფერი ითქვას ზოგიერთ ტაძარში მეჩეთის ფუნქციობის შესახებ. ძეგლების აღდგენის თაობაზე არაოფიციალური და ოფიციალური მოლაპარაკებები თურქეთსა და საქართველოს შორის 2005 წლიდან მიმდინარეობს. აღმოჩნდა, რომ 2011 წ. დასაწყისში დიპლომატიური უწყებების წარმომადგენლების მიერ გახმოვანებული შეთანხმება თურქეთში არსებული ქართული ძეგლების თაობაზე პოლემიკის საგანი გახდა. „სადავო შეთანხმება, რომელიც ქართულ მხარეს ცუდ მდგომარეობაში აგდებს" – ამ სათაურით გაზეთ „კვირის პალიტრაში" გამოქვეყნდა ეკა ლომიძის სტატია (24.01.2011). „ქართულ და თურქულ მხარეებს შორის შეთანხმებაში ბალანსი

უნდა იყოს დაცული“ – ასეთია საქართველოს საპატრიარქოს პოზიცია. საპატრიარქომ სპეციალური განცხადება გაავრცელა საქართველოსა და თურქეთს შორის მოლაპარაკების შესახებ. შეთანხმების მიხედვით, ისტორიული ტაო-კლარჯეთის ტერიტორიაზე მდებარე ხანძთის, ოშკის, იშხნისა და ოთხთა ეკლესიის რეაბილიტაციის სანაცვლოდ, საქართველოში სამი მეჩეთის განახლება და ერთის აშენება იგეგმება. განცხადების გავრცელების შემდეგ საზოგადოებაში განსხვავებული აზრი გაჩნდა, ისიც კი ითქვა, რომ საქართველოს საპატრიარქოს პოზიცია რადიკალურია. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მდივანი დეკანოზი მიქაელ ბოტკოველი: „ქართულ და თურქულ მხარეებს შორის შეთანხმებაში ბალანსი უნდა იყოს დაცული. ფაქტია, რომ საქართველოში ასობით მუსლიმური სალოცავია და მათ მოქმედებას არავინ კრძალავს. ამიტომაც, რბილად რომ ვთქვათ, კარგი ჟესტი არ არის თურქეთის მხრიდან იმის მოთხოვნა, რომ კიდევ ერთი ან ოთხი სალოცავი გაახსნევინო და სანაცვლოდაც იმდენივე აღგადგენინოს თავის ტერიტორიაზე. ამასთან, აღგადგენინოს არა მონასტერი, როგორც ფუნქციური ობიექტი, არამედ, მხოლოდ როგორც ძეგლი. ეს არ არის თანაბარი სუბიექტების საუბარი. ქართულ მხარეს აშკარად ცუდ მდგომარეობაში აგდებს ეს შეთანხმება. ძეგლები უნდა აღდგეს, მაგრამ შეთანხმება უნდა მოხდეს მხოლოდ თანაბარ პოზიციაში მყოფი სახელმწიფოების დონეზე. საჭიროა იმის გათვალისწინება, რომ თურქეთი ევროკავშირში ინტეგრაციისკენ მიისწრაფვის. თუ იუნესკო მოითხოვს, ეს ტაძრები ამ სადავო შეთანხმების გარეშეც შეიძლება აღდგეს. ამ, მართლაც, უნიკალური ძეგლების აღდგენა არა მხოლოდ საქართველოსთვის, მსოფლიოსთვის იქნება მნიშვნელოვანი მოვლენა“.

საქართველოს საპატრიარქოს განცხადება, 18 იანვარი 2011 წელი:

„თურქეთში ქართული ტაძრების, ხოლო საქართველოში მეჩეთების რესტავრაციასთან დაკავშირებით როგორც ჩვენთვის ცნობილი გახდა, კვლავ მიმდინარეობს მოლაპარაკება საქართველოსა და თურქეთის სახელმწიფოებს შორის ამჯერად საქართველოში უკვე ოთხი მეჩეთის და ერთი აბანოს, ხოლო თურქეთში ოთხი ქართული ტაძრის აღდგენის შესახებ.

საქართველოს კანონმდებლობის (კონსტიტუციური შეთანხმების) თანახმად, ეკლესია წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, რომელიც მესაკუთრეა ქართული მართლმადიდებლური ეკლესია-მონასტრებისა, ხოლო სახელმწიფოს აქვს ვალდებულება, აწარმოოს მოლაპარაკება უცხოეთში არსებული ქართული ტაძრების საკუთრებისა და მოვლა-პატრონობის შესახებ. ამდენად, თურქეთის მხარისათვის წარდგენილი ტაძრების სია და მოლაპარაკების პირობები, ბუნებრივია, შეთანხმებული უნდა ყოფილიყო მის მესაკუთრესთან – საქართველოს საპატრიარქოსთან, რაც არც ადრე და არც ახლა არ განხორციელებულა. ეს ჩვენთვის სრულიად გაუგებარია.

თავიდანვე შევნიშნავთ, რომ ისეთი მნიშვნელობის ძეგლები, როგორიცაა ოშკი, ხანძთა, ოთხთა, იშხანი... იუნესკოს ეგიდითაც შეიძლებოდა აღდგენილიყო და ამისათვის შესაბამისი ნაბიჯები აქამდეც შეიძლებოდა გადადგმულიყო. მოლაპარაკებები კი, თურქულ მხარესთან სხვა ტაძრების რესტავრაციასთან დაკავშირებით უნდა გვეწარმოებინა.

რატომ არ იქნა ეს გზა გამოყენებული, არ ვიცით.

დაბოლოს, უნდა თავიდანვე განისაზღვროს ისიც, თუ ვის საკუთრებაში იქნება საქართველოში აღდგენილი მეჩეთები, თურქეთში კი - ტაძრები. ვიმედოვნებთ, ჩვენ მიერ წამოყენებული წინადადებები მისაღები იქნება ყველა მხარისთვის, რაც ჩვენ შორის ურთიერთობას კონსტრუქციულს გახდის“.

საქართველოს საპატრიარქოს განცხადება, 4 თებერვალი 2011 წელი:

„ჩვენ ვიმედოვნებდით, რომ ა. წ. 18 იანვრის განცხადების შემდეგ საპატრიარქო ჩართული იქნებოდა იმ მოლაპარაკებებში, რომელიც თურქეთ-საქართველოს შორის მიმდინარეობს ტაძრებისა და მეჩეთების აღდგენის შესახებ. სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდა და პროცესი კვლავ ეკლესიის ინტერესების გათვალისწინების გარეშე ვითარდება, რაც ჩვენთვის მიუღებელია, რადგან ხახულისა და არდაშენის გადმოცემის, - ანუ ამ სახის ნაცვალგების, - გარეშე მეჩეთების მშენებლობის დაწყება გაუმართლებლად მიგვაჩნია. გვინდა განვმარტოთ, რომ არდაშენი არ არის მხოლოდ ტაძარი; იგია ისტორიული ლაზეთის საეპისკოპოსოს ერთ-ერთი ცენტრი და, აქედან გამომდინარე, მისი აღდგენა არა მარტო არდაშენის, არამედ მთელი ამ

მხარის, – ლაზეთის, ქართული ეთნოკულტურისა და საეკლესიო სივრცის განუყოფელ ნაწილად წარმოჩენას ნიშნავს. იგივე ითქმის ტაოში ხახულის მონასტრის ამოქმედების შესახებ. ვფიქრობთ, აქ მეჩეთის ფუნქციონირება თურქებისთვისაც კი დიდ საჭიროებას არ უნდა წარმოადგენდეს, მით უმეტეს, რომ თურქეთში არსებულ ბერძნულ ტაძრებში მეჩეთები არ ფუნქციონირებს, ხოლო ახლახან ერთ-ერთ სომხურ ტაძარზე ჯვარიც კი დაიდგა.

ბოლოს კი დავძენთ, რომ საქართველოში აშენებული და ასაშენებელი მეჩეთები, მუსლიმთა ორგანიზაციის საკუთრება არის და იქნება, ხოლო თურქეთში აღსადგენი ტაძრები დღევანდელი მდგომარეობით საქართველოს და საქართველოს ეკლესიის საკუთრებაში არ მოიაზრება, რაც სამართლიანი არ არის.

ვიმედოვნებთ, საქართველოს ხელისუფლება ჩვენს კონსტრუქციულ წინადადებას გაითვალისწინებს მოლაპარაკებებისას“.

აღსანიშნავია, რომ თურქეთის ტერიტორიაზე არსებობს ქართული კულტურის ძეგლები: თუხარისი, არტანუჯი, ოპიზა, ხანძთა, დოლისყანა, შატბერდი, ტბეთი, ოთხთა, დოლისყანა, ხახული, ოშკი, იშხანი, ჯმერკი, დაბა, ბარეთელთა, წყაროსთავი, მინძაძორი, პარეხი და სხვ. (ხოშტარია 2005).

ახლახან თურქეთის მხარემ ოშკის ტაძარში სარესტავრაციო სამუშაოები ქართულ მხარესთან შეუთანხმებლად წარმართა, რაც, ბუნებრივია, ქართულ მხარეს მიუღებლად მიაჩნია. თურქეთის ტერიტორიაზე არსებული ქართული ძეგლების საკითხს, ძირითადად, ქართული ნაციონალური მედია ეხმიანება. თურქეთის ქართული წარმოშობის მოქალაქეებისათვის ეს საკითხი, სამწუხაროდ, აქტუალური არ არის.

თურქეთის ქართველების გამოცემები

ჟურნალი „ჩვენებური“

1977 წელს პირველად თურქულ ენაზე სტოკჰოლმში ჟურნალი „ჩვენებური“ გამოიცა. შვედეთის დედაქალაქში 1977-78 წწ. „ჩვენებურის“ ხუთი ნომერი დაისტამბა, რაც დაკავშირებული იყო შანივერ აკინის (შალვა თევზაძე) სახელთან (სხვათა შორის, შვედეთის ქართული სათვისტომოს ჩამოყალიბების საკითხიც შანივერ აკინის (თევზაძე) სახელს უკავშირდება).

1979 წელს სტამბოლში აჰმედ ოზქან (მელაშვილის) ხელმძღვანელობით VI და VII ნომრები დაისტამბა. ჟურნალის რედაქტორს, ქართული კულტურის დიდ მოამაგეს, თანადგომას უწევდა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, პროფესორი ოთარ გიგინეიშვილი. 1980 წლის ივლისში რედაქტორის ტრაგიკულმა დაღუპვამ ჟურნალის გამოცემა შეაჩერა. გარდაიცვალა ოთარ გიგინეიშვილიც.

„ჩვენებური“ 1993 წ. თებერვლის ბოლოს ჟურნალის სარედაქციო საბჭოს წევრებმა აღადგინეს. გამომცემელი იყო შევქეთ შირინი, მთავარი რედაქტორი – ფაჰრეთინ ჩილოღლუ (ბექა ჩილაშვილი; იგივე ფარნა ჭილაძე). 1997 წლიდან „ჩვენებურის“ გამომცემელი და ხელმძღვანელი ოსმან ნური მერჯანი (ოთარ იმედაშვილი) გახდა: „აწი ჩვენ ვიმუშავებთ, რომ ჩვენი „სისხლის“ ენა არ გაქრეს, არ დავივიწყოთ. „გონჯი“ საქმეა, როცა კაცი თავის სისხლს დაივიწყებს, თავის ენას პატივს არ სცემს და მას არ ლაპარაკობს“.

აჰმედ ოზქან (მელაშვილი) დაიბადა 1922 წ. 10 ივნისს თურქეთის სოფ. ქოჩბაირში (ბალიქესირის ოლქი). აქ 1877-78 წწ. რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს ართვინის ოლქის მურღულის რაიონის სოფ. არხვადან გადმოსახლებულ ქართველებს უცხოვრიათ. აჰმედის მამა – თევფიქი – იმ მიდამოში განთქმული ქვითხურო ყოფილა, ჯამეები და მინარეთები აუშენებია. შეგირდებად ქართველები ჰყოლია, რომელთაც, ხელობის გარდა, ქართულ სიმღერებსაც ასწავლიდა. თევფიქ ოზქანი შესანიშნავად უკრავდა ქართულ ხალხურ საკრავებზე, უამრავი ლექსი და სიმღერა იცოდა. საბოლოოდ, მისი ჯგუფი ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის

ანსამბლად იქცა. აჰმედ ოზქანის ხუთი დედმამისშვილი ქართულ გარემოში იზრდებოდა. აჰმედს დედა ბავშვობაში გარდაეცვალა, მამა – 1959 წელს.

აჰმედს პირველდაწყებითი განათლება თავისი სოფლის სკოლაში მიუღია, შემდეგ ბანდირმასა და ბალიქესირის ლიცეუმებში უსწავლია. 1943 წელს სწავლა იზმირის ვაჟთა მეორე ლიცეუმში დაასრულა.

ბალიქესირის ლიცეუმში სწავლისას მას და მის ქართველ მეგობრებს ლათინური ანბანის საფუძველზე ქართული ანბანი შეუდგენიათ და მიმოწერა გაუჩაღებიათ. მხოლოდ 21 წლის ასაკში შეიტყო აჰმედმა თურქეთში გადასახლებული ერთი ქართველისაგან ქართული ანბანისა და სტამბოლში ქართული კათოლიკური ეკლესიის არსებობის შესახებ. ქალაქ სტამბოლში სპეციალურად ჩასული, ქართული წერა-კითხვით დაინტერესებული ახალგაზრდებისათვის, მშობლიური ენა სტამბოლის ქართული კათოლიკური ეკლესიის მოძღვარს, მამა პავლეს უსწავლებია. ქართული ენის შესწავლის ინტერესი გაძლიერდა მაშინ, როდესაც აჰმედი და მისი მეგობრები თურქეთის დედაქალაქში სწავლის გასაგრძელებლად ჩასულან.

1943 წ. აჰმედი სტამბოლის ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. ის მეგობრობდა ნური ერგუნთან (ჯინჭარაძე), ქემალ ერილმაზთან (ჯინჭარაძე) და სხვ. ქართული წარმომავლობის თანამემამულეებთან. სტუდენტთა საერთო საცხოვრებელში არსებული ცუდი პირობების გამო აჰმედი ავადმყოფობდა. 1946 წელს ხელმოკლეობისა და ჯანმრთელობის გაუარესების გამო მან სწავლა შეწყვიტა. 1950 წლიდან იზმირშია. 1952-54 წწ. ამ ქალაქის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამმართველოში მუშაობდა. 1954-1959 წწ. ნაზილიში საფრანგეთ-თურქეთის ერთობლივი ქემერის კაშხლის მშენებლობაზე სამხაზველო სახელოსნოშია.

1955 წ. აჰმედმა სტამბოლში იქორწინა იუქსელ ერგუნზე (ჯინჭარაძე), შეეძინა ქალ-ვაჟი, თამარი და იბერია. 1959 წ. ბურსაში გადავიდა ვილაეთების დაგეგმვის სამმართველოში სამუშაოდ. ერთი წლის შემდეგ თავი აღიდგინა სასწავლებელში და მესამე კურსიდან განაგრძო სწავლა. სასწავლებელი წარმატებით დაასრულა და ბურსაში დაბრუნდა.

დაიწყო მუშაობა წიგნზე „გურჯისტანი – კულტურა, ლიტერატურა, ხელოვნება, ისტორია, ფოლკლორი“. წიგნის („ქართული სოფელი ჰაირიე თურქეთში“) გამოცემაში მხარდაჭერის თხოვნით აჰმედმა 1973 წ. 28 მარტს წერილი გაუგზავნა ამერიკაში მცხოვრებ ქართველებს. უფრო კონკრეტულად, წერილის ადრესატები იყვნენ: ცომაია, სინდიკელი, ჯობაძე, ზალდასტანი, ბარათელი და სულხანი: „ასი წლის წინ საქართველოს მაჭახელ რაიონიდან გადმოსახლებული სოფელ ჰაირიე თურქეთში ქალაქ ბურსას ახლოს არის. მე და ამერიკელი პოლ მაგნარელა ანთრეფოლოგიური და მეცნიერული წიგნს ვწერთ. 90% დამთავრდა. წიგნში არის სოფლის დღევანდელი ჩვეულება, ეკონომიკა, ანდაზები, გამოცანები და ლექსები. სურათებიც ბევრი იქნება. ამ მნიშვნელოვან ქართულ სოფელში ჯერ ქორწილებში ქართული ხალხური ცეკვები და სიმღერები არის. ქართულაი ვლაპარაკობთ. ჩვენ გვინდა რომ ესენი არ დავკარგოთ. ჩვენი წიგნი „ქართული სოფელი ჰაირიე თურქეთში“ (ინგლისურ ენაზე) დაახლოებით 300 გვერდი იქნება.

ამ მოკლე ცნობის შემდეგ აი ჩვენი ეროვნული და ისტორიული თხოვნა: ჩვენ გვინდა რომ ამ წიგნში სოფელში მყოფ ქართული ხალხური სიმღერებიც იყოს. გიგზავნით ამ წერილთან ერთად 1) ქართული ფირფიტის ყდას, 2) ერთი ქართული ფირფიტას, ჩვენ გვინდა რომ სოფელში მყოფ ეს სიმღერები, რომლებიც ჩაწერილია ამერიკაში უნდა გაკეთდეს 2 ფორმათ და ჩვენ წიგნთან ერთად გაიყიდოს. წიგნს დაბეჭდავს ბ-ნ პოლ მაგნარელა, ვენ მონტის უნივერსიტეტის ანტროპოლოგიის განყოფილების ვილიამის სამეცნიერო „ხოლი“, მაგრამ ფირფიტებს ვერ გააკეთებს. ჩვენ გვინდა, რომ თქვენ მანდაური ქართველები ჩვენი სოფლის სიმღერები 2 ფორმათ გააკეთოთ და წაუმატეთ ჩვენ წიგნში, ამის შესახებ მიმოწერა გააჩაღეთ პოლ მაგნარელასთან. თუ ქართველი ხართ და თუ ქართველობთ გულში ეს საკითხი შეასრულეთ. ამ ეროვნულ და პატრიოტულ საქმეში თუ დეგვეხმარეთ ქართველმა ხალხმა დაგვაფასებს ჩვენც და თქვენც.

თუ შეიძლება საზოგადოებას შეატყობინეთ. გმადლობთ აქაური ქართველების სახელით. გისურვებთ წარმატებას სულით და გულით ეროვნულ და მშობლიურ საკითხებში. ველი პასუხს მოუთმენლად.

მარად ერთგული აჰმედ ოზქან (მელაშვილი)“.

წერილზე აჰმედ ოზქან მელაშვილმა 1973 წ. 28 დეკემბერს პასუხი მიიღო ამერიკის ქართული საზოგადოების პრეზიდენტ ქ-ნ ელზა ცომაიასგან:

„პატივცემულო ბატონო აჰმედ,

თქვენი წიგნების საფასურში გიგზავნით 200 დოლარს, რომელიც ბატონ სინდიკელი შეგპირდათ. გისურვებთ ნაყოფიერ მუშაობას.

გილოცავთ თქვენ და ყველა მანდ მყოფ ქართველებს ბედნიერ ახალწელიწადს. ელზა ცომაია.“

საპასუხოდ თურქეთის ქართველი მოღვაწე ელზა ცომაიას უგზავნის შემდეგ წერილს:

„ძვირფას მამულიშვილ ქ-ნ ელზა ცომაიას.

დღეს მივიღე თქვენი ძვირფასი წერილი და 200 დოლარის ჩექი. გიძღვნით დიდ მადლობას. ქართულ საკითხზე შრომას ვაგრძელებ. ხელში ერთი რომანი „ჩაუმქრალი კერა“ და „ვეფხისტყაოსანი“ მაქს. პირველი მოკლე ხანში გამოვა. მეორე არ ვიცი როდის. ვსარგებლობ ქართულ, აზერბაიჯანულ და ფრანგულ ენებიდან. 60% დავამთავრე. ძვირფასო ქალბატონო, რა კარგი იქნებოდა ახლოს ვყოფილიყავით, აქ ძალიან დიდად მნიშვნელოვანი საკითხებია გასაკეთებელი.

ბ-ნ სინდიკელი ძალიან ცოტა ხანს იყო აქ. ბევრ დროს ყოფილიყო ბევრ სოფლებში წავიყვანდით და ბევრი საკითხები ხელში ავიღებდით.

მნიშვნელოვანი თხოვნა: აქ სტამბოლში არის ქართული ეკლესია. იქ არის პავლე აქობაშვილი (ადგულაძე). ამან მისცა 2 სურათი ბ-ნ სინდიკელს. ბ-ნ სინდიკელს უნდა გამოეგზავნა ეს 2 ისტორიული სურათი. თუ შეიძლება მოაგონეთ მას. აქობაშვილმა მწერს და დაჟინებით თხოვს სურათები.

ჯერჯერობით ამდენი ეყოფა, თუ აქიდან რამე თხოვნა გაქსთ მომწერეთ, სიამოვნებით შეგისრულებთ.

გილოცავთ ახალ წელს, გისურვებთ მრავალს დაესწროთ.

გისურვებთ წარმატება ეროვნულ და მშობლიურ საკითხებში.

მარად ერთგული აჰმედ ოზქან (მელაშვილი)“.

1959 წ. აჰმედ ოზქან (მელაშვილმა) სოფელ ჰაირიეში ჩამოაყალიბა ახალგაზრდული ფოლკლორული ანსამბლი, რომელმაც ბურსაში გამართულ ფესტივალში გაიმარჯვა. ანსამბლმა სხვა ღონისძიებებშიც გამოიჩინა თავი. სხვათა შორის, აღნიშნულ საფუძველზე, ამჟამად არსებობს ანსამბლი „კაფდაღი“, რომელსაც იბერია ოზქან (მელაშვილი) ხელმძღვანელობს.

1965 წელს აჰმედ ოზქან (მელაშვილი) საფრანგეთში ჩავიდა, შეხვდა იქაურ ქართველ ემიგრანტებს, რომლებთანაც ადრე ჰქონდა მიმოწერა.

აჰმედ ოზქან (მელაშვილს) დიდი წვლილი მიუძღვის ინეგოლის კავკასიური ხალხური შემოქმედებისა და კულტურის საზოგადოების შექმნასა და მუშაობაში.

1968 წ. ქამილ ოლგუნის (თავადიძე), ჰაირი ჰაირიოღლუს (მალაყმაძე) და სხვა თანამემამულეთა მატერიალურ-მორალური მხარდაჭერით, გამოვიდა მისი წიგნი – „გურჯისტანი – კულტურა, ლიტერატურა, ხელოვნება, ისტორია, ფოლკლორი“. წიგნის დასტამბვიდან მცირე ხნის შემდეგ ავტორს ისლამისა და თურქი ხალხის უპატივცემულობა და კომუნიზმის პროპაგანდა დასწამეს, დააპატიმრეს. ორი თვის შემდეგ სასამართლომ ეს ბრალდება გააუქმა. მას შემდეგ, რაც აჰმედ ოზქან (მელაშვილმა) სოფელ ჰაირიეს დაწყებითი სკოლის ბიბლიოთეკას „დედაენა“ გადასცა, პოლიციამ მისი ბინა გაჩხრიკა და სხვადასხვა სახის ლიტერატურა ჩამოართვა. მიუხედავად ამისა, მან თარგმნა ალ. ყაზბეგის „ელგუჯა“; ქართული, ფრანგული და აზერბაიჯანული ტექსტების მოშველიებით, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნას შეუდგა. მისი რედაქტორობით გამოვიდა სიმონ ქვარიანის „გიორგი სააკაძე“ და იუსუფ ფაღავას „ჩაუმქრალი კერა“ (მთარგმნელი: იბრაჰიმ გორაძე).

1977 წელს გამოიცა ჟურნალი „ჩვენებური“, რომლის რედაქტორიც აჰმედ ოზქან (მელაშვილი) გახდა.

აჰმედ ოზქან (მელაშვილი) ორგზის, 1975-სა და 1977 წლებში, სტუმრობდა საქართველოს.

აჰმედ ოზქან (მელაშვილის) საქმიანობა თვალში არ მოსდიოდა ადგილობრივ ხელისუფალთ. ის 1980 წლის 5 ივნისს, ქალაქ ბურსაში, საკუთარი სახლის წინ მოკლეს. მძიმედ დაჭრეს მისი შვილი იბერია.

აჰმედი დაკრძალეს სოფელ ჰაირიეში. მისმა თანაკურსელმა, არქიტექტურის პროფესორმა ჯენგიზ ერუზუნმა, წარმოშობით ლაზმა, საფლავის ეპიტაფიაში ზუსტად გამოხატა მისი ღვაწლი: „აჰმედმა მიწას გართხმული ჩვენი ეროვნული თვითშეგნება ასწია, აგვამაღლა. ჩვენც ავყევით, მაგრამ ვერ გავუტოლდით“... მისი საფლავის ქვაზე შემდეგი ტექსტი აწერია: „აჰმედ ოზქან მელაშვილი. მე უკვდავებისათვის კი არა, ჩემი ხალხისთვის ვიცხოვრე“ (კალანდია 2010: 183).

აჰმედ ოზქანს (მელაშვილს) დარჩა ორი შვილი: თამარი და იბერია. იბერია კერძო არქიტექტურულ საქმიანობას ეწევა, ხელმძღვანელობს ქართულ ფოლკლორულ ანსამბლ „კაფდაღს“.

ჟურნალი „ჩვენებური“ თურქულენოვანია.

ამ რამდენიმე წლის წინ თურქეთის ქართველებმა თხოვნით მიმართეს ქვეყნის ტელე-რადიო კორპორაციის დირექტორატსა და უმაღლეს საბჭოს, რომ კვირაში ხუთჯერ გასულიყო ნახევარსაათიანი გადაცემა, რომელთა შინაარსი მათთვის ცნობილი იქნებოდა. მოთხოვნა შეესაბამებოდა თურქეთის რესპუბლიკის კანონმდებლობას. სხვათა შორის, ტელეგადაცემები მომზადდა ეთნიკური უმცირესობებისათვის ხუთ სხვადასხვა ენაზე, ქურთულ, ზაზას (ქურთული ენის განსხვავებული დიალექტი), ადიღურ (რომელსაც ჩერქეზულს უწოდებენ), არნავუთულ და ბოშნაკურ ენებზე. იგნორირებული იყო ქართული და ლაზური. ორივე ენაზე გადაცემათა მომზადების ინიციატივას უარი ეთქვა. ინიციატორებმა არ იციან რამდენი ქართველი უყურებს ამ გადაცემებს, თუმცა, სურვილი დიდია, რომ ყველა ქართველმა იხილოს.

ჟურნალში გამოიკვეთა პრობლემა: საჭიროა ქართული ენის შემსწავლელი უფასო კურსების გახსნა, ასევე, ჩვენებურებს საქართველოს უნივერსიტეტებში უმაღლესი განათლების საშუალება უნდა მიეცეს; ქართული გამოცემები მორალურ და მატერიალურ დახმარებასაც საჭიროებს.

ძნელი წარმოსადგენია „ჩვენებურის“ ქართულენოვანი გამოცემა. რადგან თურქულენოვან „ჩვენებურსაც“ კი, თურქეთის ქართველთა შორის სასურველი რაოდენობის მკითხველი არ ჰყავდა. ჟურნალი 2006 წლიდან აღარ იბეჭდება.

გასათვალისწინებელია, რომ ინტერნეტში განთავსებული ვებ-გვერდი www.chveneburi.net ნახევრად ქართულენოვანია.

მუსლიმ ქართველთა შორის ტერმინ „ჩვენებურის“ გამოყენების თავისებურებას ხაზს უსვამს ფაჰრეთინ ჩილოღლუ. მისი თქმით, მაჰმადიანი გურჯები „ქართველი ხარ?“-ის ნაცვლად, „ჩვენებური ხარ?“, „ქართული იცის“ მაგიერ კი – „ჩვენებურად იცის?“ ამბობენ.

თურქულად დაწერილი სტატიები, ძირითადად, ორიგინალურია და, უმთავრესად, თურქეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეების კალამს ეკუთვნის. მათ მიერვე არის შესრულებული თარგმანების უმრავლესობა. რედაქციაში აქტიურად მოღვაწეობენ წარმოშობით ქართველი ავტორები: ოსმან ნური მერჯანი (ოთარ იმედაშვილი), ფაჰრედინ ჩილოღლუ (ბექა ჩილაშვილი), ჰაირი ჰაირიოღლუ (მალაყმაძე), მუსტაფა იაქუთი (ხიმშიაშვილი), რაგიფ ათაი, ჰასან ჩელიქი, ისმაილ იაზიჯი და სხვ.

ჟურნალის რუბრიკებია: „ხალხური შემოქმედება“, „ხელოვნება-ლიტერა-ტურა“, „თვალსაზრისი“, „ისტორია“, „ბავშვთათვის“, „ქართული ენა“ და ა.შ.

1993 წელს აღდგენილი ჟურნალის რედაქციამ თავიდან ქალაქ ბურსაში, შემდეგ სტამბოლში დაიდო ბინა. ჟურნალი კვარტალში ერთხელ გამოდიოდა. „ჩვენებური“ რიგდებოდა თურქეთის ყველა კუთხეში.

ოთარ იმედაშვილის თქმით, „ძალიან ძნელია, რომ ოდესმე ჟურნალი „ჩვენებური“ გამოიცეს ქართულ ენაზე.... ერთადერთი პრობლემა ამისათვის შესაბამის მკითხველთა არარსებობაა. მიუხედავად იმისა, რომ ჟურნალი თურქულენოვანი იყო, ჩვენ მაინც გვიჭირს სასურველი რაოდენობის მკითხველთა მოზიდვა „ჩვენებურებს“ შორის, რომ აღარაფერი ვთქვათ ჟურნალის ქართულენოვან ვარიანტზე.“

ჟურნალი „ჩვენებური“ ეხმიანებოდა საქართველო-თურქეთის ურთიერთო-ბებს. სხვადასხვა ქვეყნის, აღმსარებლობის ადამიანების გაცნობა-დაახლოები-სა და კულტურული ღირებულების გაცვლის რთულსა და პასუხსაგებ საქ-მეში ჟურნალი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. („ხიდი“; „ახალი ხიდი“).

ჟურნალი „ფიროსმანი“

ორენოვანი თურქულ-ქართული ჟურნალი „ფიროსმანი“ 2007 წელს გამოიცა. პერიოდულობა – კვარტალში ერთი ნომერი (პერიოდულობა ხშირად დარღვეულია). გავრცელების არეალი – საქართველო, თურქეთი. გამოცემა იბეჭდება თურქეთში, სტამბოლში. საკორესპონდენციო ქსელი – საქართველო, თურქეთი. ფორმატი A5, ცარცის ქაღალდი, ფერადი, 66 გვერდიანი. გამოცემულია 11 ნომერი.

თურქეთში ქართული პერიოდული გამოცემების მდიდარი ტრადიცია არსებობს. აჰმედ ოზქან მელაშვილის მიერ გამოცემული „ჩვენებური“ თურქეთის ქართველების სულიერი ნავსაყუდელი, ჩვენთვის კი – ჩვენებურების გადარჩენის იმედი იყო (ტრადიციებზე საუბრისას გასათვალისწინებელია სტამბოლის კათოლიკური ეკლესიის სტამბაში დაბეჭდილი ჟურნალ-გაზეთები).

ფაჰრეთინ ჩილოღლუ, რომელიც გარკვეული პერიოდი (1993-1997) რედაქტორობდა 1993 წელს აღდგენილ ჟურნალ „ჩვენებურს“, შემდგომში ჟურნალ „მამულს“ გამოსცემდა. სამწუხაროდ, „მამულის“ სულ ხუთი ნომერი გამოვიდა. ფაჰრეთინ ჩილოღლუმ არაერთი ქართველი მწერლის ნაწარმოები თარგმნა. სხვადასხვა დროს თურქულ პერიოდიკასა და ჟურნალ „ჩვენებურში“ გაბნეულმა თარგმანებმა კრებულებში მოიყარა თავი.

ფაჰრეთინ ჩილოღლუს კალამს ეკუთვნის „ქართველთა ისტორია“. წიგნს „საქართველოს ისტორია“ არ ჰქვია, რადგან ეხება არა მარტო საქართველოში მცხოვრებ, არამედ სამშობლოს მოწყვეტილ თანამემამულეებს, რომლებმაც შეინარჩუნეს ქართველობის ხსოვნა და ქართული ენა. ფაჰრეთინ ჩილოღლუმ აღმოაჩინა და ძველი ოსმალურიდან თანამედროვე თურქულ ენაზე თარგმნა 1893 წელს სტამბოლში გამოცემული წიგნი – „ქართული სოფლები“. კვლევის ავტორია ისმეთზადე მეჰმედ არიფი. რუსეთ-ოსმალეთის ომის (1877-1878) დროს ჭოროხის ხეობაში მდგარი რუსული ჯარის ოფიცერი ივანე ჯაიანი „დროებასა“ და „ივერიაში“ წერილებს აგზავნიდა აქაური ქართველების ყოფა-ცხოვრების შესახებ. ეს წერილები ფაჰრეთინმა

თურქულად თარგმნა და გამოცემას „წერილები შავშეთიდან“ დაარქვა. შემდეგ თარგმნა აბდულ მიქელაძის წიგნიც – „წერილები აჭარიდან“.

მნიშვნელოვანია ჩილოღლუს მიერ მომზადებული „დედაენა“, რომელიც თურქული დამწერლობის მცოდნე ქართველებისთვისაა განკუთვნილი.

„თურქულში არ არსებობს ასეთი სიტყვა – „უჩინმაჩინი“, გადავწყვიტე, ჩემი მოთხრობების თურქულენოვანი გამოცემა ქართულად დამესათაურებინა, ამიტომაც ყველა მეკითხება, რას ნიშნავს „უჩინმაჩინი“? მეც ასე ვეუბნები: წაიკითხეთ წიგნი და მიხვდებით!“ – ამბობს ფაჰრეთინ ჩილოღლუ, თურქეთში მცხოვრები ქართველი, რომლის მოთხრობების კრებული – „უჩინმაჩინი“ დაიბეჭდა თურქეთში და, როგორც მისი სხვა გამოცემები, პოპულარულია იქაურ მკითხველებში. წიგნში შესულია ოცდაორი მოთხრობა, მათგან რამდენიმეს მწერლის ძველი გამოცემებიდან იცნობს მკითხველი, რამდენიმე კი – უცნობი ნოველაა.

უფრო ადრე თურქულენოვანი გამოცემებიდან შერჩეული მოთხრობები ითარგმნა ქართულ ენაზე, წიგნს „სასაზღვრო ფიქრები“ (ჩილოღლუ 2006) დაექვა და გამომცემლობა „არტანუჯის“ მიერ გამოიცა. მოთხრობები თურქულიდან თარგმნეს: ლელა დადიანმა, ნანა კაჭარავამ, მირიან მახარაძემ. ქართულენოვან გამოცემას ქართველ მკითხველთა საზოგადოებაში დამფასებელიც ბევრი გამოუჩნდა, ქართულ პერიოდულ გამოცემებში არაერთი პუბლიკაცია, რეცენზია გამოქვეყნდა. რა თქმა უნდა, თურქულ ენაზე გამოცემული „უჩინმაჩინიც“ პოპულარობით სარგებლობს თურქ მკითხველთა საზოგადოებაში, ასევე, კრიტიკოსებში, რომლებიც დადებითად ახასიათებენ ქართული წარმოშობის მწერლის ლიტერატურულ მოღვაწეობას...

ფაჰრეთინ ჩილოღლუს რედაქტორობით თურქეთში გამოდიოდა ორენოვანი, ქართულ-თურქული პერიოდული გამოცემა, ჟურნალი „ფიროსმანი“, ასევე, მის მიერ არის დაარსებული ელექტრონული საინფორმაციო გვერდი www.konapedia.com, რომელიც ენციკლოპედიური ხასიათის მასალებს აწვდის მკითხველს საქართველოსა და თურქეთის შესახებ. ამჟამად ინტერნეტპორტალს იასინ ონჯუ (ივერი მსხალაძე) ხელმძღვანელობს.

„ორენოვანი ჟურნალი, ისევე, როგორც მსოფლიოს სხვა მრავალ ქვეყანაში, არც თურქეთში არაა ახალი ამბავი, მაგრამ თუ საქმე ქართულ-თურქულ ჟურნალს შეეხება, მაშინ თამამად უნდა ვთქვათ, რომ ეს ნამდვილად სრულიად ახალი და უჩვეულო ამბავია. მაშინ, როდესაც თურქეთის არცერთ უნივერსიტეტში არ ისწავლება არც ქართული ენა და ლიტერატურა და არც ქართველოლოგიის განხრა არსებობს, ასეთი ჟურნალის გამოცემა, მართლაც რომ, რიგგარეშე და დიდად მნიშვნელოვან მოვლენად უნდა ჩაითვალოს. არც გამომცემლებში ურევია ვინმე ქართველოლოგი, მაგრამ, როდესაც შენი ფესვები სწორედ ამ ქართველოლოგთა შესწავლის საგნად გამხდარი უძველესი კულტურიდან მოდის, ამ კულტურის პატივისცემა, სიყვარული და სისხლის ყივილი ორენოვან ჟურნალსაც გამოგაცემინებს. საქვეყნოდ აღიარებული ქართველი მხატვრის, ნიკო ფიროსმანაშვილის პატივსაცემად ჟურნალის სახელად „ფიროსმანი“ შევარჩიეთ და კეთილი გრძნობებით აღსავსენი, დონკიხოტური თავგამეტებით შევუდექით ძნელადსავალ გზას.

რაღა თქმა უნდა, „ფიროსმანი“ მხოლოდ მის გამოსაცემად მომუშავე ვიწრო წრის ჟურნალი არაა. იგი ქართული კულტურით და მწერლობით დაინტერესებული ყველა ადამიანისათვის, მწერლისა თუ მკითხველისათვისაა განკუთვნილი. თურქი მკითხველის დიდი ნაწილი პირველად სწორედ ამ ჟურნალიდან შეიტყობს თუ რას ნიშნავს „კოლხური თეთრი“, „ბერიკაობა“, „თამადა“, „ყანწი“, „ხინკალი“ და სხვა მრავალი ცნება, რომელიც ადრე რაღაც იდუმალი ბურუსით იყო მოცული. ასევე, ამ ჟურნალის მეშვეობით ეწვევიან ისინი თბილისს, ბათუმს, სოხუმს, მცხეთას, ქუთაისს, ცხინვალს, დმანისს, ვარძიას, ვანს და სხვა მრავალ ღირსშესანიშნავ ისტორიულ ადგილს. ქართველი მკითხველი კი, რომელმაც ისედაც მშვენივრად იცის „კოლხური თეთრის“, „ბერიკაობის“, „თამადის“, „ყანწისა“ და „ხინკლის“ მნიშვნელობა, იმას შეიტყობს, თუ რა კვალი დატოვა და როგორი მნიშვნელობა შეინარჩუნა ამ და კიდევ სხვა მრავალმა იდუმალმა მცნებებმა აქეთ, ჩვენსკენ. ფრიად საინტერესო გაცვლა-გამოცვლასთან გვექნება საქმე.

ხანდახან „უჩინმაჩინის ქუდსაც“ დავიხურავთ და ხანდახან კოლხეთის სანაპიროსთან „ოქროს საწმისისათვის“ მომდგარ სტუმრებსაც დავხვდებით.

„ეს ჟურნალი რომ არ გამოგეცათ, რა მოხდებოდაო, რომ მკითხოთ, გეტყვით, რომ შევრცხვებოდით!“ – წერს ფაჰრეთინ ჩილოღლუ, ჟურნალის რედაქტორი; სარედაქციო კოლეგიის წევრები არიან: ერდალ ქუჩუქკი, მუსტაფა იაქუთი, ჰასან ჩელიქი, ირინე გივიაშვილი, ქევსერ იუგუნ რუჰი, ლელა დადიანი, ლიანა ახობაძე, ჰაჯერ ოზქანი, ლელა მსხლაძე (გაჩეჩილაძე), ვარლამ ნიკოლაძე, ივერი მსხალაძე; გამომცემელი გახლავთ შენოლ თაბანი. „ფიროსმანის“ ავტორები ჩვენებურები არიან იქითა და აქეთა საქართველოდან. აი, რას წერს ჩვენებური მწერალი ქალი, ქეთევან ხანთაძე (ქევსერ რუჰი): „ჩვენ დროში მოგზაურ, საკუთარ მიწა-წყალს მოწყვეტილ, ტანჯვითა და ვაებით შორ გზაზე მავალ იმ ლტოლვილთა, სხვანაირად რომ ვთქვათ, იმ მუჰაჯირთა შთამომავალნი ვართ, რომელთაც ეს ქვეყანა სამშობლოდ ექცათ. წინაპართაგან გადმოცემებიღა შემოგვრჩა. თითქოს, ამბების მთხრობელებმა ეს გადმოცემები კალთაში ჩაგვიყარეს, თვითონ კი დროის დინებას გაჰყვნენ, გაუჩინარდნენ. ნაღველით გაჯერებული, თაობებისათვის გადაცემული მოგზაურობათა ისტორიები შორეულმა წარსულმა შთანთქა. თუმცა, თურქეთში მცხოვრებ ქართველებს არასოდეს განგვიცდია უარყოფითი ემოცია, რომელიც „უმცირესობის“ განცდას უკავშირდება, მაგრამ სულის სიღრმეში ყოველთვის გვახსოვს, რომ „სხვანი“ ვართ. და ეს შეგრძნება იმ მოშუშებულ იარას ემსგავსება, რომლის ნაწიბურებიც ბოლომდე ვერ შეხორცდა და დროდადრო იჩენს ხოლმე თავს. ენა, რომელზედაც ოჯახში ვსაუბრობთ, განსხვავებულია. ზოგ ტრადიციულ ჩვევასაც ვაგრძელებთ... და მაინც, ამ მიწის ენა, თურქული ენა, ჩვენი გრძნობების გამოხატვის უკიდეგანო შესაძლებლობათა წყაროს წარმოადგენს. ლტოლვილობისაგან დაფლეთილ ჩვენს სულებს თურქული ენა მაკურნებელ მალამოდ მოელამუნა, ჭრილობები მოგვიშუშა... ჩვენ, ტკივილგამოვლილ ადამიანებს, წერისათვის საკმარისი მიზეზი გვაქვს... ეს სატკივარი ანატოლიელებთან ერთად გადავლახეთ...

მწერლობა ჯადოსნური გასაღებივითაა. მას ლიტერატურის ზღაპრული სამყაროს ყველა კარის გაღება შეუძლია, მოთხრობებისა და ლექსებისაკენ მიმავალი კარისაც კი... ამ კართაგან თითოეულს მშვენიერების გზაზე მივყავართ და საოცრებათა ქვეყნის სილამაზესთან გვაზიარებს. ფიროსმანიც ხომ ერთ-ერთი კარია...“

„ფიროსმანის“ თემატიკა მრავალფეროვანი და საინტერესოა, რედაქცია ეხმიანება საქართველოში და თურქეთში მიმდინარე კულტურულ პროცესებს. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ლელა მარგიანის პუბლიკაცია, რომელიც ეხება ფესტივალ „ჩვენებურების“ თურქეთის „ჩვენებურებთან“ სტუმრობას. საერთაშორისო ფესტივალი „ჩვენებურები“ მეოთხედ ჩატარდა, ამჯერად ფესტივალი გასცდა საქართველოს საზღვრებს და თავისი ქართველი მონაწილეებით თავად ეწვია თურქეთის „ჩვენებურებს“. მეოთხე ფესტივალის მასპინძელი იყო თურქეთის ბურსის მხარის ქალაქ ინეგოლის „კავკასიური ფოლკლორისა და კულტურის საზოგადოება“, რომელიც ინეგოლში 1977 წლიდან არსებობს. გაირკვა, რომ ასეთ ღონისძიებას ინეგოლის საზოგადოება უკვე ექვსი წელია ატარებს და აი, მეშვიდე შეხვედრა იმით აღმოჩნდა მნიშვნელოვანი, რომ მისი მონაწილე გახლდათ ასოციაცია „ქართული კულტურა საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ“, აგრეთვე, საერთაშორისო ფესტივალი „ჩვენებურები“. ღონისძიებაში საქართველოდან ოთხი შემოქმედებითი კოლექტივი მონაწილეობდა: ფოლკლორული ანსამბლი „შავნაბადა“ (ხელმძღვანელი დათო ცინცაძე), თბილისის ოპერისა და ბალეტის ბავშვთა ცეკვის ანსამბლი (ხელმძღვანელი თამაზ გოგოტიშვილი), თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ცეკვის ანსამბლი (ხელმძღვანელი თამაზ ყურაშვილი) და ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი „თარიკონი“ (ხელმძღვანელები: რატი ტვილდიანი და მაკა მაქაცარია), მათ ინეგოლში შეუერთდნენ მოსკოვის ქართული სათვისტომოს ცეკვის ანსამბლი „იბერიონი“ (ხელმძღვანელი ქეთი ჩალათაშვილი), ანსამბლი აშშ-დან „მავი დანსი“ და მასპინძელი ქალაქის შემოქმედებითი კოლექტივი (ხელმძღვანელი ლექსო მელუა).

ასევე საინტერესოა, სარედაქციო წერილი ნიკო ფიროსმანის გამოფენის შესახებ, რომელიც პერას მუზეუმში, თურქეთის რესპუბლიკაში გაიმართა. ეს ღონისძიება მით უფრო საინტერესოა, რომ ჟურნალი დიდი შემოქმედის მოსახელეა.

„ფიროსმანის სახელით ცნობილი ნიკო ფიროსმანაშვილი მსოფლიოში აღიარებული მხატვარია. ფიროსმანის ნახატები განუმეორებელი ინდივიდუალური თვისებებით გამოირჩევა, მის ხალოვნებას „ნაივური" მხატვრობის მიმდინარეობას უკავშირებენ. ნიკო ფიროსმანი საქართველოს ქართველი ხალხის და კულტურის სიმბოლოდ გვევლინება და საქართველოს ერთგვარი სამარკო ნიშანია. სტამბოლში გამომავალი ჩვენი ჟურნალის სახელწოდებაა „ფიროსმანი". ასე გავაცანით იგი თურქეთს თავიდან.

შემდეგ მხატვარი მობრძანდა თავისი დიდებული შემოქმედებით. სტამბოლის პერას მუზეუმში 2007 წლის 1 აგვისტოს გაიხსნა გამოფენა „ნაივური ხელოვნების მწვერვალი: ფიროსმანი." გამოფენაზე წარმოდგენილი იყო საქართველოს ეროვნული მუზეუმის ექსპონატები – ნიკო ფიროსმანის 35 ნამუშევარი. გამოფენა ფართოდ გაშუქდა თურქეთის მასმედიაში. „პიკასოს საყვარელი მხატვარი" – ასე მოიხსენებდნენ ფიროსმანისადმი მიძღვნილ წერილებში ქართველ მხატვარს. პერას მუზეუმში, ფიროსმანის გამოფენის მოპირდაპირე მხარეს, მეორე დარბაზში პიკასოს ნახატი გამოიფინა. ინან კირაჩის ნათქვამს თუ დავესესხებით, „მსოფლიოს ყველაზე საოცარი შემოქმედი და საქართველოს ლეგენდარული მხატვარი" ფიროსმანი და პიკასო სტამბოლში შეხვდნენ ერთმანეთს.

ფიროსმანის მომაჯადოებელმა, მსოფლიო მნიშვნელობის ხელოვნებამ თითქოს ჩვენ ჟურნალსაც გაუხსნა გზა. პირველი ნომრის გამოსვლისთანავე თბილისში 27 მაისს გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე „საქართველო და დიასპორა" ჟურნალ „ფიროსმანის" პრეზენტაცია შედგა. 15 ივნისს უკვე სტამბოლში მოვაწყვეთ ჟურნალ „ფიროსმანის" წარდგენის საღამო. ჟურნალი „ფიროსმანი" პირველივე დღიდან მასმედიის ყურადღების ცენტრში მოექცა. ამ გარემოებას მნიშვნელოვანწილად ნიკო ფიროსმანის სახელს, მის პოპულარობას ვუმადლით. თბილისში საერთაშორისო კონფერენციაზე

მსოფლიოს ორმოცი ქვეყნიდან ჩამოსულმა ქართული დიასპორის წარმომადგენლებმა ჟურნალ „ფიროსმანს“ პირველი აღიარება მოუტანეს. ყოველივე ამ სასიამოვნო მოვლენის კვალდაკვალ, ალბათ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ღირსეულად ვატარებთ ფიროსმანის სახელს“ (ფაჰრეთინ ჩილოღლუ).

ჟურნალი მკითხველს აცნობს საქართველოში გავრცელებულ ლეგენდებსა თუ მითებს: „მთვარისა და ხარის კულტი ქართულ მითოლოგიაში“, „მინდიას ტრაგედია“; აცნობს ტრადიციებს – „ბერიკაობა საქართველოში“, „ქსოვის „ფილოსოფია“ ზემო აჭარაში“, „კოლხური თეორი“, „ნაოსნობა ლიგანის ხეობაში“, ძველი ხიდების ისტორიას „ძველი ხიდები საქართველოში“, „გიორგი გურიელის საფლავი ტრაპიზონში“, „ქართველი ქალის ეროვნული სამოსელი“ და სხვ. საინტერესოა გაცნობითი ხასიათის მასალები საქართველოს დედაქალაქების (თბილისი, მცხეთა), ასევე, ისტორიული ძეგლების (ვარძია) შესახებ. ცალკეული წერილები ეძღვნება ნიკო ფიროსმანის ცალკეულ ტილოებს.

განსაკუთრებით საინტერესოა პრობლემური თემებისადმი მიძღვნილი პუბლიკაციები: „კავკასიის რუკები, როგორც პოლიტიკური ბრძოლების იარაღები“, „ქართველების მიგრაცია“, „ქართული ეკლესია-მონასტრების შესახებ მეგზურთა სემინარი“, ჟურნალში იბეჭდება კვლევები: „ოსები საქართველოში და განმეორებული ისტორია“. „იარმარკა“ – რუსიფიკაცია ქართულ ეროვნულ ეკონომიკაში“, „რუსეთის მიერ აფხაზეთის დაპყრობა და აფხაზთა მუჰაჯირობა“. ჟურნალში ადგილი ეთმობა ისტორიის ფურცლებს, რომლებიც საქართველო-თურქეთის ურთიერთობებს ასახავს, მაგ., „ჩვენებურების“ შესახებ: 1877-78 წლების გადასახლებები და ქართველი მუჰაჯირები თურქეთში“. რედაქტორის სვეტი – „ეთნიკური წმენდა – დანაშაული კაცობრიობის წინაშე“, სადაც დაგმობილია საქართველოს მიმართ რუსეთის პოლიტიკა. აღსანიშნავია, რომ ჟურნალ „ფიროსმანის“ მე-6 (2008) ნომერი რუსეთ-საქართველოს ომს ეძღვნება.

ჟურნალში დაიბეჭდა წერილები ქართული წარმოშობის თურქეთის მოქალაქეების შესახებ: „რუშთუ ბოზკურტი – გამორჩეული ქართველი“. ასევე, გამოქვეყნდა თინა შიოშვილის პუბლიკაცია „რუსეთ-თურქეთის

ომებისა და აჭარელთა მუჰაჯირობის ამსახველი ფოლკლორი“. აღსანიშნავია, რომ პუბლიკაციაში გაშუქებულია ზეპირსიტყვიერებაში შემორჩენილი სამშობლოში დარჩენილთა და თურქეთის სხვადასხვა რეგიონში მცხოვრებ ქართველ მუჰაჯირთა შემოქმედება.

ლია ჩლაიძე კვლევაში „მუჰაჯირული და უსამშობლოობის პოეზია“ გვთავაზობს XIX ს. II ნახევარში ჩრდილოეთკავკასიასა და ფოლკლორში ასახულ საქართველოში დატრიალებული მუჰაჯირობის ისტორიას.

დათო ტურაშვილის წერილებია: „მერვე საოცრება“ კაპადოკიის შესახებ, „ჯინსების ქართული ისტორია“, „ქართული სტამბოლი“ და სხვ.

გამოცემა ქართველი თურქოლოგების მიერ მომზადებულ წიგნებს გვაცნობს. ამ უკანასკნელ პუბლიკაციაზე გვინდა შევაჩეროთ თქვენი ყურადღება, პუბლიკაციაში მოთხრობილია თურქი მეცნიერების ქართული კულტურული ძეგლებით დაინტერესების შესახებ. ხელოვნების ისტორიკოსმა უღურ აილდიზმა საზოგადოებას წარუდგინა მონოგრაფია „შავი ზღვის სანაპირო შილედან ბათუმამდე“, რომელიც თურქეთში განლაგებული ქართული ეკლესია-მონასტრების საკითხებსაც მოიცავდა. წერილის ავტორის – გურამ ხიმშიაშვილის – თქმით, ამ ნაშრომით საინტერესო ინფორმაცია მიიღო მოგზაურობით დაინტერესებულმა საზოგადოებამ ძეგლების ზუსტი ადგილმდებარეობის, მისასვლელი გზებისა და ამ გზების მდგომარეობის შესახებ. თურქეთში სტამბოლის მეგზურთა საზოგადოების წყალობით იცნობენ ასევე კულტურისა და ტურიზმის სამინისტროს წარმომადგენლის, ხელოვნების ისტორიკოსის ფაჰრიე ბაირამის მონოგრაფიასაც – „ართვინში მდებარე ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლები“. ქართული ძეგლების შესწავლისათვის ავტორმა დიდი სამუშაოები გასწია სხვა თურქ კოლეგებთან ერთად: მინე ქადიროღლუ, თურგაი იაზარი, ჯაფერ ქარაჯა და სხვ. ესპედიციები 1995, 1996 წლებში ჩატარდა. მეცნიერებმა შეისწავლეს და დაწვრილებით აღწერეს ართვინის, არტანუჯის, ერზრუმის, ოლურის, ოლთუს, თორთუმის ტერიტორიებზე მდებარე ძეგლები. ეს კვლევები, რა თქმა უნდა, ჩვენი, რიგითი ადამიანებისთვის და ქართველი მეცნიერებისთვისაც საინტერესო და დასაფასებელია.

ბუნებრივია, ჟურნალს ჰყავს ჩვენებური მკითხველიც, რომლისთვისაც ქართული ანდაზები ძალიან საინტერესოა. „უნიეს ქართველების ანდაზების“ რუბრიკით ხალხში შემორჩენილი ზეპირსიტყვიერება ცოცხლდება.

ჟურნალში იბეჭდება ჩვენებური ავტორების წერილებიც: „მაჭახელის მეორე მხარე“ (იუნუს ისინი), „გადაღმა მხარე“ (ქეთევან ხანთაძე), „ართვინის მოსახლეობის სალაპარაკო ენა“ (თანერ ართვინლი), „სოფელი მადენი (ბაზგირეთი)“ (დავით მიქელაძე), „როგორ ვისწავლე ქართული“ (აიდინ აქინი) და სხვ. ჟურნალში თურქეთის ქართული სამზარეულოს კერძების რეცეპტებიც არის შემოთავაზებული. ახალი წიგნების რუბრიკით იბეჭდება რეცენზიები ახლადგამოცემულ თურქულენოვან და ქართულენოვან გამოცემებზე.

აი, როგორ იხსენებს ფაჰრეთინ ჩილოღლუ საკუთარი მოღვაწეობის დასაწყისს: „სტამბოლში, უნივერსიტეტში სწავლისას ერთი მეგობარი მყავდა, მასთან ერთად ზღვაზე წავედი. იქ გავიცანი მწერალი – რიფათ ილგაზი, ისეც ვიცნობდით მას, რადგან ცნობილი იყო, პირადად გავიცანით და მან მკითხა: – სადაური ხარ? – უნიედან – ვუპასუხე. – მაშინ შენ იქნები ქართველი, – მითხრა მან. – დიახ, ქართველი ვარ. – ჟურნალ „ჩვენებურის“ შესახებ თუ იცი? – მკითხა. – არა – ვუპასუხე. – რანაირი ქართველი ხარ თუ „ჩვენებურის“ შესახებ არაფერი იციო... ეს ადამიანი იცნობდა აჰმედ ოზქან (მელაშვილს) და გაიხსენა ის. ციხეში ერთად ისხდნენ. მწვანე პერანგს არ იშორებდა და ამიტომ მას „იეშილ აჰმედს“ ვეძახდითო, მის მიერ გამოცემული ჟურნალია „ჩვენებური“, – მითხრა ცნობილმა მწერალმა. ასე გავიცანი ეს დიდი მნიშვნელობის გამოცემა, პირველად ქართული ანბანი იქ ვნახე, გაგონილიც კი არ მქონდა ქართულ დამწერლობაზე, მაშინ 1980 წელი და ჩემს ცხოვრებაში მნიშვნელოვანი დღეები იყო“.

მწერლის მოღვაწეობის ქვეტექსტებში ნათლად იკითხება ნოსტალგიური გრძნობა. ფაჰრეთინ ჩილოღლუს მოღვაწეობაც თურქეთში თურქი კოლეგებისაგან განსხვავებულია და ეს, რა თქმა უნდა, ნაკარნახევია მხოლოდ წარმომავლობით – ქართველობით, რომელიც, საერთოდ, საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველებში ხშირად ცხოვრების განმსაზღვრელ ფაქტორადაც კი გვევლინება. უცხო გარემოში აღმოჩენილი ადამიანი

საკუთარი იდენტობის დაცვას საკუთარ ცხოვრებას შეალევს, ცდილობს საკუთარი წვლილი შეიტანოს საკუთარი ეთნოსის დომინანტი ეთნოსისათვის წარდგენის საქმეში. ამ შემთხვევაში ფაჰრეთინ ჩილოღლუს მოღვაწეობა თურქეთში, მართლაც, დასაფასებელი და სამაგალითოა.

ქართველი საზოგადოებისათვის ფაჰრეთინ ჩილოღლუ დღემდე ნაკლებად ცნობილი იყო.

ჟურნალის გამოცემა 2010 წელს ფინანსური პრობლემების გამო შეწყდა.

ჟურნალი „მამული“

ჟურნალ „ჩვენებურის“ პარალელურად 1997-1998 წლებში თურქეთში ჟურნალი „მამული“ გამოიცემოდა. ჟურნალი თურქულენოვანი გახლდათ. გამოცემის რედაქტორი ფაჰრეთინ ჩილოღლუ იყო. „მამულის“ სულ ხუთი ნომერი დაიბეჭდა. გამოცემა კულტურის სფეროში მიმდინარე მოვლენებს ეხმიანებოდა, ბეჭდავდა პუბლიკაციებს ქართველი საზოგადო მოღვაწეების შესახებ, მკითხველს აცნობდა ქართული ლიტერატურის თანამედროვე მოღვაწეებს. ითარგმნებოდა ქართველი ავტორების ნაწარმოებები. ჟურნალის გვერდები ეთმობოდა ეთნოლოგიისა და ფოლკლორის საკითხებს, მითოლოგიას. გამოცემა ცდილობდა დახმარებოდა ქართული ენის შესწავლის მსურველებს, ადგილი ეთმობოდა მცირე თურქულ-ქართულ ლექსიკონს. „მამულში“ აქტუალური იყო „მუჰაჯირების“ თემა, ასევე, იმ დროისთვის აქტუალური პრობლემების შესახებ. „მამულის“ მკითხველს შეუძლია გაეცნოს სხვადასხვა გაზეთიდან ამოკრეფილ ინფორმაციას („მამული“ 1997-1998).

ნაწილი III

ფერეიდანი

ისტორიული ექსკურსი

დღევანდელი საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრებ ქართველთა ერთ-ერთი დიდი ჯგუფი დაახლოებით ოთხი საუკუნეა, რაც ირანის ისლამური რესპუბლიკის ტერიტორიაზე, ისპაჰანის ოსთანში, ფერეიდანში (ფერეიდუნ-შაჰრი) ბინადრობს.

ქართველთა მასობრივი იძულებითი გადასახლება ირანში სეფიანთა დინასტიის ზეობის დროს დაიწყო. შაჰ-თამაზ I ოთხჯერ დაესხა თავს საქართველოს (1541-1554) და სპარსელი ისტორიკოსის, ჰასან რუმლუს, ცნობით, მარტო ერთი ლაშქრობისას ოცდაათი ათასი ქართველი ტყვედ წაიყვანა ირანში. შაჰ-აბას I-ის დროს (1587-1629) ირანელთა მიერ განხორციელებული ლაშქრობების შედეგად გაცილებით ბევრ ქართველს მოუწია ირანში იძულებით გადასახლება. ისკანდერ მუნში აღწერს, რომ 1616 წელს შაჰმა მხოლოდ კახეთიდან ასოცდაათი ათასი ადამიანი აჰყარა, ხოლო შემდეგ, ქართლიდანაც დიდძალი ტყვე გაუყენა ირანის გზას. დატყვევებული ქართველები ირანის სხვადასხვა რაიონში: ხორასანში, კასპიისზღვისპირეთში, ირანის ცენტრალურ და დასავლეთ რაიონებში ჩაასახლეს.

ქართველთა მასობრივი გადასახლებით შაჰ-აბასი რამდენიმე ძირითად მიზანს ისახავდა:

1. ყოველმხრივ ასუსტებდა დაუმორჩილებელ ქართლ-კახეთს;

2. ახალი ქართული დასახლებებით იცავდა საკუთარ, სტრატეგიულად მნიშვნელოვან რეგიონებს, მათ შორის, ისპაჰანს, მომთაბარე ტომების, ბახტიარების, ლურების, ქურთების გამუდმებული თავდასხმებისაგან;

3. ქართველთა მეშვეობით ირანში ნერგავდა ინტენსიურ მეურნეობას;

4. მამაცი ქართველი მეომრებით აძლიერებდა საკუთარ ლაშქარს.

ქართულ და ირანულ წყაროებზე დაყრდნობით ფიქრობენ, რომ მხოლოდ სეფიანთა ზეობისას საქართველოდან ირანში 200 ათასზე მეტი ქართველი გადაასახლეს, მოგვიანებით, ყაჯარების დროს კიდევ – 50 ათასამდე.

სადღეისოდ მშობლიურ ენაზე მოლაპარაკე ქართველები ირანში მხოლოდ ფერეიდანში (ისპაჰანის დასავლეთით 180 კმ.) დარჩნენ.

XIX ს. მონაცემებით, ქართველების დასახლებაში 14 სოფელია: შაანათი, თოლერი, ბოინი, ტაშკესანა, აფუსი, ახჩა, შაიურდი, ჯაღჯაღი, სიბაქი, ჩუღრუთი, ზემო მარტყოფი, ქვემო მარტყოფი, დეესური და ნინოწმინდა.

ირანის სხვა რეგიონებში ქართველთა ბინადრობის შესახებ თანამედროვე ირანის ტოპონიმიკა მიუთითებს. მაგ: „გორჯი-სარა“ (ქართველთა სასახლე), „გორჯი-მაჰალე“ (ქართველთა უბანი), „გორჯი-ყალა“ (ქართველთა ციხე) მაზანდარანში, „გორჯი“ და „გორჯანი“ ხორასანში, „დეჰ-გორჯი“ (ქართული სოფელი) ირანის აზერბაიჯანში, „გორჯაი“ ქურთისტანში და ა.შ.

სადღეისოდ ფერეიდანში კომპაქტურად მოსახლე ქართველთა რაოდენობა, სხვადასხვა წყაროს მიხედვით, 30-35 ათასის ფარგლებში უნდა იყოს. „ირნა“ (ირანის ისლამური რესპუბლიკის საინფორმაციო სააგენტო) წერს (09. 07. 2004), რომ „ქართული წარმოშობის დაახლოებით 20 ათასი ადამიანი 400 წელზე მეტი ხნის წინ გადმოსახლდა ამ რეგიონში, ისპაჰანის სამხრეთ-დასავლეთით 180 კმ.-ზე.

ზოგიერთი სტატისტიკური გაანგარიშებით, ამჟამად ისპაჰანის პროვინციაში ცხოვრობს დაახლოებით 60 ათასი ქართველი. მიგრაციული პროცესების გამო, XX ს. მეორე ნახევარში ფერეიდნელ ქართველთა ნაწილი დიდ ქალაქებში თეირანში, ისპაჰანში აღმოჩნდა, რის გამოც მათი ზუსტი რაოდენობის დადგენა ძნელია. ზოგიერთი ექსპერტი ვარაუდობს, რომ ფერეიდნელთა რიცხვი ირანში 60 ათასს აღწევს.

პირველ ხანებში ქართველები ინარჩუნებდნენ რჯულს და ზნე-ჩვეულებებს, მაგრამ შემდეგ მათ იძულებით შეუცვალეს სარწმუნოება, რამაც გარკვეულად მათი ეთნოგრაფიული ყოფაც შეცვალა. დღეს ფერეიდნელი ქართველები ისლამური ირანის შიიტური თემის ნაწილს შეადგენენ და გამოირჩევიან რელიგიური წესების ზედმიწევნითი აღსრულებით. გარდა იძულებით გადასახლებულებისა, ირანის კარზე მოღვაწეობდნენ საქართველოდან სხვადასხვა დროს სხვადასხვა მიზეზით გადახვეწილი წარჩინებული ქართველებიც.

ირანში დასახლებულმა ქართველებმა მაშინვე დაიკავეს ღირსეული ადგილი სეფიანთა კარზე. ქართული წარმოშობის არაერთმა პოლიტიკურმა თუ სამხედრო მოღვაწემ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ირანის ისტორიაში, მის საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებაში (ალავერდი-ხან და იმამყული-ხან უნდილაძეები და სხვ.)

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში იცოდნენ ფერეიდნელი ქართველების შესახებ, მათთან ურთიერთობა არ ჰქონიათ. 1871 წელს თბილისში პირველი ფერეიდნელის, იოთამ ონიკაშვილის, ჩამოსვლას მოჰყვა ორმხრივი ურთიერთობები. XIX საუკუნის 90-იან წლებში საქართველოში ჩამოვიდნენ სხვა ფერეიდნელებიც: რეზა ხუციშვილი, ჰოსეინ ონიკაშვილი; 1922 წელს – სეიფოლა იოსელიანი. თავის მხრივ ქართველებიც იჩენდნენ ინტერესს, ფერეიდანში სხვადასხვა დროს იმყოფებოდნენ: ლადო აღნიაშვილი, იოსებ ჭეიშვილი, პავლე ლორთქიფანიძე, ამბაკო ჭელიძე და სხვ.

ფერეიდნელ ქართველთა მიერ უცხოენოვან გარემოში 400 წლის მანძილზე მშობლიური ენის შენარჩუნებას მსოფლიოში, ალბათ, ანალოგი არ მოეძებნება. ფერეიდნულმა კილომ მრავალი ძველი სიტყვა და გამოთქმა შეინარჩუნა, რომელიც დღევანდელ ქართულ ენაში აღარ მოიძებნება.

ფერეიდნელთა მეტყველების მეცნიერული შესწავლა XX ს. 20-იან წლებში დაიწყო (ა. ჩიქობავა, ვ. თოფურია). ამჟამად შესაძლებელია ფართო ლინგვისტური კვლევების წარმოებაც (თ. უთურგაიძე, დ. ჩხუბიანაშვილი). მიმდინარეობს ფერეიდნელ ქართველთა ეთნოგრაფიის შესწავლაც (ო. მიმინოშვილი, ნ. ბართაია, მ. როსტომაშვილი).

1970-იანი წლების დასაწყისში ფერეიდნელთა რამდენიმე ათეული ოჯახი საქართველოში, ისტორიულ სამშობლოში დაბრუნდა, თუმცა, გასული საუკუნის ბოლო ათწლეულში, საქართველოში შექმნილი მძიმე სოციალური ვითარების გამო ზოგიერთი მათგანი ირანში დაბრუნდა.

ფერეიდნული თემატიკით დაინტერესებული მკითხველისათვის სამეცნიერო და პოპულარული ლიტერატურა არსებობს ქართულ (ბ. ჯავახია, გ. ჭიპაშვილი, ზ. შარაშენიძე, ჯ. გიუნაშვილი, მ. თოდუა) და სპარსულ ენებზე, რომელთა შორის უნდა გამოიყოს უკანასკნელ წლებში ფერეიდნელი

ქართველების მიერ დაწერილი და ირანში გამოცემული მნიშვნელოვანი ნაშრომები – „ირანელი ქართველები“ (მალექ მოჰამად რაჰიმი) და „ქართველთა ადგილი ირანის ისტორიასა, კულტურასა და ცივილიზაციაში“ (საიდ მულიანი), რომელთა ქართულად თარგმნა სასიკეთოდ წაადგებოდა ქართულ-ირანულ ურთიერთობებს. (www.diaspora.gov.ge) (სონღულაშვილი 2005).

2008 წელს დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატმა გამოსცა საიდ მულიანის მიერ შედგენილი „დედაენა“ სპარსულენოვანთათვის.

* * *

ირანის ისლამური რესპუბლიკა 1993 წელს ერთ-ერთი პირველი ქვეყანა იყო, რომელმაც ოფიციალურად ცნო საქართველოს დამოუკიდებლობა და მასთან პოლიტიკურ-კულტურული ურთიერთობები წამოიწყო. თბილისში ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩო, ხოლო 1994 წელს თეირანში საქართველოს საელჩო გაიხსნა. ბოლო ათწლეულის მანძილზე ორ ქვეყანას შორის პოლიტიკურ-ეკონომიკურმა და კულტურულმა ურთიერთობებმა აღმავლობა განიცადა, თუმცა, ვფიქრობთ, ყველა სფეროში თანამშრომლობის ორმხრივად არსებული პოტენციალი ჯერ მთლიანად არ გამოყენებულა.

2001 წელს ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტის, ხათამის მიწვევით, ირანს საქართველოს საპატრიარქოს დელეგაცია ესტუმრა. როგორც ჩანს, ცივილიზაციათა დიალოგის წარმართვაში, მსოფლიოში მშვიდობის დამყარების საქმეში რელიგიურ ლიდერებს მნიშვნელოვან როლს აკისრებენ. ისლამური რევოლუციის შემდეგ ირანი საერთაშორისო იზოლაციაში მოექცა, აღნიშნული ვითარებიდან თავის დაღწევის მიზნით საქართველო შემთხვევით არ ყოფილა შერჩეული კონტაქტების დასამყარებლად. ჩვენი ქვეყანა კავკასიის ხალხებს შორის წამყვანი პოზიციის გამო ყურადღების ცენტრშია მოქცეული. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ირანმა კიდევ ერთხელ დაუჭირა მხარი საქართველოს დამოუკიდებლობას, ტერიტორიულ მთლიანობას და ყველა სფეროში ურთიერთობის გაღრმავების სურვილი კიდევ ერთხელ გამოხატა. საქართველოს საგარეო პოლიტიკური ვექტორი ბოლო პერიოდში გააქტიურდა. ირანთან დაწესებული უვიზო რეჟიმი 2011 წლიდან ამოქმედდა. დაინიშნა თბილისსა და თეირანს შორის პირდაპირი ავიარეისები.

ინფორმაცია ფერეიდნელი ქართველების აქტუალური პრობლემებისა და ინიციატივების შესახებ

გთავაზობთ დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატში (2009-2010 წლებში აღნიშნულ საკითხზე ჩემი მუშაობისას) გამოკვეთილი ფერეიდნელი ქართველების აქტუალური პრობლემებისა და ინიციატივების შესახებ ინფორმაციას:

ირანის ისლამურ რესპუბლიკაში, ფერეიდანში და საქართველოში ქართული კულტურის ცენტრის გახსნა;

ქართული საკვირაო (საზაფხულო) სკოლების ფუნქციონირება; ფერეიდანის საჯარო სკოლაში ქართული ენის გაკვეთილის დამატებით საგნად შეტანა.

ფერეიდნელი ქართველების გამოცემები:

- ნუგზარ ლაჩინანის „ქართულ-სპარსული ლექსიკონის“ განახლებული გამოცემა;
- საიდ მულიანის „ქართველთა ადგილი ირანის ისტორიასა, კულტურასა და ცივილიზაციაში“ ქართულად თარგმნა და გამოცემა;
- საიდ მულიანის მიერ სპარსულად თარგმნილი ამბაკო ჭელიძის წიგნის – „მოგზაურობა ფერეიდანში“ გამოცემა;

ფერეიდნელთა ოჯახებში შემონახული ძველი ფოტოების, სიგელების, ხელნაწერების შეგროვება;

ქართული ფოლკლორული ჩანაწერების, ქართული ხალხური საკრავების, სასაუბრო ვიდეომასალების, ქართული კულინარიის წიგნების საჭიროება;

ახლად რეპატრირებული ფერეიდნელი ქართველების საქართველოში დასაქმების პრობლემა;

კვლევა მაზანდარანის ქართველების შესახებ -„გურჯი მაჰალე“ (ფილმი);

თსუ-ის ირანისტიკის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის ფერეიდანში არსებულ ოთხ უნივერსიტეტში სტაჟირების საკითხი;

ისპაჰანის უნივერსიტეტში ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის (კათედრის) ჩამოყალიბების ინიციატივა;

საქართველოში ირანელი ბიზნესმენების ინვესტიციების შემოტანის საკითხი – ირანში ირანელ ბიზნესმენებთან ოფიციალური შეხვედრის ორგანიზება;

ირანში არსებული (ქ. თავრიზი) სატრაქტორო ქარხნის ფილიალის საქართველოში გახსნა;

ირანში არსებული (ქ. ისპაჰანი) ქვის ქარხნის ფილიალის საქართველოში გახსნა;

ფერეიდუნ-შაჰრი – თბილისი სამარშრუტო ხაზის გახსნა; საქართველოს საპატრიარქოს ინიციატივა.

საქართველოში არსებულ ანსამბლ „ფერეიდანის“ საჭიროება. ანსამბლის წევრთა ტრადიციული სამოსითა და საკრავებით აღჭურვა; სამხატვრო ხელმძღვანელის, ლოტბარისა და საკრავების სპეციალისტის მიმაგრება; ანსამბლის წევრთათვის ყოველთვიური სიმბოლური ანაზღაურების (100 ან 50 ლარის ოდენობით) გაცემა; მისი სხვადასხვა ფესტივალში მიწვევა და პოპულარიზაცია...

ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტის ფერეიდნელთა სანდო ოჯახებში სტუმრობა;

ფერეიდანში ქართული ენის სწავლებით დაინტერესებული ფერეიდნელების ტრენინგებზე მოწვევა;

ლოტბარისა და ქორეოგრაფის ფერეიდნელთა სანდო ოჯახებში სტუმ-რობა; ანსამბლის წევრთა ტრადიციული სამოსითა და საკრავებით აღჭურვა;

ფერეიდნელი ქართველების მედიააქტიურობა

ისტორია სავსეა გაუთვალისწინებელი ეთნიკური რღვევის მაგალითებით. ირანის ისლამურ რესპუბლიკაში ოთხ საუკუნეზე მეტი ხანია ცხოვრობენ ქართველები, ფერეიდნელი ქართველები, რომლებიც თავის მხრივ ე. წ. „ეთნოგრაფიულ ძეგლებადაც“ შეიძლება მოვიხსენიოთ. ესაა საზოგადოება, რომელსაც აერთიანებს სამშობლოს ხსოვნა, ისტორიული მახსოვრობა იმ პერიოდისა, როდესაც ისინი საკუთარი სახელმწიფოს აღმშენებლობაში მონაწილეობდნენ, ქმნიდნენ საერთო ეროვნულ კულტურას.

იდენტიფიკაციის თვალსაზრისით, ფერეიდნელი ქართველების მედია აქტიურობას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ქვეყნის – ირანის ისლამური რესპუბლიკის სპეციფიკის გათვალისწინებით, ამგვარ ინიციატივებს ქართული სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერა სჭირდება. იმის გათვალისწინებით, რომ სოციალური განვითარების დონე, ზოგადად, ისტორიულ დიასპორაში, ძირითადად, დაბალია და ჩვენი თანამემამულეები გლობალიზაციის მიღწევებს (ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარება) ფეხს ვერ უწყობენ, ან ხშირ შემთხვევაში, ელექტრონული საშუალებები დაბლოკილია (ირანის ისლამური რესპუბლიკა), სასურველია, მუსლიმურ გარემოცვაში მყოფი ქართველების ეთნიკური იდენტიფიკაცია კულტურის, განათლებისა და საზოგადოებრივ სფეროებში მაინც მოხდეს.

ირანის ისლამურ რესპუბლიკაში ეთნიკური უმცირესობებისათვის რეალობა ამგვარია: 70,5-მილიონიან ირანის ისლამურ რესპუბლიკაში სპარსელები უმცირესობაში არიან. ირანის ისლამურ რესპუბლიკაში ეროვნულ უმცირესობებს არ ცნობენ, თუმცა აღიარებენ რელიგიურ უმცირესობებს: ცეცხლთაყვანისმცემლებს, იუდეველებსა და ქრისტიანებს. რელიგიური უმცირესობები სარგებლობენ კულტურული ავტონომიით (საბავშვო ბაღი, სკოლა, ეკლესია, ჟურნალ-გაზეთები, კვოტები პარლამენტში). ამ კანონის შესაბამისად, ქვეყანაში თითქმის ოცმილიონიან შიიტურ აზერბაიჯანულ თემს არ აქვს კულტურული ავტონომია, მაშინ, როცა 50-80- ათასიან რომელიმე რელიგიურ უმცირესობას კულტურული ავტონომიის ყველა ატრიბუტი

გააჩნია. ირანის ისლამური რესპუბლიკის ხელმძღვანელობა არ მიიჩნევს, რომ ეს არის დისკრიმინაცია ან ვინმეს ინტერესების უგულებელყოფა.

ირანის ოფიციალური ინსტანციები მწვავედ რეაგირებენ ეთნიკურ-ეროვნული ხასიათის ინიციატივებსა და წამოწყებებზე, თუმცა ფოლკლორულ თვითშემოქმედებას ხელს უწყობენ.

ჯემშიდ გიუნაშვილი, რომელიც 1994-2004 წწ. ირანის ისლამურ რესპუბ-ლიკაში საქართველოს სრულუფლებიანი და საგანგებო ელჩი იყო, წერილში „ფერეიდნელ ქართველებთან კულტურული კავშირის გაღრმავებისათვის“ (გაზ. „მეგობრობის მაცნე“, 2005, №4) წერს: „ირანის ისლამური რესპუბლიკის მოქალაქეებში სიტყვები: „ქართული“ (გორჯი) და „საქართველო“ (გორჯესთან) ქვეცნობიერად დადებით ემოციებს იწვევენ. ირანელის წამოდგენაში საქართველო და ქართველები მათი სამშობლოს ისტორიის განუყოფელი ნაწილია, ბევრ ირანელს გულწრფელად ჰგონია, რომ ქართველები მხოლოდ სპარსულად საუბრობენ და იძულებით კირილიცას იყენებენ. ფართოდაა გავრცელებული აზრი იმის შესახებ, რომ მეცხრამეტე საუკუნეში რუსებმა საქართველო ირანს წაართვეს.“

ირანის ისლამურ რესპუბლიკაში სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის „ქართული პრობლემა“ არ არსებობს. ფერეიდნელი ქართველები მუსლიმური თემის სრულფასოვანი წევრები არიან და, მიუხედავად მათი ემოციურად გამოხატული პროქართული დამოკიდებულებისა, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისა და საზღვრების ხელშეუხებლობის საკითხს ისინი საფრთხეს არ უქმნიან.

ნაშრომის ამ თავში შევეცდებით რეალობის გათვალისწინებით ვიმსჯელოთ, თუ როგორია ირანში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეების მედიააქტიურობა.

ზოგადი სტატისტიკური მონაცემებით, ქვეყანაში ბეჭდვითი პრესის ორგანოთა საერთო რაოდენობა 2 871-ს უტოლდება, რომელთა რიცხვშიც შედის შემდეგი უცხოენოვანი გამოცემები: ინგლისურენოვანი გაზეთი – 4, არაბულენოვანი – 2, სომხურენოვანი – 1.

ფერეიდნელი ქართველების მედიააქტიურობა არათანმიმდევრულია, თუმცა პერიოდულად მაინც გამოდიოდა საინფორმაციო ბიულეტენები, ნებადართულია წიგნების დაბეჭდვაც. გამოცემები ძირითადად სპარსულ ენაზე მზადდება ან ორენოვანია. არსებობს ირანის ისლამური რესპუბლიკის ტელერადიომაუწყებლობის ქართულენოვანი რადიომაუწყებლობა. ასევე განვიხილეთ ის მედიასაშუალებებიც, რომლებიც საქართველოში არსებობს და ფერეიდნული თემატიკის გაშუქებით არის დაინტერესებული. სამწუხაროდ, სამშობლოში რეპატრირებული ფერეიდნელი ქართველების ამ მიმართულებით აქტიურობა არ შეინიშნება. ვფიქრობთ, აღნიშნული საკითხი რეპატრირებული ქართველების საკუთარ სამშობლოში ხელახლა ადაპტაციის სირთულეებს უკავშირდება.

ყოველივე ზემოთქმულის მიუხედავად, აღსანიშნავია, რომ 2005-2006 წლებში ფერეიდანში გამოიცა სპარსულ-ქართულენოვანი ბეჭდვითი ორგანო – **„ირანის ქართველების პირველი საზოგადოებრივ-კულტურული ჟურნალი“**; ჟურნალის მხოლოდ ერთი ნომერი დაიბეჭდა, მეორე ნომერი გამოსაცემად მომზადდა, თუმცა, არ დაბეჭდილა. ჟურნალში გამოქვეყნდა პუბლიკაციები ფერეიდნელთა ცხოვრების, ტრადიციების, შემოქმედების, ფოლკლორის შესახებ. გამოცემის ორგანიზატორი ადგილობრივი ქართველი, ისტორიკოსი, საიდ მულიანი იყო.

ქართული რადიო ირანის ისლამურ რესპუბლიკაში 1998 წლიდან მაუწყებლობს. ქართული რადიოს ყოველდღიური პროგრამები გადმოიცემა ჩრდილოეთ ირანის ქალაქ რაშთიდან (გილანის მხარე), საშუალო სიშორის 702 კილოჰერც სიხშირის ტალღაზე (თბილისის დროით 21:00 – 22:00 საათამდე საშუალო ტალღა MW 702) http://worldservice.irib.ir/ აღნიშნულ ვებ-გვერდზე ირანის რადიოს მსოფლიოს სხვადასხვა ენაზე მაუწყებლობის გვერდით, ქართული რადიომაუწყებლობის ჩანართიც არსებობს – http://georgian.irib.ir/. თავდაპირველად პროგრამის ხანგრძლივობა 30 წუთი იყო, 2001 წლიდან კი – საათამდე გაიზარდა. ქართული რადიოს უმთავრესი მიზანია ობიექტური ინფორმაცია მიაწოდოს ქართველ მსმენელს ირანის შესახებ და ხელი შეუწყოს ორი ქვეყნის ურთიერთობების გაღრმავებას.

ირანის ისლამური რესპუბლიკის ქართულ რადიოს აქვს შემდეგი გადაცემები:

ამერიკა და ერაყი – კიდევ ერთი კრიზისი; გადაცემა ეთერში გადის ყოველ ორშაბათს და მასში განიხილება ერაყში მიმდინარე პროცესები, ამერიკის თავდასხმის შემდეგ.

მუჰამედი – უკანასკნელი მოციქული; ეთერში გადის სამშაბათობით. ის ეხება ისლამის მოციქულის ცხოვრებას და სამოციქულო მოღვაწეობას.

გარედან დანახული ამერიკა – ეთერში გადის ყოველ ოთხშაბათს და მასში განიხილება ამერიკის შეერთებულ შტატებში მომხდარი კვირის მნიშვნელოვანი მოვლენები.

გზა სინათლისკენ – ეთერში გადის ყოველ ხუთშაბათს. მასში განიხილება მუსლიმთა ზეციური წიგნის, „ყურანის“ სწავლებები და ისლამური გადმოცემები.

დასავლეთის რელიგიური იდეოლოგია – ეთერშია ყოველ პარასკევს და მასში განიხილება სხვადასხვა რელიგიების მდგომარეობა დასავლეთის ქვეყნებში.

ირანი და ისლამური კულტურა – ამ გადაცემის მოსმენა შესაძლებელია ყოველ შაბათს. მასში განიხილება ირანელთა როლი ისლამური კულტურისა და ცივილიზაციის გავრცელებაში.

ირანის რევოლუციური პოეზია – ამ გადაცემის მოსმენა შესაძლებელია ყოველ კვირა დღეს. მასში გაეცნობით თანამედროვე და რევოლუციონერ პოეტებს და მათ შემოქმედებას.

ამ გადაცემების გარდა, ირანის ქართული რადიოს საშუალებით აუდიტორიას მიეწოდება ახალი ამბები, დღის ისტორიული ამბების ქრონიკა და აქტუალურ თემაზე შექმნილი ანალიტიკური ხასიათის გადაცემები. ირანში ქართულ რადიომაუწყებლობას ხელმძღვანელობს ფერეიდნელი ქართველი, დავით გუგუნაშვილი.

აღსანიშნავია ასევე ვებ-გვერდი – **www.fereidani.ge**, რომელიც გიორგი ალავერდაშვილმა 2005 წელს მოამზადა. აქ თავმოყრილია სხვადასხვა დროს ქართული მასმედიის მიერ გაშუქებული ფერეიდნელი ქართველების შესახებ

181 პუბლიკაცია. აღნიშნული ვებ-გვერდი, სამწუხაროდ, არ იძლევა ინტერაქციის საშუალებას. www.fereidani.ge აერთიანებს მასალებს ფერეიდნელი ქართველების ისტორიის, თანამედროვე ცხოვრების შესახებ, ასევე, შეხვდებით ფოლკლორისა და ენობრივ საკითხებზე ბეჭდვით მედიაში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებს. გვერდის დიზაინი ნაკლებად მომხიბვლელად გამოიყურება, არც მასალათა საძიებო სისტემაა თანამედროვე ფორმატით მოწოდებული, ვფიქრობთ, აღნიშნულის მიზეზი ენთუზიაზმშია, რომლის ხარჯზეც არსებობს ვებ-გვერდი.

2004-2008 წწ. საქართველოში იბეჭდებოდა გაზეთი **„მეგობრობის მაცნე“**. მთავარი რედაქტორი – ჯემშიდ გიუნაშვილი. სარედაქციო კოლეგიის წევრები: მოჯთაბა საფიხანი, ნომადი ბართაია, გრიგოლ ბერაძე, გიორგი ლობჟანიძე, ირინე ნაჭყებია. გაზეთის გამოცემის ორგანიზატორი – „საქართველო-ირანის სამეცნიერო ურთიერთობისა და თანამშრომლობის საზოგადოება“. საზოგადოება 1994 წლიდან არსებობს. მისი ინიციატივით საქართველოსა და ირანის ისლამური რესპუბლიკის სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, სამეცნიერო-კვლევით და სასწავლო დაწესებულებებთან თანამშრომლობითა და თანადგომით ჩატარდა კონფერენციები, ორი ქვეყნის ეროვნული დღეების, საიუბილეო თარიღების, ქართული და სპარსული ენებისა და ლიტერატურის, ისტორიულ-კულტურული ურთიერთობების აქტუალური საკითხებისადმი მიძღვნილი ღონისძიებები. რედაქცია გაზეთის საშუალებით მკითხველებს აწვდიდა ირანის სამეცნიერო-კულტურული ცხოვრების, ეკონომიკის, საგარეო პოლიტიკის, საქართველო-ირანის ისტორიულ-კულტურული და თანამედროვე ურთიერთობის აქტუალურ საკითხებზე სანდო ინფორმაციას. გაზეთი სათანადო ყურადღებას უთმობდა ირანისტიკის დარგში ქართველ მეცნიერთა მიღწევების გაშუქების საკითხსა და ფერეიდნელი ქართველების ყოფა-ცხოვრების თემას.

გაზეთი A4 ფორმატისაა. გამოცემის ტირაჟია 325 ეგზემპლარი. „მეგობრობის მაცნე“ არ იყო რეალიზაციაში. თავდაპირველად, გაზეთის პერიოდულობა თვეში ერთი ნომერით განისაზღვრა, თუმცა, შემდგომში კვარტალში ერთი ნომერი გამოიცემოდა. გაზეთი იბეჭდებოდა ცარცის

ქაღალდზე, პირველი სატიტულო გვერდი ფერადი იყო. პერიოდული გამოცემა იბეჭდებოდა გამომცემლობა „ენა და კულტურა“-ს სტამბაში. რედაქციამ დაამკვიდრა გაზეთის თემატური ნომრების გამოცემა (მაგ., მანდილოსნებს მიეძღვნა 2005 წლის №4, ორი ქვეყნის ეკონომიკურ ურთიერთობებს მიეძღვნა 2005 წლის №5 და სხვ.) გაზეთში ავტორთა და პუბლიცისტურ ჟანრთა მრავალფეროვნება არ შეინიშნებოდა. გამოცემა პოლიტკორექტული იყო. „მეგობრობის მაცნეში“ ფერეიდნელ ქართველთა ყოფა-ცხოვრების შესახებ გამოქვეყნდა არაერთი პუბლიკაცია. ბევრი საინტერესო პუბლიკაციის გვერდით გაზეთში დაიბეჭდა წერილი ირანის ტერიტორიაზე არსებული ქართული სასულიერო ხუროთმოძღვრების ერთადერთი ნიმუშის შესახებ. „მეოცე საუკუნის დასაწყისის ცნობილი ქართველი მეწარმე-მეცენატის აკაკი ხოშტარიას მეუღლის მინადორა ხოშტარიას (1881-1924) სამლოცველო და აკლდამა თეირანის დულაბის მართლმადიდებლურ რუსულ სასაფლაოზე მდებარეობს. ვარაუდობენ, რომ აღნიშნული აკლდამის დამპროექტებელი და მშენებელი ნიკოლოზ მარკოვია. დულაბის სასაფლაოზე დაკრძალულია 30-მდე ქართველი: ირაკლი ციციშვილი, ვლადიმერ თურქია, იოსებ გეგენავა, მარგარიტა და მიხეილ ქორქიები და სხვ.“ (გიუნაშვილი 2005).

გაზეთი ეხმიანება ფერეიდნელი ქართველების სამშობლოში რეპატრიაციის საკითხებს – „ვასილ მჟავანაძის მმართველობის დროს ორგანიზაციულად მომზადდა წინაპირობა ფერეიდნელთა 300-მდე ოჯახის საქართველოში ჩამოყვანის შესახებ. სამოცდაათიანი წლების დასაწყისში ფერეიდნელთა პირველი ჯგუფი, ორი ათეული ოჯახი ჩაასახლეს გურჯაანისა და საგარეჯოს რაიონების სოფლებში. ყოველი ოჯახისთვის აგებული იყო ოთხოთახიანი ორსართულიანი სახლი. სათავსოებით, ეზოებით, კომფორტაბელურად გაწყობილი იყო ოთახები და სამზარეულო. ხელმძღვანელობამ იზრუნა რეპატრირებულთა შრომითი მოწყობისა და სათანადო მატერიალური პირობების შექმნისთვის, სწავლა-განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვისთვის. ეს ისტორიული ექსპერიმენტი ჩანასახშივე წარუმატებელი აღმოჩნდა. მოკლე ხანში ჩამოსულ ფერეიდნელთა ნახევარზე მეტმა დაბეჯითებით მოითხოვა ირანში დაბრუნება. საბჭოთა პერიოდში

რეპატრიაცია არ იყო ადვილი საქმე, ხოლო რეპატრიანტების უკან დაბრუნება უფრო დიდ სირთულეებთან იყო დაკავშირებული.“

ავტორი მიიჩნევს, რომ „ფერეიდნელთა საქართველოში ჩამოსვლის პირველი დღიდანვე ცალსახად დადგა ახალ პირობებთან მათი შეგუების პრობლემა. ხელმძღვანელები, რომლებიც ყურად არ იღებდნენ ამ საკითხზე კომპეტენტურ სპეციალისტთა აზრს, ფიქრობდნენ, რომ ხელის ერთი მოსმით აღმოფხვრიდნენ ჩამოსახლებულ ფერეიდნელთა ყოფაში ღრმად ჩამჯდარ იმ ჩვევებს, რაც მათ მიიღეს და შეითვისეს უცხო გარემოში საუკუნეთა მანძილზე ცხოვრების შედეგად. სპეციალისტების აზრი იმის შესახებ, რომ ფერეიდნელთა დასახლება უნდა მოხდეს კომპაქტურად, არ იყო გათვალისწინებული და განხორციელდა დეპორტირებულთა ცალკეულ სოფლებში გაფანტულად ჩასახლების გაუმართლებელი მეთოდი“.

რეპატრირებული ფერეიდნელების ირანში დაბრუნების ერთ-ერთ განმსაზღვრელ ფაქტორად ავტორი მიიჩნევს ფერეიდნელი ქალების პოზიციასა და როლს: „ფერეიდნელი ქალი 400 წლის განმავლობაში გმირულად იცავდა კერას გარეშე ელემენტების შეღწევისაგან და, ფაქტობრივად, მან შეუნარჩუნა ფერეიდნელებს ქართული ენა. საქართველოში იგი აღმოჩნდა იმ კონსერვატორულ, თუ გნებავთ, რეაქციულ ძალად, რომელიც წინ აღუდგა თანამედროვე საქართველოში არსებულ ყოფითსა და მოქალაქეთა შორის ყოველდღიური ურთიერთობის ნორმებს“ (გიუნაშვილი 2005) და სხვ.

აქვე გვინდა შემოგთავაზოთ საქართველოს შესახებ, ასევე, ფერეიდნელი ქართველების მიერ ირანის ისლამურ რესპუბლიკაში გამოქვეყნებული ლიტერატურის არასრული სია, ვფიქრობთ, აღნიშნული გამოცემები ირან-საქართველოს თანამშრომლობის მედია აქტიურობისათვის განკუთვნილ ნიშას ერთგვარად ავსებს.

„ქართველი ირანელები“, ისპაჰანი, 1979 (ფერეიდნელი ავტორი – მოჰამად სეფიანი).

„ქართული ზღაპრები“, თეირანი, 1979 (მთარგმნელი – აბოლფაზლ აზმუდე).

„ქართველები“, თეირანი, 1984 (ავტორი – დეივიდ მარშალ ლენგი, მთარგმნელი როყიე ბეჰზადი).

„საქართველო“ (ეძღვნება ივ. ჯავახიშვილის დაბადებიდან 120 წლისთავს), თეირანი, 1996 (ავტორი – როინ მეტრეველი, მთარგმნელი – ბაჰრამ ამირაჰმადიანი, რედაქტორი – ჯემშიდ გიუნაშვილი, საქართველოს საელჩოს გამოცემა ირანის ისლამური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს თანადგომით).

„ვეფხისტყაოსანი“ შოთა რუსთაველის შედევრი“, თეირანი, 1998 (გამოკვლევა და თარგმანი ფარშიდ დელშადისა, რედაქტორი – ჯემშიდ გიუნაშვილი, საქართველო-ირანის სამეცნიერო-კულტურული ურთიერთობისა და თანამშრომლობის საზოგადოების გამოცემა ირანის ისლამურ რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს თანადგომით).

„საქართველოს გეოგრაფია“ (სპარსულ ენაზე), თეირანი, 1998 (ავტორი – ბაჰრამ ამირაჰმადიანი).

„საქართველო“ (ცნობარი სპარსულ ენაზე), თეირანი, 1999 (ავტორი ქ-ნი ფარვინ მოაზამი, ირანის ისლამური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს გამოცემა).

„ვეფხისტყაოსანი“, რაშთი, 2000 (მთარგმნელი – მოჰამადქაზემ იუსეფ-ფური, რედაქტორი – მაგალი თოდუა, გილანის უნივერსიტეტის გამოცემა).

„ირანის ქართველები“, ისპაჰანი, 2000 (ფერეიდნელი ავტორი – მალექ მოჰამედ რაჰიმი).

„ქართველების ადგილი ირანის ისტორიაში, კულტურასა და ცივილიზაციაში“, ისპაჰანი, 2000 (ფერეიდნელი ავტორი – საიდ მულიანი).

„ირან-საქართველოს ისტორიულ-კულტურული ურთიერთგავლენა“, თეირანი, 2001 („მრგვალი მაგიდის“ მასალები, ირანის საგარეო საქმეთა სამინისტროს გამოცემა).

„ქომეილის ლოცვები“, ისპაჰანი, 2001 (არაბულ-სპარსულ-ქართული ტექსტები, თარგმნა ფერეიდნელმა სასულიერო პირმა – მოჰსენ ხუციანმა).

„ათასერთი ქართული ანდაზა“ (ქართულ-სპარსული ტექსტები), თეირანი, 2002 (თარგმანი – თეა შურღაიასი და ფარშიდ დელშადის, რედაქტორი –

ჯემშიდ გიუნაშვილი, ირანის ისლამური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს გამოშვება).

„საქართველოს გეოგრაფია“, ისპაჰანი, 2002 (ფერეიდნელი ავტორის იმამყული ბათოვანის მიერ შედგენილი საკითხავი წიგნი დაწყებითი კლასების მოსწავლეთათვის).

„სპარსული ლიტერატურის ენციკლოპედია“, ტ. V, თეირანი, 2003 (სამხრეთ კავკასიისა და დაღესტნის ირანისტების ბიო-ბიბლიოგრაფიული ცნობარი – ტომის ერთი მესამედი (200 გვერდამდე) ეძღვნება ქართველ ავტორებს).

„ქართული ენა სპარსულენოვანთათვის“, გილანის უნივერსიტეტის გამოცემა, რაშთი, 2004 (ავტორი – ლეილა გეგუჩაძე, მთარგმნელი – ფარდინ ქომაი, რედაქტორი – ჯემშიდ გიუნაშვილი).

„თბილისის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის სპარსულ ხელნაწერთა აღწერილობა“, ტ. I, თეირანი, 2004 (შემდგენელი – სეიფოლა მოდაბერ-ჩაჰარბორჯი, ირანის ისლამური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს გამოცემა).

„საქართველო ისტორიის შარაზე“, თეირანი, 2004 (ავტორი – ბაჰრამ ამირაჰმადიანი, ცივილიზაციათა დიალოგის საერთაშორისო ცენტრის გამოცემა).

ჟურნალი „კალამი“, თბილისი 2009წ. (კავკასიისა და აღმოსავლეთის კვლევითი ცენტრი. ჟურნალი ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით იბეჭდებოდა).

ნაწილი IV

ქართველები ესტონეთის რესპუბლიკაში

1989 წლის მოსახლეობის აღწერის მიხედვით, ესტონეთში 121 ეროვნების წარმომადგენელი ცხოვრობდა. ამ პერიოდში ესტონელების წილი საერთო მოსახლეობის 61,5 % იყო, ხოლო არაესტონელების რიცხვი 38,5%-ს შეადგენდა. 1997 წლისთვის ესტონეთში 950 124 ესტონელთან ერთად ცხოვრობდა 412 628 რუსი, 37 306 უკრაინელი, 21 883 ბელორუსი, 13 629 ფინელი, 3 315 თათარი, 2 723 ლატვიელი, 2 374 პოლონელი, 2 245 ლიტველი, 1 553 ებრაელი, 1 349 გერმანელი და 12 001 სხვა ეროვნების წარმომადგენლები.

1989 წლისთვის ესტონეთში ცხოვრობდა 606 ქართველი (390 მამაკაცი და 216 ქალი) (ვიიკბერგი 1999: 225). დღეს ესტონეთის რესპუბლიკაში დაახლოებით 450-500 ქართველი ცხოვრობს, ძირითადად, ქალაქებში: ტალინსა და ტარტუში.

„რომ არა ტარტუს უნივერსიტეტი, ალბათ, არ იქნებოდა მეოცე საუკუნის დასაწყისის რენესანსი ქართულ კულტურასა და მეცნიერებაში და თუ ამ ეპოქის ამგვარი შეფასება ვინმეს გადაჭარბებულად მოეჩვენება, შეგვიძლია შევთანხმდეთ, რომ თუ რენესანსი არა, წინარენესანსული გარემო XX საუკუნის დასაწყისში, ქართულ მეცნიერებასა და ხელოვნებაში, ნამდვილად არსებობდა. ამ პირობების შექმნა კი, სხვებთან ერთად, ტარტუს უნივერსიტეტში განათლებამიღებულმა ქართველებმა შეძლეს, ვისი მიღწევებითაც (კულტურასა და მეცნიერებაში), დღევანდელი საქართველოც სამართლიანად ამაყობს. საკმარისია, თუნდაც, რამდენიმე სახელოვანი ქართველის ჩამოთვლა, ვინც ტარტუს უნივერსიტეტში სწავლობდა: ვახტანგ კოტეტიშვილი და კოტე ფოცხვერაშვილი, გრიგოლ რობაქიძე და სეით დევდარიანი, პეტრე ჭაბუკიანი და ვლადიმერ თოხაძე, ალექსანდრე შატილოვი და კონსტანტინე ერისთავი, მიხეილ აბრამიშვილი და სიმონ კანდელაკი...“ – წერს დათო ტურაშვილი (ტურაშვილი 2005: 5-6).

პროფესორ კ. სიილივასკას რედაქციით 1983 წელს გამოცემულ წიგნში – „ტარტუს უნივერსიტეტის ისტორია 1632-1982 წწ.“ (სიილივასკა 1983: 162-163) ტარტუს უნივერსიტეტის პირველ ქართველ სტუდენტად დასახელებულია

ზაქარია ზუბალაშვილი, რომელსაც 1836 წელს აქ სამედიცინო ფაკულტეტზე ჩაუბარებია. სხვა ვერსიით, ტარტუს უნივერსიტეტის პირველი ქართველი სტუდენტი ყოფილა ზურაბ აბდუშელაშვილი. – „პირველი ქართველი კი, ვინც ტარტუს უნივერსიტეტის სტუდენტი გახდა, ზურაბ აბდუშელაშვილი იყო. თუმცა, ქართველთაგან პირველი (რამდენიმე ათეული წლით ადრე), შესაძლებელია, ნიკოლოზ ბარათაშვილი ყოფილიყო და აკი, ურჩევდა კიდეც მას ბიძამისი, გრიგოლ ორბელიანი, სწორედ ტარტუს უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელებას, მაგრამ მხოლოდ ურჩევდა ტარტუში სწავლას და ფინანსურ შეწევნასთან დაკავშირებით კი, სამწუხაროდ, დუმდა...“ (ტურაშვილი 2005: 5-6) (ცნობილია, 1830-იან წწ. ქართველი პოეტი, გრიგოლ ორბელიანი ბალტიისპირეთში მსახურობდა გარკვეული პერიოდი).

ქართველების ინტერესი ტარტუს უნივერსიტეტისადმი გაიზარდა XIX ს. დასასრულსა და XX ს. დასაწყისში. ამ პერიოდში ტარტუს უნივერსიტეტში განათლება მიიღო დაახლოებით 400 ქართველმა.

ქართველი სტუდენტები საზოგადოებრივ აქტივობას ავლენდნენ. მათ ადგილობრივ რევოლუციურ მოძრაობაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს.

ტარტუს უნივერსიტეტის ქართველმა სტუდენტებმა ქალაქი ტარტუ XIX ს. დასასრულსა და XX ს. დასაწყისში ქართული კულტურის კერად აქციეს: არსებობდა ქართული საზოგადოება, ლიტერატურული და სამეცნიერო წრეები, გამოიცემოდა ხელნაწერი ჟურნალი. XIX ს. 90-იანი წლებისათვის ტარტუში ქართული სათვისტომო შეიქმნა, მასთან ბიბლიოთეკა არსებობდა. 1898 წლიდან ქართველები ქართულ საღამოებს მართავდნენ, რომლებიც ადგილობრივებს შორის დიდი წარმატებით სარგებლობდა. 1908 წ. ქართული სათვისტომოს ლეგალიზაცია მოხდა. სათვისტომოს საპატიო წევრები იყვნენ ქართველი კლასიკოსები: ა. წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, დ. კლდიაშვილი და სხვ. ასევე, 1906 წ. დაარსდა და 1908 წ. ლეგალიზება მოხდა, ფაქტობრივად, ქართული ორგანიზაციისა – „კავკასიელ სტუდენტთა საზოგადოება“.

ტარტუს უნივერსიტეტის კურსადმთავრებულთა შორის არიან: გრ. რობაქიძე, ა. პაპავა, კიკნა ფშაველა (ს. ბადურაშვილი), ვ. კოტეტიშვილი, კ. ფოცხვერაშვილი, ს. დევდარიანი, პ. ჭაბუკიანი და სხვ.

ტარტუს უნივერსიტეტში ამჟამადაც სწავლობენ ქართველი სტუდენტები, თუმცა ისინი ხშირ შემთხვევაში არ არიან ჩართულნი ესტონეთის რესპუბლიკაში არსებული ქართული სათვისტომოების საქმიანობაში.

როგორც აღვნიშნეთ, ესტონეთის რესპუბლიკაში დაახლოებით 450-500 ქართველი ცხოვრობს. ოჯახები, ძირითადად, შერეულია, ზოგი საქართველოდან წასული ესტონელია, ზოგიც – ესტონურ-ქართული ოჯახის წარმომადგენელი, რომელთაც 90-იანი წლების მდგომარეობამ უბიძგა, მეორე სამშობლოში წასულიყვნენ. ქართული დიასპორა ესტონეთში მცხოვრებ ქართველებსა და მშობლიურ საქართველოს შორის ურთიერთობების დამყარებასა და განვითარებაზე ზრუნავს. ესტონეთში, მიუხედავად ქართველების არცთუ დიდი რაოდენობისა, რამდენიმე სათვისტომო და ორგანიზაცია არსებობს (მათ შორის, ბევრი ხელოვნურად შექმნილი):

- „ქართული სახლი“ – „ესტონურ-ქართული საზოგადოება“, ქ. ტალინი, თავმჯდომარე: მაკა სამხარაძე.
- ესტონურ ქართული კულტურული სათვისტომო „მამული“, ქ. ტალინი, თავმჯდომარე: იაშა ყურშუბაძე.
- ქართული კულტურული გაერთიანება „აჭარა“/„ბათუმი“, ქ. ტალინი, თავმჯდომარე: ვალერიან წუწუნავა.
- ტალინის ქართული ნაციონალური სათვისტომო „ივერია“, ქ. ტალინი, თავმჯდომარე: ვლადიმირ ჟურიარი.
- ქალთა საზოგადოება „სალმე“, ქ. ტალინი, თავმჯდომარე: ალა ელლერი.
- „ბალტიის ინტეგრაციული საზოგადოება“, ქ. ტარტუ, თავმჯდომარე: ვაჟა გორელაშვილი.
- „ვირუ ჯორჯია“, ქ. კივიოლი, თავმჯდომარე: თეიმურაზ ქარდავა.
- ქართული სახალხო ანსამბლი „მამული“, ქ. ტალინი, თავმჯდომარე: გივი მამუჩარაშვილი.
- ესტონურ-ქართული კულტურული ცენტრი „თბილისი“, ქ. ტალინი, თავმჯდომარე: ლერი ჯაფარიძე.
- ქართული თეატრალური საზოგადოება „ნიავი“.

• ქართულ-ესტონური ორგანიზაცია „ბაგრატი“, ორგანიზაციის ხელმძღვანელი: ტიმოფეი ბასილაშვილი.

აღნიშნული ორგანიზაციები ე. წ. „ქოლგა“ ორგანიზაციების ფარგლებში არსებობენ:

„ქართული სახლი“, რომელსაც უკვე მეოთხე წელია ხელმძღვანელობს მაკა სამხარაძე, აერთიანებს შემდეგ ორგანიზაციებს: „ესტონურ-ქართული საზოგადოება“, „ივერია“, „აჭარა“/„ბათუმი“, „სალმე“, „ვირუ ჯორჯია“, „ბალტიის ინტეგრაციული საზოგადოება“.

ესტონეთის ნაციონალური უმცირესობების ასოციაცია „ლირა“, რომელსაც ხელმძღვანელობს ლიდია კორვალდი, უკვე 20 წელია არსებობს და 51 ნაციონალურ ორგანიზაციას აერთიანებს, მათ შორის, ქართულ ორგანიზაციებს: ქართული სახალხო ანსამბლი „მამული“ და სხვ.

რამდენიმე წლის წინ ტალინში შეიქმნა საკვირაო სკოლა, რომელშიც მსურველები ქართულ ენას ეუფლებოდნენ. საკვირაო სკოლას ხელმძღვანელობდა ვლადიმირ ჟურიარი. ამჟამად საკვირაო სკოლა არ ფუნქციობს.

ქართველები ყოველ მართლმადიდებლურ დღესასწაულზე ეკლესიაში იკრიბებიან.

ესტონურ ქართული კულტურული სათვისტომო „მამული“ 2000-2002 წწ. გამოსცემდა ჟურნალ „მამულს“, რომლის შესახებაც ქვემოთ გვექნება საუბარი.

გასათვალისწინებელია ქართული სამზარეულო, როგორც ეთნიკური იდენტიფიკაციის საშუალება. ქვეყანაში ხუთი ქართული რესტორანია: „ფიროსმანის“ ქსელი, „სულიკო“ (ტალინი) და „თბილისი“ (ტარტუ).

ესტონეთში საქართველოს წარმომადგენლებმა შესამჩნევ წარმატებებს მიაღწიეს და ადგილობრივ საზოგადოებაში ადგილი დაიმკვიდრეს: შალვა გულორდავა (საბჭოთა ესტონეთის ქირურგიის ფუძემდებელი), იური კოჩინევი-კოჩინაშვილი (ქირურგი), ლერი ჯაფარიძე (ქირურგი), თეიმურაზ სილაგავა (ექიმი), ერეკლე ძოწენიძე (ექიმი), გიორგი დოლიშვილი (ექიმი), ლია დოლიშვილი (სტომატოლოგი), თინათინ დოლიძე (თერაპევტი), ბალდო ბარბაქაძე (საზღვაო კაპიტანი), თენგიზ ჩომახიძე (საზღვაო კაპიტანი) და სხვ.

საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ესტონეთის რესპუბლიკაში, რუსლან აბაშიძემ ჩვენთან საუბარში აღნიშნა: „ესტონეთში მყოფი ქართველების შესახებ არსებული მონაცემებიდან, 25-30% მოქალაქეობა აქვს. უმრავლესობა ორმაგი მოქალაქეა. ესტონეთში ქართველები, ძირითადად, ლეგალურად იმყოფებიან – ან მუშაობის უფლება აქვთ, ან მოქალაქეები არიან, ან სტუდენტები. ქართველების უმრავლესობა გაერთიანებულია ნაციონალურ ორგანიზაციებში, რომლებიც ერთობლივი მუშაობის შედეგად ე. წ. „ქოლგა“ ორგანიზაციებში მოვაქციეთ. ესტონეთის სახელმწიფო პოლიტიკა „ქოლგა“ ორგანიზაციების ფინანსურ, ტექნიკურ და სამართლებრივ მხარდაჭერას ითვალისწინებს“.

2009 წლამდე დიასპორისა და ეთნიკური უმცირესობების საკითხს ესტონეთში ხალხთა განსახლების სახელმწიფო მინისტრის აპარატი ხელმძღვანელობდა. შემდეგ ეს ფუნქცია გადაეცა კულტურის სამინისტროს, რომელიც აღნიშნულ საკითხებში თანამშრომლობს განათლებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებთან.

ესტონეთის კულტურის სამინისტროს კულტურული მრავალფეროვნების დეპარტამენტის უფროსი სპეციალისტის, ევგენი ჟურიარი-ოსიპოვის, თქმით, ესტონეთის სახელმწიფო პოლიტიკა მხარდაჭერას უცხადებს ეთნიკურ უმცირესობებს და თანამშრომლობს „ქოლგა“ ორგანიზაციებთან. იმისათვის, რომ „ქოლგა“ ორგანიზაცია სახელმწიფომ დააფინანსოს, მან უნდა გაიაროს ატესტაცია, რომელიც გულისხმობს ხელოვნურად შექმნილი ორგანიზაციების გამოვლენას. ესტონეთის სახელმწიფო ნაციონალური უმცირესობების ორგანიზაციებს საკუთარი კულტურის შენარჩუნებისთვის ხელსაყრელ გარემოს უქმნის და საშუალებას აძლევს საერთო კულტურულ სივრცეში წვლილი შეიტანონ, რისთვისაც სახელმწიფო ყოველწლიურად გამოყოფს 300 000 ევროს. „ქოლგა“ ორგანიზაციაში შემავალი ჯგუფები ყოველწლიურად იღებენ 1000–1500 ევროს. ასევე, საპროექტო კონკურსისთვის გათვალისწინებულია ბიუჯეტი 80 000 ევროს ოდენობით. დაფინანსების სხვა საშუალებებია ინტეგრაციისა და მიგრაციის ფონდების მხარდაჭერა.

2007 წლისთვის ესტონეთში ე.წ. „ქოლგა“ ორგანიზაციების რაოდენობა 18 იყო, ხოლო „ქოლგა“-ში შემავალი ან ცალკე არსებული ნაციონალურ-კულტურული ორგანიზაციების საერთო რიცხვი – 203. აღნიშნული ორგანიზაციების დიდი ნაწილი აქტიურ მოღვაწეობას ეწევა, ორგანიზებას უწევს საერთაშორისო ფესტივალებს, ტარდება კონფერენციები და სემინარები, მათ საფუძველზე არსებობს საკვირაო სკოლები. აღსანიშნავია, რომ ხშირია ფინანსების მოზიდვის მიზნით, ხელოვნურად შექმნილი ორგანიზაციების შემთხვევებიც.

დიპლომატიური ურთიერთობები საქართველოსა და ესტონეთის რესპუბლიკას შორის

დიპლომატიური ურთიერთობები საქართველოსა და ესტონეთის რესპუბლიკას შორის 1992 წ. 16 ივნისს დამყარდა. 1999 წლიდან საქართველოს მოქალაქეების უფლებებს იცავდა საქართველოს გენერალური კონსული ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის რესპუბლიკებში ზურაბ მარშანია. 2003 წ. სექტემბერში მოქმედება დაიწყო საქართველოს საელჩომ ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის რესპუბლიკებში. საქართველოს ელჩად ამ რესპუბლიკებში დაინიშნა დავით აფციაური. საქართველოს პრეზიდენტის 2006 წ. 13 ოქტომბრის № 606 ბრძანებულების თანახმად, შეიქმნა საქართველოს საელჩო ესტონეთის რესპუბლიკაში, სადაც დაინიშნა საქმეთა დროებითი რწმუნებული ზურაბ მარშანია.

ესტონური მხარე გამოხატავს მზადყოფნას, გაუზიაროს საქართველოს თავისი გამოცდილება ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის თვალსაზრისით; მნიშვნელოვანია თანამშრომლობა: საპარლამენ-ტო დონეზე (ესტონეთის რესპუბლიკის პარლამენტში შექმნილია საქართველ-ოსთან მეგობრობის ჯგუფი), თავდაცვის, საზღვრის დაცვის სფეროებში; საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში – ესტონური მხარე ყოველთვის გამოხატავს აქტიურ მხარდაჭერას საქართველოსათვის მნიშვნელოვანი საკითხების განხილვისას. ესტონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ დაფინანსებული განვითარების და ჰუმანიტარული დახმარების კუთხით. დახმარების პროექტები კონცენტრირებულია იმ სფეროებზე, რომლებიც

უკავშირდება ეფექტური მმართველობის დამყარებას, თანამედროვე განათ-ლების სისტემისა და მდგრადი დემოკრატიის განვითარებას. განვითარებისა და ჰუმანიტარული დახმარების პროექტები მოიცავს: ქართველი სახელმწიფო მოხელეების ტრეინინგებს ესტონეთის დიპლომატიის სკოლაში, საქართველოს იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარებას შიდა ქართლის და მცხეთა-მთიანეთის რაიონებში, ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამასთან დაკავშირებით სემინარების ორგანიზებას, ევროკავშირის „Mobility Partnership Project"-ის განხორციელებას, ქართველი პოლიციელებისა და სამართალდამცავების ტრეინინგს ესტონეთის შესაბამის სამსახურში, მიმდინარე რეფორმებთან დაკავშირებით საქართველოს ეროვნულ საზოგადოებრივ ტელე-რადიოკომპანიებთან კონსულტაციების გამართვას, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს დემოკრატიული საზოგადოების შესატყვისი დაბალანსებული მედიის ჩამოყალიბებას. (www.mfa.gov.ge)

ესტონური პრესა საქართველოს შესახებ

1880 წლამდე გერმანული ენა ესტონეთში ოფიციალურ ენად მიიჩნეოდა, ამიტომ პირველი მონაცემები საქართველოსა და ქართული კულტურის შესახებ გერმანულ ენაზე, გერმანიასა და ბალტიისპირეთში გამოცემულ პერიოდიკაში დაიბეჭდა. მაგ., 1804 წ. რიგაში გამოცემულ ჟურნალში „Nordishes archiv“ ორი სტატია განთავსდა – „საქართველოს განათლების შესახებ, ქართული სკოლებისა და კულტურის შესახებ“ და „ქართულ პოეზიასა და მუსიკაზე“.

XIX ს. დასასრულსა და XX ს. დასაწყისში გერმანულ წყაროებს რუსულიც შეემატა, სადაც იბეჭდებოდა საქართველოს შესახებ ინფორმაცია. მაგ., „ქართული ლეგენდა“ გაზ. „Дерптский листок“ (1892, №1-2). აღნიშნული სტატია შემდეგ ესტონურ ენაზე ითარგმნა და დაიბეჭდა „Олевик“-ში (1892, №3, 4). ასევე, დავით ჟღენტის წერილი „თამარ მეფე“ დაიბეჭდა გაზეთ „Юрьевский листок“-ში (1912, №70). დროთა განმავლობაში ესტონური ბეჭდვითი მედიის ფურცლებზე გამოჩნდა ორიგინალური მასალები საქართველოსა და მისი კულტურის შესახებ.

1870-იან წწ. იოზეპ რეცოლდი ესტონურ გამოცემებთან საქართველოდან თანამშრომლობდა. ესტონელების ყურადღება მიიპყრო მისი ავტორობით მომზადებულმა „კავკასიური წერილების“ ციკლმა. ბევრმა ესტონელმა საქართველოში გადმოსახლებაზეც დაიწყო ფიქრი... უშუალოდ იოზეპ რეცოლდის მონაწილეობით 1882 წ. აფხაზეთში, სოხუმთან ახლოს, გაჩნდა პატარა ესტონური დასახლება – სოფელი ესტონკა (რუსეთ-საქართველოს, აფხაზეთის ომის შემდგომ პერიოდში ესტონელებმა დატოვეს აღნიშნული ადგილები. მეორე სოფელი – ახალი ესტონიკა გაჩნდა საქართველო-თურქეთის საზღვართან (პირველი მსოფლიო ომის პერიოდში შეწყვიტა არსებობა).

საქართველოს შესახებ ინფორმაციები ჩნდება გამოჩენილი ესტონელი მწერლების შემოქმედებაშიც: ედუარდ ბორნხოე, ედუარდ ვილდე, ანტონ ხანზენი ტამსაარე, ფრ. მიხკელსონი და სხვ.

ესტონურ ბეჭდვით გამოცემებში XIX-XX სს. მიჯნაზე დაიბეჭდა ნათარგმნი და ორიგინალური წერილები.

1905-1907 წლებამდე საქართველოში ნაკლებად იცოდნენ ესტონეთსა და ესტონელების შესახებ. ამ დროისთვის წერილები გაჩნდა საქართველოს პერიოდულ გამოცემაში, რომლებიც ეხებოდა ტარტუს უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტებს. 1899 წელს, ჟურნალ „მოამბის“ ივლისის ნომერში, დაიბეჭდა ნინო ზურაბაშვილის წერილი, რომელიც რუსი ავტორის პუბლიკაციის საფუძველზე მომზადდა (ე. სოლოვიოვი, კულტურული მოძრაობა ესტონელებში, ჟ. „Научное обозрене“, 1899, № 31).

ქართული პრესა რეგულარულად აშუქებდა ქართველი სტუდენტების აქტივობებს. გაზეთ „ივერიაში“ (28.IX.1897, №201) ასახულია ქართველი სტუდენტების ხელმოკლე ცხოვრება... სტუდენტებმა ქართულ გამოცემებს სთხოვეს ბიბლიოთეკისათვის ჟურნალ-გაზეთები გამოეგზავნათ. აღნიშნულ თხოვნას გამოეხმაურა „ივერია“, „კვალი“, „კრებული“, „ჯეჯილი“, „ცნობის ფურცელი“, „მოამბე“, „კავკასია“ და უფასოდ გაუგზავნეს გამოცემები. ანტონ ფურცელაძემ სტუდენტებს თავისი ნაწარმოებების 12 ტომი გაუგზავნა. ქართველი სტუდენტების შესახებ წერდა ადგილობრივი პრესა: „Олевик“, „Постимээс“.

ქართველი სტუდენტები გამოსცემდნენ იუმორისტულ ხელნაწერ ჟურნალს „კოღო“, რომლის არც ავტორების, არც გამოცემული ნომრების შესახებ არაა ცნობილი. თუმცა საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში ინახება აღნიშნული გამოცემის ერთი ნომერი, რომელზეც თარიღი არ არის მითითებული, ინფორმაცია ავტორების შესახებაც დაშიფრული იყო (როგორც რევოლუციის მონაწილეებისა), მხოლოდ აკაკი პაპავას სახელი გაიშიფრა. ჟურნალი მოიძია სერგეი ისაკოვმა. მკვლევარმა იგი 1911-1912 წწ. მიაკუთვნა. გამოცემის მასალებში კარგად იკითხება თვითმპყრობელობისა და მშიშარა სტუდენტების, რომლებიც რევოლუციის პერიოდში უმოქმედობას არჩევდნენ, დაცინვა.

ადგილობრივ გაზეთებში ადგილი ეთმობოდა ქართველი მწერლების შემოქმედებასა და ლიტერატურულ კვლევებს (ისაკოვი 1969: 28-65).

ესტონურ გაზეთ „Universitas Tartunsis“ 2005 წ. 9 სექტემბრის ნომერში ქართველი სტუდენტების შესახებ დაიბეჭდა სტატია: „ქართველები გაცვლითი პროგრამით ტარტუში“ (საკოვა 2005: 1) (შეთანხმება საქართველოსა და ესტონეთის რესპუბლიკის მთავრობებს შორის კულტურის, განათლების, მეცნიერების, ახალგაზრდობისა და სპორტის სფეროებში თანამშრომლობის შესახებ ძალაშია 2005 წლის თებერვლიდან). ინფორმაციაში სწორედ აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე განხორციელებულ სტუდენტთა გაცვლით პროგრამაზე და მის მონაწილეებზეა საუბარი. წერილის მიხედვით, პირველ ეტაპზე აღნიშნულ პროგრამაში ორი ქართველი იღებდა მონაწილეობას, ერთი – სასწავლო წლის პირველ სემესტრში, ხოლო მეორე – გაზაფხულის სემესტრში. აღნიშნული ინფორმაციული შენიშვნის გაგრძელებად შეიძლება განვიხილოთ გაზეთის იმავე ნომერში შემოთავაზებული ინტერვიუ სათაურით „ტარტუ – მშვიდობიანი და მწვანე ქალაქი“ (საკოვა 2005: გვ. 3). ინტერვიუ დავით ახვლედიანთან და ბერძენ პავლოს პავლიდისთან, რომელიც გაცვლით პროგრამაში საბერძნეთიდან მონაწილეობდა. რესპონდენტები შთაბეჭდილებებს უზიარებენ საზოგადოებას.

გაზეთი „ესტონეთის ახალგაზრდობა“ (რუსულენოვანი გამოცემა) 2005 წ. 3 ივნისის ნომერში (გვ. 9) რუბრიკით „თანამემამულე“ ბეჭდავს ულიანა ფალევას სტატიას „ესტონეთის ქართველები“. სტატია ილუსტრირებულია

(ფალევა 2005: 9). წერილი ეხება ქართული სათვისტომოს მიერ 26 მაისის – საქართველოს დამოუკიდებლობის დღის – აღნიშვნას, რომელიც ნაციონალურ კავშირ „ლირაში“ შემოქმედებით ანსამბლ „მამულის“ წევრთა და მისი ხელმძღვანელის, გივი მამუჩარაშვილის ინიციატივით აღინიშნა. ჟურნალისტი შენიშნავს ქართულ სტუმართმოყვარეობას. ღონისძიების მთავარი სტუმრები იყვნენ საქართველოს ელჩი ლიტვაში გ. ქერდიყოშვილი და ქართველი მწერალი დ. ტურაშვილი. ღონისძიებაზე ვლ. ჟურიარიმ საზოგადოებას შეახსენა ქართული სათვისტომოს ისტორია, ანსამბლმა „მამულმა“ შეასრულა ქართული სიმღერები. დ. ტურაშვილმა ქართულ ენაზე გამოცემული საკუთარი წიგნები უსახსოვრა საზოგადოებას. შესრულდა ძველი ჰიმნი „დიდება“, რომლის ტექსტი და მუსიკა ეკუთვნის კოტე ფოცხვერაშვილს, რომელიც, სხვათა შორის, ტარტუს უნივერსიტეტის კურსდამთავრებული იყო. რეპორტაჟში ავტორი გვთავაზობს გამომსვლელთა კომენტარებს.

ჟურნალი „მამული“

1997 წელს ჩამოყალიბდა ესტონურ-ქართული კულტურული სათვისტომო „მამული“. სათვისტომოს ხელმძღვანელობს იაშა ყურშუბაძე: „2000 წელს, დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით, 26 მაისს ჩვენი სათვისტომოს წევრებს ჟურნალი „მამული“ საჩუქრად მოვუმზადეთ. გამოცემას თემურ თოფჩიაშვილი რედაქტორობდა. ჟურნალი რუსულ ენაზე გამოიცა, იმ პერიოდში ქართული შრიფტები არ გვქონდა. ამ ჟურნალით საზოგადოებას ჩვენი აქტივობა გავაცანით. „მამულის“ მხოლოდ სამი ნომერი დაიბეჭდა. რამდენიმე წლის წინ ჩვენს სათვისტომოში გაჩნდა სურვილი ელექტონული გვერდიც შეგვექმნა, თუმცა ეს იდეა ვერ განხორციელდა. ალბათ, ენთუზიაზმის ნაკლებობის ან იმ მიზეზით, რომ ინტერნეტი ყველასთვის ხელმისაწვდომი არ არის. აღსანიშნავია, ქალბატონ მაკა სამხარაძის მიერ მომზადებული რამდენიმე თემატური საღამო და ესტონეთის რადიომაუწყებლობით გადაცემული რადიო-გადაცემები საქართველოს შესახებ.“ – აღნიშნა ჩვენთან საუბრისას ბატონმა იაშა ყურშუბაძემ.

ჟურნალი „მამული“ A4 ფორმატისაა, დაბეჭდილია ცარცის ქაღალდზე, ფერადია, თორმეტგვერდიანი. ჟურნალის ტირაჟი იყო დაახლოებით 250 ეგზემპლარი, რეალიზაციაში არ გადიოდა (იყო სასაჩუქრე გამოცემა).

ჟურნალის რედაქტორი იყო თემურ თოფჩიაშვილი.

„მამულის“ სულ სამი ნომერი გამოვიდა (2000, 2001, 2002 წლებისა). გამოცემა მზადდებოდა სპეციალურად საქართველოს დამოუკიდებლობის დღისთვის. გამოცემის ადგილი – ქალაქი ტალინი.

ჟურნალი რუსულენოვანია, რასაც გამოცემის ორგანიზატორები იმით ხსნიან, რომ იმ პერიოდში ქართული შრიფტები არ ჰქონდათ. თუმცა აღნიშ-ნულ ფაქტს სასარგებლო დატვირთვას უძებნიან, კერძოდ, ჟურნალის აუდი-ტორია გაფართოვდა. (ესტონეთში რუსული საურთიერთო ენად კვლავ რჩება).

ჟურნალის რედაქცია პირველ ნომერში აუდიტორიას საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოებს აცნობს. იბეჭდება ესტონურ-ქართული კულტურული სათვისტომო „მამულის“ თავმჯდომარის, იაშა ყურშუბაძის მიმართვა, სადაც საუბარია ესტონეთ-საქართველოს მრავალწლიანი

მეგობრობისა და ამ დროისათვის არსებული ქართული ორგანიზაციების შესახებ. (ამ პერიოდში არსებობდა ანსამბლი „მამული“, ქართული კულტურული კერები ქალაქ ვალგაში, ხელმძღვანელი ვლ. მაისურაძე, ქალაქ ტარტუში, ხელმძღვანელი თ. თოფჩიაშვილი, ქალაქ პიარნუში, ხელმძღვანელი ნატო ნარსავიძე; ფეხბურთის გუნდი „ჯორჯია“ იმედა კეკეიშვილის ხელმძღვანელობით. გაიხსნა ქართული რესტორანი „ფიროსმანი“). გამოქვეყნებულია წერილი საქართველოს დამოუკიდებლობის დღის შესახებ, ასახულია ისტორიული ფაქტები. ჟურნალი ეხმიანება საქართველოში ჩატარებულ არჩევნებს და აუდიტორიას რუსული პრესის მიხედვით მომზადებულ ანალიტიკურ მასალასაც სთავაზობს.

ყურადღებას იმსახურებს ლ. პოლიაკოვას ინტერვიუ („Прекрасной Грузии напевы“) ქართული საზოგადოების ხელმძღვანელობის წარმომადგენლებთან: ვალერიან წუწუნავასთან, ედნარ ბოლქვაძესა და იაშა ყურშუბაძესთან. ჟურნალისტი საგულისხმო კითხვას სვამს: „თქვენ ხომ ადრეც იცნობდით ერთმანეთს, სტუმრობდით, ერთად აღნიშნავდით სხვადასხვა ღონისძიებას... რამ გაიძულათ იურიდიულად გაგეფორმებინათ ნაციონალურ-კულტურული საზოგადოება?“ რესპონდენტი, ედნარ ბოლქვაძე, ამ ფაქტს ასე ხსნის: „მამულის“ შექმნით გვსურდა გვეთქვა, რომ არსებობს საქართველო, უძველესი კულტურის ქვეყანა და ჩვენ სწორედ ამ ქვეყნის წარმომადგენლები ვართ ესტონეთში. ვმონაწილეობთ ნაციონალური ორგანიზაციების ღონისძიებებში და საზოგადოებას ვაცნობთ საქართველოს“.

რედაქცია ჟურნალში ადგილს უთმობს ილონა თოფურიას შემოქმედებას; მკითხველს ინფორმაციას აწვდის ესტონეთში არსებული ფეხბურთის გუნდ „ჯორჯიას“ შესახებ; ასევე, ცნობილი საოპერო მომღერლის, ზურაბ სოტკილავასა და მოჭადრაკის, ნონა გაფრინდაშვილის, სტუმრობის შესახებ. ჟურნალში ადგილი ეთმობა საქართველოს პოლიტიკურ სიახლეებსა და ქართული სამზარეულოს რეცეპტებს.

„მამულის“ მეორე ნომერი მკითხველს თბილისის შესახებ აწვდის ინფორმაციას. დაბეჭდილია ანალიტიკურ სტატია რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების შესახებ. გაზეთი აუდიტორიას აცნობს ილია ჭავჭავაძის

შემოქმედებასა და ღვაწლს. მკითხველს შესაძლებლობა აქვს წაიკითხოს ვიდადი მამედოვის წერილი საქართველო-აზერბაიჯანის კულტურული ურთიერთობების შესახებ.

უკვე ტრადიციადქცეულ მიმართვაში საზოგადოების თავმჯდომარე ი. ყურშუბაძე მადლიერებას გამოხატავს ჟურნალის გამოცემისადმი ინტერესის გამო. „მამულს“ გამოეხმაურა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, ადგილობრივი პრესა (გაზ. „Вести“, მარიანა ტარასენკო), რამაც განაპირობა კიდეც ჟურნალის მეორე ნომრის დაბეჭდვა“, – წერს ავტორი.

ი. ყურშუბაძე თავის გამოსვლაში ესტონეთის პრემიერ-მინისტრ მ. ლაარისა და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ ი. მენაღარიშვილის შეხვედრას ეხმიანება და, თავის მხრივ, ქვეყნების დაახლოების საკითხში ესტონეთში მცხოვრები ქართული საზოგადოების როლს გამოკვეთს.

საზოგადოებას აცნობს, სათვისტომოში განხორციელებულ შიდა საკადრო ცვლილებებსა და აჯამებს გასული წლის აქტივობებს. განხორციელდა არაერთი ღონისძიება: აღინიშნა რელიგიური და ეროვნული დღესასწაულები, ბავშვებისთვის ჩატარდა აღმზრდელობით-შემეცნებითი გაკვეთილები, სათვისტომომ უმასპინძლა წარმოშობით ქართველ მომღერალ ვ. მელაძეს, ქართული სიმღერების ანსამბლ „თბილისს“, ქართველ ფეხბურთელებს: მ. ხურცილავას, დ. ყიფიანს, რ. ძოძუაშვილსა და ნაკრების სხვა წევრებს. მიმართვაში ავტორი ქართული საზოგადოების სახელით მადლობას უხდის სათვისტომოს წევრებს: ვლ. ჟურიარს, ძმებ სამხარაძეებს, თ. თოფჩიაშვილსა და სხვ.

„მამულის“ მეორე ნომერში შეხვდებით სტატიებს ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლების შესახებ. დაიბეჭდა ანსამბლ „თბილისის“ სტუმრობის ამსახველი ინფორმაცია. ასევე, დაიბეჭდა წერილი ქართული ღვინისა და ნაციონალური სამზარეულოს შესახებ.

ჟურნალ „მამულის“ მესამე ნომერი 2002 წ. გამოიცა. ტრადიციისამებრ, საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი გამოცემა პირველ გვერდებს მკითხველისთვის საქართველოს გაცნობით იწყებს: „აჭარა – საქართველოს მარგალიტი“; ადგილი ეთმობა საქართველოს ისტორიას, გაშუქებულია დავით აღმაშენებლის ეპოქა, ბაგრატის ტაძრის ისტორია.

რედაქტორის სვეტს ცვლის საზოგადოების თავმჯდომარის, ი. ყურშუბაძის მიმართვა, რომელშიც ავტორი აჯამებს წინა წელს ჩატარებულ ღონისძიებებს. ავტორი იხსენებს რობერტ სტურუას, ჯუმბერ ლეჟავას, ანსამბლ „თბილისის“, კალათბურთის გუნდ „ბასკოს“ წევრთა სტუმრობას. მადლობას უხდის საზოგადოების აქტიურ წევრებს: იონა ბარათაშვილს, ძმებ სამხარაძეებსა და ბიზნესმენ კონსტანტინე ივანიშვილს. ჟურნალის ამ ნომერში დაიბეჭდა ინფორმაცია აღნიშნული ღონისძიებების შესახებ.

აღნიშვნის ღირსია ჟურნალის ყოველი ნომრის ბოლო გვერდზე რედაქტორის ტექსტი, რომელშიც ის მადლობას უხდის მკითხველებსა და ავტორებს. ჟურნალის გამოცემის ფინანსური მხარდაჭერისათვის ბიზნესმენ კ. ივანიშვილს, ძმებ სამხარაძეებსა და სხვ. („მამული“ 2000-2002).

პარალელისათვის: 1989 წელს ტალინში 1 500-იანი ტირაჟით გამოვიდა სომხური კულტურული საზოგადოება „ვააგნის“ ყოველლთვიური გაზეთი „ვა-აგნი“. გაზეთი ორენოვანი იყო – სომხურ-რუსული. რედაქტორი ა. გულგული-ანი. რედაქციას მართავდა სარედაქციო საბჭო, რომელსაც ხელმძღვანელობდა ა. დავიდიანცი. გაზეთის ტექნიკური რედაქტორი იყო გ. იკნოიანი. გაზეთი 1991 წლამდე გამოდიოდა. „ვააგნში“ გამოქვეყნდა ესტონეთის დამოუკიდებლობის მხარდამჭერი პუბლიკაციები. გამოცემა ესტონეთში მცხოვრებ სომხებსა და სხვა ეროვნების წარმომადგენლებს სომხეთში მიმდინარე მოვლენების შესახებ ინფორმაციას აწვდიდა. იბეჭდებოდა წერილები სომხეთის ისტორიისა და კულტურის შესახებ. გამოცემა ვრცელდებოდა როგორც ესტონეთში, ასევე, სომხეთში, სადაც იგზავნებოდა ტირაჟის ნახევარი. გაზეთს ხელისმომწერები ჰყავდა საქართველოში, რუსეთში, საფრანგეთში და სხვ.

არაოფიციალური მონაცემებით, ესტონეთის რესპუბლიკაში დაახლოებით 2 000 სომეხი ცხოვრობს (გრიგორიანი 2000: 51).

ბოლო პერიოდში ნაციონალური ორგანიზაციების უმრავლესობის მიერ გამოიცა საინფორმაციო ბუკლეტები, რომლებიც მათი წარმოშობის ქვეყნის კულტურას აცნობს საზოგადოებას და სარეკლამო ხასიათს ატარებს. ხოლო მათი აქტივობების შესახებ ინფორმაცია, ძირითადად, ელექტრონულ გვერდებზე თავსდება.

ელექტრონული მედია ესტონეთში მცხოვრები ეთნიკური ჯგუფებისათვის

საქართველოს სრულუფლებიან და საგანგებო ელჩს ესტონეთის რესპუბლიკაში, რ. აბაშიძეს მიაჩნია, რომ ჟურნალ „მამულის“ გამოცემა ქვეყნის მოთხოვნების გათვალისწინებით შეწყდა: „ჟურნალი საინტერესო და აქტუალური იყო, თუმცა თანამედროვე მოთხოვნები ქვეყანაში სხვაა. ქვეყნის სპეციფიკის გათვალისწინებით თუ ვისაუბრებთ, მისაღებია ინფორმაციის გაცვლის ელექტრონული საშუალებები. ბუნებრივია, მედია უნდა არსებობდეს ბეჭდვითი სახითაც. ჩვენს შემთხვევაში უფრო შედეგიანი იქნება, რომ ყურადღება მივაქციოთ ელექტრონულ მედიას.“

„ქართული სახლის“ ხელმძღვანელი მ. სამხარაძე აცხადებს: „ესტონეთში დიასპორის დიდი უმრავლესობა ინტერნეტთან მწყრალადაა. ელექტრონული სახით ინფორმაციის მიწოდებას ვერ ვახერხებთ. რა თქმა უნდა, აქ ახალი თაობა მხოლოდ ამ სახით ურთიერთობს, სამწუხაროდ, ისინი დიასპორის საქმიანობაში აქტიურად არ არიან ჩართულნი. მიმაჩნია, რომ მომავალი ელექტრონულ მედიას აქვს, რაც ჩვენს გააქტიურებასაც მოითხოვს.“

ესტონეთის კულტურის სამინისტროს კულტურული მრავალფეროვნების დეპარტამენის უფროსი სპეციალისტი ე. ჟურიარი-ოსიპოვი ამბობს, რომ კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით ნაციონალური ორგანიზაციებისთვის შეიქმნა ელექტრონული გვერდი – www.etnoweb.ee , რომელშიც ქვეყნდება ინფორმაცია ეთნიკური ჯგუფების აქტივობების შესახებ. როგორც ჩანს, ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით სახელმწიფო სტრუქტურებში ბეჭდვით გამოცემებს არაეფექტურად მიიჩნევენ. „ჟურნალ-გაზეთების ბეჭდვა ფინანსურ საკითხებს უკავშირდება, ტირაჟი ყველას ვერ სწვდება... დღეს ელექტრონული მედია მაქსიმალურად ყველასთვის ხელმისაწვდომია. ვითვალისწინებთ რა ეთნიკურ ჯგუფებში პროფესიონალების ნაკლებობას, მათთვის სპეციალური სამოქალაქო ჟურნალისტიკის კურსიც შევიმუშავეთ“, – აღნიშნავს ე. ჟურიარი-ოსიპოვი. ვებ-გვერდი სამენოვანია (ესტონური, რუსული, ინგლისური).

სამოქალაქო ჟურნალისტიკის სკოლის სასწავლო კურსის ავტორები არიან ფსიქოლოგიის, ინტერნეტ-ტექნოლოგიების სფეროს წარმომადგენლები.

ტელევიზიის, ელექტრონული და ბეჭდვითი გამოცემების ჟურნალისტები: ივანე ტოოდო (ესტონეთის ტელე-რადიო მაუწყებლობის კორპორაციის (ERR) ვიდეო-ოპერატორი, მემონტაჟე), ანა გუდიმ (მრავალპროფილური ჟურნალისტი), ალექსანდრე გუჟოვი (ფოტოჟურნალისტი), ნატალია კიტამი (ჟურნალისტი, საზოგადო მოღვაწე, პროექტ www.etnoweb.ee -ს ავტორი და ხელმძღვანელი).

აღნიშნული სასწავლო კურსისთვის მიზნობრივი ჯგუფი კომპლექტდება ესტონეთის მოქალაქეობის არმქონე პირებისა და იმ ქვეყნების წარმომად-გენლებისაგან, რომლებიც არ არიან ევროკავშირის წევრები. პროექტს მხარს უჭერენ ევროპული ფონდი, ესტონეთის კულტურის სამინისტრო და ინტეგრაციისა და მიგრაციის ფონდი „ჩვენი ხალხი“. სწავლება ონლაინ რეჟიმში მიმდინარეობს. სასწავლო მასალა ატვირთულია ვებ-გვერდზე. www.etnoweb.ee –ზე ქართული ორგანიზაციების შესახებ, სტატისტიკური მონაცემების გარდა, განთავსებულია ინფორმაცია მათ მიერ ორგანიზებული ღონისძიებების შესახებ.

ეთნიკური ორგანიზაციების საინფორმაციო გვერდი ეხმიანება ქართულ-ესტონური ორგანიზაცია „ბაგრატის“ ინიციატივით გამართულ შეხვედრას, რომელსაც უძღვებოდნენ: ორგანიზაციის ხელმძღვანელი ტიმოფეი ბასილაშვი-ლი და ქეთევან პალელაშვილი. „ღონისძიებაზე ორგანიზაციის ხელმძღვა-ნელმა საზოგადოებას გააცნო სამუშაო გარემო, საღამოზე წაიკითხეს ქართული ლექსები, ნაჩვენები იყო ქართული კულტურის, წეს-ჩვეულებების შესახებ მომზადებული ქართული ფილმი. საღამოზე პოპულარიზაცია გაეწია ქართულ ღვინოსა და სამზარეულოს“ (www.etnoweb.ee). ვებ-გვერდზე განთავსებულია სვეტიცხოვლობის შესახებ ინფორმაცია, ტაძრის ისტორია და ქართული ორგანიზაციების მილოცვა. ასევე, ინფორმაცია უკრაინელი და ქართველი ქალების შეხვედრის შესახებ.

ესტონეთის ნაციონალური უმცირესობების ასოციაცია „ლირა“-ს ოფიციალური ვებ-მისამართია www.lyra.ee.

ვებ-გვერდი ორენოვანია (ესტონურ-რუსული). აქ თავმოყრილია მასალები ესტონეთში მცხოვრები იმ ეთნიკური ჯგუფების შესახებ, რომლებიც იმავდროულად ასოციაციის წევრებიც არიან. ასოციაციაში დაახლოებით 58

ნაციონალური ორგანიზაციაა გაერთიანებული. გვერდზე მათ შესახებ მოკლე ინფორმაციული და საკონტაქტო მონაცემებია მოწოდებული. ასევე, არსებობს რუბრიკები: სიახლენი, სკოლა, გალერეა, „ლურჯი ფრინველის გადაფრენა“ (ფესტივალი). გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია კავშირში შემავალი ქართული ორგანიზაციების შესახებ: „ქართული ფოლკლორული ანსამბლი „მამული“ 2003 წელს დაარსდა. ანსამბლის რეპერტუარშია ქართული ხალხური სიმღერები. ანსამბლმა მონაწილეობა მიიღო ფოლკლორულ ფესტივალ „ბალტიკაში“ (2003, 2005 და 2007 წწ.), ასევე ასოციაცია „ლირას“ მიერ ორგანიზებულ ფესტივალებში. ხოლო საბავშვო ანსამბლი მონაწილეა ფესტივალებისა: „Мисс Väike Lüüra“, „ლურჯი ფრინველი“ და „მსოფლიოს გარშემო ძველი ქალაქიდან გაუსვლელად“. ორგანიზაციის თავმჯდომარეა გივი მამუჩარაშვილი.“ (www.lyra.ee)

„2008 წელს კავკასიური კულტურული საზოგადოება „ბათუმი“ დაარსდა. საზოგადოების მიზანია, შემოიკრიბოს აჭარიდან წამოსული თანამემამულეები. თავმჯდომარე სულიკო-ვალერიან წუწუნავა“ (www.lyra.ee).

ნაწილი V

პარალელისათვის: ინგლისსა და გერმანიაში მცხოვრები ქართველების პერიოდული გამოცემები – ჟურნალი „თანამემამულე“ და გაზეთი „ახალი ივერია“

ჟურნალ „თანამემამულეს“ პირველი ნომერი 2003 წლის 26 მაისს გერმანიაში გამოიცა. ახალგაზრდები: ზაზა მესხი, ნინო ხაბელაშვილი, უჩა გოგიშვილი „მებრძოლი საქართველოს“ რედაქტორის, კარლო ინასარიძის, დახმარებით შეუდგნენ ქართული ემიგრაციული ჟურნალის გამოცემას. „თანამემამულე“ პირველი ორი ნომრის შემდეგ ინგლისში იბეჭდებოდა. პერიოდულობა ორთვიანი შუალედით განისაზღვრა.

„ემიგრაციულ საქართველოში“ „თანამემამულე“ ერთადერთი გამოცემა იყო, რომელშიც რელიგიის, საქართველოს ისტორიისა და საყმაწვილო რუბრიკის გარდა ძირითადად უცხოეთში მცხოვრები და მოღვაწე ქართველების კორესპონდენციები იბეჭდებოდა. მათი თვალთახედვა საკუთარ ყოფაზე მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ემიგრაციის თემებზე მომუშავე ჟურნალისტების შეფასებებისაგან. საკორესპონდენციო ქსელი მსოფლიოს 20 ქვეყანას მოიცავდა: თურქეთი, აზერბაიჯანი, ირანი, გერმანია, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, აშშ, ესპანეთი, ჩეხეთი, ჰოლანდია და სხვ.; ავტორები: ქეთევან რუჰი (ხანთაძე) (თურქეთი), სოსო ონიკაშვილი (ირანი), ნინო ყულოშვილი (ქურმუხელი) (აზერბაიჯანი), მედეა თუშმალიშვილი (საფრანგეთი), ოთარ პატარიძე (საფრანგეთი), გივი თაქთაქიშვილი (ჰოლანდია), მანანა ოდიშელი (ინგლისი), სოფიო თაბუკაშვილი (კანადა), გიორგი ქუთათელაძე (კანადა), გიორგი ლალიაშვილი (ინგლისი), სანდრო კლიმიაშვილი (ინგლისი), ქეთი ჩალათაშვილი (რუსეთი), ირინე ჯავახაძე (აშშ) და სხვ.; კორესპონდენტთა უმრავლესობა სარედაქციო ჯგუფის წევრები იყვნენ. „თანამემამულე“ საქართველოშიც ვრცელდებოდა.

„თანამემამულე“ საქველმოქმედო ჟურნალი იყო. რედაქტორი იმედოვნებდა, რომ ჟურნალის ხელმომწერთა დახმარებით საზღვარგარეთ ემიგრაციის შემსწავლელ საინფორმაციო-ანალიტიკურ ცენტრს შექმნიდა.

ჟურნალს საინტერესო რუბრიკები ჰქონდა – „აქტუალური საკითხების“ ავტორები ძირითადად მეცნიერების სხვადასხვა სფეროს ექსპერტები იყვნენ. ქართველი ემიგრანტები სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ნაფიქრს უზიარებდნენ აუდიტორიას რუბრიკაში „აფხაზეთი ჩემი“. მკითხველს საშუალება ჰქონდა, ემიგრანტთა დღიურის ჩანაწერებიდან ამონარიდებს გაცნობოდა („ქართველები უცხოეთში“). აქ ყველაზე მეტად ვლინდებოდა სამშობლოსაგან შორს მყოფი ჩვენი თანამემამულეების განცდები... რუბრიკებიდან „საქართველოს მეგობრები“ და „ხელოვნება და კულტურა“ მკითხველი შეიტყობდა საზღვარგარეთ არსებული ქართული შემოქმედებითი ჯგუფების მოღვაწეობის შესახებ. ჩვენი თანამემამულეები საკუთარი წარმატებების შესახებაც იწერებოდნენ... განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია რედაქციის მცდელობა, უცხოეთში დაბადებული ქართველი ბავშვები შეეგუებინა მშობლიურ ენასა და ხალხურ პოეზიას. რედაქცია იყენებდა ქართულ ასომთავრულ ანბანს, ორნამენტებს; ამით სურდა, მკითხველი საკუთარ კულტურასთან დაეახლოვებინა... ჟურნალი პოლიგრაფიული თვალსაზრისით დახვეწილი იყო.

„თანემემამულეს“ დევიზი იყო ილიას სიტყვები: „მარად და ყველგან საქართველოვ, მე ვარ შენთანა!“

2007 წელს ჟურნალ „თანამემამულეს“ რამდენიმე ნომერი საქართველოში, გამომცემლობა „ინტელექტში“, დაიბეჭდა.

ჟურნალს რედაქტორი აფინანსებდა. 2009 წელს რამდენიმე ნომერი დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ფინანსური მხარდაჭერით დაიბეჭდა. 2010 წელს ჟურნალის გამოცემა შეწყდა.

გაზეთი „ახალი ივერია“ (გერმანია) 2005 წლის იანვარიდან 2008 წლამდე გამოდიოდა. რედაქტორი – ჯიმშერ ბედიანაშვილი. ვრცელდებოდა როგორც ევროპაში, ისე რუსეთში, უკრაინაში, ბალტიისპირეთში, ამერიკასა და ავსტრალიაში. იგზავნებოდა როგორც ჩვეულებრივი, ისე – ელექტრონული ფოსტით. გაზეთი აშუქებდა საქართველოში მიმდინარე კულტურულ მოვლენებს, ასევე გერმანიაში მცხოვრები თანამემამულეების აქტივობებს. გამოცემაში ადგილი ეთმობოდა რელიგიურ ისტორიულ და საბავშვო თემებს.

გაზეთის კორესპონდენტები იყვნენ: ესმა მანია, გიორგი მერებაშვილი, ნინო ყულოშვილი (ქურმუხელი), მზეხა მახარაძე და სხვ.

2007 წელს „ახალი ივერია“ განსხვავებული ფორმატით გამოიცა, რაც გაპირობებული იყო „ჩვენებურების“ საერთაშორისო ფესტივალის ორგანიზატორებთან შეთანხმებით, რომ ერთობლივად გამოეცათ პერიოდული ჟურნალი. შეთანხმება ვერ შედგა, რამაც გაზეთის გამოცემა შეაჩერა. ჯიმშერ ბედიანაშვილის სურვილია გამოცემა აღადგინოს, თუნდაც ელექტრონული გვერდის სახით.

ნაწილი VI

საერთაშორისო გეოპოლიტიკა და ნაციონალური დიასპორა

ქვეყნებს შორის ურთიერთობისას პოლიტიკოსები ხშირად დიასპორის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ითვალისწინებენ. ისინი დიასპორას განიხილავენ როგორც დიპლომატიური ბალანსის საშუალებას. აღნიშნული დიპლომატიური ბერკეტი სწორედ მაშინ იწყებს მოქმედებას, როცა ყველა სხვა საშუალება ამოწურულია. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა საქართველოს ურთიერთობა იმ ქვეყნებთან, რომლებშიც ჩვენი თანამემამულეები ცხოვრობენ.

ჩვენ მიერ განხილულ ქვეყნებს შორის აზერბაიჯანი და ესტონეთი, საქართველოს მსგავსად, პოსტ-საბჭოთა სივრცის ნაწილია. 2004 წლიდან ესტონეთის რესპუბლიკა ევროკავშირის წევრი გახდა. ამ თვალსაზრისით, ესტონეთში მცხოვრები ნაციონალური დიასპორისათვის ინტეგრაციის პროცესი სამსაფეხურიანია: ინტეგრაცია საკუთარ ეთნიკურ ჯგუფებში, ინტეგრაცია სხვადასხვა ნაციონალურ საზოგადოებებთან, მათ შორის, დომინანტ ეთნოსთან და ევროინტეგრაცია.

კვლევის გეოგრაფიული არეალის გათვალისწინებით, გვსურს აღვნიშნოთ, რომ აზერბაიჯანთან და თურქეთთან გვაქვს სასაზღვრო ურთიერთობა და თანამემამულეები სწორედ სადემარკაციო ზოლში მოსახლეობენ. ბუნებრივია, ლოკალურად ნაციონალური აქტივობები ქვეყნების უსაფრთხოების სამსახურების მიერ კონტროლდება (ინოგენური კონფლიქტის საფრთხე).

აზერბაიჯანი საქართველოს სტრატეგიული პარტნიორია, ქვეყნები თანამშრომლობენ ენერგეტიკის, სატრანსპორტო, ტურიზმის, ეკონომიკის, საბანკო-საფინანსო, სოფლის მეურნეობის, კულტურის, სპორტის, განათლებისა და მეცნიერების, აგრეთვე სხვა მნიშვნელოვან სფეროებში.

კავკასიის რეგიონის სტაბილურობისათვის აზერბაიჯანისა და საქართველოს კეთილმეზობლური ურთიერთობა მეტად მნიშვნელოვანია. აღნიშნული თვალსაზრისით, აზერბაიჯანში არსებულ ქართულ დიასპორას, როგორც სახალხო დიპლომატიის წყაროს, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ასევე, სახელმწიფოებს შორის საერთაშორისო ბალანსის შენარჩუნების საშუალებას იძლევა საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანული დიასპორა.

აზერბაიჯანის რესპუბლიკაში, კერძოდ, ბელაქანის, ზაქათალისა და კახის რაიონებში ქართველები ავტოხტონურ მოსახლეობას წარმოადგენენ, საქართველოში, ქვემო ქართლში, აზებაიჯანელები კომპაქტურად მოსახლეობენ.

ეთნიკური მიკრორეგიონები ძირითადად საბჭოთა კავშირის პერიოდში შეიქმნა. პოსტ-საბჭოთა რეალობაში ქვეყნებს შორის სადემარკაციო ხაზები შეიცვალა და ბევრ შემთხვევაში ღია კონფლიქტში გადაიზარდა (აფხაზეთი, სამაჩაბლო, ყარაბახი). კავკასიის რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობისათვის გასათვალისწინებელია სახალხო დიპლომატიის ამოუწურავი შესაძლებლობები.

თურქეთთან მიმართებაში ქართული წარმოშობის მოქალაქეები ქვეყნის შიგნით შიდა მიგრაციაში არიან და მათი ნაციონალური აქტივობები თითქმის განეიტრალებულია.

საქართველოს საგარეო პოლიტიკური ქმედითობის ხარისხი აღმოსავლეთის ქვეყნებთან მიმართებაში ბოლო პერიოდში გააქტიურდა – დაიწყო ახალი სტრატეგიული პარტნიორების ძებნა. ჯერ თურქეთთან, შემდეგ ჩრდილოეთ კავკასიასთან, ბოლო დროს კი ირანთან დაწესდა უვიზო რეჟიმი, რომელიც 2011 წლიდან ამოქმედდა. ამას წინ უძღოდა თბილისსა და თეირანს შორის პირდაპირი ავიარეისების დანიშვნა.

საქართველო-ირანს შორის სავიზო რეჟიმის გაუქმება ქართველმა დიპლომატებმა დადებითად შეაფასეს და უსაფუძვლოდ მიაჩნიათ ეჭვი იმის შესახებ, რომ ირანთან ურთიერთობის ეს ფორმა საქართველოს სახელმწიფოს განვითარების სტრატეგიული ვექტორისთვის შეუსაბამო იქნება. ქართველი პოლიტოლოგები აღნიშნული ფაქტის გამო აშშ-საქართველოს შორის ურთიერთობის დაძაბვას გამორიცხავენ. ირანი ენერგომატარებლებით მდიდარი ქვეყანაა. მას სერიოზული სამხედრო-სამრეწველო ინფრასტრუქტურა აქვს, ამიტომ ამ მიმართულებითაც საქართველოსთვის ირანი კარგი პარტნიორი იქნება.

ფაქტია, რომ აშშ-ის ძალისხმევის გადართვამ ერაყსა და ავღანეთზე, ეკონომიკურმა კრიზისმა და სხვა არაერთმა მოვლენამ ბევრ მსხვილ პოლიტიკურ მოთამაშე-სახელმწიფოს იმედი ჩაუსახა. ამ ორმხრივმა პროცესმა კი

რეგიონული გავლენის ცენტრების მოძლიერება და წინ წამოწევა გამოიწვია, რაც ბადებს ახალ ამბიციებს მსხვილი რეგიონული ლიდერების როლზე.

ასეთ პირობებში საქართველოს მოუწევს ლავირება რეგიონში, სადაც ლიდერის როლზე პრეტენზიას რამდენიმე მსხვილი მოთამაშე აცხადებს. თუმცა, იმავდროულად, ჩვენი უსაფრთხოების სტრატეგიის გადახედვაც გვმართებს. არავინ იცის, როგორი იქნება მომავალი მსოფლიო წესრიგი:

თურქეთი მიისწრაფვის აღმოსავლური სამყაროს ლიდერობისკენ, რათა ახალ გამოწვევებს მობილიზებული შეხვდეს; საგარეო პოლიტიკური ბალანსის მიმართულებით აქტიურია აზერბაიჯანი; ირანი, თავის მხრივ, არანაკლები ამბიციების მქონე ქვეყანაა. აღსანიშნავია, რომ ირანის ინტერესები რეგიონში მხოლოდ ამერიკულს არ კვეთს, მისსავე ინტერესებშია რუსეთის მიერ კავკასიის უპირობო კონტროლის აღკვეთა. მხედველობაშია მისაღები ირანის ენერგეტიკული გავლენა. ამ სიტუაციაში ირანის ფაქტორის იგნორირება დაუშვებელია.

საქართველოს დღეს ახალი მსოფლიო წესრიგის ფორმირების ზედმიწევნით რთულ პერიოდში უწევს ცხოვრება. ესტონეთის რესპუბლიკა, რომელმაც ბალტიის ქვეყნებთან ერთად თავი დააღწია რუსეთის გავლენას და დღეს ევროპის სრულუფლებიანი წევრია, საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის თვალსაზრისით დაახლოებას ხელს უწყობს.

აღსანიშნავია, რომ ჩვენი საგარეო პოლიტიკის მთავარ პრობლემად დღემდე რჩებოდა ვექტორების დაუბალანსებლობა.

გასათვალისწინებელია, რომ საქართველო-ირანის, საქართველო-თურქეთისა და საქართველო-აზერბაიჯანის ურთიერთობის საკითხებში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქართული დიასპორა. მნიშვნელოვანია, დიასპორის თემამ განიცადოს ტრანსფორმაცია და სახალხო დიპლომატიის წყაროდ იქცეს.

დასკვნა

სადისერტაციო ნაშრომში მიზანმიმართულად შევეხეთ იმ პრობლემებს, რომელთა მოგვარება თითოეულ შემთხვევაში დიასპორის წარმომადგენლებისათვის აუცილებელია.

ჩვენ მიერ განხილული პერიოდული გამოცემებისთვის საერთო ეროვნული ინტერესებია. ერი, ეროვნება, ეროვნული ინტერესები და სოლიდარობა უმნიშვნელო ფრაზები როდია. საზოგადოების აზრი ერთმნიშვნელოვანია, განვითარების მთავარ წინაპირობად ეროვნული ნიადაგის არსებობა მიიჩნევა. ბუნებრივია, თვითგამორკვევის უფლების რეალიზების საკითხი ექტრემიზმში არ გადადის. გამოცემები, ძირითადად, პოლიტკორექტულია. რედაქციები თვითცენზურით ხელმძღვანელობენ. თითოეული გამოცემის კონკრეტული ამოცანა ცვალებადია დროისა და სივრცის გათვალისწინებით. აზერბაიჯანის ქართველების მიერ მომზადებული პერიოდული გამოცემების შემთხვევაში მესვეურები მთავარ მიზნად მკითხველთა ინტელეტუალურ-ზნეობრივ აღზრდას, მათ გამოღვიძებასა და ამოქმედებას ისახავენ. თურქეთსა და ირანში მცხოვრები ქართველების შემთხვევაში გამოცემების ამოცანაა ადგილსამყოფელი და წარმოშობის ქვეყნების დაახლოება კულტურულ-ეკონომიკურ, საგანმანათლებლო, პოლიტიკურ ასპარეზზე. ევროპის ქვეყნების ქართული დიასპორული გამოცემები ეთნიკური იდენტობის შენარჩუნებისაკენ და მიმღებ ქვეყნებში საქართველოს ღირსეული წარდგენისაკენ არის მიმართული.

„ჟურნალისტიკა ცხოვრების მესაჭეა!“ – აღნიშნული თვალსაზრისით, დიასპორული გამოცემების ორგანიზატორები საზოგადოების თითოეულ წევრს მეტ-ნაკლებად გააქტიურების საშუალებას აძლევს. „ადამიანი პასიური მჭვრეტელი როდია, იგი თვითონ ქმნის და ასხვაფერებს ცხოვრებას. ეს კი გულისხმობს სინამდვილის შესწავლის აუცილებლობას“ (ტაბიძე 1977: 8).

ჟურნალისტიკის თეორეტიკოსები მიიჩნევენ, რომ „ერთ შემთხვევაში გაზეთის მთავარი მოვალეობაა მკითხველთა ინტელექტუალურ-ზნეობრივი აღზრდა, მათი გამოღვიძება და ამოქმედება. მეორე შემთხვევაში კი, განსაკუთრებით მაშინ, როცა ეს საფეხური დაძლეულია, პრესის ამოცანა

რთულდება და ფართოვდება. იგი „ასპარეზია სხვადასხვა ცხოვრების კავშირთა და ძალთა ბრძოლისა“ (ტაბიძე 1977: 8). ჩვენ მიერ შესწავლილი ჟურნალ-გაზეთების შემთხვევაში, სამწუხაროდ, მესვეურები თანმიმდევრულნი ვერ არიან. აღმოსავლეთის ქვეყნებში მათ პოლიტიკური კონიუნქტურა არ აძლევს ამის საშუალებას.

პრესა ინტელექტუალური სიმწიფის მაჩვენებლად მიიჩნევა, საჭიროების შემთხვევაში – მძლავრ იდეოლოგიურ იარაღადაც. რასაკვირველია, დიასპორული მედია მმართველი წრეების ყურადღების ცენტრშიც ხვდება. ხელისუფლების იდეოლოგია მიმართულია სტრატეგიულ თანამშრომლობასა და მშვიდობიანი გეოპოლიტიკური გარემოს შექმნისკენ, ინტეგრაციასა და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებისკენ. ევროპის ქვეყნების დიასპორული მედია თვითკონტროლირებადი ხასიათისაა, პოლიტკორექტულია. ბუნებრივია, ისტორიულ დიასპორაში არსებულ პრესას ხელისუფლების საწინააღმდეგო იდეები არ გააჩნია. მათ მიერ თვითცენზურის პირობებში გაშუქებული პრობლემები წარმოადგენს სოციალურ წინააღმდეგობებს, სუბიექტების მიერ შემეცნებულს როგორც მათთვის მნიშვნელოვან შეუსაბამობას, არსებულსა და საჭიროს, სასურველსა და რეალურს, მოღვაწობის მიზნებსა და შედეგებს შორის. ევროპაში მცხოვრები თანამემამულეების პერიოდიკა ძირითადად ეთნიკური ჯგუფის შეკვრისკენ და ეროვნული კულტურის ადგილსამყოფელი ქვეყნისთვის წარდგენისკენ არის მიმართული.

დიასპორული მედია განსხვავებულ ჟურნალისტიკას გვთავაზობს. დიასპორულ გამოცემებში შეხვდებით ახალ, სპეციფიკურ ლიტერატურულ დისკურსს, რომელიც „უცხოობაში“ ემიგრანტული ცხოვრების აღქმითაა გაპირობებული; იცვლება დამოკიდებულება ჟურნალისტური ჟანრებისა და მედიის ფუნქციებისადმი. დიასპორული გამოცემები ახალ საკვლევ მასალას გვთავაზობს. ბუნებრივია, ეს გარემოება პრობლემის ისტორიოგრაფიის კუთხით შესასწავლადაც საინტერესოა.

სუბკულტურის განსაზღვრისას გათვალისწინებულია მასობრივი კომუნიკაციების საშუალებების, როგორც იდეოლოგიური მართვის ინსტრუმენტის, მნიშვნელობა.

ნაციონალურ (წარმოშობის ქვეყანა) ან ადგილობრივ (მიმღები ქვეყანა) პრესაში იშვიათად იბეჭდება პუბლიკაციები დიასპორის, სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის ნაციონალური აქტივობების შესახებ, ან ის მხოლოდ აღწერით ხასიათს ატარებს. თავად ეთნიკური ჯგუფის მიერ გამოცემული პერიოდიკა განსხვავებულ წიაღსვლებს გვთავაზობს.

დიასპორული მედიატექსტი მგრძნობიარე და ტენდენციურია. მიკერძოებულობა განპირობებულია იმით, რომ გამოცემა ძირითადად ორგანიზაციის ფარგლებში მზადდება და ასახავს სათვისტომოს აქტივობებს, გვიჩვენებს ორგანიზაციის სამოქმედო ვექტორს. ტენდენციურობას ისიც იწვევს, რომ პუბლიკაციის ავტორი მოვლენების ეპიცენტრშია, სუბიექტია. ვერ ხდება ფაქტის განზოგადება, ანალიზი. ტექსტების შესწავლა გვარწმუნებს, რომ დიასპორულ გამოცემებში პუბლიკაციები, როგორც წესი, გაპიროვნებულია და გვიჩვენებს ავტორის სულიერ მდგომარეობასა და ემიგრანტული ცხოვრების დეტალებს. დიასპორული პერიოდული გამოცემა ესაა ერთგვარი ტრიბუნა, რომელიც შიდა კომუნიკაციის პარალელურად ეთნიკურ საზოგადოებას პროცესებში მაქსიმალური ჩართულობისათვის სჭირდება.

სახელმწიფო პოლიტიკის მიხედვით განსაზღვრული დიასპორული მედიააქტივობები ინტეგრაციას ემსახურება, ხოლო თავად დიასპორული გამოცემები – პირველ რიგში, ეთნიკურ იდენტიფიკაციას.

თავად დიასპორა მედიას ახალ მიზნებს უსახავს: ჟურნალ „თანამემამულეს“ (ინგლისი, 2003-2010) შემთხვევაში სარედაქციო პოლიტიკა მსოფლიო დიასპორის გაერთიანებას ცდილობდა. აღნიშნულ გამოცემასთან თანამემამულეები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან თანამშრომლობდნენ. იბეჭდებოდა პუბლიკაციები დიასპორის ინიციატივების შესახებ. საინფორმაციო მასალების გვერდით დიდი ადგილი ეთმობოდა ანალიტიკურ სტატიებს. გაზეთ „ახალი ივერიის“ (გერმანია, 2005-2008) მიზანი იყო გერმანიის ქართული საზოგადოების შემოკრება და ერთიან ეროვნულ

სივრცეში მოქცევა. გაზეთში განთავსებული სტატიები ეხმიანებოდა წარმომავლობისა და ადგილსამყოფელ ქვეყნებში მიმდინარე მოვლენებს. გაზეთ „მოამბეს“ (აზერბაიჯანი, 1990-1991) ისტორიული დიასპორის პრობლემების ასახვა და მის აღმოსაფხვრელად საზოგადოების ჩართულობის ინიციატივა ჰქონდა. ქართულ-თურქულენოვანი ჟურნალი „ფიროსმანი“ (თურქეთი, 2007-2010) ორი ქვეყნის კულტურას აცნობს აუდიტორიას. ირანის ქართველების მიერ გამოცემული საინფორმაციო ბიულეტენები ქართული ენისა და დამწერლობის, ეროვნული კულტურის თანამემამულეებამდე მიტანას ცდილობს. ესტონეთში ქართულ სათვისტომო „მამულის“ რუსულენოვანი ჟურნალი, ასევე „მამული“ (2000-2002) საიმიჯო ხასიათს ატარებს და ადგილობრივ აუდიტორიაზეა გათვლილი.

დიასპორული გამოცემების ნარატიულ ხასიათს განსაზღვრავს გარკვეული დროისა და სივრცის ფაქტორები, დამოკიდებულია გარემოფაქტორებზეც. ამ სპეციფიკური მასმედიის ტექსტუალური ანალიზი გვაძლევს დიასპორის მიერ დანახული სამყაროს სურათს. ამ შემთხვევაში ლინგვისტიკა სოციოლოგიურ, ისტორიოგრაფიულ დატვირთვას იძენს.

ეთნიკური ჯგუფების გამოცემების ავტორები ხშირ შემთხვევაში არაპროფესიონალები არიან, შესაბამისად, გვხვდება პრიმიტიული მიდგომა ჟურნალისტური ჟანრების მიმართ. მასალათა უმრავლესობა ინტერვიუს ან ინფორმაციის სახით იბეჭდება. დიასპორული მედიასაშუალებებით ძირითადად რეალიზებულია ჟურნალისტიკის პატრიოტული, საგანმანათლებლო და ორგანიზაციული ფუნქციები.

დიასპორული მედიის აუდიტორიას საზღვრავს ადგილსამყოფელი ქვეყანა. მაგალითად, იტალიასა და საბერძნეთში ქართველები შრომითი მიგრანტები არიან, გერმანიასა და ესტონეთში კი – ძირითადად სტუდენტები. ეს ფაქტორი გამოკვეთს ასაკობრივ ჯგუფებსა და ინტერესთა სფეროებსაც. ხშირ შემთხვევაში, უცხოეთში დაბადებული თაობისთვის, რომელიც ბი-კულტურის მატარებელია ეთნიკური იდენტიფიკაციის საკითხები ისეთი აქტუალური არ არის, როგორც, თუნდაც მისი მშობლებისთვის. სუბკულტურის შენარჩუნების

საკითხში ახალი თაობა სიმბოლური მონაწილეა, განსაკუთრებით შერეული ოჯახების წარმომადგენლების შემთხვევაში.

საიდენტიფიკაციოდ დიასპორული მედიასაშუალებები ძირითადად ქართულ ენაზე გამოდის, თუმცა ვხვდებით ორენოვან გამოცემებს „ფიროსმანი“ (თურქეთი) ან მიმღები ქვეყნის ენაზე „Ein blick Georgian“ (გერმანია), „ჩვენებური“ (თურქეთი), ან საურთიერთო ენაზე გამოცემულ პერიოდიკასაც კი, ქართული სათვისტომოს რუსულენოვანი ჟურნალი „მამული“ (ესტონეთი).

დიასპორაში პერიოდული გამოცემების არსებობა მნიშვნელოვანია. განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, სადაც ნაციონალური მედიის ხელმისაწვდომობა სხვადასხვა მიზეზის გამო რთულდება. დიასპორული მედიის განვითარების საკითხი სუბიექტ სახელმწიფოებს დემოკრატიის პრინციპებზე დაფუძნებული თანამშრომლობის მიმართულებასაც სთავაზობს. ასევე, დიასპორას, როგორც ერთიანი ეროვნული სივრცის განუყოფელ ნაწილს, განსაკუთრებული ადგილი უნდა დაეთმოს ნაციონალურ მედიაში.

აუდიოდანართი 1 – აზერბაიჯანში, თურქეთსა და ირანში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეების ყოფა-ცხოვრების ამსახველი ფოტოილუსტრაცია (სლაიდ-შოუ).

აუდიოდანართი 2 – საქართველოს საპატრიარქოს რადიო „ივერია“. საავტორო გადაცემა „ფესვების“ ჩანაწერები.

სარჩევი:

შესავალი 2

ნაწილი I

ჰერეთი – ისტორიული ექსკურსი 25

საინგილოს ქართველების პრობლემები 35

საინგილოს ქართველების მიერ გამოცემული ჟურნალ-გაზეთები:

„მოსე ჯანაშვილის საზოგადოების“ გაზეთი „მოამბე“ 38

გაზეთი „შელალე“ („ჩანჩქერი“) 60

გაზეთი „კახი“ 61

გაზეთი „სარკმელი“ 61

გაზეთი „გზაჯვარედინი“ 62

გაზეთი „იავნანა“ 62

პარალელისთვის: გაზეთი „ახალი ჰერეთი“ და რადიო „ჰერეთი“.....63

საინგილოს საკითხები 2002-2003 წლების პრესაში 64

ნაწილი II

თურქეთის საქართველო – ისტორიული ექსკურსი 90

თურქეთის ქართველობის საინფორმაციო რესურსები 97

ლაზები 98

ქართველები სტამბოლში და მათი საგამომცემლო მოღვაწეობა 107

თურქეთის ქართველების პრობლემები 111

თურქეთის ქართველების გამოცემები

ჟურნალი „ჩვენებური“ 116

ჟურნალი „ფიროსმანი“ 123

ჟურნალი „მამული“ 132

ნაწილი III

ფერეიდანი – ისტორიული ექსკურსი 133

ინფორმაცია ფერეიდნელი ქართველების აქტუალური

პრობლემებისა და ინიციატივების შესახებ 137

ფერეიდნელი ქართველების მედიააქტიურობა 139

ნაწილი IV

ქართველები ესტონეთის რესპუბლიკაში 148
დიპლომატიური ურთიერთობები საქართველოსა და
ესტონეთის რესპუბლიკას შორის 153
ესტონური პრესა საქართველოს შესახებ 154
ჟურნალი „მამული“ 158
ელექტრონული მედია ესტონეთში მცხოვრები ეთნიკური ჯგუფებისათვის.....162

ნაწილი V

პარალელისათვის: ინგლისსა და გერმანიაში მცხოვრები ქართველების
პერიოდული გამოცემები – ჟურნალი „თანამემამულე“ და გაზეთი
„ახალი ივერია“ 165

ნაწილი VI

საერთაშორისო გეოპოლიტიკა და ნაციონალური დიასპორა 168
დასკვნა 171
დამოწმებანი 179

დამოწმებანი:

ა) პუბლიკაციები

აბულაშვილი 1990: აბულაშვილი ი. რწმენის აღდგენა. გაზ. „მოამბე“, 1990, №2.

ათამაშვილი 1990: ათამაშვილი ბ. არქოლოგიური ექსპონატებისა და მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დაარსების ირგვლივ. გაზ. „მოამბე“, 1990, №3.

ბაბაჯანაშვილი 1990: ბაბაჯანაშვილი მ. პირველი ჰერელი კაცი, რომელმაც მოილოცა წმინდა იერუსალიმი. გაზ. „მოამბე“, 1990, №2.

ბარიხაშვილი 1990: ბარიხაშვილი კ. ...მიმდინარე წლის მაისში...; გაზ. „მოამბე“, 1990, №1.

ბარიხაშვილი 1990: ბარიხაშვილი მ. ერთი თანდებულის გამო. გაზ. „მოამბე“, 1990, №3.

გამხარაშვილი 1990: გამხარაშვილი ი. ფერიბიჩ-ყალას თავგადასავალი. გაზ. „მოამბე“, 1990, №3.

დაუდოვი 1990: დაუდოვი (დათუნაშვილი) მ. ჩვენც ქართველები ვართ. გაზ. „მოამბე“, 1990, №3.

თოფალაშვილი 1990: თოფალაშვილი მ. ნუ გვეტყვით – „ქართველები ხართ? გაზ. „მოამბე“, 1990, №2.

მამა ილარიონი 1990: მიმართვა, გაზ. „მოამბე“, 1990, №2.

„მოამბე“ 1990: ინგილოთა ლოღათი. გაზ. „მოამბე“, 1990, №1.

ნუროშვილი 1990: ნუროშვილი მ. გული ვერ მოკლა მტრის ხელმა. გაზ. „მოამბე“, 1990, №3.

ნუროშვილი 1991: ნუროშვილი მ. ჩვენ გვჯერა საინგილოს ერთიანობისა! გაზ. „მოამბე“, 1991, №4.

ნუროშვილი 1990: ნუროშვილი მ. არჩევნები და ჩვენი პოზიცია. გაზ. „მოამბე“, 1990, №3.

პაპიაშვილი 1990: პაპიაშვილი ზ. ქართული ხალხური სიმღერის პირველი საერთაშორისო ფესტივალი თელავში. გაზ. „მოამბე“. 1990, №1.

სარედაქციო 1990: საიდან მოდის გაუგებრობა? გ. მოამბე. 4, 1990

სარედაქციო 1991: ღია წერილი ბატონ ვაზგენ ოქროჯანაშვილს. გ. მოამბე. 4, 1991

სარედაქციო 1991: ჩვენი თეატრი ათი წლისაა! გ. მოამბე. 4, 1991

სარედაქციო 1991: თეატრს ულოცავენ. გ. მოამბე. 4, 1991

სარედაქციო 1991: გ. მოამბე. 4. 1991

სარედაქციო 1991: ჩვენი თეატრი ათი წლისაა! გ. მოამბე. 4, 1991

სარედაქციო 1990: ექნება თუ არა სოფ. ალიბეგლოს ახალი კულტურის სახლი. გ. მოამბე. 3, 1990

სარედაქციო 1990: ილიაობაზე. გ. მოამბე. 3, 1990

სარედაქციო 1991: ჩვენი თეატრი ათი წლისაა! გ. მოამბე. 4, 1991

სარედაქციო 1990: ქველმოქმედება. გ. მოამბე. 2, 1990

სარედაქციო 1990: ინფორმაცია. გ. მოამბე. 2, 1990

სარედაქციო 1991: ჩვენ ხომ ერთი მიწა-წყლის შვილები ვართ. გ. მოამბე. 3, 1991

სარედაქციო 1990: ბათუმის გაზეთიდან (1913წ. №34; გვ.: 3-4). სამწუხარო ამბავი. გ. მოამბე. 3, 1990

სარედაქციო 1990: ბათუმის გაზეთიდან (1913წ. №88; გვ.: 2) ნუ იქნება „ჩვეულება სჯულზე უმტკიცესი. გ. მოამბე. 2, 1990

სარედაქციო 1990: გ. მოამბე. 1, 1990

სარედაქციო 1990: გ. მოამბე. 1, 1990

სამედოვა 1990: სამედოვა ფ. ჩემი სოფელი. გაზ. „მოამბე“, 1990, №3.

საკოვა 2005: საკოვა ა. ქართველები გაცვლითი პროგრამით ტარტუში. გაზ. „Universitas Tartunsis“ , 9.09.2005 (რუსულ ენაზე).

საკოვა 2005: საკოვა ა. ტარტუ – მშვიდობიანი და მწვანე ქალაქი. გაზ. „Universitas Tartunsis“, 9.09.2005 (რუსულ ენაზე).

სუყაშვილი 1990: სუყაშვილი ე. ფიქრი ყველას გვმართებს. გაზ. „მოამბე“, 1990, №2.

ფალევა 2005: ფალევა უ. ესტონეთის ქართველები, გაზ. „ესტონეთის ხალგაზრდობა“, 3.06.2005 რუსულ ენაზე

ქიტიაშვილი 1990: ქიტიაშვილი ც. შეხვედრა აკაკისთან. გაზ. „მოამბე“, 1990, №2.

ქრონიკა 1990: ქართული ხალხური სიმღერის საერთაშორისო ფესტივალი თელავში, გაზ. „მოამბე“, 1990, №1.

ყიყიშვილი 1990: ყიყიშვილი ჰ. გასტროლები დასავლეთ საქართველოში. გაზ. „მოამბე“, 1990, №3.

გიუნაშვილი 2005: გიუნაშვილი ჯ. მინადორა ხოშტარიას აკლდამის შესახებ ქალაქ თეირანში. გაზ. „მეგობრობის მაცნე“, 2005, №4.

გიუნაშვილი 2005: გიუნაშვილი ჯ. ფერეიდნელ ქართველებთან კულტურული კავშირის გაღრმავებისათვის. გაზ. „მეგობრობის მაცნე“, 2005, №4.

ბ) ლიტერატურა

აბაშვილი 2009: აბაშვილი ვ. ქართული ენის ინგილოური დიალექტი. თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“, 2009.

ადამია 1979: ადამია ი. ქართული ხალხური ხუროთმოძღვრება (საინგილო). თბილისი.: გამომცემლობა „ხელოვნება“, 1979.

ასოციაცია 2009: ასოციაცია ქართული კულტურა საქართველოში და მის საზღვრებს გარეთ. კულტურათა დიალოგი და დიასპორა. თბილისი: გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, 2009.

გრიგორიანი 2000: გრიგორიანი რ. სომხური დიასპორა ესტონეთში. ნარვა: 2000. რუსულ ენაზე

გამსახურდია 2006: გამსახურდია კ. ზვიადის ძე. წერილები უცხოეთიდან. თბილისი: გამომცემლობა „საარი“. 2006.

დუმბაძე 1953: დუმბაძე მ. აღმოსავლეთ კახეთის (საინგილოს) ისტორიიდან. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. 1953.

ვაჟა-ფშაველა 1986: ვაჟა-ფშაველა. კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი. – ვაჟა-ფშაველა. თხზულებანი. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1986.

ინგოროყვა 1990: ინგოროყვა პ. საქართველოს ტერიტორიის საზღვრების შესახებ. თბილისი: რუსთაველის საზოგადოების გამომცემლობა „სარანგი“, 1990.

ისაკოვი 1969: Исаков С. Сквозъ годы и расстояния (ესტონეთისა და უკრაინის, საქართველოსა და ლატვიის კულტურული კავშირების ისტორიიდან. XIX ს. დასაწყისი და XX საუკუნე). ტალინი: გამომცემლობა „Ээsti raamat“, 1969.

ვიიკბერგი 1999: Виикберг И. Национальние менъшинства, групы и осколки. ტალინი: ენციკლოპედიური გამოცემა, 1999.

კალანდია 2005: კალანდია თ. 2000 ლაზური სიტყვა. თბილისი: გამომცემლობა „არტანუჯი“, 2005.

კალანდია 2010: კალანდია გ. აჰმედ მელაშვილი – ჩვენებურთა ბელადი. თბილისი: გამომცემლობა „სეზანი“, 2010.

მარჯანიშვილი 2005: მარჯანიშვილი გ. ჰერეთი. თბილისი: გამომცემლობა „არტანუჯი“, 2005.

მამარდაშვილი 1998: მამარდაშვილი მ. ლექციები ფსიქოანალიზის შესახებ. თბილისი: მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი. 1998.

მამარდაშვილი 2007: მერაბ მამარდაშვილი [კრებული]. შემდგენელი და შესავალი წერილის ავტორი თ. მთიბელაშვილი. თბილისი: გამომცემლობა „ინტელექტი“. 2007.

მიწიშვილი 2006: მიწიშვილი ნ. ქართული ქრონიკა რევოლუციის დროიდან. თბილისი: გამომცემლობა „ინტელექტი“, 2006.

ორტეგა ი გასეტი 1993: ორტეგა ი გასეტი ხ. მასების ამბოხი. თბილისი: გამომცემლობა „ხომლი“, 1993.

პაპუაშვილი 2008: პაპუაშვილი თ. საინგილოს ისტორიის ნარკვევები. თბილისი: გამომცემლობა „არტანუჯი“, 2008.

სამუშია 2003: სამუშია ჯ. საბჭოთა კავშირის პრეტენზიები თურქეთისადმი. თბილისი: გამომცემლობა „არტანუჯი“, 2003.

სიილივასკა 1983: სიილივასკა კ. „ტარტუს უნივერსიტეტის ისტორია 1632-1982 წწ.“ ტალინი: გამომცემლობა „პერიოდიკა“, 1983 (რუსულ ენაზე).

სონღულაშვილი 2005: სონღულაშვილი ა. ირანში ქართველთა ნაკვალევზე. თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, 2005.

სმითი 2007: სმითი ე. დ. ნაციონალური იდენტობა. თბილისი: გამომცემლობა „ლოგოს პრესი“, 2007.

ტაბიძე 1968: ტაბიძე ნ. ნარკვევები ქართული ჟურნალისტიკის ისტორიიდან. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1968.

ტაბიძე 1977: ტაბიძე ნ. ილია ჭავჭავაძის „ივერია“ (1877-1885). თბილისი: გამომცემლობა „განათლება“, 1977.

ტაბიძე 1978: ტაბიძე ნ. წერილები მხატვრულ-პუბლიცისტური ოსტატობის შესახებ. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1978.

ტაბიძე 1969: ტაბიძე ნ. პირველი ქართული გაზეთი. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1969.

ტაბიძე 1988: ტაბიძე ნ. ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტიკა. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1988.

ტურაშვილი 2005: ტურაშვილი დ. ესტონური ფოტომოთხრობები. ჟურნალი „ცხელი შოკოლადი“, 2005, №8.

ტყებუჩავა 1997: ტყებუჩავა დ. პუბლიცისტური ტექსტის შინაარსობრივი ელემენტები. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1997.

უცხო სიტყვათა ლექსიკონი 1973: უცხო სიტყვათა ლექსიკონი. შეადგინა მ. ჭაბაშვილმა. თბილისი: გამომცემლობა „განათლება“. 1989.

ფუტკარაძე 1993: ფუტკარაძე შ. ჩვენებურების ქართული. ბათუმი: აჭარის ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა, 1993.

ფიქრები 2006: ფიქრები საქართველოზე. თბილისი: გამომცემლობა „ინტელექტი“, 2006.

ქართული მწერლობა 1990: ვახუშტი ბაგრატიონი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. – ქართული მწერლობა (ოცდაათ ტომად). ტ. VIII (ტომის შემდგენელნი: ა. ბაქრაძე, რ. თვარაძე). თბილისი: გამომცემლობა „ნაკადული“, 1990.

ქარჩხაძე 2005: ქარჩხაძე ჯ. პუბლიცისტიკა. თბილისი: „გია ქარჩხაძის გამომცემლობა“, 2005.

ღამბაშიძე 1988: ღამბაშიძე რ. ქართული ენის ინგილოური კილოს ლექსიკონი. თბილისი: გამომცემლობა „განათლება“, 1988.

ყულოშვილი 2004: ყულოშვილი ნ. საინგილოს საკითხები 2002-2003 წლების პრესაში. თბილისი: გამომცემლობა „ინტელექტი“, 2004.

შარაძე 2001: შარაძე გ. ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია. ტ. I–II. თბილისი: ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. 2001.

ჩილოღლუ 2006: ჩილოღლუ ფ. სასაზღვრო ფიქრები. თბილისი: გამომცემლობა „არტანუჯი“, 2006.

წერეთელი 1990: წერეთელი მ. ერი და კაცობრიობა. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1990.

ჭავჭავაძე 1991: ჭავჭავაძე ი. ამონარიდი 1882 წლის მარტის „შინაური მიმოხილვიდან“ – ი. ჭავჭავაძე. თხზულებათა სრული კრებული (ოც ტომად). ტ. V (კრიტიკა). ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, ვარიანტები, შენიშვნები და საძიებლები დაურთეს ე. შარაშენიძემ, ლ. მეგრელიშვილმა, ც. ყიფშიძემ, ლ. შავგულიძემ და ლ. ჭრელაშვილმა. თბილისი: „მეცნიერება“, 1991.

ჭანუყვაძე 1996: ჭანუყვაძე ვლ. პოლიტოლოგია. თბილისი: გამომცემლობა „ბედია“, 1996.

ჭილაძე 1990: ჭილაძე ო. 9 აპრილი. თბილისი: გამომცემლობა „მერანი“, 1990.

ჭიჭინაძე 2004: ჭიჭინაძე ზ. ქართველთა გამუსლიმება. თბილისი: გამომცემლობა „არტანუჯი“, 2004.

ჭილაძე 2010: ჭილაძე ო. ცა მიწიდან იწყება. თბილისი: გამომცემლობა „ინტელექტი“, 2010.

ხორავა 2004: ხორავა ბ. აფხაზთა მუჰაჯირობა. თბილისი: გამომცემლობა „არტანუჯი“, 2004.

ხოშტარია 2005: ხოშტარია დ. კლარჯეთის ეკლესიები და მონასტრები. თბილისი: გამომცემლობა „არტანუჯი“, 2005.

ჯავახიშვილი... 1989: ჯავახიშვილი ი. სურგულაძე პ. ლისტი პ. ისტორიული რარიტეტები. თბილისი: 1989.

ჯანაშვილი 2007: მოსე ჯანაშვილი – 150 (კონფერენციის მასალები). თბილისი: გამომცემლობა „არტანუჯი“, 2007.

ჯობაძე 2006: ჯობაძე ვ. ადრეული შუა საუკუნეების ქართული მონასტრები ისტორიულ ტაოში, კლარჯეთსა და შავშეთში. თბილისი: 2006.

Корконосенко... 2004: Корконосенко С. Г. Блохин И. Н. Виноградова С. М. Кузин В. И. Сидоров В.А. Журналистика в мире политики. С-Пб: 2004.

Чаптыкова 1997: Чаптыкова Т. Национальная диаспора как объект этносоциологического исследования. М.: 1997.

გ) გაზეთები

„ახალი ეპოქა“ (2002-2003).

„ახალი ივერია“ (2005-2008).

„ახალი ჰერეთი“ (2002-2003).

„გზაჯვარედინი“ (2004).

„იავნანა“ (2004).

„კახი“ (2002-2003).

„კვირის პალიტრა“ (2010-2011).

„მეგობრობის მაცნე“ (2004-2008).

„მოამბე“ (1990-1991).

„სარკმელი“ (2001 წლიდან).

„საქართველოს რესპუბლიკა“ (2002-2003).

„შელალე“ (ჩანჩქერი) (1931 წლიდან).

„ჩვენი მწერლობა“ (2002-2003).

„ხიდი“ (1993-2004).

„Кавказский Акцент“ (2002-2003).

დ) ჟურნალები

„ახალი ხიდი“ (2002-2003).

„თანამემამულე“ (2003-2010) – ინგლისი.

„ირანის ქართველების პირველი საზოგადოებრივ-კულტურული ჟურნალი“ (2005-2006).

„მამული“ I-V (1997-1998) – თურქეთი.

„მამული“ I-III (2000-2002) – ესტონეთი.

„ომეგა“ (2002-2003).

„ფიროსმანი“ I-X (2005-2010).

„ჩვენებური“ (1977-2002).

„ჩვენებური“ (2007) (საერთაშორისო ფესტივალ „ჩვენებურების“ გამოცემა)

ე) რადიომაუწყებლობა:

ირანის ქართული რადიო.

რადიო „ჰერეთი“.

ვ) ელექტრონული მედიასაშუალებები:

www.diaspora.gov.ge

www.mfa.gov.ge

www.patriarkhate.ge

www.fereidani.ge

http://worldservice.irib.ir/

www.etnoweb.ee

www.lyra.ee

http://ka.wikipedia.org/

http://mediaofdiaspora.blogs.lincoln.ac.uk/

http://www.dissercat.com/content/natsionalnaya-diaspora-kak-obekt-etnosotsiologicheskogo-issledovaniya

ნინო ყულოშვილი ©